დავით ჯანაშია

სკოლის სევდა

ლიტერი

დანიელ პენაკი
სკოლის სევდა

DANIEL PENNAC
CHAGRIN D'ÉCOLE

მთარგმნელი მერაბ ფიფია
რედაქტორი მარინა სარალიძე, სოლომონ ნოზაძე
დიზაინერები ბესო დანელია, ნინო გურული

© Éditions Gallimard, 2007
All rights recerved.

© გამომცემლობა „დიოგენე“, 2015
ყველა უფლება დაცულია

ISBN 978-9941-11-464-9

www.diogene.ge

დანიელ პენაკი

სკოლის სევდა

სარჩევი

I. სანაგვე ჯიბუტში 7

II. ჩამოყალიბება 41

III. ეს, ანუ აღსრულებითი კილოს აწმყო დრო 103

IV. შენ ამას განგებ აკეთებ 173

V. მაქსიმილიანე ანუ იდეალური დამნაშავე 197

VI. აქ იმაზე, თუ რას ნიშნავს სიყვარული 235

I

სანაგვე ჯიბუტში

სტატისტიკურად ყველაფერი შეიძლება
აიხსნას, მაშინ, როდესაც პირადული
თვალსაზრისით ყველაფერი რთულდება.

I

მოდი, ეპილოგით დავიწყოთ. თითქმის ასი წლის ასაკს მიღწეული დედაჩემი ზის და ფილმს უყურებს კაცზე, რომელსაც მშვენივრად იცნობს. ეს კაცი მწერალია, პარიზში, საკუთარ სახლში, უფრო სწორად, ბიბლიოთეკაში, უამრავი წიგნით გარშემორტყმული გადაუღიათ. ბიბლიოთეკა, როგორც ვხვდებით, კაბინეტის მაგივრობას უწევს. ოთახის ფანჯარა სკოლის ეზოს გადაჰყურებს. შესვენებაა, გამაყრუებელი ჟივილ-ხივილი და ყურისწამღები ხმაური. ვიგებთ, რომ ამ კაცს საუკუნის მეოთხედი სკოლაში მასწავლებლად უმუშავია. საცხოვრებლად იმ სახლის არჩევით, რომლის ფანჯრები სკოლის ეზოში გადის, ის იმ რკინიგზელს გვაგონებს, პენსიაზე გასვლის შემდეგ გამანაწილებელი სადგურის სიახლოვეს რომ დასახლებულა. მოგვიანებით ფილმის მთავარ პერსონაჟს იტალიასა და ესპანეთში ვხედავთ. აგერ ის მთარგმნელებთან საუბრობს, შემდეგ თავის ვენეციელ მეგობრებთან ხუმრობით იქცევს თავს. ვერკორის მთიან პლატოზეც გადაუღიათ – ბურუსში გახვეული სრულიად მარტო მიაბიჯებს... ლაპარაკობს საკუთარ პროფესიაზე, ენასა და სტილზე, რომანის სტრუქტურაზე, პერსონაჟებზე... კიდევ ერთი კაბინეტი, რომლის ფანჯრები ამჯერად თვალისმომჭრელ ალპურ პეიზაჟებს გადაჰყურებს. ამ სცენებს ენაცვლება ინტერვიუები, სადაც ავტორის საყვარელი ხელოვანები თავიანთ საქმეზე საუბრობენ: რეჟისორი და მწერალი დაი სიჯი, მხატვარი-ილუსტრატორი სემპე, მომღერალი ტომას ფერსენი, ფერმწერი იურგ კრაიენბიული.

ისევ პარიზი. მწერალი საკუთარი კომპიუტერის წინ მოკალათებულა. ირგვლივ ლექსიკონების გორა დაუყენებია. ეს ჩემი გატაცებააო, – ამბობს ის. და, აი, სწორედ ამ დროს ვიგებთ, რომ (ეს ფილმის დასასრულია) სტატია, რომელიც მწერალს მიეძღვნა, ლექსიკონ „რობერში“ შესულა და მისი მოძებნა ასო-ბგერა პ-ზე შეგვიძლია, სათაურ „პენაკის“ ქვეშ. ისე, ცნობისთვის, მისი ნამდვილი გვარი პენაკიონია, სახელი კი – დანიელი.

მოკლედ, დედა ფილმს ჩემს ძმასთან, ბერნართან ერთად უყურებს (რომელმაც ის საგანგებოდ მისთვის ვიდეოკასეტაზე გადაიტანა); უყურებს თავიდან ბოლომდე ისე, რომ კრინტსაც არ ძრავს; დღე ილევა და საღამოს ბინდბუნდში იკარგება, ის კი გაუნძრევლად ზის და მონუსხულივით მისჩერებია ეკრანს.

ფილმის დასასრული.

ტიტრები.

სიჩუმე.

დედა ზანტად ტრიალდება ბერნარისკენ და ეკითხება:

– შენ ფიქრობ, რომ ამ კაცს როდისმე რამე ეშველება?

2

საქმე ისაა, რომ სკოლაში ცუდად ვსწავლობდი და ეს ამბავი დედაჩემს დღემდე აქვს გამოყოლილი. ახლა, როცა მისი გადაბერებული გონება სულ უფრო და უფრო ხშირად ტოვებს აწმყოს ნაპირებს და ნელ-ნელა მეხსიერების შორეული არქიპელაგებისკენ გადაადგილდება, გზად შემხვედრი პირველივე რიფები იმ ტკივილსა და სადარდებელს ახსენებს, სკოლაში ჩემი სიარულის პერიოდში ასე რომ გაუშრო სისხლი.

ახლაც დედა შეფიქრიანებულ მზერას მომაპყრობს ხოლმე და ნელა წარმოთქვამს:

– ვერ მეტყვი, ბოლოს და ბოლოს, რას საქმიანობ?

ჩემი მომავალი დედაჩემს ყოველთვის იმდენად ბუნდოვანი და უიმედო ეჩვენებოდა, რომ დღემდე ჩემს აწმყოშიც ვერ არის ბოლომდე დარწმუნებული. სულ ფიქრობდა, რომ დიდი მომავალი არასოდეს მექნებოდა, რომ ჩემგან კაცი არ დადგებოდა; მეტიც, სჯეროდა, რომ ცხოვრების ორომტრიალი სადღაც მოუსავლეთში გადამისვრიდა, რადგან ელემენტარული თავდაცვითი მექანიზმებიც კი არ გამაჩნდა. მოკლედ, დედაჩემისთვის მე ერთი გზააბნეული ადამიანი ვიყავი. თუმცა 1969 წლის სექტემბერში საკლასო ოთახში მასწავლებლის რანგში რომ შევაბიჯე, მან სადღაც გულის სიღრმეში ირწმუნა, რომ საბედისწერო მორევმა ბოლომდე ვერ ჩამითრია, როგორღაც ამოვძვერი და თავი დავიხსენი. მაგრამ მომდევნო ათწლეულები (ანუ ჩემი, როგორც ზრდასრული ადამიანის, მთელი შეგნებული ცხოვრება), დედაჩემის შფოთვამ, დარდმა და წუხილმა მაინც მედგარი წინააღმდეგობა გაუწია ჩემი წარმატების დამადასტურებელ ყველა მტკიცებულებას, რომლებსაც იგი სატელეფონო საუბრების, წერილების, ვიზიტების, გამოცემული წიგნების წყალობით იგებდა ხოლმე. არაფერს ვამბობ ცისფერ ეკრანზე ჩემ არაერთგზის გამოჩენასა და ბერნარ პივოს შოუში მონაწილეობაზე. ბოლომდე დედაჩემის დაწყნარება-დაშოშმინება არაფერს შეეძლო: არც ჩემი პროფესიული ცხოვრების სტაბილურობას და არც ლიტერატურული მოღვაწეობის საქვეყნოდ აღიარებას. ვერც სხვების მონაყოლი ჰგვრიდა შვებას და ვერც ის, რასაც თავად კითხულობდა პრესაში. ცხადია, ჩემი წარმატებები ახარებდა, მსჯელობდა მათზე მეგობრებთან და საკუთარ აზრებსაც უხვად აფრქვევდა. იმასაც აღიარებდა, საწყალი მამამისი ამ ყველაფერს რომ მოსწრებოდა, მასზე ბედნიერი კაცი ამქვეყნად მეორე არ იქნებოდაო. მაგრამ... მაგრამ მის გულში, სადაც იშვა და სამუდამოდ დაიმკვიდრა ადგილი იმ უქნარამ და დოყლაპიამ, მოკლედ, იმ ოროსანმა, რომელიც მე ოდესღაც ვიყავი, მაინც ღრმად გაედგა ფესვები შფოთვას. ეს, თავისებურად, მისი სიყვარულის გამოხატულება იყო. როცა დედობრივ ზრუნვასა და

სიყვარულზე უბოროტოდ ვეხუმრებოდი ხოლმე, ვუდი ალენის წაბაძვით მპასუხობდა:

– რა გინდა, თავი დამანებე. ყველა ებრაელი დედა როდია, სამაგიეროდ, ყველა დედა ებრაელია.

და დღესაც ეს შფოთვა ისევ და ისევ იკითხება ჩემი ხანდაზმული ებრაელი დედის თვალებში, მზერაში, რომელსაც ის თავის უკვე სამოცი წლის ასაკს მიღწეულ ნაბოლარას მიაპყრობს ხოლმე; შფოთვა, პირვანდელი სიძლიერე რომ დაუკარგავს და შესამჩნევად შერბილებულა; მე ვიტყოდი, „შფოთვის ნანგრევები“, რომელიც, არც მეტი, არც ნაკლები, ჩვევად ქცეულა; ეს ის ჩვევაა, რომელიც ყოველი გამომშვიდობებისას თითქოს აიძულებს დედაჩემს, ხელი ხელზე მომკიდოს და მკითხოს:

– ერთი ეს მითხარი, ბინა მაინც თუ გაქვს მაგ პარიზში?

3

მოკლედ, დიდი ვერაფერი მოსწავლე გახლდით. არაფერი გამომდიოდა. და მაინც სკოლა, შეიძლება ითქვას, მუდამ ფეხდაფეხ დამდევდა და ამოსუნთქვის საშუალებას არ მაძლევდა. მაშინაც კი, როცა ყოველ საღამოს შინ ვბრუნდებოდი, აშკარად ვგრძნობდი, რომ სკოლა არაფრის დიდებით არ აპირებდა ხელიდან ჩემ გაშვებას. ჩემი დღიურის შინაარსი მხოლოდ მასწავლებლების პერმანენტულ უკმაყოფილებაზე მეტყველებდა. თუ მოსწრებით კლასში ბოლო არ ვიყავი, ბოლოს წინა ადგილი მაინც გარანტირებული მქონდა. თავიდან არითმეტიკისთვის, მოგვიანებით კი მათემატიკისთვის უიმედოდ დაგმანულს, უკიდეგანოდ უმეცარს, გამოუსწორებლად უწიგნურს, თარიღების დამახსოვრების მიმართ მყარი იმუნიტეტის მქონეს, რუკაზე ადგილმდებარეობის განსაზღვრაში დაუჯერებლად უუნაროს, უცხო ენების შესწავლაში სრულიად უნიჭოს, ზარმაცსა და უქნარას (დაუსწავლელი გაკვეთილები, მოუმზადებელი საშინაო დავალებები) შინ ჩემი სიჩლუნგის დამა-

დასტურებელი, გულისგამხეთქავი შედეგები მიმქონდა, რომელსაც ვერც მუსიკაში, ვერც სპორტში და ვერც კლასგარეშე საქმიანობაში მიღწეული წარმატებები ვერ გამოისყიდდა.

– გაიგე? ცოტათი მაინც თუ გესმის, რასაც გიხსნი?

მე ვერაფერსაც ვერ ვიგებდი. რამის გაგების სრულ უუნარობას ისე ღრმად გაედგა ჩემს ბავშვობაში ფესვები, რომ ოჯახმა მისი სათავის დადგენის მიზნით ლეგენდაც კი შეთხზა, რომლის თანახმადაც უბედურება დაიწყო ჯერ კიდევ მაშინ, როცა ანბანის დაუფლებას შევეჭიდე. ხშირად მახსენებდნენ, ასობგერა ა-ს დამახსოვრებას მთელი წელი მოანდომეო. წარმოგიდგენიათ? მხოლოდ *ანი* – ერთ წელიწადში. ჩემი უმეცრების უდაბნო კი გადაულახავი *ბანის* შემდეგ იწყებოდა.

– აბა, პანიკა არ დამანახვოთ! სულ რაღაც ოცდაექვს წელიწადში ბავშვი ანბანს ძირფესვიანად დაეუფლება, – ირონიულად იტყოდა ხოლმე მამაჩემი. ცხადია, ასე საკუთარი შიშებისა და ეჭვების გაფანტვას ცდილობდა. რამდენიმე წლის თავზე, როცა დამამთავრებელ კლასში ჩავრჩი და უკვე მეორეჯერ უშედეგოდ წავეპოტინე სიმწიფის ატესტატს, მამაჩემმა სრულიად განსხვავებული ფორმულირებით „დამამშვიდა“:

– არ იდარდო, ბოლოს და ბოლოს, გამოსაშვები გამოცდების მიმართაც კი შეიძლება კაცს ავტომატიზმი გამოუმუშავდეს...

ხოლო, 1968 წლის სექტემბერში, როცა ფილოლოგიური ფაკულტეტის დიპლომი ავიღე, ჩემმა ძვირფასმა მამიკომ ასე გამამხნევა:

– დიპლომის ასაღებად რევოლუცია[1] დაგჭირდა, დისერტაციის დასაცავად, ალბათ, მსოფლიო ომს უნდა ველოდოთ.

მამაჩემის გამონათქვამები სრულიად უბოროტო გახლდათ, არ იყო გულღრძო ადამიანი. შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ ერთგვარ გარიგებას მოვაწერეთ ხელი – ურთიერთობის ფორმად იუმორი ავირჩიეთ.

---

[1] იგულისხმება 1968 წლის სტუდენტური გამოსვლები, რასაც სერიოზული კრიზისის გამოწვევის გამო ზოგიერთი ისტორიკოსი რევოლუციას უთანაბრებს.

მაგრამ, მოდი, ჩემი მოღვაწეობის სათავეებს მივუბრუნდეთ. ოთხი ძმიდან (მე ნაბოლარა გახლდით) მე, როგორც იტყვიან, განსაკუთრებული შემთხვევა აღმოვჩნდი. მშობლებს არ მოუწიათ ჩემს უფროს ძმებზე რიგიანად წავარჯიშება (მოსწრებით ციდან ვარსკვლავებს ნამდვილად არც ისინი წყვეტდნენ, მაგრამ სკოლა მაინც მშვიდად და უხმაუროდ დაამთავრეს). ამიტომ ჩემი გაუვალი სიშტერე მათი დარდის უშრეტი წყარო გახლდათ. ამ სიშტერესთან ბრძოლაში წლებიც უმწეო აღმოჩნდა. ჩემმა გამოთაყვანებამ გაუმჯობესებისკენ ვერა და ვერ იბრუნა პირი. „ეს რომ ვინმეს მოუყვე, ცოცხალი თავით არ დაგიჯერებს, გამაოგნებელია პირდაპირ“. „რა გინდა, რომ ქნა? არა, მეტი აღარ შემიძლია.“ – უფროსების ჩემთვის ამ კარგად ცნობილ მოთქმებში, რასაც თან ახლდა შესაბამისი გამოხედვები და თვალების ტრიალი, – მე მხოლოდ ერთ რამეს ვხედავდი სრულიად აშკარად – ჩემი უუნარობით შობილი უნდობლობის უძირო უფსკრულს.

როგორც ჩანს, ყველა ყველაფერს ჩემზე ბევრად სწრაფად იგებდა.

– შენ თავი ტვინით კი არა, ჩალით გაქვს გამოტენილი!

ერთხელაც, სკოლის დამთავრების წელს (სკოლის დამთავრების ერთ-ერთ წელს), ერთ მშვენიერ დღეს (ნაშუადღევს!), როცა მამაჩემი ტრიგონომეტრიას მიხსნიდა, ოთახში, რომელიც ბიბლიოთეკის მაგივრობასაც გვიწევდა, ჩვენი ძაღლი ჩუმად ადგა და ჩვენს ზურგს უკან საწოლზე გაიშხლართა. ცოტა ხანში მისი საქციელი შემჩნეულ იქნა და ის თავხედი იქიდან სასწრაფოდ გააძევეს.

– აბა, დროზე მოუსვი აქედან, გესმის, შენ? საკუთარ სავარძელზე რამდენიც მოგეპრიანება, იმდენი იკოტრიალე!

ხუთი წუთის შემდეგ ძაღლი ისევ საწოლზე აღმოვაჩინეთ. უბრალოდ, თავისი სავარძლიდან მოგლეჯილი გადასაფარებელი ქვეშ დაეგო და ზედ არხეინად წამოპლაკულიყო. ამას, ბუნებრივია, ჩვენი მხრიდან საყოველთაო აღფრთოვანება მოჰყვა (დამსახურებულად!). ძაღლმა შეძლო, აკრძალვა სისუფთავის აბსტრაქტულ ცნებასთან

დაეკავშირებინა და სათანადო დასკვნაც გამოეტანა: პატრონის კომპანიით სიამოვნება რომ განეცადა, ქვეშაგების გადმოტანაზეც უნდა ეზრუნა. ყოჩაღ, ცუგა! აი, ლოგიკური აზროვნების ნამდვილი ნიმუში! ეს შემთხვევა მრავალი წლის განმავლობაში კვებავდა საოჯახო საუბრებს. მე კი ცუგას მიერ ჩატარებულმა გაკვეთილმა შემდეგ დასკვნამდე მიმიყვანა – ძაღლსაც კი უკეთ უჭრიდა გონება, ვიდრე მე. თუ მეხსიერება არ მღალატობს, ჭკუისკოლოფას ყურშიც კი ჩავჩურჩულე:

– ხვალ ჩემ მაგივრად წაბრძანდები სკოლაში, შე საზიზღარო ტრ...ის მლოკველო!

4

საშუალო ასაკის ორი მამაკაცი თავიანთი ბავშვობის მდინარე ლუს ნაპირზე სეირნობს – ორი ძმა – მე და ჩემი ძმა ბერნარი. ნახევარი საუკუნის წინ ისინი ამ გამჭვირვალე და კამკამა წყალში ყვინთაობდნენ, ცურავდნენ თევზებს შორის, რომლებსაც მათი ღრიანცელი სულაც არ აფრთხობდა. წყლის ბინადრების მსგავსი სიახლოვე და გათამამება მათ აფიქრებინებდათ, რომ ეს ბედნიერება მარად გაგრძელდებოდა. მდინარე პიტალო კლდეებს შორის მიიკვლევდა გზას. როცა ძმები დინებას ზღვამდე ჩაუყვებოდნენ ხოლმე ხან ცურვით, ხანაც ქვიდან ქვაზე ხტომა-ხტომით, ხშირად კარგავდნენ ერთმანეთს მხედველობის არიდან. ერთმანეთი რომ ადვილად ეპოვათ, ორი თითით სტვენა ისწავლეს. მათი სუსტი ტრელები მთის კლდეებს ეხეთქებოდა და საბოლოოდ გუგუნში გადაიზრდებოდა ხოლმე.

დღეს მდინარე მეჩხერი გამხდარა. თევზებიც გამქრალან. წებოვანი, უძრავი ქაფი მხოლოდ ბუნებაზე სარეცხი საშუალებების სრული გამარჯვების შესახებ მეტყველებს. ჩვენი ბავშვობიდან მხოლოდ ჭრიჭინების გამაყრუებელი ჭრიჭინი და ზაფხულის წებოვანი ხვატი შემორჩენილა. ამას გარდა, ჩვენ უწინდებურად

შეგვიძლია ორი თითით სტვენა და არც ერთხელ არ დაგვიკარგავს ერთმანეთი.

ბერნარს გამოვუტყდი, რომ სკოლის შესახებ წიგნის დაწერაზე ვოცნებობდი; არა ისეთ სკოლაზე, საზოგადოებასთან ერთად განუწყვეტლივ რომ იცვლება, როგორც ეს მდინარე, არამედ ისეთზე, რომლისთვისაც ამ ყოველდღიურ ორომტრიალსა და ძვრებს ვერაფერი დაუკლია. მინდა, დავწერო იმ მუდმივსა და უცვლელზე, რომელზე საუბარსაც ყველა გაურბის: ოროსნის, მისი მშობლებისა და მასწავლებლების ერთობლივ, საზიარო ტანჯვაზე, სკოლის მიერ მოყენებული საერთო ტკივილების ურთიერთქმედებაზე.

– მაგარი პროგრამა კი მოგიფიქრებია... და საიდან აპირებ დაწყებას?

– თუნდაც შენგან. მაგალითად, ბერნარ, რა მოგონებები შემორჩა შენს მეხსიერებას ჩემი სიშტერის შესახებ... მოდი, მათემატიკით დავიწყოთ?

ჩემი ძმა ბერნარი ერთადერთი ადამიანი გახლდათ ოჯახში, რომელსაც შეეძლო, სასკოლო დავალებების შესრულებაში დამხმარებოდა, თანაც ისე, რომ არ დავეკომპლექსებინე და არ ჩავკეტილიყავი საკუთარ თავში, როგორც ხამანწკა ნიჟარაში. აქვე გეტყვით, რომ ოთახიც საზიარო გვქონდა, სანამ მეხუთე კლასში გადავიდოდი და ინტერნატში გამამწესებდნენ.

– მათემატიკით? სიმართლე თუ გინდა იცოდე, ეს ჯერ კიდევ არითმეტიკიდან დაიწყო. ერთ დღეს გკითხე, რა უნდა მოუხერხო წილადს, რომელსაც ასე ჩაშტერებიხარ-მეთქი. შენ არც კი დაფიქრებულხარ, მექანიკურად მიპასუხე: საერთო მნიშვნელამდე უნდა დავიყვანოთო. არადა, მხოლოდ ერთი წილადი იყო და, აქედან გამომდინარე, მხოლოდ ერთი მნიშვნელი, მაგრამ შენ ვირზე შეჯექი და შენსას აწვებოდი, ეს წილადი ერთ მნიშვნელამდე უნდა იქნეს დაყვანილიო. მე კიდევ დაჟინებით მოვითხოვდი: ცოტა ტვინი გაანძრიე რა, დანიელ! აქ ერთადერთი წილადია, ესე იგი, მნიშვნელიც მხოლოდ ერთია. შენ გაწიწმატდი და მომახალე: მათემატიკის

მასწავლებელმა აგვიხსნა, წილადები საერთო მნიშვნელამდე უნდა დაიყვანოთო!

ორივე ძმას გაეღიმა და მშვიდად განაგრძეს სეირნობა. ეს ყველაფერი უკვე შორეულ წარსულში იყო ჩაფლული. ერთი მათგანი მასწავლებლად მუშაობდა მთელი ოცდახუთი წლის განმავლობაში; მის ხელში დაახლოებით ორი ათას ხუთასმა მოსწავლემ გაიარა, მათ შორის, ისეთებმაც, რომლებსაც, ჩვეულებრივ, „ძნელად აღსაზრდელებს“ ეძახიან. დღეს ორივენი ოჯახის მამები არიან. „მათემატიკის მასწავლებელმა თქვა, რომ...“ ახლა თვითონ უწევთ ამ ფრაზის მოსმენა. კარგად ესმით იმ ლიტანიისა, რომელშიც ოროსანი მთელ თავის იმედებს ერთად უყრის თავს... მასწავლებლის სიტყვები ის კუნძებია, მდინარეს რომ მოაქვს, ის უბედური თავის გადასარჩენად ებღაუჭება და სულაც არ ფიქრობს იმაზე, რომ მალე ეს დინება წყალვარდნილში გადაჩეხავს; ის თუთიყუშივით იმეორებს იმას, რაც მასწავლებელმა იქადაგა. არა იმიტომ, რომ ამაში რაიმე აზრს ხედავს, ან იმიტომ, რომ არსებული წესი გამოიყენოს, სრულიადაც არა. მხოლოდ იმიტომ, რომ მისთვის უსიამოვნო სიტუაციასა და შეკითხვებს დაუძვრეს; იმიტომ, რომ თავი დაანებონ, თუნდაც დროებით; ან კიდევ იმიტომ, რომ ის უყვარდეთ, ნებისმიერ ფასად!

– ...

– გამოდის, რომ სკოლაზე კიდევ ერთი წიგნი დაიბეჭდება. არ ფიქრობ, რომ მეტისმეტია?

– არა! ეს წიგნი სკოლას არ ეძღვნება. დღეს, ვისაც არ ეზარება, სკოლითაა დაკავებული. ამოვიდა ყელში ეს გაუთავებელი დავა-კამათი მასწავლებლების ახალ და ძველ თაობებს შორის. ყბედობა პროგრამებზე, სკოლის ადგილზე საზოგადოებაში და მასზე დაკისრებულ სოციალურ როლზე, მის მიზნებზე, დღევანდელ და ხვალინდელ სკოლაზე... არა, ეს წიგნი მოგვითხრობს ოროსანზე, იმ ტკივილებზე, რომელიც მას ტანჯავს; იმ გაუგებრობებზე, რომლებსაც ის აწყდება.

– ნუთუ, მართლა გადაიტანე მსგავსი უბედური დღეები?

– ...

– ...

– აბა, კიდევ რამეს თუ გაიხსენებ ჩემი ოროსნობის ეპოპეიდან?

– სულ იმას წუწუნებდი, ცუდი მეხსიერება მაქვსო. გაკვეთილები, რომელთა დასწავლას საღამოს გაიძულებდი, ღამის განმავლობაში შენი მეხსიერებიდან პირწმინდად იშლებოდა. დილით უკვე აღარაფერი გახსოვდა.

რაც მართალია, მართალია, ნამდვილად ასე იყო. „გონზე არ ვიყავი“, – როგორც დღევანდელი ახალგაზრდები იტყვიან. ჩემს გონებაში არაფერი იბეჭდებოდა, ასე რომ, რეპროდუქციაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. უმარტივესი სიტყვებიც კი კარგავდა აზრს, როგორც კი მთხოვდნენ, მათთვის შემეხედა, როგორც ცოდნისა და შემეცნების საშუალებებისთვის. მაგალითად, თუ მქონდა მოსამზადებელი გაკვეთილი იურას მთიან მასივზე (ეს ძალიან კონკრეტული მოგონებაა), ოთხი ასოსგან შემდგარი ეს უმარტივესი სიტყვა უმალ თვალსა და ხელს შუა ნაწევრდებოდა და ფრანშ-კონტეს რეგიონთან ყოველგვარ კავშირს კარგავდა, ასევე აღარაფერი აკავშირებდა ენის დეპარტამენტთან, სახელგანთქმულ საათების ქარხანასთან, ვენახებთან, ჩიბუხებთან, მაღალმთიან საძოვრებთან, ძროხებთან, მკაცრყინვიან ზამთრებთან, მოსაზღვრე შვეიცარიასთან, მთიან ალპურ მასივებთან და, უბრალოდ, მთებთან. ეს სიტყვა ჩემთვის უკვე აღარაფერს ნიშნავდა. იურა, იურა, – უაზროდ ვიმეორებდი ჩემთვის: იურა... და ვიმეორებდი დაუსრულებლად... რაც მთავარია, დაუღალავად... იმ ბავშვს ვემსგავსებოდი, ლუკმა რომ ჩაუდვია პირში და გაუაზრებლად ღეჭავს, გემო უკვე კარგახანია გამოაცალა, მაგრამ მაინც ღეჭავს და ღეჭავს... აი, მეც ვღეჭავდი ამ იურას, გულმოდგინედ, გემოსა და აზრის გამოცლამდე, სრულ დაშლამდე... იურა, იურა, იურა, იუ-რა, იურ-ა, ააუუუურა, იურააააა. მოკლედ, მანამ, სანამ

სიტყვა ერთგვაროვან გაბმულ, მჟღერად, ყოველგვარი აზრობრივი მინიშნებებისგან დაცლილ მასად არ გადაიქცეოდა; ეს იყო დაუნაწევრებული მეტყველება, გამოუსწორებელი ლოთის გაურკვეველი ზმუილი. ასეთ მდგომარეობაში რაღა გასაკვირია, რომ გეოგრაფიის გაკვეთილზე თვალები მიმელულა და ცოტა ხანში ჩამძინებოდა კიდეც.

– ჰო, გამახსენდა, შენ კიდევ გაიძახოდი, ვერ ვიტან მთავრულ ასოებსო.

ოოო, ამას კი ნამდვილად ვამბობდი; ოჰ, ეს საშინელი გუშაგები – მთავრული ასოები! ისეთი განცდა მეუფლებოდა, რომ ეს საზიზღრები ჩემსა და საკუთარ სახელებს შორის ჯიბრზე წამოიმართებოდნენ ხოლმე, რათა ჩვენი ურთიერთობისთვის შეეშალათ ხელი. მთავრული ასოთი დაწყებული ყოველი სიტყვა მყისიერი დავიწყებისთვის იყო განწირული: ქალაქები, მდინარეები, ბრძოლები, გმირები, ხელშეკრულებები, პოეტები, გალაქტიკები, თეორემები მხოლოდ ერთი ნიშნის გამო იშლებოდნენ ჩემი მეხსიერებიდან – ისინი დიდი ასოთი იწყებოდნენ. ეს მთავრული ასოები ჩემზე ისე მოქმედებდნენ, როგორც ტეტანუსი – კრუნჩხვებში მაგდებდნენ. „სდექ! – გაჰყვიროდა ხაფი ხმით მთავრული ასო, – აქეთ აკრძალულია, ეს საკუთარი სახელია, კერძო სამფლობელოა, მისი კარიბჭის შეღების უფლება მხოლოდ ღირსეულებს ეძლევათ, კრეტინებს კი სასტიკად ეკრძალებათ!“

– კრეტინი ხომ პატარა ასოთი იწერება, – დააზუსტა ჩემ გვერდით ბილიკზე მოსეირნე ბერნარმა... და ორივე ძმამ გულიანად გადაიხარხარა.

– მოგვიანებით იგივე მოხდა უცხო ენებთან დაკავშირებით! ვერა და ვერ მოვიშორე ის აზრი, რომ ყველაფერი, რაც ამ ენებზე ითქმოდა და იწერებოდა, ჩემთვის აღუქმელი, აუთვისებელი და მეტისმეტად ჭკვიანური იყო.

– ასე იხსნიდი ვალდებულებას, სიტყვების კილომეტრიანი სიები რომ არ დაგეზეპირებინა.

– ინგლისური სიტყვები ჩემთვის ისეთივე მოუხელთებელი იყო, როგორც საკუთარი სახელები.

– მოკლედ, რაღაც ამბებს იგონებდი შენთვის...

– კი, აბა რა! სწორედ ეს არის ოროსნების ამოსაცნობი მთავარი ნიშან-თვისება. განუწყვეტლივ თხზავენ თავისთვის ათასგვარ სისულელეს და ამგვარად საკუთარ სიშტერესა და რეგვენობაში ირწმუნებენ თავს: „სად შემიძლია, მცდელობაც კი არ ღირს, მაინც არაფერი გამომივა. მე ვარ სრული ნული. რამდენჯერ უნდა გითხრათ, რომ სკოლა ჩემისთანებისთვის არ არის მოგონებული“. სკოლას ისინი მოიაზრებენ, როგორც დახურულ კლუბს, სადაც შესვლა სამუდამოდ აკრძალული აქვთ. უნდა ითქვას, რომ მსგავსი იდიოტობის მოჩმახვაში მათ ზოგიერთი მასწავლებელიც უწყობს ხელს.

– ...

– ...

ორი საშუალო ასაკის მამაკაცი მდინარის გასწვრივ მისეირნობს. ბოლოს ისინი ლელქაშით დაფარულ წყალსაცავს მიადგებიან, კენჭოვანი ნაპირებით. ბერნარი ეკითხება ძმას:

– კენჭების სროლაში ისევ ისეთი მაგარი ხარ?

5

თავისთავად ცხადია, ისმის კითხვა – რა იყო სწავლაში ჩემი ასეთი სიჩლუნგის მიზეზი? მე ხომ სახელმწიფო მოხელეების შვილი ვიყავი, შეკრულ, მოსიყვარულე და უკონფლიქტო ოჯახში გაზრდილი, პასუხისმგებლობის გრძნობით სავსე უფროსებით გარშემორტყმული, რომლებიც ყოველთვის მზად იყვნენ, საშინაო დავალებების მომზადებაში დამხმარებოდნენ. მამა პოლიტექნიკური ინსტიტუტის კურსდამთავრებული იყო, დედა – დიასახლისი. ოჯახის ისტორიაში არც განქორწინებები ფიგურირებდა, არც ალკოჰოლისადმი მიდრეკილება და არც ძნელად აღსაზრდელი

წინაპრები; ვერც მემკვიდრეობით გადმოყოლილ რომელიმე სენს იხსენებდნენ. ძმებს სიმწიფის ატესტატი უკვე ჯიბეში ედოთ, სამიდან ორს მათემატიკის ნიჭი ჰქონდა და მალე ინჟინრები დადგებოდნენ. ერთიც ოფიცრობას უმიზნებდა. ოჯახური ცხოვრების რიტმი მშვიდი და გაწონასწორებული იყო, სასმელ-საჭმელი - ჯანმრთელი; მდიდარი ბიბლიოთეკა გვქონდა, კულტურული ატმოსფერო სრულად შეესატყვისებოდა სოციალურ სტატუსსა და ეპოქას (დედაჩემი და მამაჩემი 1914 წლამდე დაიბადნენ): ფერწერა - იმპრესიონისტებამდე, ლიტერატურა - მალარმემდე, მუსიკა - დებიუსიმდე, რუსული რომანები და, ცხადია, იმ ეპოქისთვის ნიშნეული გატაცებები - ტეიარ დე შარდენი2 (2.ფრანგი პალეონტოლოგი, ფილოსოფოსი და თეოლოგი (1881-1955).) (მას გვერდს ვერავინ აუქცევს!), ჯოისი და ჩორანი... 3 (3.რუმინული წარმოშობის ფრანგი მოაზროვნე, ესეისტი (1911-1995).მაგიდის გარშემო გამართული მშვიდი, კულტურული, იუმორით სავსე მხიარული საუბრები.

მაგრამ რად გინდა, ერთი ოროსანი და რეგვენი მაინც გამოტყვრა ჰორიზონტზე. ამას ახსნა-განმარტებას ოჯახურ ანალებში რამდენიც უნდა იქექოთ, მაინც ვერ მოუძებნით. სინამდვილეში ჩვენი ოჯახის ისტორია გახლავთ სამი თაობის შეუჩერებელი აღმასვლა სოციალურ კიბეზე, რაც საყოველთაო, უფასო და სავალდებულო სწავლა-განათლების წყალობით გახდა შესაძლებელი. უფრო მართალი ვიქნებოდი, თუ ვიტყოდი, რომ ეს იყო ერთგვარი რესპუბლიკური სულისკვეთებითა და მსოფლმხედველობით გაჟღენთილი აღმასვლა, გამარჯვება ჟიულ ფერის 4 (4.საფრანგეთის პრემიერ-მინისტრი (1832-1893) XIX საუკუნის 80-იან წლებში. მის დროს შემოიღეს საფრანგეთში საყოველთაო, სავალდებულო, უფასო დაწყებითი განათლება.)სტილში...

კიდევ ერთი ჟიული მამაჩემის ალალი ბიძა გახლდათ (მოდი, მე მას ბიძია ჟიულად მოვიხსენიებ). ჟიულ პენაკიონი მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება იმის მეცადინეობაში იყო, რომ ბავშვებს კანალესა და მარგალეს კორსიკული სოფლებიდან (ამ კუთხიდან იღებს სათავეს ჩემი გვარიც) განათლება მიეღოთ (ლამის, ძალით მიაპროწიალებდა სკოლაში) და სიმწიფის ატესტატი აეღოთ; სწორედ მას უნდა ვუმადლოდეთ საფრანგეთსა და მას დაქვემდებარებულ კოლონიებში მასწავლებლების, ფოსტალიონების, ჟანდარმებისა და სხვა საჯარო მოხელეთა მთელ ლაშქარს... (შეიძლება, ყაჩაღების გარკვეულ რაოდენობასაც, მაგრამ ბიძია ჟიულმა მათში კითხვის ჟინი მაინც აღძრა). როგორც ჰყვებიან, ბიძია ჟიული თურმე კარნახისა და არითმეტიკის კონკურსებს აწყობდა ყველასთვის და ნებისმიერ ვითარებაში. იმასაც კი ამბობდნენ, რომ იტაცებდა იმ ბავშვებს, რომლებსაც მშობლები წაბლის შეგროვების პერიოდში სკოლაში არ უშვებდნენ. თურმე ტყეში სათამაშოდ გასულებს იჭერდა და თავის სახლში მიაცაქცაქებდა. "მონათმფლობელ" მშობლებს კი შეუთვლიდა: აიღებს ატესტატს და უკანვე უვნებელს და საღსალამათს დაგიბრუნებო! თუნდაც ეს მონათხრობი ლეგენდა იყოს, მე მაინც უზომოდ მომწონს ის. მასწავლებლის პროფესია სხვანაირად ვერც წარმომიდგენია. მათ, ვინც სკოლაზე ათასგვარ საზიზღრობას როშავენ, ოდნავი წარმოდგენაც კი არ აქვთ ბავშვების იმ შთამბეჭდავ რიცხვზე, რომელიც სწორედ ამ დაწესებულების წყალობით გადაურჩა ათასგვარ სიმახინჯეს, ნაკლსა და ცრურწმენას, ამპარტავნობასა და კუდაბზიკობას, უმეცრებას, სისულელესა და გაუმაძღრობას, მათ ოჯახებში გამეფებულ უმოძრაობას, უმოქმედობას, შეზღუდულობას, ერთფეროვანი და უცვლელი ცხოვრებისადმი უსიტყვო მორჩილებას.

აი, ასეთი იყო ბიძია ჟიული!

და უცებ, მიუხედავად ყველაფრისა, სამი თაობის შემდეგ, ჩემგან გამოუსწორებელი ოროსანი დადგა!

რა სირცხვილი იქნებოდა ბიძაჩემისთვის, ამას რომ მოსწრებოდა... საბედნიეროდ, ის ამქვეყნად ჩემ მოვლინებამდე გარდაიცვალა. მოკლედ, ოჯახის სახელოვანი წარსული ყოველგვარ მცონარობასა და უქნარობას გამორიცხავდა. მეტიც, მე, როგორც სულ უფრო და უფრო დიპლომირებული დინასტიის ბოლო წარმომადგენელი, უკვე ვიყავი სოციალურად დაპროგრამებული, რომ ოჯახის თავსამკაული და სიამაყე გავმხდარიყავი. თავიდან პოლიტექნიკური ან პედაგოგიური ინსტიტუტი უნდა მომეტოვებინა უკან, შემდეგ უეჭველად ეროვნულ სკოლაში და სავარაუდოდ, სახელმწიფო ხაზინაში ან რომელიმე სამინისტროში (სულერთია, რომელში) უნდა მეღვაწა... ჩემგან ამაზე ნაკლებს არ მოელოდნენ. ამ ყველაფერს უნდა მოჰყოლოდა წარმატებული და ნაყოფიერი ქორწინება და ამქვეყნად ბავშვების მოვლინება, რომელთა ბედიც უკვე აკვანშივე იქნებოდა განსაზღვრული, რომ ლუი ბრწყინვალის ლიცეუმში ესწავლათ, მოგვიანებით კი ელისეს სასახლეში წამოჭიმული ტახტის დასაპყრობად აეღოთ გეზი; უარეს შემთხვევაში, ტრანსნაციონალური საპარფიუმერიო კონსორციუმის მესვეურები გამხდარიყვნენ. ეს იქნებოდა სოციალური დარვინიზმისთვის თანმდევი ბანალური რუტინა - ელიტის რეპროდუქცირება.

მაგრამ ნურას უკაცრავად... ვისთან გვაქვს სინამდვილეში საქმე? ოროსანთან! დიახ ოროსანთან, რომელიც ყოველგვარ ისტორიულ წინაპირობებს იყო მოკლებული, არც სოციალური მიზეზები გააჩნდა და არც სიყვარულის ნაკლებობას განიცდიდა. ის თავისთავად, სხვების ჩაურევლად შედგა, როგორც ოროსანი, ოროსნობის ეტალონი, ოროსნობის საზომი ერთეული! რატომ? გაუგებარია.

ამ კითხვაზე პასუხი შეიძლებოდა, ფსიქოლოგების კაბინეტში გვეპოვა, მაგრამ სამწუხაროდ, ეს ის დრო იყო, როცა სკოლის ფსიქოლოგს ოჯახი ჯერ კიდევ არ ჩაენაცვლებინა. ამიტომ არსებული საშუალებებით კმაყოფილდებოდნენ.

ბერნარს კი საკუთარი ახსნა-განმარტება ჰქონდა:

- ჯიბუტში ყოფნისას, ექვსი წლის ასაკში შენ მუნიციპალურ სანაგვეში ამოჰყავი თავი.

- ექვსის ვიყავი მაშინ? გამოდის, რომ ეს ის წელია, როცა ჯერ კიდევ ა-ს ვეჭიდავებოდი.

- კი. ეს იყო ღია სანაგვე, რომელშიც ღობის თავიდან მოადინე ბრაგვანი. ახლა ვერ ვიხსენებ, რამდენ ხანს ლბებოდი იმ ლაფში. მოკლედ, უგზო-უკვლოდ გაქრი. ყველგან გეძებდით. შენ კიდევ თურმე იმ სიბინძურეში ცურავდი მცხუნვარე მზის ქვეშ. ტემპერატურა 60 გრადუსს აღწევდა, რამდენადაც მახსოვს. მირჩევნია, ეს ამბავი საერთოდ არ გავიხსენო. წარმომიდგენია, რა საშინელება იქნებოდა!

სინამდვილეში ეს სურათი ზედმიწევნით შეესატყვისება სკოლისთვის დაკარგული მოსწავლის განცდებს, საკუთარ თავს ნაგავთან რომ აიგივებს. ამას გარდა, სიტყვები - "სანაგვე", "ნაგავი" ხშირად მსმენია კერძო სასწავლო დაწესებულების მესვეურებისგან, რომლებიც ხალისით იბარებენ სახელმწიფო სკოლების ასეთი "ნარჩენებს" (თან რა ფასად!). ასეთ "სანაგვეში" რამდენიმე წელი

გავატარე - მეხუთედან დაწყებული, პირველი კლასის ჩათვლით. თუმცა იმ მასწავლებელთა შორის, რომელთა ატანაც მაშინ მომიწია, ოთხმა ნამდვილად მიხსნა.

- როცა იმ სანაგვიდან ამოგათრიეთ, სეფსისი დაგემართა. თვეების განმავლობაში პენიცილინს გარჭობდნენ. კარგ დღეში ნამდვილად არ იყავი. კურდღელივით ცახცახებდი, ისე გეშინოდა. როცა მედდა გამოგვეცხადებოდა, სახლში შენ მოძებნას ნახევარ დღეს ვუნდებოდით. ერთხელაც კარადაში სცადე დამალვა, რომელიც, რაღაცნაირად მოახერხე და, თავზე დაიმხე.

ნემსის შიში! აი, მეტყველი მეტაფორა! სკოლაში სწავლის პერიოდი, თუ შეიძლება ითქვას, მიმალვაში გავატარე. გავურბოდი მასწავლებლებს, რომლებსაც გიგანტური ნემსებით აღჭურვილ დიაფუარუსებად (მოლიერის პიესის "ვითომდა ავადმყოფის" პერსონაჟი) აღვიქვამდი, რომლებიც თავიანთი დღე და მოსწრება მხოლოდ იმაზე ფიქრობდნენ, რაც შეიძლება ღრმად შეერჭოთ იმ საწყალი ბიჭისთვის ნემსი (კარგად მახსოვს ორმოცდაათიანი წლების პენიცილინით მოყენებული მწვავე ტკივილი. მეგონა, კანქვეშ აღულებულ ტყვიას მისხამდნენ).

ყველა ვარიანტში სწორედ რომ შიში იყო სკოლაში სწავლის პერიოდის მთავარი გრძნობა და მთავარი წინაღობა. ამიტომ, როგორც კი მასწავლებელი გავხდი, მაშინვე იმას შევეცადე, რომ ჩემი ბედოვლათი ოროსნების შიშისთვის მეწამლა, როგორმე მომეხსნა ეს წინაღობა, რათა ცოდნას მისცემოდა შესაძლებლობა, მათ ცარიელ თავებში შეეღწია.

6

სიზმარი ვნახე - არა ბავშვური მოგონებიდან, არამედ დღევანდელი, რომელიც პირდაპირ კავშირშია წიგნთან, ამჟამად რომ ვწერ. და ეს მოხდა ზუსტად წინა თავის დასრულების შემდეგ: საწოლის კიდეზე პიჟამაში ჩაცმული ვიჯექი. ჩემ წინ, ხალიჩაზე, პლასტმასის გიგანტური ციფრები იყო მიმოფანტული, დაახლოებით ისეთი, როგორითაც სულ პატარა ბავშვები თამაშობენ ხოლმე. მე ისინი თანამიმდევრობით უნდა დამელაგებინა - ასეთი იყო ამოცანის პირობა; დავალება ადვილი მეჩვენებოდა და ამით კმაყოფილი ვიყავი. წელში მოვიხარე და ციფრებს წავეპოტინე. უეცრად ვამჩნევ, რომ ხელები გამიქრა; პიჟამის სახელოების ბოლოები ხელის მტევნებით არ მთავრდებოდა. სახელოები ცარიელი იყო. მე სასოწარკვეთილებაში ჩავვარდი, არა იმიტომ, რომ ხელები აღარ მქონდა, არამედ იმიტომ, რომ ციფრებს ვეღარ მივწვდებოდი და ვერც მათ სწორად დალაგებას შევძლებდი. არადა, ხომ თავისუფლად შემეძლო ამის გაკეთება!

7

მიუხედავად ყველაფრისა, მთლად აწყვეტილი ბავშვი კი არ ვიყავი, უფრო ცოცხალი, მოძრავი და მოთამაშე მეთქმოდა. კოჭაობაში ჩემზე მოხერხებულს კაცი ძნელად თუ მიაგნებდა. დაუმარცხებელი ვიყავი, მსოფლიო ჩემპიონი ბალიშებით ორთაბრძოლაშიც, - მოკლედ, მაგრად ვთამაშობდი, რა! ლაქლაქა და მუდამ მხიარული, შეიძლება ითქვას, კომიკოსი და ოხუჯი, ადვილად ვიმეგობრებდი ყველა დონის მოსწავლეს, უქნარებს - უპირველესად, მაგრამ არც თავიანებთან დაძმაკაცება მიჭირდა,

ასეთი კომპლექსები ნამდვილად არ მაწუხებდა. ზოგიერთი მასწავლებელი ამ ჩემს გადაჭარბებულ ჭკუამხიარულებას დანაშაულად მითვლიდა: სიშტერე და უქნარობა არ იკმარა, ახლა ამას კიდევ უტიფრობა დაუმატაო, - ამბობდნენ. ოროსნისთვის სავალდებულო ელემენტარული ზრდილობა ნიშნავს იმას, რომ წყნარი და მოკრძალებული მაინც იყოს, ცოცხალმკვდარი კი იდეალური ვარიანტი იქნებოდა. მე კიდევ უზომოდ სიცოცხლის მოყვარული ვიყავი და ეს თვისება ჩემთვის, თუ შეიძლება ასე ითქვას, სასიცოცხლო აუცილებლობას წარმოადგენდა. თამაში იყო ჩემი მხსნელი იმ მომაკვდინებელი სევდისგან, რომელიც მიპყრობდა, როგორც კი საკუთარ სირცხვილთან მარტოდმარტო აღმოვჩნდებოდი ხოლმე. ღმერთო ჩემო, რა საშინელი ტანჯვაა ეს მარტოსულობა და გამუდმებული სირცხვილის შეგრძნება იმის გამო, რომ ვერაფერს აკეთებ ისე, როგორც საჭირო. პირდაპირ გეუფლება სურვილი, დაჰკრა ფეხი და სადმე გადაიკარგო... მაგრამ სად... უნდა გაექცე საკუთარ თავს - მოდი, ასე ვთქვათ, ანუ ეს გაქცევა საკუთარ მესგან შენში, შენ შიგნით უნდა მოხდეს... მაგრამ ისეთ შენში, სხვებისთვისაც მისაღები რომ იყოს. როგორც ჩანს, გაქცევის ამ სურვილთანაა დაკავშირებული ჩემი ბავშვობის დროინდელი ხელწერაც. ანბანის ასოების ნაცვლად ვხატავდი კაცუნებს, თავქუდმოგლეჯილი რომ გარბოდნენ რვეულის ფურცლების ველებისკენ, რათა იქ მხიარული ბანდები ჩამოეყალიბებინათ. თავიდან, რაც მართალია, მართალია, გულმოდგინება არ დამიკლია და ასოებიც მეტნაკლებად გამომყავდა, მაგრამ ეს დიდი წვალებით გამოძერწილი ასოები გარედან ჩაურევლად, თავისთავად პატარ-პატარა კაცუნებად გარდაიქმნებოდნენ ხოლმე. მათ ვერ გააჩერებდი: იცინოდნენ და ლაზღანდარობდნენ, ხტოდნენ, ყირაზე გადადიოდნენ და გაურკვეველი მიმართულებით გარბოდნენ, რათა თავისუფლებს თავიანთ გემოზე ეოხუნჯათ და მხიარულება განეგრძოთ - ჩემი სიცოცხლის წყურვილის იდეოგრამები. დღესაც კი ვიყენებ ამ კაცუნებს, როცა წიგნზე წარწერას მთხოვენ:
ისინი მართლაც ფასდაუდებელ სამსახურს მიწევენ ყოველ ჯერზე, როცა ავტოგრაფს მთხოვენ და

ტვინის ჭყლეტა მიწევს, რათა სატიტულო გვერდზე რამდენიმე უმარილო "სიბრძნე" დავჩხაპნო. ეს

კაცუნები ჩემი ბავშვობის მეგობრები არიან და მათ არაფრისდიდებით არ ვუღალატებ. მე დღემდე მათი ერთგული ვრჩები.
8

მოზარდობისას ბანდის ჩამოყალიბებაზე დავიწყე ფიქრი, თუმცა არც დრო იყო შესაფერისი საძმოს ჩამოსაყალიბებლად, არც ის წრე, სადაც ვიზრდებოდი და არც გარემოება. მიუხედავად ყველაფრისა, დღესაც მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ საძმოს შეკრების შესაძლებლობა ოდნავ მაინც რომ მომცემოდა, უკან დამხევი არ ვიყავი; ამ საქმეში დიდი სიხარულით გადავეშვებოდი. ის ამხანაგები, რომლებთანაც თამაშით ვიქცევდი თავს, ამისთვის ნამდვილად არ გამოდგებოდნენ. მათთვის მე მხოლოდ გაკვეთილებს შორის შესვენების დროს თუ ვარსებობდი. გაკვეთილზე ჩემთან მეგობრობა კი ეთაკილებოდათ. მე ამას აშკარად ვგრძნობდი. გავრეულიყავი ბანდაში, სადაც ჩემს სასკოლო ცხოვრებას არანაირი ყურადღება არ მიექცეოდა - აი, რა იყო ჩემი სანუკვარი ოცნება! იცით, რა იყო ასეთი ბანდის მთელი ხიბლი? ის, რომ მარაქაში გარევით თვითდამკვიდრების, საკუთარი თავის გამოჩენისა და გამოვლენის განცდა მეუფლებოდა. იდენტობის მაცდური ილუზია, თვითგამორკვევის მირაჟი - რაც გნებავთ, ოღონდ როგორმე თავიდან მომეცილებინა გაუცხოების ის გრძნობა, რომელიც სკოლის სამყაროს მიმართ მეუფლებოდა. მთავარია, თავი უცხო სხეულად არ მეგრძნო და უფროსების ზიზღით აღსავსე, ყველგან მსუფევ მზერას გავქცეოდი. ბანდა მაძლევდა

შანსს, ერთობა, საძმო მარადიული მარტოსულობისთვის დამეპირისპირებინა. არა, ამ ოროსნის კუნძულიდან ნებისმიერ ფასად უნდა გავქცეულიყავი. ჯანდაბას, მეკობრეთა გემსაც კი შევეკედლებოდი, სადაც მუშტის ძალა მართავს ყველაფერს და რომლის გემბანიდან გზას პირდაპირ დილეგში მიჰყავხარ, საუკეთესო შემთხვევაში, რა თქმა უნდა! მე ხომ თავს სხვებთან შედარებით იმდენად უმწეოდ, უძლურად და დაუცველად ვგრძნობდი, რომ უფროსებისა და მასწავლებლების კანონიერი და აღიარებული ძალა, ნებისმიერ მძიმე მუშტზე გამანადგურებლად მესახებოდა და სრულიად გასაგებია, რატომ მიპყრობდა ასე ხშირად შურისძიების ლამის მანიაკური სურვილი (ოთხი ათეული წლის გავლის შემდეგაც ზოგიერთი მოზარდის წამოძახილი: "ვერ ვიტან, მეზიზღება" სრულიადაც არ მაკვირვებს. ახალი ფაქტორების - სოციალურის, კულტურულის, ეკონომიკურის - მთელი წყებით გაძლიერებული ეს შეძახილი უწინდებურად გამოხატავს ჩემთვის ახლობელსა და კარგად ცნობილ შურისძიების დაუკმაყოფილებელ წყურვილს). საბედნიეროდ, ამხანაგები, ვისთანაც ვთამაშობდი, ნამდვილად არ იყვნენ ის ტიპები, ერთ საძმოდ რომ შეიკვრებოდნენ. მე კიდევ ვერც ერთ სხვა დაჯგუფებას ვერ მივეტმასნებოდი, მაგალითად, ისეთებს, მჭიდროდ დასახლებულ ჭრელ გარეუბანებში რომ აღმოცენდება ხოლმე. ასე რომ, ისეთი ბანდის ჩამოყალიბება მომიწია, სადაც ერთადერთი მოზარდი გაწევრიანდა. ეს მე გახლდით. ამას არ მღერის რენოც თავის ჰიტში? მოკლედ, ეს იყო ერთკაციანი, მოკრძალებული ბანდა, სადაც სრულიად მარტო ფარულ რეპრესიებს მივმართავდი. მახსენდება, როგორ ამოვიღე ერთხელ ძროხის ენის კონსერვის ქილებიდან ასამდე ენა და ინტენდანტის კარზე ჩამოვკიდე. საქმე ისაა, რომ გვაიძულებდნენ, ეს საზიზღარი კონსერვები სასადილოში კვირაში ორჯერ გვეჭამა. თუ ცხვირს ავიბზუებდით და პირს არ დავაკარებდით, მეორე დღეს საკუთარ თეფშებზე ზუსტად იმავეს აღმოვაჩენდით ხოლმე. ერთხელაც ჩვენი ინგლისური ენის მასწავლებლის სრულიად ცინცხალი ავტომანქანის ძრავის მაყუჩში ბოლში გამოყვანილი ქაშაყი ჩავჩურთე (ძალიან კარგად მახსოვს, ეს იყო "არიანა", რომლის საბურავები თეთრი არშიებით იყო გაწყობილი, კოპწია ადამიანის ფეხსაცმელებივით), რომელმაც ცოტა ხანში, ჩემთვის სრულიად გაუგებარი მიზეზის გამო, შემწვარი თევზის სუნი გამოუშვა. აყროლდა სალონი, აყროლდა მასწავლებელიც, თანაც ისე, რომ კილომეტრზე ვერ მიეკარებოდი. კლასში ხომ ლამის ყველა ერთიანად გაგვგუდა. ჰო, კიდევ ერთი ამბავი გამახსენდა: მთავარმა ზედამხედველმა მშობლებთან არ გამიშვა და შაბათ-კვირას პანსიონში დამტოვა. მე კი მისი კაბინეტი მეზობელ ფერმებში მოპარული ქათმებით გავძეძგე, დაახლოებით, ოცდაათი მაინც იქნებოდა. ახია მაგაზე, რას გამომკეტა იმ ჯოჯოხეთში! მოკლედ, მისი საცხოვრებელი სულ რაღაც სამ დღეში არაჩვეულებრივ საქათმედ გადაიქცა; გაივსო იქაურობა ქათმის სკლინტით, ბუმბული კი ხან რას მიეწება და ხან რას; ატმოსფეროსთვის მეტი დამაჯერებლობა რომ მიმენიჭებინა, იატაკზე კვერცხები დავყარე. ბოლოს სიმინდის მარცვლები და თივის ბულულები მიმოვაბნიე ბლომად. ნუ იტყვით, რა სუნი დადგა შიგნით! "სადისტი" ზედამხედველი ორშაბათს რომ დაბრუნდა და, ნეტარმა და დასვენებულმა, კმაყოფილი იერით შეაღო საკუთარი ოთახის კარი, კინაღამ ინფარქტმა დაარტყა. ქათმები ხომ გამოფრინდნენ და გადარეულები მოედვნენ დერეფნებს, ატყდა ერთი გნიასი და ჟრიამული, შეჯიბრი, ვინ უფრო მეტს დაიჭერდა. ეს ნამდვილი დღესასწაული იყო!

იდიოტობა, სისულელე, ნამდვილი საძაგლობა - ეს იყო ბოროტი, უპატიებელი საქციელი და, რაც მთავარია, სრულიად ფუჭი და უშედეგო, არარენტაბელური - როგორც დღეს იტყვიან. მსგავსი ტიპის "სადამსჯელო ოპერაცია" მასწავლებლებს ნამდვილად არ "აკეთილშობილებს". მიუხედავად ყველაფრისა, მე არასდროს, კუბოს ფიცრამდეც კი, არ ვინანებ ჩემს საქციელს, არც იმ უტვინო

ქათმებს, არც ბოლში გამოყვანილ ქაშაყს და არც იმ ძროხების წაჭრილ ენებს. ისევე, როგორც ჩემი პატარა კაცუნების არსებობას. ისინიც ჩემი ბანდის სრულუფლებიანი წევრები გახდნენ.

9

მარტივი პედაგოგიური ჭეშმარიტებაა, რომ იშვიათი გამონაკლისის გარდა, მარტოხელა შურისმაძიებელი (ან ჩუმჩუმელა ამრევი, შეგიძლიათ, ხულიგანიც უწოდოთ, თქვენზეა დამოკიდებული, რა კუთხით შეხედავთ მას) თავს არასოდეს გასცემს. ეს შურისმაძიებელი თავადაც არასდროს ჩაუშვებს მსგავსი რამის ჩამდენს. რასთან გვაქვს საქმე? ერთგვარი სოლიდარობის გამოვლინებასთან? ამაში მთლად დარწმუნებული არ ვარ. აქ უფრო სიამოვნებით ტკბობაზე თუ შეიძლება ლაპარაკი, რომელსაც ადმინისტრაციის მხრიდან მორიგი დანაშაულის გახსნის ფუჭი მცდელობა გვანიჭებს. ის ფაქტი, რომ შფოთისთავის დაუდგენლობის გამო უამრავი სრულიად უდანაშაულო მოსწავლე შეიძლება დაისაჯოს, მხედველობაში მაქვს ათასნაირი მნიშვნელოვანი თუ უმნიშვნელო აკრძალვა, შურისმაძიებელს ერთი წამითაც არ ადარდებს. პირიქით, ამით მასაც, ბოლოს და ბოლოს, ეძლევა შესაძლებლობა, თავი საძმოს სრულუფლებიან წევრად მოიაზროს. ისიც, სხვებთან ერთად, ამტკიცებს, რომ საშინელებაა, "ამდენმა უცოდველმა" იმ ერთი "საზიზღარი დამნაშავის" გამო პასუხი აგოს. გამაოგნებელი გულწრფელობაა! ის ფაქტი, რომ თვითონ გახლავთ ეს საზიზღარი დამნაშავე, მისი ჭკუით, უკვე აღარ მიიღება სათვალავში. სხვების დასჯით ხელისუფლების წარმომადგენლებმა მას საშუალება მისცეს, გასცდენოდა კონკრეტული დანაშაულის სფეროს და უკვე "სამართლიანობის" პრინციპების პოზიციიდან გაეკრიტიკებინა ადმინისტრაცია.

- ისინი ვერ აგნებენ იმას, ვინც ეს ჩაიდინა, და ამიტომ ჯოხი ყველაზე უნდა გადატყდეს?! რა საზიზღრობაა!

მას ერთ ნერვსაც არ აუტოკებს ის ფაქტი, რომ შესაძლოა, ვინმემ ლაჩრად მოიხსენიოს, ან კიდევ ქურდად, ნაძირალად და ავაზაკად; შეიძლება, მატყუარაც უწოდონ, ან ნებისმიერი სხვა შეურაცხმყოფელი იარლიყი მიაკერონ. დიდი ამბავი! არც ის ადარდებს, თუ ბრალმდებელი ადგება და მაღალი ხმით სამყაროს ამცნობს თავისი ზიზღის შესახებ მსგავსი არამზადების მიმართ, რომლებსაც არ ჰყოფნით ვაჟკაცობა და გამბედაობა, თავიანთი ნამოქმედარი აღიარონ და პასუხისმგებლობაც იტვირთონ. მთავარია, რომ ის კიდევ ერთხელ მოისმენს იმას, რაც მას აქამდეც ათასჯერ მაინც მიახალეს პირში, და რაშიც ის სრულიად ეთანხმება ბრალმდებელს (ამ ფარულ თანხმობაში შეიძლება ერთგვარი ტკბობაც კი ვიგრძნოთ: დიახ, შენ ჭეშმარიტებას ღაღადებ, სწორედ მე ვარ ის ბოროტი და არამზადა, რომელსაც შენ მიმართავ. რომ იცოდე, მე კიდევ უარესი ვარ, ვიდრე შენ წარმოგიდგენია...), თუმცა, ამავე დროს, მხოლოდ მას ერთს, და სხვას არავის, ეყო ძალა, იმ უკუნ ღამეს მეხამრიდზე აეფრიალებინა, ზედამხედველის, წესრიგისა და დისციპლინის ამ უპირობო დამცველის, სამი ანაფორა. იმ ბრალმდებელს რომც მოენდომებინა მსგავსი რამ, ჩემს ფეხებს შეძლებდა. არც რომელიმე სხვა აქ დამსწრე მოსწავლეს ჰქონია ამის ტრ...ი. მხოლოდ მას ეყო გამბედაობა, სრულიად მარტოს, იმ წკვარამში მსგავსი დიადი საქმე განეხორციელებინა. რამდენიმე საათის განმავლობაში ანაფორებს ქარი მეკობრეთა გემის ანძაზე ჩამოკიდებული შავი დროშებივით აფრიალებდა. რაც მთავარია, არავის ეცოდინება, ვინ აბობღდა იმ სიმაღლეზე და ვინ ჩამოაკონწიალა იქ ეს სასაცილო "ბაირაღები". თუ მის მაგივრად სხვას დასდებენ ბრალს, თავს დავდებ, ის აქაც პირში წყალს დაიგუბებს, რადგან ზედმიწევნით იცნობს თავის სამყაროს და კლოდელთან ერთად

(რომელსაც თავის დღეში არ წაიკითხავს) წარბშეუხრელად შეუძლია განაცხადოს, რომ ზოგიერთები უსამართლობას იმსახურებენ კიდეც.

ის არ გასცემს თავს, იმიტომ რომ, როგორც იქნა, შეეგუა საკუთარ სიმარტოვეს და მისი უკვე აღარ ეშინია. ამიერიდან ის თვალებს მორჩილად აღარ დახრის. კარგად შეათვალიერეთ ის - დამნაშავე უცოდველი გამომეტყველებით, ფრთიანი ანგელოზი! დუმილით ის ერთადერთ სიამოვნებას მალავს. კარგად იცის, რომ ვერასდროს ვერავინ ვერაფერს გაიგებს. როცა გრძნობ, რომ არავისიანი არ ხარ, საკუთარ თავთან დებ ფიცს.

კიდევ ერთ რამეს განიცდის: იმის გაფიქრება, რომ ცოდნით ტვინგამოტენილებისთვის ის თავად ხდება იდუმალებით მოცული და შეუცნობელი, მას შავბნელ სიამოვნებას განაცდევინებს. შეიძლება ითქვას, რომ მან თავის თავში ერთი რამის ნიჭი მაინც გამოქექა - დააშინოს ისინი, რომლებიც მას უწინ შიშის ზარს სცემდნენ. მას გადაწყვეტილი აქვს, ამ ნიჭს ბოლომდე გაუწიოს ექსპლუატაცია. ეს ნიჭი მისი სიამოვნებისა და ტკბობის უშრეტი წყაროა. არავინ იცის, რისი გაკეთების უნარი აქვს მას; და ძალიანაც კარგი!

ასე და ამგვარად იბადება ბოროტმოქმედი - როცა ყველანაირი გონებრივი შესაძლებლობა ფარულად ეშმაკობაში კონცენტრირდება.

10

და მაინც ვერ გაიგებდით, როგორი მოსწავლე ვიყავი მე სინამდვილეში, თუ ჩემს იმიჯს ჩემ მიერ გატარებულ იატაკქვეშა რეპრესიებამდე და შურისძიებამდე დაიყვანდით (სხვათა შორის, იმ სამ ანაფორას მე ნუ დამიკავშირებთ, ნამდვილად არაფერ შუაში ვარ). ოროსანი, რომელიც თავისი მხიარული ზნით ყურებს არასდროს ჩამოყრის და შურისძიების ჟინით შეპყრობილი, ღამღამობით, ღმერთმა იცის, რა მაკვარანცხობაზე არ იფიქრებს; უხილავი და მოუხელთებელი ზორო, ბავშვებისთვის მიყენებულ წყენას რომ არავის შეარჩენს და ერთი ასად აზღვევინებს... მე თვითონაც სიამოვნებით ვიხილავდი საკუთარ თავს სამართლიანობის აღმდგენი, თავზე გვირგვინდადგმული გმირის როლში, სინამდვილეში სულ სხვა პერსონაჟი რომ არ ვყოფილიყავი - ბიჭუნა, რომელიც მზადაა, საკუთარ სინდისთან ნებისმიერ გარიგებაზე წავიდეს, ოღონდაც უფროსთაგან ერთმა მაინც გახადოს კეთილგანწყობილი ღიმილის ღირსი. ბიჭუნა, სახეზე მლიქვნელის ამაზრზენი ღიმილი რომ აქვს გადაკრული და მხოლოდ იმას ცდილობს ფარულად, მასწავლებელი რამეზე დაითანხმოს, გული მოულბოს, მისი კეთილგანწყობა მოიპოვოს: - დიახ, ბატონო, რა თქმა უნდა, მეორე აზრი არ არსებობს, თქვენ მართალი ბრძანდებით. - არა, რას ამბობთ, ბატონო, მე სულაც არ ვარ ისეთი ბოროტი, როგორიც თქვენ გგონივართ, არა, ნამდვილად არა, არც სულელი ვარ, ბატონო. ჩემი იმედიც შეიძლება ჰქონდეს ადამიანს. მე გამოვსწორდები, მე... ო, რა შეურაცხმყოფელი იყო ჩემთვის, როცა ვიღაცის მშრალი და უგულოდ წარმოთქმული ფრაზა საკუთარი არარაობისა და უღირსობისკენ მაბრუნებდა; ან ბედნიერების რა დამამცირებელი განცდა მიპყრობდა, როცა მეორე ჩემთვის ერთ-ორ, ვითომდა კეთილ სიტყვას გაიმეტებდა, რომელსაც მე გულის სიღრმეში მიჩქმალულ სამალავში ვინახავდი, როგორც ფასდაუდებელ საგანძურს... და როგორ მივქროდი სახლში, რომ ეს ამბავი იმ

საღამოსვე ჩემი მშობლებისთვის მეხარებინა. - დღეს მე ისეთი სასიამოვნო ლაპარაკი მქონდა ბატონ ენ-თან...
("თითქოს ამ ლაპარაკს რაიმე მნიშვნელობა ჰქონდეს", - სრულიად მართებულად ფიქრობდა, ალბათ, მამაჩემი...)

მოგონებები ამ სირცხვილზე ძალიან დიდხანს არ მაძლევდა მოსვენებას, ფეხდაფეხ დამდევდა...

სიძულვილმა და სიყვარულის ჟინმა მთელი ჩემი არსება პირველივე წარუმატებლობიდან შთანთქა. გეგონება, ვცდილობდი, პირი მომექონა ურჩხულისთვის, კაციჭამია დევისთვის, რომელსაც სკოლაში დაედო ბინა. ყველაფერი უნდა მეღონა იმისთვის, რომ ამ ურჩხულს ჩემთვის გული არ ამოეცალა და არ გადაესანსლა, ამიტომ თანამშრომლობაზე დავყაბულდი - ჩვენი მასწავლებლის დაბადების დღის მომზადებასა და საჩუქრის შეძენაში მივიღე მონაწილეობა. მაშინ მეექვსე კლასში ვიყავი. მაგრამ სულ ტყუილად გავისარჯე. იმ დამპალმა კარნახში მაინც არ მაღირსა ნორმალური ნიშანი - "38 შეცდომა გაქვს, პენაკიონი, ცუდად არის შენი საქმე". არადა, იმდენი ვიჭყლიტე ტვინი საჩუქრის მოფიქრებაში; იმ ნაძირალას აუცილებლად უნდა მოსწონებოდა. ხელგაშვერილმა ჩამოვიარე ყველა კლასელი და ვემათხოვრე, ჩემი დანაზოგიც წავამატე. ის "ბანძობა", რომელიც მისთვის შევარჩიე, ბევრად უფრო ძვირი ღირდა, ვიდრე თანხა, მე რომ სიმწრით მოვაქუჩე.

იმხანად ბურჟუაზიულ ოჯახებში ერთი ცეცხლგამძლე სეიფი მაინც ჰქონდათ. იმისათვის, რომ ჩემი მწვალებლის საჩუქრის შეძენაში წვლილი შემეტანა, მოვახერხე, საკუთარ სახლში სეიფი გამეხსნა: პატარა, მუცლიანი, გაბიხვინებული კოლოფი, სადაც ოჯახის საიდუმლოებებს მშვიდად ეძინა. ერთი ციფრებიანი და ერთიც ასოებიანი ბორბალი უნდა გამეხსნა. ვიცოდი, სად ინახავდნენ მშობლები გასაღებს, მაგრამ საჭირო კომბინაციის მიგნებას რამდენიმე ღამე მოვანდომე; ბორბალი-გასაღები - არ გაიღო; ბორბალი-გასაღები - ისევ არა გაიღო... არ იღება, რა! რამდენიც უნდა ვეჩალიჩო, არაფერი გამომივა... მაგრამ ერთხელაც გაისმა ჩხაკუნი და სეიფიც გაიღო. გავშეშდი. სხვანაირად წარმოუდგენელი იყო - მე მშობლების საიდუმლო სამყაროს ზღურბლზე აღმოვჩნდი. როგორც გაირკვა, ეს საიდუმლო ფრიად მოკრძალებული ყოფილა: რამდენიმე ობლიგაცია, ჩემი ვარაუდით, რუსული სესხებისა - ალბათ, სამუდამოდ რომ ეძინათ აქ აღდგომის მოლოდინში; პისტოლეტი - ბიძიას ნაქონი საგაბელო იარაღი სავსე მჭიდით და რატომღაც მოქლიბული სასხლეტით; იყო ფულიც, ძალიან ცოტა, სულ რამდენიმე ბანკნოტი; იქედან მოვტეხე ჩემთვის ასე აუცილებელი თანხა.

მოიპარო იმისთვის, რომ მოზრდილების კეთილგანწყობა და სიყვარული "იყიდო"... ამას მთლად ქურდობასაც ვერ დაარქმევდა კაცი. მაგრამ, საუბედუროდ, ვერანაირი კეთილგანწყობა ვერ ვიყიდე. ჩემს საიდუმლოსაც იმავე წელს აეხადა ფარდა, როდესაც დედაჩემს დაბადების დღეზე საჩუქრად იაპონური ყვავილები მივართვი, მოდაში რომ იყო იმხანად და საშინლად ძვირი რომ ღირდა.

ამ ამბავს რამდენიმე შედეგი მოჰყვა: დედაჩემმა ცხარე ცრემლებით იტირა (ეს ძალიან იშვიათად ხდებოდა), დარწმუნებულმა იმაში, რომ ამქვეყნად სეიფების პირწავარდნილი გამტეხი მოავლინა (საქმე, რომელშიც მისმა ნაბოლარამ ენით აუწერელი შნო და ფხიანობა გამოავლინა); მე სასწრაფოდ ინტერნატში მიკრეს თავი და ამის შემდეგ ვეღარაფრის მოპარვა ვეღარ შევძელი, მაშინაც კი, როცა ქურდბაცაცობა ერთობ მოდური გახდა ჩემი თაობის ახალგაზრდებში.

11

ვინც დღეს ასე თავდაჯერებულად ამტკიცებს, ბანდების გაჩენა მეგაპოლისების გარეუბნებთანაა პირდაპირ კავშირშიო, მინდა, ხმამაღლა ვუთხრა: თქვენ მართალი ბრძანდებით. დიახ, უმუშევრობა; დიახ, საზოგადოებისგან გარიყულების, ანუ ასოციალური ელემენტების კონცენტრირება; კი ბატონო, ეთნიკური დაჯგუფებების წარმოქმნა; რა თქმა უნდა, ცნობილი ბრენდების ტირანია; დიახ, ერთმშობლიანთა ოჯახების (განვმარტავ: მარტოხელა დედებისა და მარტოხელა მამების) სიმრავლე; ჩრდილოვანი ეკონომიკა; დიახ, რა თქმა უნდა, ათასი ჯურის უკანონო ბიზნესი, აბა, ამის გარეშე როგორ? მაგრამ არ შეიძლება, წავუყრუოთ იმ უმნიშვნელოვანეს ფაქტორს, რომელზეც თავად შეგვიძლია ზეგავლენის მოხდენა, და რომლის ფესვებიც პედაგოგიური საქმიანობის მრავალსაუკუნოვან ბნელეთში უნდა ვეძიოთ: ეს არის სირცხვილის განცდა იმ მოსწავლისა, რომელმაც ვერაფერი გაიგო და დაიბნა, და მისი მარტოობა იმ სამყაროში, სადაც ყველას ყველაფერი ესმის.

მხოლოდ ჩვენ, პედაგოგებს შეგვიძლია ამ საპყრობილიდან მისი გამოხსნა, და არა აქვს მნიშვნელობა, ვართ თუ არა ამ მისიისთვის სათანადოდ მომზადებულები.

მასწავლებლებს, რომლებმაც მიხსნეს და ჩემგან მასწავლებელი გამოიყვანეს, სპეციალური კურსები ან საგანგებო გადამზადება არ გაუვლიათ. ისინი სულაც არ დაინტერესებულან ჩემი სასკოლო სნეულებების პრეისტორიით; მათ წამიც არ დაუკარგავთ მიზეზების ძიებაზე; საერთოდ არ შეუწუხებიათ თავი ჩემთვის ნოტაციების კითხვაზე, ჭკუის სწავლებასა და დარიგებებზე. ამ გამოცდილ ადამიანებს უკვე ჰქონდათ შეხება დაღუპვის გზაზე დამდგარ ჩემნაირ წყალწაღებულ მოზარდებთან. და მათ თავიანთ თავს უთხრეს: საჭიროა სასწრაფო რეაგირება, მოქმედება. ისკუპეს და ჩემ ამოსაყვანად ფსკერზე ჩაყვინთეს... ვერ ამომათრიეს... მაინც არ დამანებეს თავი, კიდევ სცადეს - ისევ უშედეგოდ... იხტიბარი მაინც არ გაიტეხეს... კიდევ და კიდევ... და ბოლოს, იმდენი ქნეს, რომ ნაპირზე გამომიყვანეს... ჩემთან ერთად - ბევრი სხვაც. შეიძლება ითქვას, ანკესზე წამომაგეს. მოკლედ, სიცოცხლეს, აი, იმ მეთევზეებს უნდა ვუმადლოდე.

12

ძველი ქაღალდების გროვაში ქექვისას - სკოლის დღიურებისა და დიპლომებისთვის მინდოდა მიმეგნო - სრულიად შემთხვევით ერთი წერილი მომხვდა თვალში. ავიღე და რას ვხედავ... დედაჩემს ჩემი უსტარი რუდუნებით შეენახა. ის 1959 წლის თებერვლით იყო დათარიღებული. ამ დროს უკვე 14 წლის ვიყავი და მეოთხე კლასში დავდიოდი. წერილი ჩემი პირველი ინტერნატიდან გამიგზავნია.

"ძვირფასო დედა

მეც ვნახე ჩემი ნიშნები და კინაღამ გულიამერია. მე მეტი არშემილია. ორი საათი დავჯექი ამ ალგებრის დავალებაზე და მეგონარომ ძაან კარქათ დავწერე და კარქ ნიშანსაც ველოდებოდი მაგრამ შევცთი ძაან ცუდათ დაგიწერიაო მასწავლებელმა. ყველა ფერს თავი გავანებე გამოცდებისათვისრომ მაგრათ მოვმზადებულყავი. იმიტომაც მივიღე ოთხიანი ქცევაში, უფროსწორედ მათემატიკის გაკვეთილზე გეოლოგიას რო ვსწავლობდი იმიტო. (და ასე შემდეგ).

მე აღარ გავაგრძელეფ სწავლას, ამისთვის აუცილებელი ჭკუა და ნებისყოფა არ მაქ. სწავლის ინტერესი დამეკარქა. ამ ქახალდების ქექაში ლამის თავი გამისკდა. ინგლისურის არა ფერი გამეგება, არც ალგებრის, ონთოგრაფიაში სრული ნული გამოვიდა და რაღა დარჩა? რა ვაკეთო ახლა?"

მარი-ტე, პარიკმახერი ჩვენი სოფლიდან ლა-კოლ-სიუ-ლუდან, ჩემი ადრეული ბავშვობის დროინდელი მეგობარი, ამასწინათ გამომიტყდა, რომ თმის საშრობში თავშეყოფილმა დედაჩემმა ჩემი ბუნდოვანი მომავლით გამოწვეული შფოთვა თურმე მას გაანდო. ერთადერთი იმედი ჩემი უფროსი ვაჟიშვილები არიანო, უთქვამს. პირობა ჩამოვართვი, რომ ჩემი და ჩემი ქმრის სიკვდილის შემდეგ ნაბოლარაზე ზრუნვას ისინი იტვირთავენო.

იმავე წერილში შემდეგს ვწერდი: "თქვენ ხო გყავთ სამი კარქი და მუშაობის მოყვარე ვაჟიშვილი, და ერთი ოროსანი, უსაქმური." ამას მოვაყოლე პირადად ჩემი და ჩემი ძმების მიღწევების შედარებითი ანალიზი და გულისგამგმირავი მუდარა, შეეწყვიტათ ჩემი წამება. ვიხვეწებოდი, სკოლიდან გამიყვანეთ და საფრანგეთის კოლონიაში, სამხედროების ოჯახში, გამაგზავნეთ-მეთქი, "სადღაც მისავლეთში" რომელიც ერთადერთი ადგილი იქნება, სადაც "ბედნიერათ" (ამ სიტყვას ორჯერ გავუსვი ხაზი) ვიგრძნობ თავს. სინამდვილეში ეს იქნებოდა ნებაყოფლობითი კატორღა სამყაროს დასალიერში.
ათი წლის შემდეგ, 1969 წლის 30 სექტემბერს, კოლეჯში, სადაც მუშაობა თითქმის ერთი თვის დაწყებული მქონდა, ჩემს სახელზე მამაჩემის მიერ დაწერილი წერილი მოვიდა. ეს იყო ჩემი პირველი პოსტი, პირველი სამუშაო ადგილი და უკვე ფეხზე დამდგარი ვაჟიშვილისადმი მიწერილი პირველი წერილი. მამაჩემი საავადმყოფოდან ის-ის იყო გამოეწერათ და დაწვრილებით მიყვებოდა გამოჯანმრთელების პერიოდისთვის თანმხლებ სიამოვნებებზე, ძაღლთან ერთად მშვიდ და აუჩქარებელ გასეირნებებზე. სახლის ამბებიც არ დავიწყებოდა. იქიდან შევიტყვე ჩემი დეიდაშვილის შესაძლო ქორწილის შესახებაც სტოკჰოლმში. მიმანიშნებდა მომავალ რომანზეც, რომელზეც ჩვენ ოდესღაც ერთად ხანგრძლივად გვიბაასია (და რომლის დაწერას, ჩემდა სამარცხვინოდ, მე დღემდე ვერა და ვერ მოვაბი თავი); მეკითხებოდა, სუფრას როცა უსხედხართ და ქეიფობთ შენ და შენი კოლეგები, რა თემებს მიმოიხილავთო. მამცნო, რომ ანჯელო რინალდის "საგუბერნატორო ლოჟა" გამოვიწერე და წესით, ფოსტით დღე-დღეზე უნდა მომივიდესო (ის უკანასკნელი სიტყვებით ლანძღავდა ფოსტის თანამშრომლებს, უდროო დროს გაფიცვა რომ გამოეცხადებინათ). მიყვებოდა სელინჯერის წიგნზე "კლდის პირზე, ჭვავის ყანაში" და ხოსე კაბანისის აფორიზმებს ქება-დიდებას ასხამდა. ერთგან მომიბოდიშა, დედაჩემზე სიტყვასაც რომ არ მწერდა (ჩემ მოვლაში ჩემზე მეტად დაიღალაო - დაუდგა ადვოკატად). ჰო, ისიც გაიხსენა, რომ ჩვენი მცირელიტრაჟიანი მანქანის სათადარიგო საბურავი ფანშონისთვის (დაქალია ჩემი) უთხოვებია. ბერნარი ბედნიერი იყო, მისთვის საბურავის გამოცვლის შანსი რომ მიეცაო, - წერდა, და ბოლოს, მხურვალედ მკოცნიდა და მარწმუნებდა, ჩემი დარდი ნუ გექნება, მშვენიერ ფორმაში ვარო.

და როგორც სკოლის წლებში, როცა არასდროს მიხატავდა ჩემს უბადრუკ მომავალს, ახლაც მამაჩემმა ტრადიციას არ უღალატა და სიტყვა არ დასცდენია ოროსნის სამარცხვინო წარსულზე. თემების უმრავლესობის გარჩევისას მისი ტონი ჩვეულებისამებრ ზომიერი, მორიდებული ირონიით იყო აღსავსე. ეტყობოდა, რომ ჩემი ამჟამინდელი სოციალური მდგომარეობა, მასწავლებლის პოსტი და ასე შემდეგ, მასში სულაც არ იწვევდა დიდ გაკვირვებას. არც მოულოცავს და არც თავი უქია, ეს რა ვაჟიშვილი მომესწროო; არც შიში გამოუხატავს ჩემი მოსწავლეების ბედ-იღბალზე.

მოკლედ, მამაჩემი დარჩა მამაჩემად. ისეთი იყო, როგორიც ყოველთვის მახსოვდა - ბრძენი და ირონიული; დარჩა მამად, რომელიც მუდამ მზადაა, შვილთან ილაყბოს მიმდინარე ცხოვრებაზე, თუნდაც დისტანციიდან.

კონვერტი, რომელშიც ის წერილი იყო ჩადებული, ახლაც ცხვირწინ მიდევს ... და მხოლოდ დღეს შემძრა ერთმა დეტალმა.

კონვერტზე მისამართის წერისას ის არ დაკმაყოფილებულა მხოლოდ ქალაქის, ქუჩის, კოლეჯის, ჩემი გვარის მითითებით... მას თავისი ინიციატივით ჩაუმატებია ერთი სიტყვა: "მასწავლებელი".

დანიელ პენაკიონის -

კოლეჯის მასწავლებელს.

დიახ, "მასწავლებელს", თან როგორი სიმკვეთრით გამოუყვანია ასოები!

მთელი ცხოვრება დამჭირდა იმისთვის, რომ მამაჩემის სიხარულისა და ბედნიერების ამოძახილი და შვების გამომხატველი ამოხვნეშა გამეგო.

II ჩამოყალიბება

თორმეტი წლის გავხდი და

ცხოვრებაში ჯერჯერობით

ღირებული არაფერი შემიქმნია.

1

ახლა, როცა ამ სტრიქონებს ვწერ, ჩვენ შევდივართ განგაშისა და დახმარების თხოვნის სეზონში. საერთოდ, მარტის თვიდან მოყოლებული, სახლში სატელეფონო ზარების რაოდენობა საგრძნობლად მატულობს. შეიძლება ითქვას, რომ ტელეფონი მეტისმეტად შემაწუხებელი ხდება. რეკავენ შეშლილი და სასოწარკვეთილი მეგობრები, გამწარებით რომ ეძებენ ახალ სკოლას თავიანთი გზააბნეული

ბავშვებისთვის, რეკავენ ჭკუიდან გადამდგარი ნათესავებიც, იმედგაცრუებულები, ვინ იცის, მერამდენე სასწავლო დაწესებულებას რომ მიადგნენ სანუკვარი შვილების მერამდენედ გარიცხვის შემდეგ; გვაწუხებენ მეზობლებიც და კლასში დატოვების არაეფექტურობაზე თავიანთ კომპეტენტურ აზრებს გვიზიარებენ. ერთი ზარის გამოშვებას არ იზარებენ ოჯახისთვის სრულიად უცნობი ადამიანებიც. თუმცა ვეჭვობ, რომ ისინი პირადად მე კარგად მიცნობდნენ. რეკავენ და თან თავს იმართლებენ, თქვენი ტელეფონის ნომერი ამან და ამან მოგვცაო.

ზარები ძირითადად საღამო ხანს იწყება, უფრო ზუსტად, ვახშმის მიწურულს, როცა სასოწარკვეთილების ჟამი დგება; უფრო ხშირად ისინი არიან დედები, მამები - იშვიათად. მამები მოგვიანებით გამოჩნდებიან ხოლმე სარბიელზე. პირველი სატელეფონო ზარის ინიციატორი ყოველთვის დედაა; და, რა თქმა უნდა, საქმე ეხება ვაჟიშვილს. გოგონები, როგორც წესი, უფრო დამჯერნი არიან.

მოკლედ, დედა! დედა, რომელიც ზის თავისთვის, სრულიად მარტო სახლში; უკვე სახელდახელოდ უვახშმია, სასწრაფოდ ჭურჭელი ნიჟარაში ჩაუყრია, მაგრამ გარეცხვის ხალისი არა აქვს. ცხვირწინ ვაჟიშვილის გადაშლილი დღიური უდევს და დაზაფრული ათვალიერებს; მისი ბედოვლათი პატრონი კი თავის ოთახში ჩარაზულა და ვიდეო თამაშით იქცევს თავს. ეს - უკეთეს შემთხვევაში, უარესში კი, მიუხედავად დედის არაერთგზის მოკრძალებული აკრძალვისა, ქუჩაშია გავარდნილი და ძმაკაცებთან ერთად დაყიალობს...

ახლა დედა მარტოა. მარჯვენა ხელი ტელეფონის ყურმილზე დაუდვია... ორჭოფობს, დარეკვა ვერ გადაუწყვეტია... მერამდენედ უნდა მოჰყვეს თავისი ვიგინდარა შვილის "საქმენი საგმირონი"? ღმერთო, როგორი გამაბეზრებელია... სულ ერთი და იგივე, ერთი და იგივე! მომავალი ნათელი და უღრუბლო ნამდვილად არ ესახება; ცხადია, ისევ მოუწევს ძებნა, ათასი სკოლის გადარჩევა და საბოლოოდ, აუცილებლად მიაგნებს ისეთს, რომელიც თანახმა იქნება, მისი შვილი დროებით მაინც შეიკედლოს... მაგრამ, ამასაც ხომ უნდა დრო და ნერვები?! სამსახურში დირექტორს უნდა ჩაუვარდეს ფეხებში და როგორმე ერთი დღით გათავისუფლებაზე დაითანხმოს. შემდეგ... შემდეგ ცოტა დამშვიდდეს და გზას გაუდგეს... უფროსობასთან ქუჩიდან პირდაპირ ვერ მოხვდები. მდივნები, მგონი, მხოლოდ იმისთვის არსებობენ, რომ ერთიმეორის მიყოლებით გადაულახავი ბარიერები წამოგიჭიმონ... კარგი, ამას ეშველა როგორღაც, მაგრამ ამით ყველაფერი როდი მთავრდება... დოსიე (არა ერთი!) უნდა შეავსო და პასუხს მოთმინებით დაელოდო... მერე - გასაუბრებები შვილის თანხლებით, მის გარეშე... ტესტი! ტესტი მავიწყდებოდა. ცხადია, ამას გვერდს ვერ აუვლი... დაწერე, ხომ? ახლა შედეგებს დაელოდე... საბუთები... ორჭოფობა... ნერვიულობა... რომელი სკოლაა მაინც უკეთესი? ეს თუ ის? ამა თუ იმ სკოლის უპირატესობის გარკვევა - ეს პირველი და უკანასკნელი კითხვაა, როგორც იქ, მაღლა, მწვერვალებზე, ასევე, დაბლა, უფსკრულში. საუკეთესო სკოლა საუკეთესო მოსწავლეებისათვის და საუკეთესო სკოლა წყალწაღებულებისთვის, ესაა და ეს.

ამდენი ფიქრისა და ტვინის ჭყლეტის შემდეგ დედა მაინც გადაწყვეტს, დარეკოს. მოიბოდიშებს შეწუხებისთვის - ვინ იცის, ჩემსავით რამდენი გირეკავთ, მაგრამ მართლა არ ვიცი, რა მოვუხერხო ამ ჩემს უვარგის შვილს და თქვენ იქით გზა არ მაქვსო...

მასწავლებლებო, ჩემო ძმებო და დებო, გემუდარებით, თქვენს კოლეგებზეც იფიქრეთ, როცა სამასწავლებლოში გამეფებულ სიჩუმეში დღიურში წერთ: "მესამე ტრიმესტრი იქნება გადამწყვეტიო". ჩემთან კი ტელეფონი რეკავს და რეკავს, არ ჩერდება:

- გაიგე, გადამწყვეტი მესამე ტრიმესტრიაო.
მიდი და დაუჯერე ახლა მაგათ! თავიდანვე აქვთ ყველაფერი გადაწყვეტილი.

- მესამე ტრიმესტრი, მესამე ტრიმესტრი. ეს ჩემს უქნარას სულაც არ ადარდებს. რამდენიც გინდა, დაემუქრე. ერთი მკითხე, ჰქონია კი ოდესმე მაინც ერთი ნორმალური ტრიმესტრი?

- მესამე ტრიმესტრი... როგორ გინდა, ამ ისედაც ჩამორჩენილმა ბავშვმა ამხელა მასალა ასეთ მოკლე დროში დასძლიოს? ეს მაგათი მესამე ტრიმესტრი, ზედ მიყოლებული არდადეგებით, მე თუ მკითხავ, არის წმინდა წყლის დაბოლება; მამალი ტყუილი!

- ერთი არ გადაიყვანონ და ჩატოვონ იმავე კლასში, მეტი არაფერი მინდა, მე ვიცი, სადაც წავალ და ვისაც მივმართავ...

- ყოველ შემთხვევაში, თადარიგი აქედანვე უნდა დავიჭიროთ. რა იცი, რა ხდება. სკოლა მაინც უნდა მოვიძიოთ. რაც უფრო ადრე გავაკეთებთ ამას, მით უკეთესი იქნება ჩვენთვის...

და ასე გრძელდება ივნისის მიწურულამდე, როცა აღმოჩნდება, რომ მესამე ტრიმესტრი სინამდვილეში მართლაც გადამწყვეტი ყოფილა. როცა შენს შვილს იმავე კლასში დატოვებენ, მაშინ ახალი სკოლის ძებნა უკვე დაგვიანებული იქნება; იმიტომ, რომ ამის მოგვარებაზე სხვებმა შენზე ბევრად უფრო ადრე იზრუნეს. ესეც შენ! მაგრამ რა გინდა რომ ქნა?! ჩვენც ბოლო წუთამდე გვჯეროდა. ვიფიქრეთ, იქნება და ჩვენმა ბედოვლათმა ახლა მაინც ივარგოს და როგორმე მომდევნო კლასში მოახერხოს გადასვლაო. თან ისე კარგად დაიწყო ტრიმესტრი! ძალისხმევა ნამდვილად არ დაუკლია, თითქოს არც აცდენდა, მაგრამ რად გინდა...

2

არსებობს თავგზააბნეული დედა, ქანცგაწყვეტილი და სასოწარკვეთილი თავისი გზასაცდენილი შვილის საქციელის გამო, ფიქრებში გამუდმებით რომ უბრუნდება ოჯახურ პრობლემებს: "ჩვენი განქორწინება რომ არა..." "მამის გარდაცვალების შემდეგ ბავშვი ჯერ კიდევ..." არსებობს დამცირებული და შეურაცხყოფილი დედა იმ დაქალების გაუთავებელი რჩევებითა და ჭკუის დარიგებებით, რომელთა ბავშვებსაც ყველაფერი წესრიგში აქვთ. სხვები ამ თემაზე საუბარს აშკარად გაურბიან და დუმილს ამჯობინებენ, თუმცა ეს მათი დუმილი დამცირებაზე უარესია... არსებობს დედა - გაცოფებული, ლამის დასაბმელი, დარწმუნებული იმაში, რომ მისი ბიჭუნა უკვე დიდი ხანია პედაგოგთა შეთქმულების უდანაშაულო მსხვერპლია. რა მნიშვნელობა აქვს საგანს, დევნა დიდი ხანია დაიწყო... მაშინ ბავშვი ჯერ კიდევ საბავშვო ბაღში დადიოდა... ჰოდა, იქ იყო ერთი ისეთი

აღმზრდელი... არც დაწყებით კლასებში გაუმართლა ამ უბედურს, ზუსტად იგივე განმეორდა. ამჯერად ფრანგულის მასწავლებელი კაცი აღმოჩნდა (დამიჯერეთ, კაცი მასწავლებლები, ქალ მასწავლებლებზე უარესები არიან. არავის ვუსურვებ!). მეოთხე კლასში იმ ვაჟბატონმა... არიან დედები, რომლებიც კონკრეტულად არავის ადანაშაულებენ. მათ იერიში პირდაპირ საზოგადოებაზე მიაქვთ, საზოგადოებაზე, რომელიც კიდევ ცოტაც და უფსკრულში გადაიჩეხება. იერიში მიაქვთ განათლების ძირგამომპალ სისტემაზე, პრინციპში, რეალურად არსებულზე, მათ ოცნებებს ვერანაირად რომ ვერ პასუხობს... შეიძლება, ღვარძლით სავსე, საკუთარ შვილზე გაცეცხლებულ დედასაც გადაეყაროთ: "ამ მაიმუნს ყველაფერი აქვს, ჩიტის რძეც კი არ აკლია, მაგრამ რად გინდა, თვითონ თითის განძრევაც კი ეზარება". "რა არ მოვიმოქმედეთ, ყველაფერი ვიღონეთ, მაგრამ თვითონ... არა! ერთხელაც კი არა, გესმით ჩემი?.." არის დედა, რომელიც არც ერთ მასწავლებელს წლის განმავლობაში სათოფეზეც არ გაეკარება და დედა, რომელიც წლის მანძილზე ყველას ერთად ამოსუნთქვის საშუალებას არ აძლევს, პირდაპირ ალყაში აქცევს...

არიან დედები, რომლებიც გირეკავენ და გემუდარებიან, შვილზე ლაპარაკის სურვილიც არ გვაქვს, მომავალი წლის ზუსტად ამ დღემდე, ამ საათამდე და ამ წუთამდე როგორმე მოგვაშორეო. დიახ, დიახ, ამბობენ: მომავალი წლის ამ დრომდე მილიონი წყალი ჩაივლის, ვნახოთ, მანამდე რა მოხდება. თუ საშველი არ დაადგა, ბოლოს და ბოლოს, სხვა სკოლაში გადავიყვანთო. არიან დედები, რომლებსაც მამის რეაქცია შიშის ზარს სცემთ: მორჩა, ამჯერად ჩემი ქმარი ამას ნამდვილად ვერ გადაიტანსო! ამ ტიპის დედები მამებს ბავშვის დღიურებს საგულდაგულოდ უმალავენ... არიან დედები, რომლებიც ვერ უგებენ საკუთარ ვაჟიშვილს, რომელიც მეორისგან სრულიად განსხვავდება, მაგრამ ცდილობენ თავისი ყურადღება და სიყვარული ორივეს თანაბრად გაუნაწილონ, იყვნენ სანიმუშო დედები ორივე ვაჟიშვილის თვალში. თუმცა არიან დედები, რომლებიც მაინცდამაინც ოროსანს ირჩევენ ("მე ხომ მას იმდენ ძალასა და ენერგიას ვახარჯავ, მთელ სულსა და გულს ვაქსოვ მის აღზრდაში"), ცხადია, დანარჩენი დებისა და ძმების საზარალოდ, და რომლებმაც ყველა არსებული თუ არარსებული დამხმარე რესურსი გამოიყენეს (სულ ტყუილად!) - სპორტი, ფსიქოლოგი, ლოგოპედი (ორთოფონია), ვიტამინებით მკურნალობის კურსი, რელაქსაცია, ჰომეოპათია, ოჯახის თუ კერძო ექიმი... ზოგი თავით ფეხებამდე ფსიქოლოგიაში გადაეშვება ხოლმე. ასეთი ცდილობს, ყველაფერს ახსნა-განმარტება მოუძებნოს და გაოგნებულია იმით, რომ არავის ძალუძს მდგომარეობის შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება; მთელ დედამიწის ზურგზე მხოლოდ ის ერთადერთი უგებს თავის ვაჟიშვილს და ქალიშვილს, ვაჟიშვილისა და ქალიშვილის მეგობრებს; და მარადი ახალგაზრდის პოზიციიდან ("უნდა შეგეძლოს მუდამ ახალგაზრდული შემართების შენარჩუნება. განა ასე არ არის? ”) საჯაროდ გამოთქვამს გაკვირვებას, რომ მის გარშემო სამყარო ასე დაბერდა და აღარ შეუძლია გაუგოს ახალგაზრდებს. ...ზოგი დედა, რომელიც ჩუმად, თავისთვის ღვრის ცხარე ცრემლებს, გიხმობთ საშველად, ათას ბოდიშს მოგიხდით ამ ცრემლებისთვის... ეს არის, დარდის, სიმწრის, განგაშისა და სირცხვილის ერთგვარი ნარევი. სიმართლე გითხრათ, სირცხვილის განცდა მეტნაკლებად ნებისმიერი ტიპის დედას ეუფლება, ნებისმიერი დარდობს შვილის მომავალზე: ღმერთო, რა დადგება მისგან? უმრავლესობისთვის ეს მომავალი, გარკვეულად, მომავლის ეკრანზე პროექცირებული აწმყოა. მომავალი თითქოს ის კედელია, რომელზეც უზომოდ გაზრდილი უიმედო აწმყოს სცენები უნდა აღიბეჭდოს. აი, ისიც - ყველა დედის უზომოდ დიდი შიში!

ამ დედებმა არც კი იციან, რომ თავისი თაობის ყველაზე ახალგაზრდა ქურდბაცაცას (სეიფების გამტეხს) მიმართავენ და მათი წარმოდგენები შვილების მომავალზე საფუძვლიანი რომ ყოფილიყო, მე ახლა აქ, ტელეფონთან კი არ ვიქნებოდი დარჭობილი და სმენად ქცეული, არამედ ციხეში გამომწყვდეული და ტილებსა და ბაღლინჯოებს დავითვლიდი, როგორც ამას ხედავდა დედაჩემი ჩემი მომავლის ეკრანზე, როცა შეიტყო, რომ მისმა თერთმეტი წლის ვაჟიშვილმა ოჯახის დანაზოგებში იწყო ხელის ფათური.

ვცდილობ, სასოწარკვეთილი დედები ანეკდოტით ცოტა მაინც გავახალისო.

- იცნობთ თუ არა ღმერთის გამხიარულების ერთადერთ საშუალებას?

ყურმილის მეორე ბოლოში სრული დაბნეულობაა.
- მოუყევით მას თქვენი გეგმების შესახებ.

მოკლედ, მოგიწოდებთ, დამშვიდდეთ და დაიწყნაროთ ნერვები; ნუ გაიგიჟებთ თავს, რადგან წინასწარ დანამდვილებით რამის განჭვრეტა შეუძლებელია. ეს ერთადერთი ჭეშმარიტებაა, რომელსაც წარსულად გადაქცევისას მომავალი გვასწავლის.

ცხადია, ეს არ არის საკმარისი, უბრალოდ, იმ ჭრილობაზე გადაკრული ლეიკოპლასტირია, რომელიც ასე ადვილად ვერ შეხორცდება. სამწუხაროდ, მე ჯერჯერობით ტელეფონით მკურნალობის სხვა უფრო ეფექტური საშუალება არ გამაჩნია.

4

სამართლიანობა მოითხოვს, აღვნიშნო, რომ ტელეფონით ბეჯითი და სანიმუშო მოსწავლეების შესახებაც მესაუბრებიან. აი, მაგალითად, თადარიგიანი დედა უკეთეს მოსამზადებელ კლასს ეძებს, ზუსტად ისე, როგორც ოდესღაც, როცა ბავშვის დაბადებისთანავე ვაჟიშვილისთვის საუკეთესო საბავშვო ბაღს ეძებდა. ჩემი კომპეტენტურობა ამ სფეროში ეჭვის ქვეშ არც კი დაუყენებია, რაც ძალიან თავაზიანი საქციელია მისი მხრიდან. მახსენდება კიდევ ერთი სრულიად სხვა სამყაროდან ჩამოსული ქალბატონი (პირველი ემიგრაცია!), რომელიც კონსიერჟად მუშაობდა სახლში, სადაც მე ვცხოვრობდი; ჩემს ქალიშვილში განსაკუთრებული უნარები აღმოვაჩინეო, - მითხრა. თუმცა არ ცდებოდა, როცა მიაჩნდა, რომ გოგონას კიდევ ბევრი უნდა ესწავლა და სრული კურსი გაევლო. მასში მომავალი პედაგოგი ვივარაუდე, რომელიც უამრავ დისციპლინას შორის თავისთვის სასურველს აირჩევდა... (დღეს ის გოგონა იურიდიულ ფაკულტეტს ამთავრებს). კიდევ იყო ერთი კაცი, ვინმე ლ. მ., ვერკორის ერთ-ერთი სოფლის მცხოვრები, რომელიც ადგილობრივი სკოლის მასწავლებელმა დაიბარა, რათა მისთვის ვაჟიშვილის საოცარი შედეგები ეხარებინა...
- ეს ქალი მეკითხება: რა გინდა, შენმა ვაჟიშვილმა მომავალში აკეთოსო.

კაცი ჭიქას სწევს და ჩემი ჯანმრთელობის სადღეგრძელოს სვამს:

- ცოტა სასაცილო ხართ მასწავლებლები თქვენი შეკითხვებით.

- და, რა პასუხი გაეცი იმ ქალბატონს?
- აბა, რა პასუხი უნდა გამეცა. მაქსიმუმს მივაწექი, - მინდა, რომ რესპუბლიკის პრეზიდენტი გახდეს-მეთქი.

ზოგჯერ საქმე გვაქვს სრულიად საწინააღმდეგო შემთხვევებთანაც... ერთი მამა მირეკავდა. დამლაგებელი იყო, რომელსაც ვაჟიშვილის სწავლების ხანგრძლივობის სასწრაფოდ შემოკლება გადაეწყვიტა. ახლავე უნდა დაიწყოს მუშაობა და ფული იშოვოსო, ამოეჩემებინა. მისი ხელფასი ოჯახს ნამდვილად არ აწყენსო. კი ბატონო, მაგრამ თვითონ ამ ბიჭის აზრით ვინმე დაინტერესდა? მას ხომ მასწავლებლობა სურდა, აღმზრდელ-პედაგოგობა, როგორც ადრე იტყოდნენ დაწყებითი კლასების მასწავლებლებზე და ვფიქრობ, რომ ეს სულაც არ იყო ახირება. მეც ვისურვებდი, რომ ამ ცოცხალმა, გონებასხარტმა ყმაწვილმა, ასე რომ შეუპყრია სწავლის სურვილს, თავისი გზა სახალხო განათლებაში გაიკაფოს. მოდი, დავსხდეთ და ყველაფერი საღი გონებით შევაფასოთ. ვიმსჯელოთ როგორც წესი და რიგია; აქ ხომ არა მარტო ჩემი მომავალი კოლეგის, არამედ მოსწავლეების ბედ-იღბალიც წყდება...

ასე, ჩემო კეთილო ადამიანებო. ხომ ხედავთ, მეც კი ვუმზერ მომავალს იმედის თვალით, მეც ვიწამე სახელმწიფო სკოლის. სწორედ ასეთმა სკოლამ მისცა განათლება მამაჩემს, აღზარდა და ფეხზე დააყენა ბოლოს და ბოლოს. და დღეს, 90 წლის შემდეგ, ეს ბიჭუნა ისე ჰგავს იმ პატარა კორსიკელს ორილიაკიდან, როგორიც იყო, ალბათ, 1913 წელს მამაჩემი, როცა მისმა უფროსმა ძმამ მუშაობა დაიწყო, რათა ცოტა ფული ეშოვა და უმცროსი ძმისთვის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში სწავლის შესაძლებლობა მიეცა...

და ამას გარდა, მე ყოველთვის ვაგულიანებდი ჩემს მეგობრებსა და გამორჩეულად ბეჯით მოსწავლეებს, მოვუწოდებდი, მასწავლებლები დამდგარიყვნენ, მივიჩნევდი, რომ სკოლა, უწინარეს ყოვლისა, კარგი მასწავლებელია; და საერთოდ, ვინ მიხსნა მე - სწორედ სამმა თუ ოთხმა ასეთმა მასწავლებელმა!

5

ერთხელ, მოსწავლის მამა კატეგორიული ტონით მეუბნება:

- ჩემს ვაჟიშვილს მოწიფულობა აკლია.

ახალგაზრდა მამაკაცი, მკაცრი სტილის პიჯაკში ჩაჭედილი, სარგადაყლაპულივით წამოიჭიმა სკამზე და ყოველგვარი შესავლის გარეშე მაჯახა, ჩემს ბიჭს მოწიფულობამდე ჯერ კიდევ გრძელი გზა აქვს

გასავლელიო. ეს იყო ფაქტის კონსტატაცია, რომელიც არც შეკითხვისთვის და არც კომენტარისთვის იოტისოდენა ადგილსაც არ ტოვებდა. მხოლოდ გადაწყვეტილებას მოითხოვდა და მორჩა! მე მაინც შევბედე და მოკრძალებით ვკითხე, თქვენი ვაჟიშვილი რამდენი წლის არის-მეთქი.

ჩემს კითხვას მოულოდნელი პასუხი მოჰყვა:

- უკვე თერთმეტის გახდა.

დღეს მაინცდამაინც ვერ ვარ ფორმაში. შეიძლება, წუხელ ცუდად მეძინა. შუბლი ხელის მტევნებში მოვიქციე და მცირეოდენი პაუზის შემდეგ შეუცდომელი რასპუტინის კატეგორიული ტონით განვაცხადე:

- მე ვხედავ გამოსავალს!

ჩემმა თანამოსაუბრემ ცალი წარბი მაღლა ასწია და სახეზე კმაყოფილება გადაეფინა:

- სასიამოვნოა პროფესიონალთან საქმის დაჭერა! აბა, განაგრძეთ, რა გამოსავალს ხედავთ?

ვთავაზობთ გამოსავალს:

- დაელოდეთ!

მამა აშკარად იმედგაცრუებულია:

- ეს რა გამოსავალია?!

საუბარს გაგრძელება არ ეწერა.

- ეს ბავშვი მთელ თავის დროს თამაშსა და გართობას ხომ არ შესწირავს!

მეორე დღეს ამ მამიკოს სრულიად შემთხვევით გადავეყარე ქუჩაში - იმავე კოსტუმში გამოკვართული, უდრეკი და მოუქნელი, იმავე დიპლომატით ხელში ... თვითგორიათი გადაადგილდებოდა.

გეფიცებით, ნამდვილი ამბავი მოგიყევით.

ბავშვები მომავლის გარეშე.
ბავშვები, რომლებისგანაც არასდროს არაფერი გამოვა.

წყალწაღებული ბავშვები.

თავიდან, დაწყებით კლასებში, მოგვიანებით კი ლიცეუმში მამაზეციერი ვერ დამარწმუნებდა, რომ საერთოდ რამე მომავალი მექნებოდა.

უმომავლო ცხოვრება!

ეს სწორედ ის ფუფუნებაა, რაშიც დარწმუნების უფლებასაც ცუდი მოსწავლე საკუთარ თავს აძლევს.

- რის იმედი შეიძლება გქონდეს ასეთი ნიშნებით?

- შენ ფიქრობ, რომ მეექვსეში გადასვლას შეძლებ? მერე - მეხუთეში, 5 (საფრანგეთში ლიცეუმში კლასები აითვლება შებრუნებული რიგითობით. იწყება მე ექ ვსე კლასით და მთავრდება გამოსაშვები კლასით, რომელიც მოსდევს პირ ვე ლს.)მეოთხეში, მესამეში, მეორეში, პირველში? მიაღწევ კი ოდესმე გამოსაშვებ კლასამდე?
- როგორ ფიქრობთ, რა შანსი გაქვთ, გამოსაშვები გამოცდა ჩააბაროთ და ბაკალავრის ტიტული მოიპოვოთ? დიდად მასიამოვნებთ, საკუთარ შესაძლებლობებს თავად თუ დაითვლით და პროცენტებსაც გამოიყვანთ. აბა, რამდენი გამოგივიდათ?

ან სკოლის დირექტორის ისტერიკული წივილ-კივილი:

- ატესტატი? თქვენ? არც იფიქროთ, პენაკიონი. თქვენ მას ვერასდროს მიიღებთ, გესმით თუ არა ჩემი: ვე-რას-დროს!

და თან ჭკუიდან გადასული ქალი სიამოვნებისგან თრთოდა და კანკალებდა.

ჰოდა, იცოდე, შე უტვინო ბებერო, რომ როგორც უნდა იყოს, მე არასდროს ვიქნები ისეთი, როგორიც შენ ხარ, არასდროს გამოვალ მასწავლებელი, ეს სულის ამოხდომამდე საწერ მაგიდას მიხრახნილი, საკუთარ ქსელში გამომწყვდეული ობობა, არასდროს! ჩვენ, მოსწავლეები, მოვდივართ და მივდივართ, თქვენ კი აქ დამჟავდებით, ჩვენ თავისუფლები ვართ, თქვენ კი გაიჭედეთ აქ სამუდამოდ და ვერაფერი გიშველით. ჩვენ, ოროსნებმა, შეიძლება, ვერაფერს მივაღწიოთ, მაგრამ დავიძვრებით

მაინც ადგილიდან და, ბოლოს და ბოლოს, სადღაც მივალთ. და ეს სკოლა არ გახდება, არა, გაიგე, შე დეგენერატო, ჩვენი სამუდამო საპყრობილე!

სიძულვილს სიძულვილით ვპასუხობდი და ვებღაუჭებოდი ამ უბადრუკ აზრს: ჩვენ მოვდივართ და მივდივართ, მასწავლებლები კი რჩებიან. კლასში, განსაკუთრებით უკანა რიგებში, ეს ბევრჯერ გამხდარა გასარჩევი თემა. ოროსნები ხომ ძირითადად სიტყვებით იკვებებიან.

იმხანად ჯერ არ ვიცოდი, რომ მასწავლებლებსაც ეუფლებათ "სამუდამო პატიმრობის" განცდა: ერთისა და იმავეს ღეჭვა, ერთისა და იმავეს ქადაგება კლასებში, კალეიდოსკოპური სისწრაფით რომ ენაცვლებიან ერთმანეთს; ტონობით ნაჯღაბნის სახლში თრევა და თვალების ამოღამებამდე მათი გასწორება (სიზიფეც ნამდვილად ვერ იქნებოდა ბედნიერი, ყოველდღიურად რვეულების უზარმაზარ გროვას თუ დაუდებდი ცხვირწინ გასასწორებლად. მერწმუნეთ, ბედნიერი კი არა, გული გაუსკდებოდა). საიდან უნდა მცოდნოდა მაშინ, რომ ერთფეროვნება და მონოტონურობა პირველი მიზეზია, რომლის გამოც მასწავლებლები პედაგოგიურ მოღვაწეობას თავს ანებებენ. ვერც კი წარმომედგინა, რომ ბევრი საშინლად იტანჯება იმის გაფიქრებაზე, რომ მოსწავლეები მოდიან და მიდიან, თვითონ კი იძულებულია, იდიოტივით იჯდეს და ერთი ადგილით სკამი ხეხოს.

არც ის ვიცოდი, რომ მასწავლებლებიც დარდობენ საკუთარ მომავალზე: ავდგები და დავწერ ამ წყეულ დისერტაციას, იქნება რომელიმე პრესტიჟულ უნივერსიტეტში გამოვკრა ხელი ლექტორის ადგილს. მეცნიერული საქმიანობისთვის ხომ არ მიმეძღვნა თავი? იქნებ ჯობდა, საზღვარგარეთ წავსულიყავი სამუშაოდ? იქნებ შევეშვა ამ პედაგოგობას და სხვა სექტორში გადავბარგდე? გავთავისუფლდე ამ უმადური, მუწუკიანი შურისმაძიებლებისგან, ფუჭად რომ აოხრებენ ამდენ ქაღალდს და მეც სიცოცხლეს მიმწარებენ? არ ვიცოდი, რომ მაშინ, როცა მასწავლებლები საკუთარ მომავალზე არ ფიქრობენ, აუცილებლად დარდობენ საკუთარი შვილების მომავალზე, მათ სწავლა-განათლებასა და უმაღლესის დასრულების შემდეგ ცხოვრების მოწყობაზე. არ ვიცოდი, რომ მასწავლებლების თავი ასე დამძიმებული იყო მომავალზე ფიქრით. მე მეგონა, რომ ისინი მხოლოდ ჩემი მომავლის ჩასაქოლად იყვნენ მოვლენილნი.

ადამიანი მომავლის გარეშე.
იმის გამო, რომ ამ ფრაზას დღეში ათასჯერ მაინც შემახსენებდნენ ხოლმე, ამ უმომავლო ცხოვრებაზე ჩემთვის საკმაოდ ზუსტი და მკაფიო წარმოდგენა ჩამომიყალიბდა. იმას კი არ ვფიქრობდი, რომ დრო ერთ ადგილას გაიყინებოდა და აღარ ჩაივლიდა, რომ მომავალი საერთოდ არ არსებობდა; არა, უბრალოდ, ვფიქრობდი, რომ იმ მომავალში ზუსტად ისეთივე ვიქნებოდი, როგორიც ვიყავი აწმყოში. ცხადია, მთლად ასეთიც არა, ანუ არა ისეთი, დროის დინება რომ შემწყდარიყო. თითქოს, წლების დაგროვებასთან ერთად, ჩემში არაფერი შეიცვლებოდა და ჩემი მომავალი აწმყოსგან განსხვავებული არ იქნებოდა. და, რისგან შედგებოდა ეს ჩემი აწმყო? უღირსობის განცდისგან, რომლითაც მთელი ჩემი უკანმოტოვებული წარსული იყო გაჟღენთილი. მე ვიყავი სრული უნიჭობა და არარაობა. ამაზე უკეთესი ან უარესი დიაგნოზი ჩემთვის არავის დაუსვამს. რა თქმა უნდა, დრო არ გაჩერდება, მე გავიზრდები, ცხადია, მოხდება რაღაც მოვლენები, თავისთავად ცხოვრებაც იქნება, მეც ვიცხოვრებ ამ ცხოვრებით, მაგრამ ვერანაირ ღირებულ შედეგს ვერ მივაღწევ. მე ამას კი არ ვეჭვობდი, არამედ ღრმად ვიყავი დარწმუნებული, იმიტომ რომ მე - ეს მე ვარ.

ზოგიერთი ბავშვის ამაში დარწმუნება ადვილზე ადვილია, თუ მათ გვერდით არ აღმოჩნდება ადამიანი, რომელიც მათ საწინააღმდეგოს დაუმტკიცებს. უკეთესის არარსებობის გამო მათში წარუმატებლობის სიყვარული იღვიძებს. ეს ბუნებრივია, რადგან უსიყვარულოდ ცხოვრება ყოვლად წარმოუდგენელია.

7

მომავალი, ეს უცნაური მუქარა.

ზამთრის საღამო. ნატალი კოლეჯის კიბეზე კისრისტეხით ჩამორბის და თან გულამოსკვნილი ქვითინებს. საწყალს უბედურება დაატყდა თავს და სურს, რომ ამის შესახებ ქვეყანამ შეიტყოს. ის ჯერ კიდევ სულ ბავშვია, მაგრამ მისი სხეული თითქოს უფრო მეტ ხმაურს გამოსცემს, ვიდრე შეიძლება, ბავშვის სხეული იწონიდეს. ექვსის ნახევარია. სკოლა ცარიელია. ყველა სახლში გაკრეფილა. ერთადერთი მასწავლებელი, აქაურობას რომ შემორჩა, მე ვარ. ნაბიჯების ტამტამი საფეხურებზე, შეუკავებელი მოთქმა... ოჰ, ეს ისევ სკოლით შობილი ტანჯვა-წამება - ვფიქრობ მე, - თუმცა არც მთლად მასეა საქმე. ამ ტანჯვის მიზეზი ცოტა გაზვიადებული ხომ არ არის? კიბის ქვემოთ ნატალი გამოჩნდა. საბრალო ნატალი, ეს რა სევდა მოგწოლია, რა ხდება შენს თავს? ვიცნობ ამ გოგონას, შარშან, მეექვსე კლასში მე ვასწავლიდი. თავის თავში დარწმუნებული მოსწავლე მაინცდამაინც ვერ არის, ხშირად მიწევდა მისი გამხნევება. აბა, ნატალი, ვერ მეტყვი, რა მოხდა? არ მეუბნება. თავიდან წინააღმდეგობა ხომ უნდა გამიწიოს, პრინციპის ამბავია! არაფერი, მასწ., არაფერი! თუ ასეა, ღირს კი არაფრის გამო ამხელა ხმაურის ატეხვა, ჩემო კარგო? ისევ ცრემლების გაორმაგებული ნიაღვარი. ბოლოს სლოკინ-სლოკინით ნატალი ჰყვება თავზე დამტყდარი უბედურების შესახებ:

- მაასწ, არ... არ... გამომდის. არ მესმის, ვერ ვიგებ...

- და, რა არ გამოგდის, მითხარი, რას ვერ იგებ?

- რთუ... რთუ...

ამ დროს საცობმა ამოხეთქა და გოგონაც ერთი ამოსუნთქვით აფრქვევს სიტყვების ჯერს:

- რთული ქვეწყობილი წინადადება მაქვემდებარებელი დათმობითი კავშირით.
ჩუმად, დაწყნარდი. ღმერთო, მთავარია, არ გამეცინოს!

- რთული ქვეწყობილი წინადადება დათმობითი კავშირით. ამან ჩაგაგდო ასეთ მდგომარეობაში?

შვება. სწრაფად და სრული სერიოზულობით ვიწყებ ბავშვის მიერ ამოფრქვეულ სიტყვებზე ფიქრს. როგორ უნდა აუხსნას კაცმა ამ გოგონას, რომ მისი გასაჭირი ნამდვილად არ ღირს ცრემლების ღვრად, რომ ის სრულიად გაუცნობიერებლად უკვე ფლობს ამ დაწყევლილი ქვეწყობილის გამოყენების ტექნიკას (სხვათა შორის, ჩემი საყვარელი ქვეწყობილია, თუ საერთოდ შეიძლება

ადამიანმა ერთი ქვეწყობილი მეორეზე უფრო შეიყვაროს). ეს ხომ ის ქვეწყობილია, კამათში მონაწილეობის საშუალებას რომ გვაძლევს - დახვეწილი გონების პირველი პირობა. ჩემო პატარავ, შენ ერთი რამ დაგრჩენია გასაკეთებელი, ჩამოთვალო კავშირები, ქვეწყობილებს რომ აერთიანებს: "მიუხედავად იმისა, რომ", "თუმცა", "თუნდაც"... კარგი, საკმარისია საილუსტრაციოდ, გრძნობ, როგორ მიჰყავხარ მსგავს სიტყვებს ჭეშმარიტებისკენ? იქ, სადაც ცხვრებიც გადარჩებიან და მგლებიც მაძღრები დაგვრჩებიან? ეს ქვეწყობილები შენ წინდახედულ, ფიქრიან გოგონად გაქცევს, რომელიც მზადაა, მოუსმინოს თანამოსაუბრეს და არ წამოროშოს რამე გაუაზრებლად, რაც პირზე მოადგება. შენგან ფილოსოფოსიც დადგება - არგუმენტებით აღჭურვილი ბრძენი ქალი. აი, რას გამოქნის შენგან რთული ქვეწყობილი წინადადება მაქვემდებარებელი დათმობითი კავშირით.

მაგრად მოვიქოქე, ჩემში მასწავლებელი აენთო. მაგრამ შეიძლება, გრამატიკის გაკვეთილით გოგონას შვება მოჰგვარო? იქნებ შეიძლება?! მცდელობას რა უდგას წინ? მოდი ერთი, ვნახოთ... ნატალი, ერთი ხუთი წუთი ნამდვილად გექნება ჩემთვის, მოდი, აგიხსნა. აგერ ცარიელი საკლასო ოთახი, დაჯექი და კარგად დამიგდე ყური; ძალიან მარტივი რამაა... გოგონა ჯდება, გულისყურით მისმენს. როგორც ჩანს, მართლა ეადვილა. მიხვდი, ხომ? ესე იგი, კარგად გაიგე? აბა, ერთი მაგალითიც მითხარი, რათა საბოლოოდ დავრწმუნდე, რომ ყველაფერი ნამდვილად გაიგე. ზუსტი მაგალითი მოაქვს. გაიგო! ძალიან კარგი, ბატონო! ახლა ხომ უკეთესად გრძნობ თავს? არა? არა, გოგონა სულაც არ გრძნობს თავს უკეთ - ცრემლების ახალი ნიაღვარი. სლუკუნებს, ზლუქუნებს, თვალებიდან ცრემლები კი არა ბურთები სცვივა. ბოლოს ისეთი ფრაზა წარმოთქვა, რომელიც დღემდე მახსოვს:
- თქვენ ამას ვერ გაიგებთ, მასწ., უკვე თორმეტი წლის გავხდი და ცხოვრებაში არაფერი გამიკეთებია.

- ...

შინ დაბრუნებული ისევ ვიხსენებ ამ ფრაზას. რის თქმა სურდა ნეტავ გოგონას ამით? "არაფერი გამიკეთებიაო". ყოველ შემთხვევაში, უცოდველ ნატალის არც ცუდი გაუკეთებია რამე.

პასუხისთვის ლოდინი მეორე დღის საღამომდე მიწევს. გულხელდაკრეფილი ნამდვილად არ ვმჯდარვარ. მივდექი, მოვდექი, გავიკითხ-გამოვიკითხე და შემდეგი ინფორმაცია მოვაგროვე: თურმე ნატალის მამა ერთ-ერთი საჯარო დაწესებულებიდან (აღარ მახსოვს, რომლიდან) ათწლიანი, ერთგული და პატიოსანი სამსახურის შემდეგ დაუთხოვიათ. იგი აღმოჩნდა ერთ-ერთი პირველი, ვინც სახელმწიფო სამსახურიდან შტატების შემცირების გამო გაათავისუფლეს. ოთხმოციანი წლების შუა პერიოდია; აქამდე უმუშევრობა მხოლოდ მუშათა კულტურის განუყოფელი ნაწილი იყო, თუ შეიძლება ასე ითქვას. და აი, ეს ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა მამაკაცი, საზოგადოებაში მასზე დაკისრებულ როლში არასდროს რომ არ შეჰპარვია ეჭვი, სანიმუშო თანამშრომელი და მზრუნველი მამა (რამდენჯერმე მეც ვნახე შარშან, სკოლაში იყო მოსული, ქალიშვილის სიმორცხვეზე დარდობდა. თავის თავში საერთოდ არ არის დარწმუნებულიო, ამბობდა), წაიშალა, დაეცა და განადგურდა. განვლილ ცხოვრებას კი განაჩენი გამოუტანა. სახლში საღამოს ვახშამზე მაგიდას რომ მიუსხდებოდნენ, სულ ერთი და იგივე ფრაზა ეკერა პირზე: უკვე ოცდათხუთმეტის გავხდი და ცხოვრებაში ღირებული არაფერი გამიკეთებიაო.

ნატალის მამამ თითქოს დასაბამი დაუდო ეპოქას, როდესაც ადამიანებს თვით მომავალიც უმომავლოდ ესახებოდათ. მთელი ათწლეულის განმავლობაში მოსწავლეებს თითქმის ყოველდღე ყოველი მხრიდან ერთი და იგივე ესმოდათ: დამთავრდა, ბავშვებო, ბედნიერი და საამური დღეები წარსულს ჩაბარდა! მორჩა სასიყვარულო თავგადასავლებიც, ამიერიდან ასე ადვილად ვეღარ იპარპაშებთ; უმუშევრობა და შიდსი, აი, რა ემუქრება ყველას. დიახ, ამას ვუჩიჩინებდით საწყალ მოზარდებს მშობლებიც და მასწავლებლებიც მომდევნო წლების განმავლობაში და თავს ვირწმუნებდით, რომ ასე მათ უფრო მოტივირებულს ვხდიდით. უპერსპექტივო და იმედის გადამწურავი საუბრები! აი, რა ატირებდა საწყალ ნატალის. ის წინასწარ შეეპყრო უმომავლობით შობილ სევდას. გულამოსკვნილი დასტიროდა უდროოდ დაღუპულ მომავალს; თავის თავს ადანაშაულებდა იმაში, რომ გრამატიკასთან წარმოქმნილი პრობლემებით დღითი დღე, ნელ-ნელა, მაგრამ გარდაუვალად აჩქარებდა თავისი მომავლის აღსასრულს. სამწუხაროდ, ამაში მასწავლებელიც "დაეხმარა ” , რომელმაც რატომღაც გადაწყვიტა, გოგონა დაერწმუნებინა, რომ თავი "ტვინით კი არა, ჭურჭლის ნარეცხით ჰქონდა ამოვსებული". რაო, რაო, ნატალი, ჭურჭლის ნარეცხითო? ამას გადამოწმება სჭირდება. მოდი ერთი, მივაყურადო. მზრუნველი ექიმის გამომეტყველებით თავი შევუნჯღრიე. არა, არა, ნატალი, შიგნით ნამდვილად არაფერი ბუყბუყებს, არც ჭურჭლის ხმაური მესმის... მორიდებული ღიმილი. კიდევ ცოტაც მოიცა... საჩვენებელი თითი მოვკეცე და თავში ჩავუკაკუნე, ზუსტად ისე, როგორც კარზე ვაკაკუნებთ ხოლმე... არა, ნატალი, რას ამბობ, ნარეცხით კი არა სულ ტვინით გაქვს გამოძეძგილი, მერე როგორი ტვინით, ნებისმიერს შეშურდება. დამიჯერე, გამორჩეული ტვინის პატრონი ხარ. როგორ ლამაზ ხმას გამოსცემს. შენ თვითონ არ გესმის? ასეთი ჟღერადობა მხოლოდ ჭკვიანური აზრებით დატენილ თავებს ახასიათებს ... მადლობა ღმერთს, ბავშვმა როგორც იქნა გაიცინა.

როგორი აუტანელი სევდითა და დარდით ავუვსეთ ჩვენ მათ სულები მთელი ამ წლების განმავლობაში. რომ იცოდეთ, ათასჯერ უფრო მხიბლავს და ათასჯერ უფრო სასიამოვნოა ჩემთვის მარსელ ემეს 6(მარსელ ემე (1902-1967) აღიარებული ფრანგი მწერალი, დრამატურგი, მეზღაპრე, პოპულარული ნოველებისა და რომანების ავტორი. მაყურებელი იცნობს მისი არაერთი ნაწარმოების ეკრანიზაციასაც..)სიცილი. მარსელის აი, ის ეშმაკური და უღვარძლო ხითხითი, როცა ვაჟიშვილს, რომელმაც ყველაზე უწინ იყნოსა უმუშევრობა, სიბრძნესა და გონებაგამჭრიახობას უქებს.

- "ემილ, ეშმაკობაში შენი ძმა, შეიძლება ითქვას, ჯიბეში ჩაისვი. ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ უფროსი ხარ და ცხოვრების მეტი გაგეგება. ყოველ შემთხვევაში, შენზე უკვე აღარ ვდარდობ. შენ მედგრად დაუდექი ყოველგვარ ცდუნებას და იმის გამო, რომ მთელი ცხოვრების განმავლობაში კედელში ერთი ლურსმანიც არ ჩაგიჭედებია, ზედმიწევნით ხარ მომზადებული იმ ცხოვრებისთვის, რომელიც უახლოეს მომავალში გელოდება. იცი, უმუშევარი ადამიანისთვის რა არის ყველაზე მძიმე და გაუსაძლისი? ის, რომ ის ბავშვობიდანვე არ არის ჩვეული მცონარობას. ეს მის ძალებს აღემატება. მას მუშაობის ჟინი კლავს, პირდაპირ ხელები ექავება. შენი დარდი არ მაქვს. ხელი ნამდვილად არ აგიქავდება. უსაქმურობისგან ხელის გულზე ლამის ბალანი ამოგივიდეს. ხელის გადასმა თუ მოგიწევს მხოლოდ, რომ არ დაგიხუჭუჭდეს.

- კარგი რა, მამა, - გააპროტესტა ემილმა, - მე ხომ კითხვა მაინც ვისწავლე. უკვე სწრაფად და თითქმის შეუცდომლად ვკითხულობ.

- ეს შენი ეშმაკობის კიდევ ერთი დადასტურებაა. ოფლი ხომ არასდროს გიღვრია, თითი ხომ საერთოდ არასდროს გაგინძრევია, არც მუშაობის მავნე მიდრეკილება გაწუხებს და მაინც შეგიძლია, თვალი მიადევნო გაზეთებში "ტურ დე ფრანსისა" და სხვა მნიშვნელოვანი სპორტული შეჯიბრებების შესახებ ცხელ-ცხელ ამბებს, საგანგებოდ უმუშევრის გასართობად რომ იწერება. არა, შენზე ბედნიერი ადამიანი ამქვეყნად არავინ იქნება".

9

მას შემდეგ ორ ათეულ წელზე მეტი გავიდა. დღეს უმუშევრობა ყველა კულტურის კუთვნილებად იქცა. პროფესიული მომავალი ძალიან ცოტას თუ უღიმის ჩვენს განედებზე. სიყვარულმა დაკარგა თავისი ხიბლი და ბრწყინვალება. ნატალის, სავარაუდოდ, სადღაც ოცდაჩვიდმეტი (და ნახევარი) წელი შეუსრულდებოდა. ალბათ, დედაც გახდა ამასობაში. ვინ იცის, იქნებ თორმეტი წლის ქალიშვილიც ჰყავს. ნეტავ უმუშევარია? კმაყოფილია თავისი საზოგადოებრივი მდგომარეობით? სიმარტოვისგან იტანჯება თუ ბედნიერი სიყვარულითაა ფრთაშესხმული? გონიერი და გაწონასწორებული ქალია, დათმობების ოსტატი? შინ მაგიდასთან სულ წუწუნებს და სასოწარკვეთილებას აფრქვევს, თუ უპირველესად იმაზე ფიქრობს, რა გუნება-განწყობაზე გადააბიჯებს მისი ქალიშვილი საკლასო ოთახის ზღურბლს.
10

ჩვენი "ცუდი მოსწავლეები" (უმომავლოდ შერაცხულები) სკოლაში მარტონი არასდროს მოდიან. საკლასო ოთახში მოსწავლე კი არ შემოდის, არამედ თითქოს ხახვივით არსება, რომელსაც ტანჯვისა და შიშის, დარდისა და წუხილის, ღვარძლისა და ბრაზის, დაუკმაყოფილებელი სურვილისა და თავგანწირული განდგომილობის რამდენიმე ფენა შემოუკრავს. ამ ყველაფერს კი ფუნდამენტად სამარცხვინო წარსული, მუქარით აღსავსე აწმყო და უიმედო მომავალი უდევს. შეხედეთ, აი, ისინიც მოდიან, ჯერ კიდევ უღონო, ჩამოუყალიბებელი სხეულით, ზურგზე მოკიდებული მძიმე ოჯახური ტვირთით. გაკვეთილი მათთვის მხოლოდ მაშინ დაიწყება, როცა ტვირთი მოეხსნებათ და ხახვი გაიფცქვნება. ძნელია ამის ახსნა, მაგრამ ზოგჯერ უფროსის ერთი კეთილგანწყობილი და გამგებიანი მზერა, ნდობის აღმძვრელი რამდენიმე თბილი, ნათელი და გასაგები სიტყვა სრულიად საკმარისია, ეს შიშები გაფანტოს, ამ სულებს სიმშვიდე მოჰფინოს და მძიმე წარსულისა და უიმედო მომავლიდან თხრობით აწმყოში გადმოიყვანოს.

რა თქმა უნდა, ამ კეთილგანწყობის შედეგი დროებითია. შეუძლებელია, რომ ის დროში უსასრულოდ გაიწელოს. სკოლის კედლებს მიღმა ხახვი ისევ პირვანდელ იერ-სახესა და მდგომარეობას დაუბრუნდება და ხვალ ყველაფრის თავიდან დაწყება იქნება საჭირო. სწავლებაც ხომ სხვა არაფერია! გაიმეორო ყოველ ჯერზე, დაიწყო თავიდან და ასე მანამ, სანამ თავად მასწავლებლის აუცილებლობა საბოლოოდ არ გაქრება. თუ გაკვეთილის დროს ჩვენ ვერ მოვახერხეთ ბავშვების თხრობითი კილოს აწმყო დროში მოქცევა, თუ ვერა და ვერ მოვაბით თავი ამ დროში ჩვენი ცხოვრების გამოცდილების გადამყნობას ბიჭებზე და გოგონებზე, ამ სიტყვის ბოტანიკური გაგებით, ისინი, საკუთარი თავით უკმაყოფილების გრძნობით დატანჯულები, მთელი დარჩენილი ცხოვრება უმეცრებისა და სიბნელის

ღრანტეებში იბორიალებენ. რა თქმა უნდა, ჩვენ ერთადერთნი როდი ვიქნებით, ვინც მათ გზაზე ღრმულებსა და თხრილებს დაუტოვებს, ვინც მათ დროულად ამოვსებას ვერ მოასწრებს. მაგრამ ეს ჩვენ თვალწინ ჩამომსხდარი მომავალი მამაკაცები და ქალები თავიანთი ყრმობის ერთ, ან შესაძლოა, ზედიზედ რამდენიმე წელიწადს ჩვენთან ერთად გაატარებენ. ერთი ჩაფლავებული სასკოლო წელიწადი კი სახუმარო ამბავი ნამდვილად არ არის; ეს ბოთლში გამომწყვდეული უსასრულობაა.

11

სულაც არ იქნებოდა ურიგო, სწავლისთვის განკუთვნილი საგანგებო დრო რომ გამოგვეგონებინა, აზრის "ხორცშესხმის აწმყო დრო". მაგალითად, საკლასო ოთახში გაკვეთილს ვესწრები და რასაც მიხსნიან, ბოლოს და ბოლოს, ვიგებ! დამადგა საშველი! ჩემი ტვინი აზრს მთელ სხეულში ავრცელებს - ხორცს ისხამს.

როდესაც პროცესი დაბლოკილია და ვერაფერს ვიგებ, მერხზე ჩემი სხეულის დაშრევებას, ფენებად დაშლას ვაკვირდები; ვიხლიჩები გაჩერებულ დროში, ფერფლად ვიქცევი, რომელსაც ოდნავი სიოც უკვალოდ მიმოფანტავს.

მაგრამ იმისთვის, რომ გაკვეთილზე ცოდნას აწმყო დროში ხორცშესხმის შანსი მიეცეს, უნდა შეწყდეს წარსულით მისი დამუნათება და მომავლით დაშინება.

12

საინტერესოა, რა ბედი ეწიათ იმათ, ვისგანაც რაღაც მაინც გამოვიდა...
- ფ. გარდაიცვალა პენსიაზე გასვლიდან რამდენიმე თვის თავზე. ჟ. ამას აღარ დაელოდა და წინა დღეს ფანჯრიდან გადმოხტა. გ. დეპრესიაში ჩავარდა. კიდევ ერთი ძლივს დაუძვრა მსგავს მდგომარეობას. ჟ. ფ.-ის ექიმები მისი ალცჰაიმერის ავადმყოფობის დაწყებას პენსიაზე გასვლის პირველი წლით ათარიღებენ. პ. ბ.-ის მკურნალებიც იმავეს ამტკიცებენ. ლ. ცხარე ცრემლებით ტირის მას შემდეგ, რაც საინფორმაციო განყოფილებიდან დაითხოვეს, სადაც თურმე სიცოცხლის ბოლომდე ყოველდღიური საჭირბოროტო პრობლემების გადაჭრით სურდა ყოფილიყო დაკავებული. ამას გარდა, მახსენდება მეწაღე პ.-დან, რომელიც მხოლოდ იმის გამო წავიდა ამქვეყნიდან, თავისი საქმის გამგრძელებელი რომ ვერა და ვერ მოიძია. "გამოდის, რომ ჩემს ცხოვრებას გროშის ფასიც არ ჰქონია. - ხშირად იმეორებდა თურმე საწყალი სიბერეში; "გამოდის, სულ ტყუილად ვღვრიდი ოფლს?" მოკლედ, სევდამ და დარდმა მოუღო ამ კაცს ბოლო.

ან, თუნდაც ეს დიპლომატი. ექვსი თვე გავიდა მას შემდეგ, რაც პენსიაზე გაისტუმრეს და იმის გაფიქრება, რომ ერთ დღესაც საკუთარ თავთან პირისპირ სრულიად მარტო აღმოჩნდება, სასოწარკვეთილებაში აგდებს. ვერ ისვენებს, ახალ სამსახურს ეძებს, სურს რამეთი მაინც დაკავდეს. სამრეწველო ჯგუფში საერთაშორისო მრჩევლის პოსტისთვის რომ გამოეკრა ხელი, სრულიადაც არ იქნებოდა ურიგო; ან ამის თუ იმის - რა მნიშვნელობა აქვს, რის - კონსულტანტობა რომ შეეთავაზებინათ. აი, ეს ტიპი, საერთოდაც პრემიერ-მინისტრი გახლდათ. ამ პოსტის დაკავებაზე

მთელი ოცდაათი წელი ოცნებობდა. არჩევნებში პირველი წარმატებიდან მოყოლებული, ცოლი სულ მხარში ედგა და ამხნევებდა. ამ გაქექილ პოლიტიკოსს შესანიშნავად ჰქონდა გააზრებული, რომ ნებისმიერი წამყვანი პოსტი ნებისმიერ მთავრობაში თავისი ბუნებით დროებითია და ყველაფერთან ერთად - საშიშიც. ასევე, ზედმიწევნით ჰქონდა გასიგრძეგანებული, რომ როგორც კი ამის დრო და აუცილებლობა დადგებოდა, პრესის მიერ ამოჩემებული დაცინვის ობიექტი გახდებოდა, ნანატრი სამიზნე (მათ შორის, თავისიანებისთვისაც), განტევების ვაცი. მას აუცილებლად ეცოდინებოდა ის ხუმრობა, რომელიც კლემანსომ თავისი უფროსის - მთავრობის კაბინეტის თავმჯდომარის მისამართით გამოაცხო 1917 წელს: "როცა ვაკუებ, მე კი არ ვაყროლებ ჰაერს, არამედ ის" (დიახ, პოლიტიკური სამყაროსთვის მსგავსი "დახვეწილი" და "ელეგანტური" გამოთქმები ახალი ამბავი არ არის. რაც უფრო მილიგრამებში უწევთ საჯარო განცხადებების აწონ-დაწონვა, მით უფრო არ ერიდებიან თავისიანებში პირის ამყრალებას). მოკლედ, გახდა კაცი პრემიერ-მინისტრი, მოაწერა ხელი ამ რისკიან, მოკლევადიან ხელშეკრულებას; ცხადია, პრემიერობა მხოლოდ რამდენიმე წელს გაგრძელდა. ეს რამდენიმე წელი ერთ დღესაც ამოიწურა და, როგორც მოსალოდნელი იყო, ბურთივით გამოისროლეს იქიდან. პრემიერი კარგავს სამინისტროს; ახლობლები ამტკიცებენ, რომ მას ამ დარტყმის მონელება ძალიან უჭირს: "მომავალი აშინებს". როგორც ჩანს, ისე დაიზაფრა, ისე დაიზაფრა, რომ პოსტის დაკარგვიდან მოყოლებულმა დეპრესიამ ლამის თვითმკვლელობამდე მიიყვანა.
აი, როგორი მავნე და დამღუპველი შეიძლება გამოდგეს ის სოციალური როლი, რომლისთვისაც რუდუნებით გვამზადებდნენ, გვასწავლიდნენ და გვზრდიდნენ, და რომელსაც მთელი ცხოვრება "ვთამაშობდით". სინამდვილეში ამან, ალბათ, ჩვენთვის გამოყოფილი სიცოცხლის ნახევარი შეიწირა. წაგვართვით ეს როლი და თქვენ ნახავთ, რანიც ვართ - თურმე ჩვენგან ერთი უბადრუკი მსახიობიც კი არ დამდგარა.

ჩემი აზრით, კარიერის მსგავსი დრამატული დასასრული თამამად შეიძლება შევადაროთ მოზარდის განცდებსა და ტანჯვა-წამებას, რომელსაც, უმომავლობაში დარწმუნებულს, დღევანდელი ცხოვრებაც უაზრო და გაუსაძლისი ეჩვენება. როცა ცხოვრება გვართმევს იმ როლს, რომელიც ასე კარგად მოვირგეთ და ვხდებით ისეთი, როგორიც სინამდვილეში ვართ, ჩვენ ხშირად არარაობას ვემსგავსებით - ჩვენ არავინ ვხდებით. ეს განცდა ისეთი მტკივნეული და ისეთი მძაფრია, რომ მზად ვართ, სიცოცხლეც მოვისწრაფოთ. აი, აქ ვლინდება ჩვენი აღზრდის ნაკლოვანება, მთავარი ბზარი და დეფექტი.

13
დადგა წელი, როცა ჩემით განსაკუთრებულად უკმაყოფილო ვიყავი. მეტიც, თავი უბედური მეგონა იმით, რასაც წარმოვადგენდი. ყველაფერთან ერთად, არც არანაირი სურვილი არ მქონდა, რამე ან ვინმე გამოვსულიყავი. ჩემი ოთახის ფანჯრები ლა გოდესა და სენ-ჟანეს ხეობაზე, სამხრეთის ალპების ორ ფრიალო კლდეზე გადიოდა. გადმოცემით ვიცი, რომ სიყვარულში უიღბლო და ხელმოცარულთა ტანჯვისათვის მას არაერთხელ დაუსვამს საბოლოო წერტილი. ერთ მშვენიერ დილას, როცა ამ პიტალო ფერდობებს გადაჭარბებული ყურადღებით ვუმზერდი, ჩემი საძინებელი ოთახის კარზე კაკუნი გაისმა; მამაჩემი აღმოჩნდა. კარი ოდნავ შემოაღო და თავი შემოყო:

- დანიელ, სულ დამავიწყდა, მეთქვა, რომ თვითმკვლელობა ყოველგვარ კეთილგონიერებას მოკლებული ნაბიჯია.

14

თუმცა, მოდი, ისევ წარსულში გადავინაცვლოთ და დასაწყისს მივუბრუნდეთ. ჩემ მიერ ოჯახის ფინანსური სახსრების განიავებით შეძრული დედაჩემი რჩევის საკითხავად კოლეჯის დირექტორს გამოეცხადა. დირექტორი კარგი ვინმე იყო, გულკეთილი და გონებაგამჭრიახი, სადღაც, შორსმჭვრეტელიც, ვეებერთელა, თავისებურად სიმპათიური ცხვირით შემკული (სკოლაში ბავშვებმა მეტსახელად "მაუზერა" შეარქვეს). ჩათვალა რა, რომ მე უფრო დამფრთხალი და საცოდავი ვიყავი, ვიდრე საშიში, მაუზერამ განმარტოება და სუფთა ჰაერზე დასვენება მომისაჯა. მთები თუ უშველის მხოლოდო. ინტერნატი მთაში მართლაც საუკეთესო გამოსავალია - მოიკრებს ძალებს, კოლექტივში ცხოვრების ჩვევებს ეზიარებაო. ნუ ღელავთ, ქალბატონო, თქვენ ნამდვილად არ ხართ არსენ ლუპენის 7(მორის ლებლანის (1864-1941) რომანის პერსონაჟი, მომხიბლავი ავანტიურისტი და კეთილშობილი მძარცველი.) დედა, არამედ ერთი მაკვარანცხი მეოცნების დედა ბრძანდებით. ჩვენი მოვალეობაა, მას რეალობის აღქმის მოდუნებული შეგრძნება გავუმძაფროთო. ამას მოჰყვა ინტერნატში გატარებული ორი წელიწადი - მეხუთე და მეოთხე კლასები. ოჯახის მონახულების ბედნიერება მხოლოდ რამდენჯერმე მქონდა: შობაზე, აღდგომაზე და, თავისთავად ცხადია, ზაფხულის არდადეგების დროს. მომდევნო წლების გატარება კი ჩვეულებრივ ინტერნატში მომიწია, სადაც შინ წასვლის უფლება შაბათ-კვირას გვეძლეოდა.

საკითხი, ვიყავი თუ არა ბედნიერი იმ ინტერნატში, მიმაჩნია, რომ მეორეხარისხოვანია. მოდი, ასე ვთქვათ: ჩემთვის იქ ცხოვრება ბევრად უფრო ასატანი იყო, ვიდრე ჩვეულებრივ სკოლაში.

თანამედროვე მშობლების თვალში ინტერნატი სხვა არაფერია, თუ არა გაუსაძლისი კატორღა. რამდენიც უნდა ეჩიჩინო მათ მის უპირატესობაზე, მაინც ვერაფერს შეაგნებინებ. ინტერნატში ბავშვის გაგზავნას, არც მეტი, არც ნაკლები, შვილზე უარის თქმად აღიქვამენ. რომც უმტკიცო, თქვენი შვილისთვის ინტერნატში გატარებული ერთი წელიწადი მხოლოდ სასარგებლო იქნებაო, მაშინვე საზიზღარი ურჩხულისა და აუტანელი რეტროგრადის იარლიყს მოგაწებებენ და ოროსნების ციხეში გამომწყვდევის მომხრედ მოგნათლავენ. ფუჭია იმის მაგალითად მოტანა, რომ თავად გამოიარე ეს გზა. უმალ აგაფარებენ ცხვირზე არგუმენტს ეპოქების დიამეტრულ განსხვავებაზე: "კი ბატონო, მაგრამ იმხანად ხომ ბავშვებს საერთოდ სასტიკად ექცეოდნენ".

დღეს მშობლიური სიყვარულის მომიზეზებით, ნებისმიერ საუბარს ინტერნატის შესახებ უმკაცრესი ტაბუ დაედო. როგორც მუქარა შეგიძლია, გამოიყენო, მაგრამ გამოსავლად არ მოიაზრება.
და მაინც...

არა, ისე ნუ გამიგებთ, თითქოს ინტერნატებისთვის ქება-დიდების შესხმა მქონდეს განზრახული.

მოდი, უბრალოდ, აღვწეროთ ჩვეულებრივი სკოლის ჩვეულებრივი წარუმატებელი მოსწავლის კოშმარი. მოსწავლისა, რომელსაც სწავლის პროცესი ჩაუფლავდა.

15

და მაინც, რომელი მოსწავლე? აი, მაგალითად, ერთ-ერთი იმათგანი, რომელთა შესახებაც დედები საათობით წუწუნებენ ჩემთან და, რომლებსაც ცოცხალი თავით ინტერნატში არ გაგზავნიდნენ. მოდი, არჩევანი მაინც შედარებით უკეთეს ვარიანტზე შევაჩეროთ: ძალიან თავაზიანი ბიჭია, ცუდს არავის უსურვებს, მასზე მთელი ოჯახი გიჟდება; მაგრამ იმის გამო, რომ უკვე ვერაფერს იგებს, თავსაც საერთოდ არ იწუხებს, სახლში ქანცგაწყვეტილი, სასოწარკვეთილი და საბოლოოდ ხელჩაქნეული, მასწავლებლების მიერ დაწერილი შენიშვნებით გამოტენილი დღიურით ბრუნდება: "საერთოდ არ მუშაობს", "არაფერი გაუკეთებია, არაფერი ჩაუბარებია", "თავისუფალი ვარდნის მდგომარეობაშია"; ან კიდევ უფრო მოკლე ვარიანტი - "აბა, რა გითხრათ?" (ახლა როცა ამ სტრიქონებს ვწერ, ეს და კიდევ რამდენიმე ასეთი ჩანაწერი ცხვირწინ მიდევს).
მივადევნოთ თვალი ამ ჩვენს ბედოვლათს ერთი სასწავლო დღის განმავლობაში. დღეს მოხდა სასწაული და სკოლაში დროზე გამოცხადდა (ის კია, რომ ბოლო დროს დღიურში დაფიქსირებული მასწავლებლების ჩანაწერები დაჟინებით მოუწოდებდა დისციპლინისკენ), მაგრამ მისი ზურგჩანთა თითქმის ცარიელია: წიგნები, რვეულები და სხვა სასწავლო მასალა ისევ სახლში დარჩენია (მუსიკის მასწავლებელმა ტრიმესტრული შეფასებისას დღიურში ერთობ სიმპათიური ჩანაწერი დატოვა: "ავიწყდებოდა ფლეიტა").

საშინაო დავალებები არ შეუსრულებია, არადა, პირველი მათემატიკა აქვს. მათემატიკის სავარჯიშოები კი, რა თქმა უნდა, გაუკეთებელთა შორის ფიგურირებს. აქ სამი მიზეზიდან ერთ-ერთი უნდა იყოს: დავალება არ მოამზადა იმიტომ, რომ ან სხვა რამით იყო დაკავებული და ამისთვის არ სცხელოდა (დახეტიალობდა ძმაკაცებში, ოთახში ჩაკეტილი კომპიუტერში დაძვრებოდა და ღმერთმა უწყის, რას უყურებდა), ან ღონემიხდილი და სასოწარკვეთილი ლოგინზე გაიშხლართა და ხმაურიანი მუსიკით გაბრუებული თავდავიწყების მორევმა ჩაითრია, ან კიდევ - და ეს ყველაზე ოპტიმისტური ვერსიაა - ერთი-ორი საათის განმავლობაში მაინც დიდი მონდომებით ცდილობდა ამოცანების ამოხსნას, მაგრამ არაფერი გამოუვიდა.

ნებისმიერ ვარიანტში, მოსწავლემ საშინაო დავალებების ცარიელი რვეული რაღაც საპატიო მიზეზით უნდა ჩაანაცვლოს, რის გამოც მან დავალება ვერ შეასრულა. ყველაზე რთული ამ სიტუაციაში გულწრფელი, მარტივი და დამაჯერებელი ახსნა-განმარტების მიცემაა: ბატონო, ვერ შევასრულე დავალება, რადგან ღამის დიდი ნაწილი კიბერსივრცეში ბოროტების მხედრებთან ბრძოლაში გავატარე, და თუ დამიჯერებთ, მთელ ლაშქარს მუსრი გავავლე, ცოცხალი ერთიც კი არ დამრჩენია; ან: ბატონო, ძალიან ვწუხვარ, მაგრამ დავალება ვერ შევასრულე. არ ვიცი, რა მეტაკა, ისეთი რეტი დამესხა, ისე დავუძლურდი, რომ თითიც ვეღარ გავანძრიე, ძალა მხოლოდ იმისთვის მეყო, რომ ყურსასმენები გამერჭო და ფლეიერზე თითი დამეჭირა.

მე ვერ გავაკეთე საშინაო დავალება - ასეთი აღიარების შემდეგ ყველაზე მძიმეა ნამდვილი მიზეზის დასახელება, რომელსაც მაშინვე სადამსჯელო სანქციები მოჰყვება. ამიტომაც, ჩვენი მოსწავლე მას ოფიციალური თვალსაზრისით უფრო პრეზენტაბელურ ვერსიას ამჯობინებს. მაგალითად, ასეთს: "ჩემი მშობლები გაცილებულები არიან, მე დედასთან ვცხოვრობ, გუშინ მამას ვსტუმრობდი და სახლში დაბრუნებულმა აღმოვაჩინე, რომ რვეული თურმე მამიკოსთან დამრჩენია", სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სიცრუე. მასწავლებელსაც, თავის მხრივ, ხშირად მდგომარეობას კარგად მორგებული ახსნა-განმარტების მოსმენა ურჩევნია დაუფარავ და ღია აღიარებას, რომელმაც, გამორიცხული არ არის, მისი, როგორც პედაგოგის ავტორიტეტი ეჭვის ქვეშ დააყენოს. პირდაპირი შეჯახების თავიდან აცილებით ორივე, მასწავლებელიც და მოსწავლეც, ამ დიპლომატიურ პა-დე-დე-ში საკუთარ სარგებელს პოულობს. რაც შეეხება ნიშანს, ტარიფი ცნობილია: ჩაუბარებელი დავალება, ნული.

იმ მოსწავლის მდგომარეობა, რომელმაც პატიოსნად სცადა დავალების შესრულება, მაგრამ არაფერი გამოუვიდა, დიდად არ განსხვავდება ზემოხსენებულისგან. კლასში მისი სიმართლეც ძნელად დასაჯერებელია: "ბატონო, მე გუშინ მთელი ორი საათი დავხარჯე, რათა თქვენი დავალება შემესრულებინა. არა, არ იფიქროთ, რომ სხვა რამეს ვაკეთებდი. არა! მივუჯექი სამუშაო მაგიდას, ამოვიღე რვეული, დავიდე წინ და ყურადღებით წავიკითხე ამოცანის პირობა. ამის შემდეგ კი მთელი ორი საათი სრული მათემატიკური უძლურების მდგომარეობაში გავატარე. ეს იყო ნამდვილი გონებრივი დამბლა, რომელსაც თავი მხოლოდ მაშინ დავაღწიე, როცა დედაჩემმა სუფრასთან მიხმო. აი, ხომ ხედავთ? მართალია, დავალება ვერ შევასრულე, მაგრამ მას ორი საათი მაინც დავუთმე. ვახშმის შემდეგ კი უკვე მეტისმეტად გვიანი იყო, კატალეპსიის ახალი შეტევა მელოდა - ინგლისურის დავალება". - "გაკვეთილზე მეტი ყურადღებით რომ მოგესმინა, ამოცანის პირობებსაც მშვენივრად გაიგებდი!" - თამამად შეეძლო (სამართლიანადაც) მასწავლებელსაც გამოეთქვა საყვედური.

ასეთი საჯარო დამცირების თავიდან აცილების მიზნით, ჩვენი მოსწავლე ასევე ამჯობინებს ფაქტების დიპლომატიურად წარდგინებას: "სწორედ ამოცანის პირობას ვეცნობოდი, როცა მოულოდნელად გამათბობელი ქვაბი აფეთქდა". და ასე შემდეგ, დილიდან საღამომდე, გაკვეთილიდან გაკვეთილამდე, საგნიდან საგნამდე, მასწავლებლიდან მასწავლებლამდე, დღიდან დღემდე - სიცრუის დაუსრულებელი ექსპონენტები, რომელსაც საბოლოოდ ფრანსუა ტრიუფოს გმირის ცნობილ შეძახილამდე მივყავართ - დედა!.. ჩემი დედიკო!.. ჩემი დედიკო გარდაიცვალა!

სასწავლო დაწესებულებაში მთელი დღის განმავლობაში სიცრუის როშვის შემდეგ, პირველი კითხვა, რომელსაც შინ დაბრუნებული ჩვენი ცუდი მოსწავლე მოისმენს, აუცილებლად შემდეგი იქნება:

- აბა, კარგად ჩაიარა დღემ?

- უკეთესს ვერც ინატრებ.

ისევ სიცრუე!

სიცრუე, რომელიც სიმართლის პატარა მარცვლით განმტკიცებას მაინც ითხოვს.

- ისტორიის მასწავლებელმა მკითხა, რა მოხდა 1515 წელსო, ვუპასუხე მარინიანოს ბრძოლა-მეთქი და ძალიან კმაყოფილი დარჩა!

(ესეც ასე, ახლა ხვალამდე როგორმე გაძლებს კაცი).
მაგრამ ეს ხვალ ძალიან მალე დგება, დღეები მეორდება და ჩვენი მოსწავლე განაგრძობს სკოლასა და სახლს შორის წრიალს. მთელი თავისი გონებრივი ენერგია სკოლაში დახვავებულ ტყუილებსა და შინ მშობლებისთვის მირთმეულ ნახევარსიმართლეს შორის დაწყობილი და გამართული ნატიფი ქსელის ქსოვაში ეხარჯება. ერთგან მიწოდებულ ახსნა-განმარტებასა და მეორეგან წარმოთქმულ გამამართლებელ მოხსენებას შორის ლოგიკური კავშირი აუცილებელია. ასევე აუცილებელია ეს კავშირი სკოლის მასწავლებლებზე სახლში დახატულ კარიკატურებსა და სკოლაში გაკვეთილის დაწყებამდე მასწავლებლისთვის ყურში ნაჩურჩულებ ოჯახურ უთანხმოებებზე მინიშნებებს შორისაც; პატარა სიმართლე აქ, პატარა სიმართლე იქ. ხშირ შემთხვევაში სულ ცოტაც სრულიად საკმარისია. მაგრამ ეს აუცილებელია იმიტომ, რომ მშობლები და მასწავლებლები ერთ მშვენიერ დღეს აუცილებლად შეხვდებიან ერთმანეთს, ეს გარდაუვალია. მომავალი რანდე-ვუ თავიდან არ უნდა ამოუვარდეს, გამუდმებით უნდა იფიქროს ამაზე. ეს დეტალები საგანგებოდ დამუშავებასა და დახვეწას საჭიროებს. სიმართლეს მიმსგავსებული მონაჩმახები, რომელმაც შეხვედრის მთავარი მენიუ უნდა შეადგინოს, ორივე მხარემ უყოყმანოდ უნდა გადაყლაპოს.
მსგავსი გონებრივი საქმიანობისთვის მობილიზებული ენერგია ბევრად აღემატება ბეჯითი მოსწავლის ენერგეტიკულ დანახარჯებს საშინაო დავალების მომზადებისას. ჩვენს ოროსანს ქანცი სწყდება, ის უკანასკნელ ძალებს აბანდებს. მეცადინეობის სურვილი რომც გაუჩნდეს (მსგავსი სურვილი მას პერიოდულად ეუფლება), ის ამას ელემენტარულად ვერ შესძლებს სრული გამოფიტულობის გამო. ფიქცია, რომელშიც ის თავით ფეხებამდე გადაეშვა, მას მესამე განზომილების ტყვედ აქცევს, რომელიც სადღაც, სკოლასა (სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა რომ გამოუცხადა) და ოჯახს (რომელსაც შვება უნდა მოჰგვაროს) შორის მდებარეობს. ამ სივრცეში მისი გონებისა და ფანტაზიისთვის დათმობილი უბადრუკი როლი უთვალავი ხვრელისა და ნაპრალის დაგმანვაში გამოიხატება, საიდანაც ყოველ წუთს, ყოველ წამს შეიძლება რეალობა გამოძვრეს, თანაც ყველაზე მოულოდნელი და დამზაფვრელი ფორმით: გამჟღავნებული სიცრუისგან ზოგის განრისხებით, სხვების წყენინებით, ბრალდებებით, სანქციებით, ზოგჯერ სკოლიდან გარიცხვით; საკუთარ თავთან დაბრუნებით, დანაშაულის გამანადგურებელი განცდით, დამცირებით და ბოლოს, იმის აღიარებით, რომ ისინი მართლები არიან, ეს მე ვარ ნული, ცარიელი ადგილი, არარაობა.
ცარიელი ადგილი ვარ.

საზოგადოებაში, სადაც ჩვენ ვცხოვრობთ, მოზარდი, საკუთარი უძლურებითა და უსარგებლობით გაჟღენთილი ცნობიერებით - იოლი ნადავლია. აი, ეს არის ერთადერთი ჭეშმარიტება, რომელსაც ცხოვრებისეული გამოცდილების წყალობით ვეზიარებით.

16

რა ჩამოთვლის იმ მიზეზებს, რომელთა გამო მასწავლებლებსაც და მშობლებსაც სიცრუეზე თვალის დახუჭვა, მეტიც, ხშირად მასში თანამონაწილეობა უწევთ. ამ მიზეზთა შესახებ საუბრისთვის ამჟამად

ვერ მოვიცლით. ვინ იცის, რამდენი ტყუილით მაქვს თავი გამოტენილი ყოველ დღე ოცდათხუთმეტბავშვიან კლასში ჩატარებული ოთხი-ხუთი გაკვეთილის შემდეგ. ეს კითხვა ნებისმიერმა მასწავლებელმა შეიძლება სამართლიანად დაუსვას საკუთარ თავს. სად ვიპოვო დრო ტყუილ-მართლის დასადგენად, ყველა ამ მონაჩმახის გასარჩევად და გასაანალიზებლად? საერთოდ, გამომძიებლის ფუნქციაც ხომ არ მეკისრა? ზნეობრივი აღზრდის თვალსაზრისით მშობლები ხომ არ ჩამენაცვლებინა? თუ - კი, მაშინ, რა დოზით? და ასე შემდეგ - უსასრულო ლიტანია კითხვებისა, რომელთაგან თითოეული, ადრე თუ გვიან, - კოლეგებს შორის მგზნებარე და ხმაურიანი დისკუსიის საგანი ხდება.
მაგრამ, არსებობს კიდევ ერთი მიზეზი, რომლის გამოც მასწავლებელი ამ სიცრუეებზე თვალებს ხუჭავს. მიზეზი ქვეცნობიერის მიუვალ სიღრმეებშია ჩაფლული. თუ მას ერთხელაც ზედაპირზე ამოვიტანდით, დაახლოებით ასეთი შინაარსი ექნებოდა: ეს ბიჭუნა ჩემი პროფესიული მარცხის გამოხატულებაა. მე ვერც მის წინ წაწევას შევძლებ და ვერც მეცადინეობას, როგორც წესი და რიგია. დიდი-დიდი, შეიძლება, როგორმე გაკვეთილს დავასწრო. აქაც მხოლოდ მის ფიზიკურ დასწრებაში თუ ვიქნები დარწმუნებული.

საბედნიეროდ, საკუთარი პროფესიული შესაძლებლობების ეჭვის ქვეშ დაყენების მცდელობა, უამრავი, სრულიად მისაღები არგუმენტების წყალობით, დღის წესრიგიდან მალევე იხსნება: მართალია, ამასთან არაფერი გამომივიდა, მაგრამ სამაგიეროდ, სხვებთან შესანიშნავად ავაწყვე სამუშაო. რა ჩემი ბრალია, თუ ეს ბიჭი მეოთხეში ჩემთან გაიჭედა. რას ასწავლიდნენ ნეტავი ჩემი წინამორბედები? და, საერთოდაც, შეიძლება, ყოველთვის ყველაფერი სკოლას დაბრალდეს? იქნებ მშობლებსაც მიუძღვით გარკვეული წვლილი? რაზე ფიქრობენ ისინი? განა შეიძლება, ვინმეს ჰქონდეს იმის ილუზია, რომ მსგავსი დატვირთვით და ამდენი მოსწავლით კლასში ამ ბავშვის ამოქაჩვას შევძლებ?

ყველა ამ კითხვას, რომელიც პირდაპირ კავშირშია მოსწავლის წარსულთან, მის ოჯახთან, კოლეგებთან, თვით სკოლასთან, საბოლოო ჯამში, ყოველგვარი სინდისის ქენჯნის გარეშე მივყავართ სასკოლო დღიურებში ყველაზე გავრცელებულ ფორმულირებასთან: ელემენტარული ცოდნის უქონლობა (მსგავს რამეს ერთხელ დაწყებითი სკოლის მოსამზადებელი კლასის ერთ-ერთი მოსწავლის დღიურშიც მოვკარი თვალი). მოკლედ, მთავარია, მე მოვიშორო, ახლა სხვებმა იჭყლიტონ ტვინი!

ტვინის ჭყლეტა, რა თქმა უნდა, უპირველეს ყოვლისა, მშობლებს მოუწევთ. ყველაზე ცუდ დღეში, როგორც წესი, ისინი აღმოჩნდებიან ხოლმე. საკუთარ შვილს ვერ დაიფრენ. შვილის ყოველდღიური ტყუილები მათ ძალას აცლის - ბოლომდე უთქმელობა, რაღაცის მიჩქმალვა, დუმილი, გაბუქება, გაზვიადება, გულის გამაწვრილებელი, სრულიად ზედმეტი და გადაჭარბებული ახსნა-განმარტებები, უადგილო და ეჭვის აღმძრავი თავის მართლებები: - ახლა მოგიყვებით, ეს ყველაფერი სინამდვილეში როგორ მოხდა.

ასეთი დაუსრულებელი ომით დაღლილ-დაქანცული მშობლების უმრავლესობა, საბოლოოდ, ამ არაკების აღიარებას ამჯობინებს, უპირველეს ყოვლისა იმიტომ, რომ საკუთარი დარდი და შფოთვა ჩაიხშონ (მსგავს შემთხვევებში სიმართლის მარცვლები - ბრძოლა მარინიანოსთან 1515 წელს -

ასპირინის როლს თამაშობს), ამას გარდა, იმიტომაც რომ, როგორმე ნორმალური ოჯახური ატმოსფერო შეინარჩუნონ, რომ ვახშამი ისევ დრამაში არ გადაიზარდოს, - "დღეს არა, რა, გეთაყვა, დღეს არა, გთხოვ", - რომ ცოტა მაინც გადაიწიოს წამების სცენა, გულწრფელი აღიარება - ასე მტკივნეული ყველა მონაწილისთვის - მომენტი, როცა ფოსტით მიღებული ტრიმესტრული ტაბელის (მთავარი დაინტერესებული პირის მიერ მოხერხებულად შენიღბული-შელამაზებული, მას ხომ მთელი ეს ბოლო კვირა თვალი არ მოუშორებია საფოსტო ყუთისთვის) მიხედვით გამოითვლება და გაიზომება სკოლაში დატრიალებული კატასტროფის მასშტაბები.

- იქნებ ხვალ მიგვეხედა ამ საქმისთვის? ოღონდ დღეს არა, რა.

17

მოზრდილი ბავშვის მიერ მოროშილ ტყუილში საყოველთაო თანამონაწილეობის, ჩემი აზრით, ღირსსახსოვარი ამბავი გადახდა ბ-ს, ჩემი უახლოესი მეგობრის ძმას. მაშინ 12-13 წლის თუ იქნებოდა. მათემატიკის საკონტროლოთი დაშინებულმა, თავის განუყრელ ძმაკაცს სთხოვა ბრმა ნაწლავის ზუსტი მდებარეობა მიეთითებინა, რის შემდეგაც მოწყვეტით ძირს გაიშხლართა და აპენდიციტის საშინელი შეტევის სიმულირება დაიწყო; მასწავლებლებმა თავი მოიკატუნეს, ვითომ ბავშვის გასაჭირი ირწმუნეს და სიმულანტი შინ გაუშვეს, ალბათ იმიტომ, რომ თავიდან მოეშორებინათ. ასეთ და ამაზე უარეს სცენებს ჩვეულმა მშობლებმა ბავშვი ახლომდებარე კლინიკაში მაინც წაიყვანეს, თუმცა იმის ილუზია, რომ მათი ვაჟი ამჯერად მაინც არ ცრუობდა, არ ჰქონიათ. კლინიკაში მისულებმა გაოცებისგან პირი დააღეს - ექიმებმა "მსახიობი" პირდაპირ საოპერაციო ბლოკში გააქანეს და წამში ბრმა ნაწლავი ამოაჭრეს. ოპერაციის შემდეგ მოდის ქირურგი, ხელში დიდი ქილა უჭირავს, რომელშიც წაგრძელებული ფორმის სისხლიანი რაღაც დაცურავს და მიამიტური სახით აცხადებს: კიდევ კარგი, რომ დროზე გავუკეთე ოპერაცია. ცოტაც და, ბავშვი პერიტონიტს ვერ ასცდებოდა!
რას იზამ, საერთო სიცრუეზეა აგებული მთელი საზოგადოება.

აი, კიდევ უფრო ახალი, სულ ცინცხალი ისტორია: პარიზის ერთ-ერთი ლიცეუმის დირექტორი მკაცრად ამოწმებდა მოსწავლეთა დასწრებას. ეს ქალი არ იზარებდა და მაღალ კლასებში თვითონ კითხულობდა სიას. ერთ "რეციდივისტს" განსაკუთრებით დაადგა თვალი, გასაქანს არ აძლევდა და თან ემუქრებოდა, ერთი დაუსაბუთებელი გაცდენა და აქედან წუილით გაგაგდებო. იმ დილით ბიჭი ისევ არ გამოცხადდა; დირექტორს ბრაზისგან კინაღამ ტვინში სისხლი ჩაექცა - ეს უკვე მეტისმეტიაო - გაიძახოდა. მადამ ნ. წასულა სამდივნოში და ტელეფონით მშობლებისთვის დაურეკავს. შეწუხებულ დედას უთქვამს, ჩემი შვილი ავად გახდა, ლოგინში წევს, სიცხისგან ალები ასდის და მეც ზუსტად ახლა ვაპირებდი ლიცეუმში დარეკვას და თქვენს გაფრთხილებასო. ნ.-ს კმაყოფილს დაუკიდია ყურმილი. ყველაფერი წესრიგშია, ერთი დეტალის გამოკლებით, მადამ ნ. კაბინეტში დაბრუნებისას "რეციდივისტს" დერეფანში შეეჩეხა. თურმე ის უბედური სიის ამოკითხვისას ტუალეტში ყოფილა.

18

ინტერნატს, ჩვეულებრივ სკოლასთან შედარებით, გარკვეული უპირატესობები გააჩნია, თუნდაც იმიტომ, რომ მოსწავლის აქეთ-იქით ბოდიალსა და უაზრო წრიალს სკოლასა და სახლს შორის შემოფარგლავს და მას ორ, ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავებულ რეალურ დროში ამწესებს;

მათთვის კვირა ორ ნაწილად იყოფა - სამუშაო დღეები და შაბათ-კვირა. ინტერნატი მოსწავლისთვის, ერთი მხრივ, სასკოლო რეალობაა, მეორე მხრივ კი - ოჯახური. შეგიძლია, მშვიდად დაწვე და დაიძინო ისე, რომ არ იზრუნო მშობლების მორიგი ტყუილით დამშვიდებაზე, დილით კი ადგე ნერვებდაწყნარებული და აღარ იხადო ბოდიშები გულის შეღონებამდე მოუმზადებელი დავალების გამო, იმიტომ, რომ ის უკვე გუშინ საღამოს გაკეთდა, საუკეთესო შემთხვევაში, ზედამხედველის ან მასწავლებლის დახმარებით. მოკლედ, სრული გონებრივი დასვენება, აღდგენილი ენერგიის უზარმაზარი მარაგი, არ არის გამორიცხული, სწავლაში დაიხარჯოს. არის თუ არა ეს ყოველივე საკმარისი იმისთვის, რომ ოროსანი კლასის ელიტაში გაძვრეს? ყოველ შემთხვევაში, ეს მას იმის შანსს მაინც მისცემს, რომ აწმყოში იცხოვროს. პიროვნება ხომ საკუთარი აწმყოს გაცნობიერებით ყალიბდება და არა მისთვის ზურგის შექცევით, მისგან განდგომით.
ამით ვასრულებ ინტერნატის ცხოვრებისადმი მიძღვნილ ქებათა-ქებას. თუმცა არა, ერთ-ორ სიტყვას კიდევ დავურთავ, ისე, უბრალოდ, ზოგიერთების დასაფრთხობად. ვინაიდან მე თვითონ მისწავლებია იქ, ვიტყვი, რომ საუკეთესოდ მხოლოდ ის ინტერნატები შეიძლება მივიჩნიოთ, სადაც ცხოვრებას თავად მასწავლებლებიც არ თაკილობენ, სადაც, საჭიროების შემთხვევაში, ისინი დღე-ღამის ნებისმიერ მომენტში მისაწვდომნი არიან.

19

უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო ორი ათეული წლის განმავლობაში, როცა ინტერნატს არც ისე სანაქებო სახელი ჰქონდა, კინოსა და ლიტერატურაში განსაკუთრებული პოპულარობით სამი ნაწარმოები სარგებლობდა: "მკვდარი პოეტების საზოგადოება", "ჰარი პოტერი" და "ქორისტები". სამივეში მოქმედება ინტერნატში ვითარდება. სამი მოძველებული ყაიდის სასწავლო დაწესებულება მათთვის დამახასიათებელი ატრიბუტებით: უნიფიცირებული სამოსი, ტრადიციული რიტუალები და ფიზიკური დასჯა - ანგლოსაქსებში; ნაცრისფერი ბლუზები, პირქუში შენობები, ხავსმოკიდებული, გადაღეჟებული მასწავლებლები და სილის გალაწუნება - "ქორისტებში".
სულაც არ იქნებოდა ურიგო, გაგვეანალიზებინა ის ენთუზიაზმი და აღფრთოვანება, რომლითაც ახალგაზრდობამ 1989 წელს "მკვდარი პოეტების საზოგადოება" მიიღო. ეს ის ფილმია, რომელიც კრიტიკოსებმა და მასწავლებლებმა ერთსულოვნად გააცამტვერეს და მიწასთან გაასწორეს: დემაგოგია, განუკითხაობა, არქაულობა, აბდაუბდა, შეუსაბამობა, სენტიმენტალობა, კინემატოგრაფიული და ინტელექტუალური უბადრუკობა. არგუმენტების ამ ნიაღვარს ძნელია, კაცმა რამე გონივრული დაუპირისპიროს... გარდა ლიცეუმელთა არმიებისა, რომლებიც კინოთეატრებს მიაწყდნენ და იქიდან ბედნიერებისაგან გაბრწყინებულები ბრუნდებოდნენ. თუ ჩავთვლით, რომ მოზარდები მხოლოდ ფილმის ნაკლოვანებებით მოინუსხნენ, გამოდის, რომ მთელ თაობას ხაზი უნდა გადაუსვათ. თანაც, ჩემი მოსწავლეების მზერას, მაგალითად, მასწავლებელ კითინგის ანაქრონიზმები სულაც არ გამოჰპარვია, არც მისი არაკეთილსინდისიერება:

- ეს კითინგი, მასწ, თავისი Carpe diem-ით 8(Carpe diem /quam minimum credula postero (ლათ.) - ნაწყვეტი ჰო რაციუსიდან, რომელიც ასე ითარგმნება: "ისარგებლე დღევანდელი დღით და ნუ იფიქრებ ხვალინდელზე/".) არც ისე პატიოსნად იქცევა. ისე ლაპარაკობს, გეგონება, ისევ XVI საუკუნეში ვცხოვრობდეთ; არადა, XVI საუკუნეში ადამიანები ბევრად უფრო ადრეულ ასაკში კვდებოდნენ, ვიდრე დღეს!

- ამას გარდა, ამაზრზენია, როცა ფილმის დასაწყისში მოსწავლეებს სახელმძღვანელოს დახევისკენ მოუწოდებს, ამ დროს კი პრეტენზია აქვს იმაზე, რომ ძალიან ღია და თავისუფლად მოაზროვნე ადამიანია... იქნებ იმ წიგნების დაწვით დაეწყო, რომლებიც მას არ მოსწონს? მე ამას არ დავთანხმდებოდი.

თუ ერთ-ორ ასეთ კრიტიკულ განცხადებას ყურადღებას არ მივაქცევთ, ჩემი მოსწავლეები გაგიჟდნენ, ფილმი ისე მოეწონათ. ყოველმა მათგანმა ორმოცდაათიანი წლების მიწურულის ამერიკელ ახალგაზრდებში საკუთარი თავი ამოიცნო, რომლებთანაც, კულტურული და სოციალური თვალსაზრისით, სინამდვილეში შეიძლება ისეთივე სიახლოვე ჰქონოდათ, როგორც მარსის ბინადრებთან. რობინ უილიამსზე კი ყველას საერთოდ გონება გადაეკეტა (უფროსები უნისონში ყაყანებდნენ, როლის შესრულებისას ზომიერების გრძნობა დაკარგა და, ცოტა არ იყოს, ზედმეტი მოუვიდაო). მის მიერ განსახიერებული მასწავლებელი კითინგი, მათი ღრმა რწმენით, ადამიანობისა და საკუთარი პროფესიისადმი სიყვარულისა და ერთგულების მაგალითი იყო - საგნით უკიდურესობამდე გატაცება, მოსწავლეებისადმი გამოცხადებული ნდობა და ერთგულება, და ეს ყველაფერი გუნდის მწვრთნელისთვის დამახასიათებელ ულევ ენერგიასთან შერწყმული. დახურული ინტერნატი და მის სამყაროში შეღწევის შეუძლებლობა განსაკუთრებულ დინამიურობას სძენდა კითინგის გაკვეთილებს და დრამატული სიახლოვის ატმოსფეროს ქმნიდა. ჩვენი ახალგაზრდა მაყურებლები კი ღირსეული სტუდენტის რანგში აჰყავდა. მათ თვალში კითინგის გაკვეთილები სხვა სამყაროში გადასვლის ერთგვარი რიტუალი იყო, სამყაროში, რომელში შეღწევის უფლებაც მხოლოდ მათ ენიჭებოდათ. დიახ, მათ და სხვას არავის. აქ არც ოჯახს და, სხვათა შორის, არც მასწავლებლებს არაფერი ესაქმებოდათ. აი, რა მომახალა ერთმა ჩემმა მოსწავლემ ზედმეტი მიკიბ-მოკიბვის გარეშე:

- გასაგებია, მასწავლებლებს არ მოსწონთ, მაგრამ ავიწყდებათ, რომ ეს ფილმი ჩვენია და არა მათი!

ზუსტად ასევე ფიქრობდა, ალბათ, ზემოთ ხსენებული მასწავლებლების უმრავლესობა ოცი წლით უფრო ადრე, როცა თავად დადიოდნენ სკოლაში და 1969 წელს კანის კინოფესტივალზე ინტერნატზე გადაღებული სულ სხვა ფილმის ოქროს პალმის რტოთი დაჯილდოებას ზეიმობდნენ; ფილმში საუკეთესო მოსწავლეები წმინდა წყლის ბრიტანული სულისკვეთების კოლეჯს იერიშით იღებენ. სკოლის სახურავზე განლაგებული მეამბოხენი ეზოში პრემიების გადასაცემად შეკრებილ მშობლებს, მასწავლებლებსა და ეპისკოპოსს ესვრიან. უფროსი თაობის მაყურებლები, როგორც ეს მოსალოდნელი იყო, აღშფოთებას ვერ მალავდნენ და ფილმს უკანასკნელი სიტყვებით ლანძღავდნენ. სტუდენტები და მოსწავლეები კი აღფრთოვანებულები იყვნენ: ეს ჩვენი ფილმია და არა - მათი!

როგორც ჩანს, დრო შეიცვალა.

მაშინ კი გავიფიქრე, რომ სკოლაზე შექმნილი ყველა ფილმის შედარებითი ანალიზი მრავლისმთქმელი იქნებოდა იმ საზოგადოებისთვის, რომლის წიაღშიც ისინი აღმოცენდა. ჟან ვიგოს ფილმიდან, "ნული ყოფაქცევაში" (1932) დაწყებული და "მკვდარი პოეტების საზოგადოებით" დამთავრებული. მათ შორისაა კრისტიან-ჟაკის "სენტ-აჟილიდან გამქრალნი" (1939), ჟან დრევილის "ბულბულთა გალია"

(1944, "ქორისტების" წინაპარი), რიჩარდ ბრუქსის "ბოროტების მარცვალი" (აშშ, 1955), ფრანსუა ტრიუფოს "ოთხასი დარტყმა" (1959), მიხალკოვ-კონჩალოვსკის "პირველი მასწავლებელი" (სსრკ, 1965), ვალერიო ძურლინის "მასწავლებელი" (1972). ამ მხრივ საინტერესოა 1990 წლების შემდეგ გადაღებული ფილმები: დანიელე ლუკეტის "ჩანთიანი მამაკაცი" (1991), ირანელი რეჟისორი ქალის - სამირა მახმალბაფის "შავი დაფა" (2000), აბდელატიფ კეშიშეს "აცდენა" (2002) და კიდევ რამდენიმე ათეული ფილმი.

ჩემი შედარებითი ანალიზის პროექტი ჩანაფიქრის სტადიას არ გასცდენია. ნებისმიერს შეუძლია ამით დაკავდეს, თუ ეს უკვე გაკეთებული არ არის. ყოველ შემთხვევაში, რეტროსპექტივის, წარსულისთვის კიდევ ერთხელ თვალის შევლების ნამდვილი მიზეზი ნათლად გამოიკვეთა. ჩამოთვლილი ფილმებიდან, როგორც ერთი, ყველა არნახული წარმატებით სარგებლობდა. ეს კი არაერთი დასკვნის გამოტანის საშუალებასაც იძლევა, აი, თუნდაც, ასეთის: რაბლედან 9 (ფრანსუა რაბლეს (1493-1553), რომანში "გარგანტუა და პანტაგრუელი", ყრმა გარ განტუას პირველი მასწავლებლები, ღვთისმეტყველების მაგისტრი ტუბალ ოლო ფერნი (შუასაუკუნეებისთვის ნიშნეული გონებრივი ჩამორჩენილობისა და ჭკუა ნაკლებობის სიმბოლო) და ანტიკური ეპოქის იდეალების მიმდევარი, ბრძენი და გან სწავლული პონოკრატი იყვნენ. დაწყებული, გარგანტუების ყოველ თაობას ოლოფერნების წინაშე ჭაბუკური ძრწოლა იპყრობს, იმავდროულად პონოკრატების აუცილებლობის განცდა ეუფლება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს არის უსასრულოდ განმეორებადი მცდელობა თვითდამკვიდრებისათვის დროისა და ადგილის სულისკვეთების შეწინააღმდეგების გზით და პიროვნული განვითარების სურვილი მისთვის სამაგალითო მასწავლებლის ხელმძღვანელობით.

20

მაგრამ, მოდი, ისევ მივუბრუნდეთ მეტად საჭირბოროტო საკითხს - მომავალში რა გამოვა ჩვენგან? ვინ ვიქნებით?
1959 წლის თებერვალი - 1969 წლის სექტემბერი - ათი სრული წელიწადი გავიდა დედაჩემისადმი გაგზავნილ სასოწარკვეთილებით გაჟღენთილ წერილსა და მამაჩემის მიერ პედაგოგი ვაჟიშვილისადმი გამოგზავნილ წერილს შორის.
ათი წელი, რომლის განმავლობაში ჩემგან რაღაც გამოიჩარხა.

რას უნდა მივაწეროთ ყოფილი ოროსნის მასწავლებლად გარდაქმნა?

რა განაპირობებს ამ ლამის დაუჯერებელ მეტამორფოზას?! ან, როგორ შეიძლება, უმეცარი ხისთავასაგან ერთ მშვენიერ დღეს მწერალი დადგეს? ბუნებრივია, უპირველესად ეს კითხვები მომდის თავში.

როგორ გავხდი ის, რაც დღეს ვარ?

დიდია ცდუნება, რომ ეს კითხვა საერთოდ უპასუხოდ დარჩეს, თუნდაც იმის მომიზეზებით, რომ როგორც ფორთოხლის, ასევე პიროვნების მომწიფება აღწერას არ ექვემდებარება. რა მომენტში

ეშვება ყველაზე ჯიუტი, მოუხელთებელი და თავნება მოზარდი სოციალური რეალობის ნიადაგზე? როდის იღებს გადაწყვეტილებას, ამ თამაშში დროებით ჩაერთოს? და საერთოდ, არის კი გადაწყვეტილება ყველაფრის განმსაზღვრელი? რამდენად მნიშვნელოვანია ევოლუციაში უჯრედშიდა ქიმიური პროცესებისა და ნეირონების ქსელის ჩამოყალიბების წილი? ყველა ასეთი კითხვა მთავარი თემის თავიდან აცილების სრულ შესაძლებლობას იძლევა.
- თუ ის, რაც თქვენს უმაქნისობასა და წარუმატებლობაზე გიწერიათ, ნამდვილად შეეფერება სიმართლეს, - შემომეკამათება ზოგიერთი - მაშინ ეს მეტამორფოზა ბურუსით მოცული საიდუმლოა!

რაც მართალია, მართალია, მსგავსი შემთხვევა ძნელად დასაჯერებელია. რას იზამ, ასეთია ოროსნის ბედი: მისი არასდროს სჯერათ. სულ იმას საყვედურობენ, რომ წუწუნითა და ჩივილით, უბრალოდ, სიზარმაცეს მალავს: "კიდევ რამდენი ზღაპარი შეიძლება მოვისმინოთ შენგან, კმარა! ახლა დაჯექი და იმეცადინე!" როგორც კი გარკვეული სოციალური სტატუსის დამკვიდრებას მოახერხებს, ბოლოს და ბოლოს ჭაობიდან ამოძვრება, ეჭვი უჩნდებათ, რომ ცდილობს, თავის წარმატებას ფასი დაადოს: "და ამას ყოფილი ოროსანი ამბობს. არა, გენაცვალე, შენ თავს გაგივიდა, შენი ბაქიაობაღა გვაკლდა ახლა". საქმე ისაა, რომ ზარმაცების დასამცირებლად მოგონილი, ეგრეთ წოდებული, "ვირის ჩაჩი" ადამიანმა მოგვიანებითაც შეიძლება სიამოვნებით ატაროს. ზოგიერთს საზოგადოებაში ასეთი მორთულობის ტარება სიამაყესაც განაცდევინებს. ის თქვენ გამოგარჩევთ იმათგან, რომელთა ერთადერთი დამსახურება უკვე გაკაფული და ბევრჯერ ნაცადი ცოდნის გზით სიარულია. ბომონდი საცსეა ასეთი გმირი ოროსნებით. მოდურ სალონებსა თუ რადიოში ისინი სკოლის სიმწარესა და გადატანილ უსიამოვნებებს ლამის წინააღმდეგობის მოძრაობის მონაწილეთა მიერ ჩადენილ საგმირო საქმეებთან აიგივებენ. პირადად მე მსგავსი მონათხრობების მხოლოდ მაშინ მჯერა, თუ მათში ტკივილგადატანილი ადამიანის აღსარება იგრძნობა, იმიტომ, რომ წარუმატებლობა შეიძლება განკურნებადი იყოს, მაგრამ წარმოუდგენელია, მის მიერ დატოვებულმა ჭრილობებმა ოდესმე ბოლომდე პირი შეიკრას. მსგავსი ბავშვობა შეუძლებელია, ბედნიერი ყოფილიყო, ამიტომ მისი გახსენება, მით უმეტეს მისით ყოყოჩობა სიამოვნების მომანიჭებელი ნამდვილად ვერ იქნება. და რა იძლევა, მითხარით ერთი, ბაქიაობის საფუძველს?! ეს იგივეა, ასთმისგან განკურნებულმა პაციენტმა იტრაბახოს, თქვენ არ იცით, რამდენჯერ ვიყავი სიკვდილის ზღვრამდე სულის ხუთვისგან მისულიო. ერთს ვიტყვი დანამდვილებით: ოროსანი, რომელიც, როგორც იქნა, ფონს გავიდა და გადარჩა, არავითარ შემთხვევაში არ ისურვებს, ვინმემ შეიცოდოს და თავზე ხელი გადაუსვას. პირიქით, ის ოცნებობს, ერთხელ და სამუდამოდ ყველაფერი დავიწყებას მიეცეს. ყველაფერმა წყვდიადში ჩაყვინთოს უკან მოუბრუნებლად. ის ნატრობს, ამ სირცხვილისგან გათავისუფლდეს; თანაც, გულის სიღრმეში შესანიშნავად აცნობიერებს, რომ შეიძლებოდა ყველაფერს უარესი დასასრული ჰქონოდა - ვერც ვერასდროს ამომძვრალიყო იმ ჭაობიდან. განა ასეთები უმრავლესობას არ შეადგენენ?! მე ყოველთვის მივიჩნევდი, რომ სასწაულებრივად გადავრჩი.

ბოლოს და ბოლოს, რა გადამხდა თავს, რა მოხდა ჩემში ამ ათი წლის განმავლობაში?

გაინტერესებთ, როგორ გამოვძვერი?

მოდი, თავიდანვე ერთი რამ დავაზუსტოთ: მოზარდები და მოზრდილები, ცნობილი ამბავია, დროს განსხვავებულად აღიქვამენ. მოზრდილი ადამიანის თვალში, რომელიც თავის არსებობას

ათწლეულობით ზომავს, ათი წელი ზღვაში წვეთია. მერე როგორ სწრაფად გარბის დრო, როცა უკვე ორმოცდაათმა მოგიკაკუნა! სწრაფმავლობის განცდა, სხვათა შორის, ამძაფრებს დედების შფოთვასა და სადარდებელს საკუთარი ვაჟიშვილის მომავალზე: ხუთ წელიწადში უკვე გამოცდა აქვს ჩასაბარებელი ბაკალავრის ტიტულის მოსაპოვებლად. ღმერთო, ეს ხომ ლამის ზეგაა! როგორ გინდა, რომ ბავშვი ასეთ მოკლე ვადაში რადიკალურად შეიცვალოს. ბიჭისთვის კი ამ ხუთიდან ყოველი წელი ათასწლეულის ტოლფასია. მის თვალში მთელი მომავალი დამდეგი სამი დღით განისაზღვრება. მასთან მომავალზე საუბარი ნიშნავს, ადგე და უსასრულობის გაზომვა დეციმეტრებში მოსთხოვო. ზმნა "გახდომა" მის სრულ პარალიზებას მხოლოდ ამიტომ იწვევს. ის მასში მშობლების დარდს, წუხილსა და მისი მისამართით გამოთქმულ საყვედურებს ხედავს; "მომავალი - აი, ეს არის ყველაზე უარესი, რაც შეიძლება თავს გადამხდეს!" - ასე ვთარგმნიდი ჩემთვის მასწავლებლების სიტყვებს, როცა ისინი დუქმორეული მიმტკიცებდნენ, რომ ჩემგან არაფერი გამოვიდოდა. როცა მათ ყურს ვუგდებდი, ცხადია, დროზე ელემენტარული წარმოდგენაც არ მქონდა, უბრალოდ, მათი სიტყვისა მჯეროდა "გამოუსწორებელი კრეტინი! შენგან კაცი არასდროს დადგება!" "სამუდამოდ", "არასდროს" - აი, ერთეულები, რომლებსაც შელახული თავმოყვარეობა ოროსანს დროის გასაზომად სთავაზობს. დრო... აბა, რა ვიცოდი მაშინ, რომ სიბერისთვის უნდა მიმეღწია, რათა მისი სვლა ლოგარითმულად აღმექვა (თუმცა ლოგარითმები თავიანთი ტაბულებით, ფუნქციებით, სკალებითა და ლამაზი მრუდეებით ჩემთვის ჩინური ანბანი იყო), მაგრამ, როგორც კი მასწავლებელი გავხდი, ინსტინქტურად მივხვდი, რამდენად ფუჭი იყო ჩემი ყველაზე უფრო წყალწაღებული მოსწავლეების თავზე მომავლის კომბლის ქნევა. ყველაფერს თავისი დრო აქვს, ყოველ დღეს თავისი სადარდებელი მოაქვს და დღევანდელი დღის ყოველ საათს თავისი ფასი ადევს. მთავარია, მისი აღქმის უნარი არ დავკარგოთ, ყველამ ერთად მოვახერხოთ და ვიცხოვროთ მისით.

აი, ბავშვობაში მე, როგორც კი საკლასო ოთახში ფეხს შევდგამდი, მაშინვე დროის მიღმა აღმოვჩნდებოდი ხოლმე. მეჩვენებოდა, რომ ვერტიკალურად მოშვერილი მასწავლებლის მზერა, მფრინავი თეფშის მიერ გამოშვებული სხივის დარად, პირდაპირ ამაგლეჯდა მერხზე ჩემთვის მიჩენილი ადგილიდან და სადღაც გადამისროდა. მაინც სად? მის თავში! მასწავლებლის თავში! ეს იყო მფრინავი თეფშის ლაბორატორია. იქ კი უმალ ადგენდნენ ჩემი უმაქნისობისა და უტვინობის მასშტაბებს. შემდეგ, უკვე განსხვავებული მზერის საშუალებით, ისევ უკან გადმომისროდნენ, როგორც გადამუშავებულ, უვარგის მასალას. და ვგორავდი ნეხვის ველზე და ვერ ვიგებდი ვერაფერს - ვერც იმას, რასაც მასწავლიდნენ და ვერც იმას, რასაც ჩემგან მოელოდნენ. არცაა გასაკვირი, მე ხომ სრულიად უუნაროდ ვიყავი შერაცხული. სამაგიეროდ, მსგავსი ვერდიქტი სავსებით ამართლებდა ჩემს მცონარობასა და უსაქმურობას. მართლაც, რაზე მომეკლა თავი, თუ უმაღლესმა ხელისუფლებმა გადაწყვიტეს, რომ ჩემი საშველი არ იქნება და დაღუპული ადამიანი ვარ?! როგორც ჩანს, მე ჯერ კიდევ მაშინ ვიყავი კაზუისტიკისკენ მიდრეკილი. ყველაფერში უნიჭო როდი ვიყავი. როცა მასწავლებელი გავხდი, თავადაც არ გამჭირვებია ჩემს ოროსნებში მსგავსი ნიჭის გამოაშკარავება.

შემდეგ გამოჩნდა ის ღვთისნიერი, ჩემი პირველი მხსნელი.

ფრანგული ენის მასწავლებელი.

მესამე კლასში.

მან ჩემში დაინახა ის, ვინც სინამდვილეში ვიყავი - უეშმაკო და ჭკუამხიარული ფანტაზიორი მსუბუქი სუიციდური მიდრეკილებით.

შეუსრულებელი დავალებებისა და შეუსწავლელი გაკვეთილების გასამართლებლად ერთიმეორეზე უფრო მახვილგონივრული, დახვეწილი და დამაჯერებელი ტყუილების გამოცხობის ჩემი საოცარი ნიჭით გაოგნებულმა საერთოდ გამათავისუფლა ყოველდღიური თემების წერისგან და პირდაპირ რომანი შემიკვეთა. ეს რომანი ტრიმესტრის მიწურულს მაგიდაზე უნდა დამედო. მოკლედ, კვირაში თითო თავს თუ შევთხზავდი - ეს სულაც არ მესახებოდა შეუძლებლად. თემის არჩევაში სრული თავისუფლება მომენიჭა. ერთი თხოვნა წამიყენა მხოლოდ: გამზადებული ნაწილები ორთოგრაფიული შეცდომების გარეშე უნდა ჩამებარებინა, რათა "კრიტიკული შენიშვნების დონე ამემაღლებინა" (ეს ფორმულირება დღემდე მახსოვს, სამაგიეროდ, რომანისგან ჩემს მეხსიერებაში ნაკვალევიც კი არ დარჩა).

ეს იყო ძალიან მოხუცი მასწავლებელი, რომელსაც გადაეწყვიტა, დარჩენილი ცხოვრების წლები ჩვენთვის მოეძღვნა. პარიზის ჩრდილოეთის გარეუბანში მდებარე კერძო სასწავლო დაწესებულებაში იმიტომ მუშაობდა, რომ პენსიისთვის ერთი-ორი სუ კიდევ მიემატებინა. მოკლედ, ეს იყო ძველმოდურ ყაიდაზე გაზრდილი, გასაოცრად ზრდილობიანი უხუცესი მასწავლებელი, რომელმაც ჩემში მთხრობელი აღმოაჩინა. ის მიხვდა, რომ ჩემი მორჯულება და უმეცრების ჭაობიდან ამოთრევა მხოლოდ თხრობას შეეძლო. მეტიც, ეს მას ერთადერთ შანსად ესახებოდა ჩემში მეცადინეობისა და ცოდნის დაუფლების სურვილის აღსაძვრელად. რომანის წერას დიდი ენთუზიაზმით შევუდექი. ყოველი სიტყვის ორთოგრაფიულ სისწორეს ლექსიკონში ვამოწმებდი (ეს ლექსიკონი, სხვათა შორის, დღემდე ვერ მომიცილებია) და ყოველი კვირის ბოლოს თითო თავს პროფესიონალისთვის დამახასიათებელი პუნქტუალობით ვაბარებდი. ვფიქრობ, რომ რომანი საშინლად სევდის მომგვრელი უნდა ყოფილიყო, რადგან იმხანად თომას ჰარდის ძლიერი ზეგავლენის ქვეშ გახლდით მოქცეული. მის ნაწარმოებებში გაუგებრობებს კალეიდოსკოპური სისწრაფით კატასტროფები ენაცვლება, კატასტროფებს კი - გამოუსწორებელი ტრაგედიები, რაც სრულიად შეესატყვისებოდა ჩემს მიდრეკილებას ფატალიზმისადმი; ასეა, თავიდან ციდან ვარსკვლავებს ვერ მოწყვეტ.

ვეჭვობ, რომ იმ წელს სწავლაში რაიმე არსებითი პროგრესი დამტყობოდა. ის კია, რომ მასწავლებელმა, პირველად ცხოვრებაში, გარკვეული სტატუსი მომანიჭა. მე ვიღაცის თვალში უკვე ვარსებობდი როგორც მოსწავლე, ინდივიდუმი, მკვეთრად განსაზღვრული ცხოვრების ხაზით, რომელსაც ის უნდა მიჰყვეს, და თავისი მომავლით. ბუნებრივია, ჩემი მხსნელის და კეთილისმყოფელის მიმართ უზომო მადლიერების გრძნობით აღვივსე. მართალია, მოხუცი თავშეკავებული და ცოტათი დისტანციურიც კი იყო, მაგრამ ჩემთვის, როგორც მკითხველთა ერთგვარი ფარული საზოგადოების წევრისთვის, ის მაინც მესაიდუმლედ დარჩა.

- აბა, რას ვკითხულობთ ამ მომენტში, პენაკიონი?

მე კი ნამდვილად ვკითხულობდი!

მაშინ რას ვიფიქრებდი, რომ სწორედ კითხვა გადამარჩენდა საბოლოოდ.

იმხანად რომანების კითხვა სულაც არ ითვლებოდა უაზრო გმირობად, როგორც დღეს. მიიჩნევდნენ, რომ ეს დროის ფუჭი ფლანგვა საზიანოა მეცადინეობისთვის, და ამიტომ, სასტიკად იყო აკრძალული სკოლის საათებში. აი, სწორედ მაშინ შევიძინე "იატაკქვეშა" მკითხველის ჩვევები. უცხო მზერის მოსატყუებლად რომანი შემოკრული დამქონდა, როგორც სახელმძღვანელოები. სად არ შევჩურთავდი ხოლმე მათ. ვკითხულობდი ღამეც ანთებული ჯიბის ფარნით ხელში. ფიზკულტურის გაკვეთილებს ხომ საერთოდ არ ვესწრებოდი. დავეთხოვებოდი მასწავლებელს, სადმე, კუთხეში მოვკალათდებოდი და ვკითხულობდი და ვკითხულობდი. ყველა ეშმაკობას მივმართავდი, ოღონდაც წიგნით ხელში მარტო დავრჩენილიყავი. ეს ჟინი ჩემში ინტერნატმა გააღვიძა. მე საკუთარი სამყარო მჭირდებოდა და ეს სამყარო წიგნებმა შემიქმნა. სახლში ყოფნისას მეტწილად უფრო ვაკვირდებოდი, თუ როგორ კითხულობდნენ სხვები: მამაჩემი, მაგალითად, მოკალათდებოდა ხოლმე სავარძელში, ტორშერის ქვეშ და კითხულობდა ფეხი ფეხზე გადადებული. ზოგჯერ გაშლილ წიგნს მუხლზე დაიდებდა და ჩიბუხს ტენიდა. დრო და დრო უსახელო თითს რუდუნებით დავარცხნილი თმის გამყოფ ხაზს გააყოლებდა ხოლმე. ჩემი ძმა ბერნარი ჩვენს ოთახში, მოხრილი მუხლებით გვერდზე იყო მიწოლილი. მარჯვენა ხელი თავქვეშ ჰქონდა ამოდებული... რამხელა სიამოვნება და კომფორტი იკითხებოდა ასეთ პოზებში... სინამდვილეში, კითხვის ფიზიოლოგიამ, თუ შეიძლება ასე ითქვას, მოახდინა ჩემზე დიდი შთაბეჭდილება. შეიძლება, თავიდან იმიტომ ავიღე წიგნი ხელში, რომ კითხვისას ჯერ ეს და მერე სხვა პოზები მომესინჯა. მოკლედ, დავიწყე კითხვა და ფიზიკურად შევიგრძენი ბედნიერების ატმოსფერო, რომელშიც დღემდე ვიმყოფები; და მაინც, რას ვკითხულობდი? ანდერსენის ზღაპრებს. ამის მიზეზი საძაგელ იხვის ჭუკში საკუთარი თავის აღმოჩენა იყო; ალექსანდრე დიუმას დაშნების, ცხენებისა და შეყვარებული გულების გამო ვეტანებოდი. ჰო, კიდევ სელმა ლაგერლოფი მომწონდა ძალიან;
ვგიჟდებოდი გიოსტა ბიორლინგზე, ამ არაჩვეულებრივ ლოთ პასტორზე, ეპისკოპოსმა სადღაც მოუსავლეთში რომ განდევნა. მის ურიცხვ თავგადასავლებში ეკების სხვა რაინდებთან ერთად მეც ვიღებდი აქტიურ მონაწილეობას. "ომი და მშვიდობა" ბერნარმა მაჩუქა, თუ მეხსიერება არ მღალატობს, ჩემ მეოთხე კლასში გადასვლასთან დაკავშირებით. ნატაშასა და კნიაზ ანდრეის სიყვარულის ამბავს პირველი წაკითხვისას გავეცანი, - რამაც რომანის გვერდების რაოდენობა დაახლოებით ასამდე შეამცირა; ნაპოლეონის ეპოპეა მესამე კლასში ყოფნისას წავიკითხე, მეორე მცდელობისას: აუსტერლიცის და ბოროდინოს ბრძოლები, მოსკოვის ხანძარი, რუსეთიდან უკან დახევა (აუსტერლიცთან ბრძოლას გიგანტური ტილო მივუძღვენი, სადაც ჩემი საიდუმლო ნაწერების კაცუნები ერთმანეთს უმოწყალოდ ხოცავდნენ), ესეც, დაახლოებით - ორასი-სამასი გვერდი. კიდევ ერთხელ "ომი და მშვიდობის" წაკითხვა მეორე კლასში მომიწია პიერ ბეზუხოვის გამო (კიდევ ერთი საძაგელი იხვის ჭუკი, რომელსაც უფრო მეტი ესმოდა, ვიდრე შეიძლებოდა, გეფიქრათ), ბოლოს - ამჯერად უკვე მთლიანად - გამოსაშვებ კლასში სწავლისას და ეს უკვე რუსეთის, კუტუზოვის, კლაუზევიცის, აგრარული რეფორმისა და თავად ტოლსტოის გამო. რა თქმა უნდა, გადავაბულბულე დიკენსიც.
ოლივერ ტვისტს ხომ მე ასე ვჭირდებოდი; ემილი ბრონტეც, რომლის ტანჯული სული საშველად მიხმობდა; სტივენსონიც, ჯეკ ლონდონიც, ოსკარ უაილდიც; შემდეგ იყო შეხვედრები დოსტოევსკისთანაც - "მოთამაშესთან" - უწინარეს ყოვლისა, (დღემდე გაუგებარია, რატომ იწყება დოსტოევსკის გაცნობა ყოველთვის "მოთამაშით"). ასე და ამგვარად ვკითხულობდი ყველაფერს, რასაც საოჯახო ბიბლიოთეკაში აღმოვაჩენდი. ჰო, "ტენტენი", "სპირუ" და "მკვლელები"

მავიწყდებოდა; "ბობ მორანი" ქუხდა პირდაპირ იმხანად. რომანები, რომლებსაც წინ და უკან დავათრევდი, სასწავლო პროგრამაში არ ფიგურირებდა. სწორედ ეს მესახებოდა მათ ყველაზე დიდ ღირსებად. მათ შესახებ არავინ არაფერს მეკითხებოდა. არავინ კითხულობდა ამ სტრიქონებს ჩემს თავს ზემოთ გადმოყუდებული. მათი ავტორები და მე ყოველთვის ერთმანეთის პირისპირ ვიდექით. შუამავალი არ გვყავდა. ამ ნაწარმოებების კითხვისას ვერ ვაცნობიერებდი, რომ ვვითარდებოდი, რომ ჩემში იღვიძებდა გატაცება, რომელიც ამ ავტორთაგან ზოგიერთის მივიწყების შემდეგაც კი გაუნელებლად იგიზგიზებდა. ყრმობის დროინდელი კითხვა გარესამყაროში გაჭრილი ოთხი კარით დამთავრდა, ოთხი ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავებული წიგნით, რომლებიც დღემდე აუხსნელი იდუმალებით მოცული მიზეზების გამო ჩემში ღრმა ნათესაური კავშირებით შეერწყნენ ერთმანეთს: "სახიფათო კავშირები", "უკუსვლა", როლან ბარტის "მითოლოგიები" და პერეკის "საგნები".

მე არ გახლდით დახვეწილი გემოვნების მკითხველი; იმედს ვიტოვებ, ფლობერი არ გამინაწყენდება, თუ ვიტყვი, რომ ვკითხულობდი, როგორც ემა ბოვარი თხუთმეტი წლის ასაკში, მხოლოდ ჩემი გრძნობების დასაკმაყოფილებლად, რომლებიც საბედნიეროდ გაუმაძღრები აღმოჩნდნენ. კითხვაში, სწავლის თვალსაზრისით, ვერანაირ სარგებელს ვერ ვპოულობდი. სულმოუთქმელად გადასანსლულ, ასევე მყისიერად დავიწყებულ ათასობით გვერდს ჩემი ორთოგრაფია არ გაუუმჯობესებია (თუმცა საყოველთაოდ გავრცელებული აზრი სრულიად საწინააღმდეგოს გვიმტკიცებს), ის დღემდე მოიკოჭლებს. გასაგებიცაა ჩემი მარადი კავშირი ლექსიკონებთან! თუ რამემ დროებით მაინც მიაღწია გამარჯვებას ჩემს შეცდომებთან ჭიდილში (ეს დროებითი გამარჯვება საბოლოო ტრიუმფის შესაძლებლობას იძლეოდა), ეს ის რომანი იყო, რომელიც მხცოვანმა მასწავლებელმა შემიკვეთა, ცოცხალი თავით რომ არ თანხმდებოდა ორთოგრაფიული ხასიათის შენიშვნებამდე დაცემას, მე მისთვის უშეცდომო ხელნაწერი უნდა წარმედგინა. მოკლედ, პედაგოგიკის გენიოსი იყო! შესაძლოა, მხოლოდ ჩემს თვალში და ერთ კონკრეტულ შემთხვევაში, მაგრამ მაინც გენიოსი!

დანარჩენ სამ მსგავს გენიოსს მესამე და მეორე კლასებს შორის შევხვდი. ამ სამ მხსნელზე მოგვიანებით კიდევ უფრო ვრცლად ვისაუბრებ: მათემატიკის მასწავლებელი, რომელიც თავად გახლდათ ხორცშესხმული მათემატიკა; ისტორიის მასწავლებელი, არაჩვეულებრივი ქალბატონი, რომელიც ისე ფლობდა ისტორიული გარდასახვის ხელოვნებას, როგორც არავინ, და ბოლოს, ფილოსოფიის პედაგოგი, რომელსაც დღემდე ვერაფრით გაუგია, რატომ ვარ მისი პიროვნებით აღფრთოვანებული, როცა თვითონ პირადად მე საერთოდ არ ვახსოვარ (წერილში გამომიტყდა). ეს დეტალი კიდევ უფრო ამაღლებს მას ჩემს თვალში, რადგან მან და მხოლოდ მან ერთადერთმა გააღვიძა ჩემში აზროვნების მთვლემარე უნარი თავისი პედაგოგიური ხელოვნების წყალობით და არა პირადად ჩემი პატივისცემის გამო. დიახ, ამ ოთხმა მასწავლებელმა მიხსნა საკუთარი თავისგან. იქნებ ისინი ძალიან გვიან შემოიჭრნენ ჩემს ცხოვრებაში? ვინ იცის, დაწყებითი კლასებიდანვე რომ ესწავლებინათ, თავიდანვე რომ დავდგომოდი მათ მიერ მითითებულ გზას, ჩემს მეხსიერებას ბავშვობის წლებზე განა ბევრად უფრო სასიამოვნო მოგონებები არ შემორჩებოდა? ასეა თუ ისე, თითოეული მათგანი ჩემთვის სასიამოვნო მოულოდნელობა აღმოჩნდა. საინტერესოა, წარმოადგენდნენ თუ არა ისინი სხვებისთვის ისეთივე აღმოჩენას, როგორსაც ჩემთვის? ეს კითხვა აუცილებლად უნდა დამესვა, რადგან ხასიათის თვისებები პედაგოგიკაში ძალიან მნიშვნელოვან როლს თამაშობს.

დღეს, როცა რომელიმე ყოფილ ნამოწაფარს ქუჩაში შემთხვევით გადავეყრები ხოლმე და ეს უკანასკნელი მეუბნება, ვინ მოთვლის, რამდენი ბედნიერი საათი მაქვს თქვენს გაკვეთილებზე გატარებულიო, სულ იმას ვფიქრობ, რომ ამ დროს ქუჩის მოპირდაპირე მხარეს, ტროტუარზე, შესაძლოა, მიაბიჯებს ადამიანი, რომლისთვისაც ეს ჩემი ნაქები გაკვეთილები სხვა არაფერი იყო, თუ არა მომაკვდინებელი სევდა.

მეორე მიზეზი იმ მეტამორფოზისა, რომელიც მე განვიცადე, იყო სიყვარული, რომელმაც მოულოდნელად ჩემი მოჩვენებითი უღირსობიდან ამოხეთქა. სიყვარული! სრულიად წარმოუდგენელი ისეთი მოზარდისთვის, როგორადაც საკუთარ თავს მივიჩნევდი. თუმცა სტატისტიკა სრულიად საწინააღმდეგოს გვიმტკიცებს. თურმე ასეთი რამ შესაძლებელია. მეტიც, გარდაუვალია (არა, რას ამბობთ, განა მე შემეძლო ვინმესთვის სიყვარული შთამეგონებინა?.. ნუთუ ასეთი ვინმე საერთოდ არსებობდა დედამიწის ზურგზე?). ჩემი შეხვედრა ამაღელვებელ პირველ სიყვარულთან არდადეგების ჟამს შედგა. ჩვენი ნახევრად პლატონური ურთიერთობა ძირითადად მგზნებარე მიმოწერით შემოიფარგლებოდა და მალევე დასრულდა "ორმხრივი შეთანხმების" საფუძველზე ჩვენი ახალგაზრდობისა და გეოგრაფიული სიშორის მომიზეზებით. მომდევნო ზაფხულს,უიღბლო სიყვარულით გულგატეხილი იუნგად მოვეწყე სავაჭრო გემზე, მგონი, ერთ-ერთ უკანასკნელზე "ლიბერთის" სანაოსნო კომპანიიდან, რომელიც ჯერ კიდევ დაცურავდა ატლანტიკის ოკეანის წყლებში. ...სამიჯნურო უსტარების მთელი დასტა ზღვაში მოვისროლე, რაზეც, მგონი, ზვიგენები მთელი წლის განმავლობაში გულიანად ხალისობდნენ. კიდევ ორ წელს მომიწია ლოდინმა, სანამ მორიგი სიყვარული კარზე მომიკაკუნებდა და გახდებოდა პირველი, მნიშვნელობით, ცხადია. სიყვარულის კიდევ ერთი რეინკარნაცია, რომელმაც ჩემს ცხოვრებაში ყველაფერი თავდაყირა დააყენა, ხოლო ჩემს ქრონიკულ უმეცრებასა და ოროსნობას სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა. მე ქალს ვუყვარდი! პირველად ცხოვრებაში მშვენიერი სქესის წარმომადგენელი, რომელზეც ელეთ-მელეთი მომდიოდა, სახელით მომმართავდა. საკუთარ ყურებს ვერ ვუჯერებდი. მე ვცოცხლობდი, ვარსებობდი ქალის თვალებში, მის გულში, მის ხელებს შორის, მის მოგონებებშიც კი. ეს ყველაფერი მეორე დღეს მის გამოხედვაში ამოვიკითხე. უამრავ მამაკაცს შორის მე გამომარჩიეს. მე რჩეული ვარ! მე, მე, მე! და ვინ? მან! (ყველაფერთან ერთად ის უმაღლესი პედაგოგიური სკოლის მოსამზადებელი ფაკულტეტის სტუდენტი გახლდათ, მე კიდევ ისევ ჩავრჩი გამოსაშვებ კლასში). უკანასკნელი კაშხლები გადმოინგრა: ღამღამობით წაკითხული ყველა წიგნი, ათასობით გვერდი, რომელთა დიდი ნაწილი უკვე წაიშალა მეხსიერებიდან, ფარულად დაგროვილი ცოდნა, რომლის არსებობის შესახებ არავინ უწყოდა, მათ შორის, მეც, ცოდნამ, დამარხულმა მივიწყების, თავგანწირულობის, უარყოფის, თვითგვემისა და განადგურების სქელი ფენის ქვეშ, ამ სიტყვიერმა მაგმამ იდეებით, გრძნობებითა და ათასი ჯურის ცოდნით რომ დუღდა, სირცხვილის მკვრივი ქერქი გაარღვია, ამოიფრქვა და გზა ჩემი ტვინისკენ იპოვა, რომელიც მყისიერად ბრჭყვიალა ვარსკვლავებით მოჭედილ ცას დაემსგავსა. მე მიყვარდა და არსებობდა ადამიანი, რომელსაც მეც ვუყვარდი. როგორ შეიძლებოდა ამდენ მგზნებარებას და ვნებას სიმშვიდე და თავდაჯერებულობა ეშვა? ჩემი იწამეს! და მეც მაშინვე ვიწამე საკუთარი თავის! რამდენიმე წელი, სანამ ეს ბედნიერება გრძელდებოდა, რაიმე იდიოტობისა და სისულელის ჩადენა აზრადაც არ მომსვლია თავში. პირიქით, გაასკეცებული ძალებით ვიზრდებოდი, წინ კი არ მივიწევდი, არამედ მივფრინავდი! სკოლის დამთავრების შემდეგ თვალის დახამხამებაში ფილოლოგის დიპლომსაც გამოვკარი ხელი. ამით არ დავკმაყოფილდი, დავამთავრე მაგისტრატურა, დავწერე პირველი რომანი, და ეს ყველაფერი როდია, ჯერ სად ხართ! - რამდენიმე რვეული პირთამდე გავავსე აფორიზმებით, რომლებიც ყოველგვარი ირონიის გარეშე "ლაკონიკებად" მოვნათლე; ამას გარდა დავწერე უამრავი თხზულება, მათ შორის,

ჩემი შეყვარებულის დაქალებისთვისაც, რომლებიც ასევე მოსამზადებელ ფაკულტეტზე სწავლობდნენ. ისინი ხომ გამუდმებით საჭიროებდნენ ჩემს ამოუწურავ და უსერიოზულეს ცოდნას აქტუალურ პრობლემებზე ისტორიის, ლიტერატურისა თუ ფილოსოფიის სფეროში. თქვენ წარმოიდგინეთ, ამ გაუთავებელ წერა-კითხვაში თავად მივეცი საკუთარ თავს ფუფუნების უფლება: გამოცდები ჩავაბარე მოსამზადებელ ფაკულტეტზე, რომელსაც შუა გზაზე თავი მივანებე. მე ჩემი პირველი რომანისთვის უნდა მომევლო! კალმისთვის სრული თავისუფლება უნდა მიმენიჭებინა, რათა მას საკუთარ ცაში საკუთარი ფრთებით ენავარდა! სხვა არაფერი მინდოდა. ჰო, ერთი რამ მსურდა სულით და გულით - მეგობარ გოგონას ჩემი სიყვარული არ განელებოდა.

მამაჩემის წახუმრებაზე, სკოლის დიპლომი რომ აგეღო, მთელი რევოლუციის მოხდენა დაგეჭირდა და ახლა ვინიცობაა, დისერტაციის დაწერა რომ მოგინდეს მსოფლიო კატაკლიზმებს უნდა ველოდოთო, გულიანად ვიცინე. არც პასუხი დამიყოვნებია: არა, მამა, რევოლუცია კი არა, სიყვარული დამჭირდა, სამი წლის სიყვარული! ის კია, რომ რევოლუციის ქარცეცხლი ნამდვილად გამოვიარეთ, მაგრამ არა ბრძოლის ველზე, არამედ ლოგინში. მე და იმან! რაც შეეხება დისერტაციას, არც იოცნებოთ! ვერ ვიტან აზარტულ თამაშებს! გამოვრიცხავ ყოველგვარი ცენზისთვის ბრძოლას. ისედაც იმდენი დრო დაიკარგა: მაგისტრატურა და ბასტა! სკოლის მასწავლებლის საარსებო მინიმუმი თავზე გადამივლის. თანახმა ვარ, ერთ უბრალო, არაფრით გამორჩეულ სკოლაშიც კი ვიმუშაო. ხომ გაგიგიათ, დამნაშავე ყოველთვის დანაშაულის ადგილს უბრუნდებაო. მივხედავ ბავშვებს, რომლებიც ჩემსავით ჯიბუტის ნაგვის ყუთებში იქექებიან. დიახ, ვასწავლი იმ უბედურებს, თან არასდროს დამავიწყდება, როგორი ვიყავი თავად... და ლიტერატურა, რომანი - თავისთავად ცხადია. პედაგოგიკა და რომანები: იკითხო, წერო და თან ასწავლო, ამას რამე სჯობს?!

ჩემ გამოღვიძებას მეტწილად მამაჩემის დაჟინებას ვუმადლი. დიახ, მამაჩემის, რომელიც ერთდროულად შორეული და უცნაურად ახლობელიც იყო ჩემთვის. ის არასდროს დათრგუნულა ჩემი წარუმატებლობით. ყოველთვის ახერხებდა, წინ აღდგომოდა გაქცევის ჩემს ნებისმიერ მცდელობას. საკმარისია, გავიხსენო, როგორ ვემუდარებოდი, ბოი-სკაუტების ჯგუფში ჩაწერის უფლება მომეცი-მეთქი. თოთხმეტის თუ ვიქნებოდი მაშინ; რამდენი ვიცინეთ ამაზე, როცა ოცი წლის შემდეგ, სამხედრო წვრთნებიდან მობრუნებულმა, წიგნაკი წარვუდგინე და წავაკითხე, რაც შიგ ეწერა: "მორიგი წოდება: მეორე კატეგორიის ოფიცერი", - გამოდის, ისევ მეორე კატეგორიის, არა? ასეც ვიცოდი, რომ მორჩილებისთვის სრულიად უუნარო იყავი და არც მეთაურის როლში ივარგებდი რამედ.

იყო კიდევ ერთი ძველი მეგობარი - ჟან როლენი, ფილოსოფიის მასწავლებელი, ჩემი ყრმობის მეგობრების ნიკოლას, ჟანასა და ჟან-პოლის მამა. ყოველ ჯერზე, როცა გამოსაშვებ გამოცდას ჩავაფლავებდი, არაჩვეულებრივ რესტორანში მეპატიჟებოდა და მარწმუნებდა, ყოველ ადამიანს ცხოვრების საკუთარი რიტმი აქვს, შენ კიდევ, უბრალოდ, განვითარებაში ცოტა სიჩქარე დაგაკლდაო. ჟან, ჩემო ძვირფასო, დაე, ამ ნაწერებმა, ცოტა დაგვიანებით, მაგრამ იმედია, მომიტევებ, იქ, შენს ფილოსოფიურ სამოთხეში ცოტათი მაინც გაგამხიარულონ.

მოკლედ, ჩვენგან, საბოლოოდ, ვიღაც ან რაღაც დგება; ისე, მაინცდამაინც საგრძნობლად კი არ ვიცვლებით, ის ვართ, რაც პრინციპში ვიყავით.

ახლა კი, ამ მეორე თავის მიწურულს, თავს ეჭვების მორევში გადაშვების უფლებას მივცემ - მიჩნდება ეჭვი ამ წიგნის აუცილებლობაზე, ეჭვი მისი დაწერის უნარზე, ეჭვი საკუთარ თავზეც, ეჭვი, რომელიც ცოტაც და ირონიულ შენიშვნებსა და კომენტარებში გადაიზრდება და მიზანში ჩემს საქმიანობასა და საერთოდ მთელ ჩემს ცხოვრებას ამოიღებს; ეჭვი, რომელიც სიმსივნესავით იზრდება, მატულობს, საზღვრებს აღარ ცნობს და ვრცელდება. ვერ დავიჩემებ, მსგავს კრიზისულ მდგომარეობას ჩვეული არ ვარ-მეთქი. ეს ჩემი ოროსნობის პერიოდის მძიმე მემკვიდრეობაა; ახალი აქ არაფერია, მაგრამ მაინც ვერ შევგუებივარ. ყოველ ჯერზე ვეჭვობ, როგორც პირველად (ისეთი განცდა მაქვს, თითქოს ასეთი რამ პირველად ხდება ჩემს თავს). ჩემი ეჭვები კი გამანადგურებელი ბუნებისაა; გზად ყველაფერს ანგრევს. ჩემთვის კარგად ცნობილი, ლამის მშობლიური დაღმართისკენ მიბიძგებს. რამდენადაც ძალა შემწევს, წინააღმდეგობას ვუწევ, მაგრამ დღითი-დღე ისევ იმ ოროსნად გარდავიქმნები, რომლის აღწერასაც აქ ვცდილობ. სიმპტომები ზუსტად ისეთივეა, როგორიც თორმეტი წლის ასაკში აღმენიშნებოდა: მეოცნებეობა, დღეს გასაკეთებელის ხვალისთვის გადადების სურვილი, დაბნეულება, მოდუნებული აზროვნება, გაფანტული ყურადღება, ჰიპოქონდრია, ნევროზი, საკუთარი წარუმატებლობით პათოლოგიური ტკბობა, გუნება-განწყობის მუდმივი ცვალებადობა, ყველაფერზე გაუთავებელი წუწუნი, და ბოლოს, კომპიუტერის ეკრანისადმი მიჯაჭვულობა და სრული გამოშტერება (როგორც ადრე მემართებოდა ხოლმე ამოცანის ან საკონტროლოს შესრულებისას). "მე ისევ აქ ვარ, არსად წავსულვარ", ხითხითებს ის ოროსანი, რომელიც ოდესღაც ვიყავი.

ვახელ თვალებს, ჩემი მზერა სამხრეთ ვერკორის სივრცეებში იწყებს ხეტიალს. ჰორიზონტზე ერთი სახლიც კი არ ჩანს. არც არავინ, არც არაფერი, თვალუწვდენელი ხრიოკი. ქვაღორღიან მინდვრებს გარს პიტალო მთები შემორტყმია. მხოლოდ აქა-იქ მდუმარედ დგანან წიფლის ხეები. ამ უსასრულო სიცარიელეს ზემოდან უზარმაზარი ცა მუქარანარევი მზერით დაჰყურებს. ღმერთო, როგორ მიყვარს ეს პეიზაჟი! სინამდვილეში, ეს ის ნანატრი ადგილია, სადაც გადასახლებას ბავშვობაში მშობლებს ვემუდარებოდი... ეს ის ჰორიზონტია, რომლის ფარგლებში არავინაა ვალდებული, ვინმეს ანგარიში გაუწიოს (გარდა იმ კურდღლისა, აი, იქ, მაღლა, კაკაჩას ასე რომ მოუვიდა თვალში). უდაბნოში ეშმაკი კი არ არის მაცდური, არამედ თვით უდაბნო: ბუნებრივი ცდუნება, განერიდო ყველას და ყველაფერს ამქვეყნად.

კარგი, საკმარისია.

მორჩი ამ სისულელეს!

აბა, დროზე მიხედე საქმეს!

კეთილი, თუ მუშაობაა, მუშაობა იყოს. დღე დღეს მიჰყვება, საათი საათს, სტრიქონი სტრიქონს, ჩვენ კი ვაგრძელებთ ვიღაცად ან რაღაცად ჩამოყალიბებას იმ წიგნთან ერთად, რომელსაც ვწერთ.

ჩვენგან ვიღაც დგება.

ერთნი აღრე ახერხებენ ამას, სხვანი - მოგვიანებით.

იშვიათად თუ აეწყობა ყველაფერი ისე, როგორც თავიდან ჩავიფიქრეთ, მაგრამ ერთი რამ ცხადზე უცხადესია: ჩვენგან ვიღაც ან რაღაც აუცილებლად გამოდის.

გასულ კვირას კინოთეატრიდან გამოვდივარ, მოულოდნელად, ქუჩაში, დაახლოებით ცხრა-ათი წლის გოგონა სირბილით მეწევა და გულამოვარდნილი მეუბნება:

- პატივცემულო, პატივცემულო!

რა მოხდა? ქოლგა ხომ არ დამრჩა დარბაზში? გოგონამ ისე ფართოდ შემომღიმა, ლამის ოცდათორმეტივე კბილი დავუთვალე. თითით უცხო მამაკაცზე მიმითითა, რომელიც ქუჩის მეორე მხარეს ტროტუარზე იდგა და თვალს არ გვაცილებდა.

- ის კაცი ბაბუაჩემია, ბატონო!

ბაბუა, ცოტა არ იყოს, შეიშმუშნა და უხერხულად მომესალმა.

- მისალმებას ვერ ბედავს, თქვენ ხომ მისი მასწავლებელი იყავით.

ერთი ამას დამიხედეთ, ბაბუა!.. თურმე ამ ბაბუას მასწავლებელიც ვყოფილვარ!

ასეა, ბატონო, ჩვენგან ვიღაც აუცილებლად დადგება.

- ...

მეოთხე კლასში გოგონას ემშვიდობებით (ღმერთო, როგორი შტერი იყო! სრული ნული, არაფრის მაქნისი, შტერი, შტერი. ეს თვითონაც აღიარა: ისეთი ქათამი ვიყავიო!), ოცი წლის თავზე კი აიაჩოში, ერთ-ერთი კაფეს ტერასაზე სიხარულისგან სახეგაბადრული ქალი მოგმართავთ:
- ბატონო, "ნუ შეეხებით გზად მიმავალი რაინდის მხარს!"

თქვენ ჩერდებით, უკან იხედებით, ახალგაზრდა ქალი ისევ შემოგღიმით. თქვენ მას "ხეივნის" გაგრძელებას უკითხავთ. ჩანს, რომ სუპერვიელის 13 (ჟიულ სუპერვიელი (1884-1960- ფრანგი მწერალი და პოეტი. მის კალამს ეკუთ ვნის პატრიოტული ლირიკის არაერთი კრებული: "ლექსები უბედურ სა ფრან გეთზე"(1941-1942),"1939-1945, ლექსები~ (1946). 1923 წელს გამოუშვა რო მანი"ადამიანი პამპასებიდან". დაწერილი აქვს უამრავი მოთხრობა და პიესა.)ეს ლექსი ორივეს კარგად გვახსოვს.

ერთ დღესაც ის დაბრუნდება

და დადგება უკუნი ღამე,

უვარსკვლავო და უღრუბლო.

ქალი ხარხარებს და კითხულობს:

რა ბედი ეწევა მაშინ ზეციერს,
მთვარეს, მის იდუმალ ჩურჩულს, მზეს, მის სითბოს და მცხუნვარებას?

და თქვენ პასუხობთ იმ პატარა გოგონას, ქალის ღიმილში რომ დალანდეთ, იმ ჯიუტსა და თავნებას, რომელიც ოდესღაც აიძულეთ, ეს ლექსი გაეზუთხა:

მოგიწევთ ლოდინი დიდხანს,

სანამ მეორე რაინდი,

ასევე უძლეველი და ყოვლისშემძლე,

აქ ჩამოვლას არ ინებებს.

პარიზი, ვზივარ კაფეში არხეინად და მეგობრებთან ვმასლაათობ. მეზობელი მაგიდიდან მამაკაცი ჩემკენ თითს იშვერს, თან თვალს არ მაცილებს. მე წარბებს მაღლა ვწევ და შეჭმუხნული შუბლით ვეკითხები, რამ შეგაწუხა, ბატონო-მეთქი. ამ დროს მომმართავს სახელით, მაგრამ, თქვენ წარმოიდგინეთ, არა ჩემით:

- დონ სეგუნდო სომბრა!

და მაიძულებს, თავბრუდამხვევი ნახტომით გადავეშვა წარსულში.

- მე შენ გასწავლიდი მეხუთე კლასში. ეს იყო 1982 წელს!

- სწორია, ბატონო, იმ წელს თქვენ "დონ სეგუნდო სომბრა", არგენტინელი რიკარდო გუირალდესის რომანი წაგვიკითხეთ.

მომკალი და ვერ ვიხსენებ იმ მოსწავლეების სახელებს, ვერც იმათ სახეებს, სხვათა შორის, რომლებსაც ასე, სრულიად შემთხვევით გადავეყრები ხოლმე, მაგრამ საკმარისია რომელიმე ლექსის პირველი სტრიქონი, ან ნაწარმოების სათაური წარმოთქვან, ან რომელიმე კონკრეტული გაკვეთილი გაიხსენონ, რომ მათში ის ბიჭუნა გამახსენდეს, რომელსაც ცოცხალი თავით კითხვა არ უნდოდა, ან ის გოგონა, რომელიც გამწარებული მიმტკიცებდა, მაინც ვერაფერს ვიგებ და სულ ტყუილად ირჯებითო. ამ დროს მათ ისეთივე სიზუსტით ვიხსენებ, როგორი სიზუსტითაც აღმიდგება სუპერვიელის ლექსები ან სეგუნდო სომბრას სახელი, დრომ ვერაფერი რომ ვერ დააკლო. თუმცა კი ვერ გამიგია, რატომ. მათში იცნობა ის შეშინებული გოგონაც და ის ქალიც, თავისი თაობის შესანიშნავი წარმომადგენელი, ის ჯიუტი და თავისნათქვამა ბიჭიც და ის მფრინავიც, ოკეანის თავზე საფრენი აპარატი ავტოპილოტზე რომ ჩაურთავს და თვითონ კი საინტერესო წიგნს ჩაღრმავებია.

ყოველი ასეთი შეხვედრისას რწმუნდები, რომ კიდევ ერთი ცხოვრება გაიფურჩქნა და აყვავდა, ისეთივე გაუთვალისწინებელი და მოულოდნელი, როგორც ღრუბლის ფორმა.

და ნუ დაირწმუნებთ თავს, რომ თქვენ, როგორც კი მათი მასწავლებელი გახდით, მაინცდამაინც დიდი ზეგავლენა იქონიეთ ამ ადამიანების ბედზე! ვუყურებ ჯიბის საათს, მინიმ, ჩემმა მეუღლემ რომ მაჩუქა ძალიან დიდი ხნის წინ ერთ-ერთ დაბადების დღეზე და რომელსაც არასდროს ვიშორებ. მსგავს ხუფიან საათს "სასაპნეს" უწოდებენ, და აი, ვუმზერ ამ ჩემს "სასაპნეს" და გონებაში თხუთმეტი წლით უკან ვინაცვლებ: ლიცეუმი ხ, აუდიტორია ყ, ვაკვირდები, როგორ ჩაჰკირკიტებს სრულ სიჩუმეში გამოსაშვები და პირველი კლასის სამოცი მოსწავლე საკუთარ მომავალს. ყველა, როგორც ერთი, ბეჯითად მუშაობს. თუმცა არა, აგერ ემანუელი, ფანჯარასთან რომ მოკალათებულა, ჩემგან მარჯვნივ, კათედრიდან სამი-ოთხი რიგის სიშორეზე, თითსაც არ ანძრევს; წინ თეთრი, ქათქათა ფურცელი უდევს და ჭერზე ბუზებს ითვლის. რაღაც მომენტში თვალს თვალში ვუყრით ერთმანეთს. ჩემი მზერა მეტყველია: "აბა, რას შვრები, ჯერ სიტყვაც არ დაგიწერია. იქნებ დროა, დაგეწყო მუშაობა. აბა, მიდი, დროს ნუ კარგავ!" ემანუელი თვალით მანიშნებს, მომიახლოვდიო. ორი წლის წინ ჩემი მოსწავლე იყო; ეშმაკი, ცოცხალი, უქნარა, ქოსატყუილა, ფანტაზიორი, მხიარული და თავისებურად გამბედავი ვინმეა. და აი, ახლა, ეს ვაჟბატონი ზის ჩემ წინ ცარიელი ფურცლით ხელში და უტიფრად მიხმობს. მხოლოდ იმიტომ ვთანხმდები მიახლოებაზე, რომ კარგად გავჯორო და ცოტა ტვინიც გავანძრევინო. მაგრამ ჩემი სამართლიანი შენიშვნების ნიაღვარს ვეღარ უძლებს და ხმაურიანი ამოოხვრით მაწყვეტინებს:

- ნეტავ იცოდეთ, როგორ ამომივიდა ეს ყველაფერი ყელში!

რა უნდა უყო ასეთ მოსწავლეს? ადგილზევე უნდა გააფრთხობინო სული? მაგრამ, ამისთვის შესაფერისი დრო ახლა ნამდვილად არ არის, ამიტომ მეც მშვიდად ვეკითხები:

- შეიძლება, ვიცოდე, რა გაინტერესებს საერთოდ?

- აი, ეს, - მპასუხობს და ჩემს "სასაპნეს" მიბრუნებს, რომელიც ისე ამომაცალა ჯიბიდან, რომ ვერც კი ვიგრძენი.

- აი, ესეც ძალიან მაინტერესებს... - ამჯერად კალამს მიბრუნებს.

- ჯიბის ქურდი? გინდა, ჯიბის ქურდი გამოხვიდე?

- ფოკუსების ოსტატი, ბატონო.

ფოკუსების ოსტატი მისგან მართლა დადგა, თანაც სახელგანთქმული, მაგრამ მე ამაში არანაირი წვლილი არ მიმიძღვის...

დიახ, ზოგჯერ ხდება სასწაული და ჩვენი გეგმები ფრთებს ისხამს, მოწოდება რეალიზდება, არც მომავალი გეუბნება უარს და დანაპირებს გისრულებს. ერთი მეგობარი რესტორანში მეპატიჟება და თან მაფრთხილებს, ვერც კი წარმოიდგენ, რა სიურპრიზი გელოდებაო. ვთანხმდები მიპატიჟებას. სიურპრიზი, თუ შეიძლება ასე ითქვას, გაბარიტებიანი აღმოჩნდა. ეს იყო რემი, დაწესებულების მთავარი მზარეული. ეს მეტრი და ოთხმოცი სანტიმეტრის სიმაღლის მამაკაცი, თავზე დაკოსებული ქათქათა ქუდით, ნებისმიერზე მოახდენდა შთაბეჭდილებას. თავიდან გონზე ვერ მოვედი, ვინ იყო. მეხსიერება მხოლოდ მაშინ აღმიდგა, როცა ცხვირწინ მისი ოცი წლის წინ დაწერილი და ჩემ მიერ გასწორებული თხზულება დამიდო. 13/20 (ცამეტი ქულა შესაძლო ოციდან). თემა: "როგორი ვიქნები ორმოცი წლის ასაკში". მოკლედ, ეს ჩემ წინ გაჯგიმული ორმოცი წლის სახეზე ღიმილგადაკრული მამაკაცი, ცოტა არ იყოს, დარცხვენილი ბებერი მასწავლებლის მოულოდნელი გამოცხადებით, ზუსტად ის ადამიანი იყო, რომლის პორტრეტიც ბიჭუნამ მაშინ თავის თხზულებაში დახატა: მთავარი მზარეული რესტორანში, რომლის სამზარეულოს ის შორეული ნაოსნობის ლაინერის სამანქანო განყოფილებას ადარებდა. გამსწორებელს, როგორც ჩანს, ნაწერი მოსწონებია და წითელი ფანქრით მინაწერიც დაუტოვებია, უფრო სწორად, სურვილი: ბედნიერი ვიქნები, თუ ამ რესტორანში ერთ დღესაც გემრიელად ვისადილებო...

მსგავს შემთხვევებში თქვენ აღარ ნანობთ, რომ იყავით მასწავლებელი.

ჩვენ ვხდებით, ვხდებით ვიღაცა, საკუთარი შესაძლებლობების შესაბამისად და არ არის გამორიცხული, უკვე შემდგარი ადამიანები, ერთ დღესაც, სრულიად მოულოდნელად შევხვდეთ ერთმანეთს. აი, მაგალითად, იზაბელს გასულ კვირას სრულიად შემთხვევით თეატრში გადავაწყდი. ეს

თითქმის ორმოცს მიღწეული ქალი საოცრად ჰგავდა იმ თექვსმეტი წლის გოგონას, რომელსაც მეორე კლასში ვასწავლიდი. ჩემთან სკოლიდან მეორედ გარიცხვის შემდეგ აღმოჩნდა ("სამ წელიწადში ორი გარიცხვა უბრალო ამბავი არ არის. ჩემ გარდა ამას ვერავინ მოახერხებდა"!). აგერ უკვე ლოგოპედი გამხდარა და ჭკვიანი ადამიანის გამომეტყველებით მიღიმის.

როგორც ყველა, იზაბელიც მეკითხება:

- ეს და ეს გახსოვთ? აი, ის ხომ არ დაგვიწყებიათ? ან კიდევ, ისა და ის?

სამწუხაროდ, ჩემო ძვირფასო მოსწავლეებო, თქვენი მასწავლებლის ისედაც შელახული მეხსიერება მთლად საცერს დაემსგავსა და, როგორც ბავშვობაში, ახლაც ჯიუტად უარობს საკუთარი სახელების დამახსოვრებას. დიდი ასოები, რომლითაც ისინი იწყება, მისთვის დღესაც აუღებელი ციხე-სიმაგრეებია. ადრე ზაფხულის არდადეგები საკმარისი იყო თქვენი სახელების თითქმის ნახევარზე მეტი ჩემი მეხსიერებიდან პირწმინდად რომ ამომშლოდა. შეგიძლიათ, წარმოიდგინოთ, დღეს რა დღეში ვარ, ამდენი წლის გავლის შემდეგ. აბა, რა მომეთხოვება ბებერ კაცს?
ჩემი ტვინი თითქოს პერმანენტულად ირეცხება და ირეცხება, რის გამოც თქვენი გვარსახელების გარდა ნარეცხს მიჰყვება სახელწოდებები იმ წიგნებისა, რომლებსაც ვკითხულობ, ფილმებისა, რომლებსაც ვუყურებ; ქალაქებისა, რომლებსაც ვსტუმრობ; მარშრუტებისა, რომლებითაც გადავაადგილდები; ღვინოებისა, რომლებსაც ვსვამ... მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მე თქვენ ყველანი დავიწყებისთვის გაგწირეთ, არა, დასავიწყებლად ნამდვილად არ მემეტებით. მომეცით საშუალება, სულ რაღაც ხუთ წუთს გიცქიროთ. ეს სრულიად საკმარისია იმისთვის, რომ რემის მიმნდობმა სიფათმა, ნადის ჩაბჟირებამდე ხარხარმა, ემანუელის ეშმაკურმა გამოხედვამ, ბრდილი კრისტიანის სერიოზულმა ჩაფიქრებულობამ, აქსელის სიმკვირცხლემ, არტურის უცვლელად მხიარულმა გუნება-განწყობამ, ამ მამაკაცებსა თუ ქალბატონებში ის მოსწავლეები გააცოცხლონ, საკუთარი ხანდაზმული მასწავლებელი ასე ადვილად რომ ამოიცნეს და ამით ენით აუწერელი სიამოვნება მოჰგვარეს. დღეს უკვე შემიძლია გამოგიტყდეთ, რომ თქვენი მახსოვრობა ყოველთვის ჩემსაზე ბევრად უფრო ცოცხალი და სანდო იყო, მაშინაც კი, როცა ერთად ვიზეპირებდით ჩვენს ყოველკვირეულ ტექსტებს, რათა წლის ნებისმიერ დღეს, ნებისმიერ საათსა თუ წამს ერთმანეთისთვის მოგვეყოლა. ისე, ავად თუ კარგად, ოცდაათამდე განსხვავებულ ტექსტს კი მოვერიეთ, რომელთა შესახებ იზაბელი ამაყად აცხადებს:

- ერთი ტექსტიც კი არ დამვიწყებია, ბატონო, ყველა მახსოვს.

- ვფიქრობ, იყო ტექსტები, რომლებიც შენ განსაკუთრებულად მოგწონდა.

- დიახ, როგორ არა. აი, მაგალითად, ეს. მაშინ ისიც კი გვითხარით, მის გასაგებად სამოცი წლის შემდეგ მომწიფდებითო.

და იზაბელი იწყებს ტექსტის დეკლამირებას, რომელიც, ვფიქრობ, ზედგამოჭრილია ამ თავის დასასრულებლად, სადაც ადამიანად ჩამოყალიბებაზე ამდენი ვილაპარაკე.

"ბაბუაჩემს ჩვევად ჰქონდა, ხშირად ეთქვა: სიცოცხლე დაუჯერებლად ხანმოკლეა; ჩემს მოგონებებში ის ისე მჭიდროდ ჩალაგდა, რომ დღეს მიჭირს გაგება, როგორ შეიძლება, მაგალითად, ყმაწვილმა კაცმა ცხენით მეზობლად მდებარე სოფელში ჩასვლა გადაწყვიტოს და არ შეშინდეს, რომ ყოველგვარი უბედური შემთხვევის გარეშეც კი ამ მოგზაურობისთვის მას მთელი ცხოვრება არ ეყოფა, თუნდაც ყველაზე ჩვეულებრივი და უღრუბლო".

რევერანსს მიმსგავსებული მოძრაობით იზაბელი გვამცნობს ავტორის სახელს - ფრანც კაფკა. თან აზუსტებს:

თარგმანი ვიალატასი, თქვენი რჩეულისა.

III ეს, ანუ აღსრულებითი კილოს აწმყო დრო

მე ეს არასდროს გამომივა

1

მე ეს არასდროს გამომივა, ბატონო.

- უკაცრავად?

- არ გამომივა და მორჩა!

- და რა გინდა, რომ გამოგივიდეს?

- არაფერი! არაფერი არ მინდა!

- მაშინ, რაღამ დაგაფრთხო ასე, თუ არაფერი არ გინდა?

- არა, ამის თქმა არ მინდოდა.

- აბა, რისი?
- რომ ეს არასდროს, არასდროს გამომივა, ეს არის და ეს.

- დაგვიწერე, გეთაყვა, ეს დაფაზე: "მე ეს არასდროს გამომივა".

"მე ეს არას დროს გამომივა".

- უკეთესად მეტყველებ, ვიდრე წერ. აბა, სასწრაფოდ გამისწორე შეცდომა! "არასდროს" ერთად იწერება, დავიდა შენამდე?

"მე ეს არასდროს გამომივა".

- და, რა გინდა, ამით თქვა? "ეს" - რას გულისხმობ ამაში?

- არ ვიცი.

- რაღაცას ხომ ნიშნავს შენთვის?

- არ ვიცი, არ ვიცი, არაფერი ვიცი.

- აუცილებლად უნდა ვიპოვოთ მისი მნიშვნელობა. სხვანაირად არაფერი გამოვა. სწორედ "ეს" მინერგავს შიშს.

- არაფრისაც არ მეშინია. არაფერი მინერგავს შიშს.

- არ გინერგავს?

- არა.

- არ გეშინია, რომ არ გამოგივა?

- არა, მკიდია თუ არ გამომივა.

- უკაცრავად?

- მოკლედ, აი, დარდი, თუ არ გამომივა. მკიდია-მეთქი, ხომ ვთქვი!

- რა გკიდია, რისი გამოსვლაც გსურს?

- კი, მკიდია, და მორჩა!

- ეს შეგიძლია, დაფაზე გადაიტანო?

- რა გადავიტანო, ეს ყველაფერი რომ მკიდია?

- დიახ.

"ესყველაფერი მკიდია!"

- ისევ შეცდომით დაწერე! აბა, გაასწორე!

"ეს ყველაფერი მკიდია".

- და "ეს" რაღაა, ხომ ვერ ამიხსნი? რა გაქვს მხედველობაში, არაფერი მესმის უკვე.

- ...

- გელოდები, ამიხსენი!

- არ ვიცი... აი, ეს...

- რა ეს?

- რა და, რაც ყელში ამომივიდა!

2

წელს ჩვენ - მე და ჩემი მოსწავლეები - პირველი გაკვეთილიდანვე პირდაპირ ვეძგერეთ ამ "ყველაფრისგან", ამ "ეს"-ისგან და "ის"-ისგან, "იქით"-ისგან და "აქეთ"-ისგან შემდგარ ციხესიმაგრეს. სწორედ მათით დავიწყეთ იერიში გრამატიკულ ბასტიონებზე. თუ ჩვენ გვსურდა ფესვების გადგმა ჩვენი ენის ინდიკატივში, ანუ თხრობითი კილოს აწმყოში, მაშინ კეთილი უნდა

გვენება და ანგარიში გაგვესწორებინა მის ამ იდუმალებით მოცულ აგენტებთან, ასე ძლიერად რომ უშლიდა ხელს, ასე ვთქვათ, ჩვენს ხორცშესხმას ენაში. მოკლედ, პრიორიტეტი გრამატიკას! ასე და ამგვარად დაიწყო დაუნდობელი ნადირობა, ხშირ შემთხვევაში, ბუნდოვანი და გაურკვეველი წარმოშობის ნაცვალსახელებზე, იმ საძაგელ ჩირქგროვებზე, გაჭრასა და გამოსუფთავებას რომ საჭიროებენ.

პირველ ყოვლისა - "ეს". ოჰ, ეს ლეგენდარული "ეს", რომელსაც ვერავინ გაუგო თავი და ბოლო, ვერავინ ჩასწვდა, ვერავინ დაეუფლა. თავი დავანებოთ მის გრამატიკულ განმარტებას - საშუალო სქესის ჩვენებითი ნაცვალსახელი, რომელიც მოუმზადებელ ბავშვს ყურში ჩინურივით, სრულ აბდაუბდად ჩაესმის; მას ჯერ მუცელი უნდა გავუჭრათ და ამოვყაროთ იქიდან ყველა შესაძლო მნიშვნელობა. ნაწლავების სათითაოდ შემოწმებისა და შესწავლის შემდეგ მთელი ეს შიგნეულობა უკან შევაბრუნოთ და გავკეროთ, ზედ იარლიყიც მივაწებოთ. გრამატიკოსები მას გაურკვევლობასა და ბუნდოვანებას მიაწერენ. მოდი, გავერკვეთ, მაინც რაშია საქმე, სად მარხია ძაღლის თავი.

იმ ყმაწვილისთვის (ეს წელს მოხდა, სხვათა შორის), რომელიც გაკვეთილზე ცდილობდა, ყველასთვის დაემტკიცებინა, შეხედეთ, რა მაგარი ვარო და ამისთვის ყვირილსა და პირის ამყრალებას არ მოერიდა, "ეს" უბრალოდ იმ მათემატიკის ამოცანის მწარე მოგონება იყო, რომელზეც კისერი წაიტეხა. ყველაფერი ისტერიკით დამთავრდა - კალამი აქეთ მოისროლა, დაგლეჯილი რვეული - იქით (ამას მე ვერასდროს ვერაფერს გავუგებ, ამის დედაც, ამან ხომ წაიღო საერთოდ ტვინი და ა. შ.). თავის მხრივ, ისიც მოისროლეს გარეთ და ნერვებაწეწილი, ამჯერად ფრანგულზე, ჩემს გაკვეთილზე ცხვირით ისევ ახალ გრამატიკული ხასიათის სიძნელეს შეეჯახა; საწყალი, ჯერ წინა სტრესიდან ვერ გამოსულიყო და ახლა, მისდა საუბედუროდ, ახალი გალავანი წამოიჭიმა. კინაღამ გაგიჟდა ის უბედური.

- მე ეს არასდროს გამომივა-მეთქი, რომ ვამბობ, არ არის გასაგები? არ მჭირდება ეს თქვენი სკოლა, ბატონო! (ჩემო ძვირფასო, ეს უკვე ის პრობლემაა, რომელიც ეროვნულ მასშტაბებს იძენს და რომელსაც აგერ უკვე საუკუნეა, ჩავკირკიტებთ. ჯერ მოდი, ერთი რაღაცა გავარკვიოთ: სკოლა გჭირდება შენ თუ შენ - სკოლას, უფრო სწორად, სკოლაა შენთვის შექმნილი თუ შენ - სკოლისთვის. ვერ წარმოიდგენ, როგორი გადი-გამოდია ამის შესახებ საგანმანათლებლო ოლიმპოზე).

- სამი წლის წინ აზრად მოგივიდოდა, რომ ერთ დღესაც მეოთხე კლასში აღმოჩნდებოდი?

- არა, ალბათ. უფრო არა. ისე, მინდა გითხრათ, რომ მეექვსეში უნდოდათ ჩემი ჩატოვება.

- ხომ ხედავ, შენ ეს მაინც შეძელი. ეს გამოგივიდა და მეოთხეში ამოჰყავი თავი..

(ძველებურად, მეგობრულად მინდოდა გამენდო, რომ ყველაფერი, ერთი შეხედვით, უნაკლო და სრულყოფილი შეიძლება არ იყოს, მაგრამ ასეა თუ ისე, საკითხი წყდება, თანაც წყდება უმაღლეს დონეზე; ჭკვიანი ადამიანები ამაზე ტვინს იჭყლეტენ, მაგრამ ეს მაინც მოხდა, ეს რეალური ფაქტია.

ჩვენ ყველანი აქ ვართ; შენთან ერთად ვისწავლით მთელი წლის განმავლობაში, ეს იქნება ჩვენი სამუშაო ობიექტი, გადავწყვეტთ სხვადასხვა პრობლემას, ჯერ დავადგენთ, რომელია გადაუდებელი, რომელი საჭიროებს სასწრაფოდ მიხედვას; დავანგრევთ იმ შიშს, რომელიც ასე ხშირად გამეორებინებს - ეს არასდროს გამომივა, - დავამარცხებთ ცდუნებას, რომ ეს ყველაფერი ფეხებზე დაიკიდო, ან ყველაფერი ეს ერთად მოაქუჩო და ნაგვის ყუთში გადაუძახო. ამ ქალაქში უამრავი ადამიანია, რომლებსაც ეშინიათ, რომ ეს მათ არ გამოუვათ და ჰგონიათ, რომ ეს მათი ყველაზე ნაკლები საზრუნავია. მოკლედ, კიდიათ... სინამდვილეში, საქმე საქმეზე რომ მიდგება, ეს ასე არ არის; ისინი მარიაჟობენ, სურთ, გამორჩეულები იყვნენ, საყოველთაო ყურადღება მიიპყრონ, ითრგუნებიან, დეპრესიაში ვარდებიან და წინააღმდეგობის გაწევის უნარიც არ აქვთ, უბრალოდ, დინებას მიჰყვებიან. თავით კედელს ეხეთქებიან, სხვების დაფრთხობას ცდილობენ და ეს ერთგვარ თამაშსა და გართობას ემსგავსება, მაგრამ თუ არის ამქვეყნად რაღაც, რაც მათ არ შეუძლიათ, დაიკიდონ, ეს არის, ეს დაწყევლილი ეს. ამ ეს-მა გაუმწარა მათ ცხოვრება; ეს მათ ყელში ამოუვიდათ).

- ამისგან არაფერი გამოვა. რა თავში უნდა ვიხალო - ეს, რაში გამომადგება, რო?

- მოდი, ახლა ვნახოთ, რა ხილია ეს ყბადაღებული "ეს" და "არაფერი". რადგან ასე გადაგვეკიდა, ბარემ ზმნა "გამოდგომასაც" მივხედოთ. ვაღიარებ, რომ ამ ბოლო დროს ცოტა მეც მიშლის ნერვებს; "რაში გამომადგება", "არაფერში გამომადგება," - ამოგიჩემებია. გეგონება, ძნელი გამოსათქმელია და ვარჯიშობ. არ ჯობია, გაარკვიო, რა სამსახური შეიძლება მან გაგიწიოს. იქნებ გამოგადგეს რამეში. დადგა დრო, ჩვენ თვითონ დავუსვათ მას კითხვა და ვათქმევინოთ, რისი მაქნისია.

მოკლედ, წელს ჩვენ ამ "ამას", "ყველაფერსა" და "არაფერს" შიგნეული გამოვუყარეთ. "ამისთვის", "იმისთვის", "იქ", "იქიდან", "აქედან". - ღმერთო, ექნება კი ამას ოდესმე დასასრული?! ყოველ ჯერზე, როცა ისინი გაკვეთილზე დაუპატიჟებლად გამოგვეცხადებოდნენ, ჩვენ არ ვიზარებდით და მივდიოდით იმ საიდუმლოს საძებნელად, რომელსაც ეს სევდის მომგვრელი და დამთრგუნველი სიტყვები გვიმალავდნენ. ჩვენ დავცალეთ ეს წელვადი და უძირო ტიკები, რომელიც ასე ამძიმებს დაღუპვის ზღვრამდე მისული ოროსნის უბადრუკ ნავს; ამოვხაპეთ პირწმინდად - ასე იქცევიან მეზღვაურებიც ჩასაძირად განწირულ გემზე, - და სანამ შიგთავსს ბორტს მიღმა გადავუძახებდით, გულდასმით შევისწავლეთ.
ეს - იყო ის მათემატიკური ამოცანა, რომელმაც ცეცხლზე ნავთი დაასხა და საიდანაც ეს დიდი აურზაური და დაიწყო; მერე გრამატიკამაც შეუნთო და ისე გააღვივა ხანძარი, რომ ცეცხლის ალები ლამის ცას სწვდებოდა ("გრამატიკას მათემატიკაზე მეტად გამოვყავარ წყობიდან, ბატონო"!).

და ასე შემდეგ: ეს არის მოუხელთებელი ინგლისური, თავსა და ბოლოს რომ ვერ გაუგებ. ეს არის ტექნომუსიკაც, ასე რომ უწეწავს ნერვებს (ათი წლის შემდეგ იტყოდა, "უკვე ვეღარ ვიჭერ კაიფსო", კიდევ ათი წლის შემდეგ კი "ტვინს მ ... ...ო"). ეს არის ის შედეგიც - თუნდაც მინიმალური - რომელსაც უფროსები მისგან ჯიუტად მოელიან (სულ ტყუილად!). მოკლედ, ეს სასკოლო სწავლების ყველა ასპექტს მოიცავს.

აქედან იშვა წმინდა წყლის მარგალიტები: მაგალითად, "ეს მე საერთოდ არ მაღელვებს", მასწავლებლის სმენის ამტანობის შესამოწმებლად შეგვიძლია გავაძლიეროთ "ეს მე ფეხებზე მკიდია"! გავა კიდევ ოცი წელი და ამ საპატიო სიას დაემატება "ეს მე ყ....ზე მკიდია" (საერთოდ, "მკიდია"... თუ სად, ადგილი თავად შეგიძლიათ დააზუსტოთ).
ეს არის საკუთარი წარუმატებლობის ყოველდღიური კონსტატაცია.

ეს არის აზრი, რომელიც უფროსებს მასზე ჩამოუყალიბდათ.

ეს არის დამცირება, რომელიც ურჩევნია, მასწავლებლებისა და წარმატებული მოსწავლეების წინააღმდეგ მიმართულ ზიზღად და სიძულვილად გარდაქმნას.

აქედან კი კატეგორიული უარი, რომ ეცადო რამე გაუგო "ამას", რომლისგანაც "არაფერი" გამოვა, გქონდეს მუდმივი სურვილი იყო არა "აქ", არამედ "იქ", აკეთო ნებისმიერი სხვა რამ, ვიდრე "ეს".

"ამის" სკრუპულოზურმა გამოკვლევამ ჩემს მოსწავლეებს თვალი აუხილა და დაანახვა, როგორ აღიქვამდნენ ისინი საკუთარ თავს: როგორც სრულ არარაობას, რომლებმაც მოახერხეს და მოხვდნენ აბსურდების ქვეყანაში, სადაც მათ მართლაც შეეძლოთ "ეს" ყველაფერი დაეკიდებინათ, რამეთუ "იქ" წარმოუდგენელია მომავლის იმედი გასჩენოდათ.

"აქ რამეზე ოცნებაც კი შეუძლებელია, ბატონო!" ეს უმომავლო ცხოვრება.

სინამდვილეში, აი, რაშია საქმე. თუ შენ წინ არანაირი მომავალი არ გესახება, მაშინ, რამდენიც უნდა ეცადო, ვერც აწმყოში მოიკიდებ ფეხს. კი უზიხარ სკოლის მერხს, მაგრამ სულ სხვაგან დაფრინავ, იქ, სადაც არაფერია, გარდა სინანულისა, სადაც დრო გაიყინა, სადაც მარადიული ტანჯვა-წამებისთვის ხარ განწირული. და ამისთვის ვიღაცამ უნდა ზღოს, თანაც ძალიან მწარედ.

აქედან დაიბადა ჩემი ურყევი გადაწყვეტილებაც, უფრო ხშირად მივმართო გრამატიკულ ანალიზს, რათა ისინი აქ დავაბრუნო, აწმყოში და მივცე საშუალება, დატკბნენ განსაკუთრებული, სრულიად განსხვავებული სიამოვნებით, რომელიც თან სდევს იმის გააზრებას, რა არის, ბოლოს და ბოლოს, ეს - ჩვენებითი ნაცვალსახელი, ეს განსაკუთრებული საჭიროების სიტყვა, დღეში ათასჯერ მაინც რომ ვიყენებთ სრულიად გაუცნობიერებლად. ფუჭია გაავებული ბიჭუნას წინ მორალურ-ეთიკურ და ფსიქოლოგიურ თემებზე ქადაგი; ახლა დებატების დრო ნამდვილად არ არის; დრო არ ითმენს.

გამოშიგვნისა და გასუფთავების შემდეგ, დრია, "ეს"-იც განვსაზღვროთ. საერთოდ, ეს ჩვენებითი ნაცვალსახელები ყველას გაუწევს სამსახურს საჩოთირო საუბრების წარმართვისას. ეს ის კვამლია, რომლის წყალობითაც ნებისმიერს აუბნევთ გზა-კვალს, დააბოლებთ, თითზე დაიხვევთ, იდუმალების ბურუსში გაახვევთ. ცოტაა? ეს ნაცვალსახელები შეიძლება ენის სარდაფებს შევადაროთ, ასევე მიუწვდომელ სხვენებსაც, სკივრს, რომლის გახსნას ვერავინ ახერხებს; შემნახველ საკანში დავიწყებულ ფუთასაც, რომლის გასაღები დაიკარგა.

- "თავშესაფარს, ბატონო, ძალიან სანდო თავშესაფარს"!

არც ისე სანდოს, სხვათა შორის; შენ კი გგონია, რომ კარგად დაიმალე და ვერავინ გხედავს, სინამდვილეში, ეს სამალავი თვითონ გისრუტავს და გინელებს. ეს მართლა საოცარია! ის ისე გვნთქავს, რომ ჩვენ უკვე გვავიწყდება კიდეც, ვინ ვართ სინამდვილეში.

3

გრამატიკის სენი ისევ და ისევ გრამატიკის დახმარებით იკურნება, ორთოგრაფიული შეცდომები მხოლოდ ორთოგრაფიული სავარჯიშოებით შეიძლება ამოიძირკვოს; კითხვის შიში კითხვით დაიძლევა; შიში იმისა, რომ ვერ გაიგებ - ტექსტში ჩაღრმავებით, საერთოდ აზროვნების ჩვევის უქონლობა კი - ერთ კონკრეტულ თემაზე ფიქრით. და ამ ყველაფერს ჩვენ ახლა, აქ, ამ გაკვეთილზე ვასრულებთ, სანამ ამ საკლასო ოთახში ვიმყოფებით.

ეს რწმენა მე ჯერ კიდევ სკოლის წლებში შევიძინე და დღემდე მომყვება. ხშირად მიწევდა მორალური შეგონების, ნოტაციების მოსმენა ამ და სხვა მრავალ თემაზე. ყველანაირად ცდილობდნენ ჩემ ჭკუაში ჩაგდებას. ცხადია, კეთილგანწყობით, რადგან მასწავლებელთა რიგებშიც მრავლად მოიძებნებიან კეთილი და პატიოსანი ადამიანები. უწინარეს ყოვლისა, კოლეჯის დირექტორი მახსენდება, რომელთანაც ჩემ მიერ ჩადენილმა ქურდბაცაცობამ მომახვედრა. ყოფილი მეზღვაური, გემის კაპიტანი, ოკეანის წყალობით შესაშური მოთმინებით აღჭურვილი, ოჯახის მამა, განსაკუთრებით ყურადღებიანი ცოლისადმი, რომელზეც ამბობდნენ, მედიცინისთვის აუხსნელი რაღაც სენისგან იტანჯებაო. მოკლედ, თავისიანებსა და ინტერნატზე ზრუნვით შეპყრობილი ადამიანი, სადაც ჩემისთანა უმაქნისი იმდენი იყო, რომ ბოლომდე ზუსტად ვერც დაითვლიდი; მიუხედავად ამისა, რამდენი საათი შემომწირა ამ პატიოსანმა კაცმა, რათა როგორმე დავერწმუნებინე, რომ არც ისეთი იდიოტი ვიყავი, როგორადაც საკუთარ თავს მივიჩნევდი, რომ ჩემი ოცნებები აფრიკაში გადახვეწის თაობაზე სხვა არაფერი იყო, თუ არა საკუთარი თავისგან გაქცევის მცდელობა; რომ საკმარისი იყო, ოდნავ თითი გამენძრია და სერიოზულ მეცადინეობას შევდგომოდი, ჩემი გაუთავებელი მოთქმა-წუწუნი, გასაქანს რომ არ აძლევდა ბუნებით მომადლებულ ჩემს ნიჭს, სადღაც უგზო-უკვლოდ გამქრალიყო. ჩემთვის ვფიქრობდი, ეს რა ღვთისნიერი კაცია, რა კეთილი და გულისხმიერი, ამდენი საზრუნავის შემდეგ კიდევ ძალა და ენერგია ჰყოფნის, ჩემით დაინტერესდეს-მეთქი. და, ცხადია, ვპირდებოდი, რომ ჭკუას მოვუხმობდი, გადაუდებლად, იმ წუთიდანვე. მაგრამ, ჩემდა საუბედუროდ, როგორც კი მათემატიკის გაკვეთილზე აღმოვჩნდებოდი, ან საღამოს ჩემს საწერ მაგიდას მივუჯდებოდი და ბიოლოგიის სახელმძღვანელოში ჩავრგავდი თავს, იმ შეხვედრის დროს საკუთარი თავისთვის ჩანერგილი რწმენისგან ნატამალიც კი არ რჩებოდა. ჩემი ღრმა რწმენით, ეს იმიტომ ხდებოდა, რომ მე და პატივცემულ დირექტორს კრინტიც არ დაგვიძრავს ალგებრაზე, არც ფოტოსინთეზზე, არამედ მხოლოდ იმაზე ვსაუბრობდით, თუ რა შეუძლია მტკიცე ნების მქონე და მობილიზებულ მოსწავლეს. მიხვდით, ალბათ, ბჭობის საგანი თავად მე გახლდით. უფრო სწორად, ის შესაძლო მე, რომელიც ოდნავი ძალისხმევის შემთხვევაშიც კი წელში გაიმართებოდა და ფორმაში ჩადგებოდა. დირექტორი ღრმად იყო ამაში დარწმუნებული; მთავარი იყო, მე შევდგომოდი მთელი გულით საქმეს და ეს უეცარი იმედით აღვსილი მე მკერდზე მჯიღს იცემდა, იფიცებოდა, რომ

მცდელობას არ დააკლებდა, სისულელეებს შეეშვებოდა, მაგრამ, ვაი რომ... ათი წუთის შემდეგ ალგებრის მათემატიკური ენით დაშოკილს, ეს იმედი ხელიდან ეცლებოდა. ის მე საჰაერო ბუშტივით იჩუტებოდა, ღრუბელივით იფანტებოდა; და საღამოს, როცა ეს მე მეორე დღის გაკვეთილების მომზადებას ლამობდა, უკვე ვერაფერი გაეგო მცენარეების ნახშირმჟავას გაზისადმი უცნაური ლტოლვისათვის, რომელსაც ისინი ქლოროფილად წოდებული ნივთიერების დახმარებით ითვისებდნენ. მოკლედ, მე ისევ იმ კრეტინად გარდავიქმნებოდი, რომელიც ამას ვერასდროს ვერაფერს გაუგებს, ერთი სრულიად მარტივი მიზეზის გამო: ამის არც არასდროს გაეგებოდა რამე.

განცდილმა მარცხმა ერთ რამეში კი ღრმად დამარწმუნა. მოსწავლეებს იმ საგნის ენაზე უნდა ელაპარაკო, რომელსაც ასწავლი. გეშინიათ გრამატიკის? ვიმეცადინოთ გრამატიკაში; არ მოგწონთ ლიტერატურა? ვიკითხოთ! რამდენად უცნაურიც უნდა გეჩვენოთ, ჩემო ძვირფასო მოსწავლეებო, თქვენ მთლიანად შედგებით იმ საგნებისგან, რომლებსაც ჩვენ გასწავლით. თქვენ ხართ ყველა ამ საგნის საგანი. ცუდად გრძნობდით თავს სკოლაში? შესაძლოა; მაინცდამაინც დალხენილი ცხოვრება არ გქონდათ? ზოგიერთებს - უეჭველად. მაგრამ, ჩემს თვალში თქვენ ყველანი უკლებლივ სიტყვებისგან ხართ ნაძერწი, გრამატიკისგან ნაქსოვი; თქვენივე ნასწავლი ლექსების, მოთხრობებისა და ნოველებისგან ხართ შეკოწიწებული, მათ შორის, ყველაზე უტყვნიც, ყველაზე მწირი ლექსიკის მქონენიც კი. თქვენ მოსვენებას არ გაძლევთ საკუთარი წარმოდგენები სამყაროზე, ანუ, თქვენ პირთამდე ხართ სავსე ლიტერატურით. დამიჯერეთ, ასეა.

4

ნებისმიერი ფსიქოლოგიური ჩარევა ამაოა, ყველაზე კეთილგანწყობილიც კი.
პირველი კლასი.

ჟოსლინი ცრემლებად იღვრება. გაკვეთილის დაწყება შეუძლებელია.
არაფერია იმ კედელზე ძნელად გასანგრევი, რომელსაც დარდი აღმართავს ხოლმე ცოდნისკენ მიმავალ გზაზე. სიცილის აღსაკვეთად შეიძლება, ერთი მზერაც კი საკმარისი იყოს, აი ცრემლებს კი...

- ვინმეს რეზერვში მხიარული ანეკდოტი ხომ არ გაქვთ? ჟოსლინი როგორმე უნდა გავაცინოთ, თორემ ვერ ვიწყებთ გაკვეთილს. აბა, გაანძრიეთ ტვინი! ახლა ძალიან სასაცილო ამბავი გვჭირდება; დრო შეზღუდულია - მხოლოდ სამი წუთი. მონტესკიე ვერ დაგველოდება. ანეკდოტმა არ დაახანა, მართლაც სასაცილო გამოდგა.

ყველა ხარხარებს, მათ შორის, ჟოსლინიც, რომელსაც ვთავაზობ, გაკვეთილის შემდეგ, შესვენებაზე დამელაპარაკოს. კი, ბატონო, დამელაპარაკოს, თუკი ეს მას უშველის.

- მანამდე კი შენი თავი მხოლოდ მონტესკიეთი იქნება დაკავებული. შევთანხმდით?

შესვენება. ჟოსლინი თავს დატეხილ უბედურებას მიყვება. მისი მშობლები თურმე უკვე ვეღარ პოულობენ საერთო ენას; კინკლაობენ დილიდან საღამომდე; უკანასკნელი სიტყვებით ამკობენ ერთმანეთს. სახლში ატმოსფერო უკიდურესად დაძაბულია, ცხოვრება - გაუსაძლისი. გასაგებია, ვფიქრობ მე. აი, ბილიკზე შორეულ დისტანციაზე მორბენალი კიდევ ორი ადამიანი გამოჩნდა, რომლებმაც ოცი წელი დაახარჯეს იმის გარკვევას, რამდენად არ შეეფერებოდნენ ერთმანეთს. ჟოსლინმა, რომელიც, საბოლოო ჯამში, არცთუ ისე ცუდი მოსწავლეა, ყველა საგანში მკვეთრად მოუკლო. ახლა კი მე მიწევს მის უბედურებაში გარკვევა, რათა დამსხვრეული ნაწილები ერთმანეთს მივაწებო. იქნებ ორივესთვის განქორწინება საუკეთესო გამოსავალი იყოს-მეთქი, ვაპარებ დიდი სიფრთხილით. ჟოსლინ, არ ვიცი, როგორ აგიხსნა... ორი ცოტათი დამცხრალი განქორწინებული შენთვის შესაძლოა, უფრო ადვილი ასატანი იყოს, ვიდრე ეს გამეხებული წყვილი, როცა ერთი ყოველ წამს მზადაა, მეორეს თვალები დასთხაროს ან ყელი გამოღადროს...

და ასე შემდეგ.

ჟოსლინი ისევ ცრემლებად იღვრება:

- აი, ზუსტად მაგას ვფიქრობდი, მასწ., კი ჰქონდათ განქორწინება გადაწყვეტილი, მაგრამ გადაიფიქრეს!

ახ, ასეა საქმე ...
ყველაფერი ყოველთვის ბევრად უფრო რთულია, ვიდრე დამწყებ ფსიქოლოგს წარმოუდგენია.

- ...

- ...

- მეიზი ფერენჯს იცნობ?

- არა, და ვინ არის ეს მეიზი ფერენჯი?

- ბილი ფერენჯისა და მისი ცოლის ქალიშვილია, - დამავიწყდა, მეუღლეს რა ჰქვია. - ისინი განქორწინდნენ. არ გაგიგია, ძალიან გახმაურებული ამბავი იყო თავის დროზე. განქორწინებისას მეიზი ძალიან პატარა კი იყო, მაგრამ ამისგან მას პრობლემები არ შექმნია. აუცილებლად უნდა გაეცნო მას. ეს რომანია, თან ამერიკული; ავტორი - ჰენრი ჯეიმსი: "რაც მეიზიმ იცოდა".

ცოლქმრული ცხოვრების ბატალიების მსგავსი ამბით დაინტერესებულმა ჟოსლინმა ეს სინამდვილეში საკმაოდ რთულად აღსაქმელი რომანი მომდევნო რამდენიმე კვირის განმავლობაში დაძლია (ზუსტად იმავე სიტყვებით ლანძღავენ ერთმანეთს, როგორითაც ფერენჯები, მასწ!).

დიახ, ბატონებო, იქნება ეს ოჯახურ წყვილთა ბრძოლები თუ გაწამებული ბავშვების ტკივილები, ამ ყველაფერს უდავოდ სცხია რაღაცა ლიტერატურისა, მაშინაც კი, როცა მათ მიერ მიყენებული ჭრილობებისგან ნამდვილი სისხლი იღვრება.

ახლა კი, მიუხედავად ყველაფრისა, რადგან პატივცემულმა მონტესკიემ დაგვდო პატივი და თავად გვეახლა გაკვეთილზე, ჩვენც გვმართებს საკადრისი მასპინძლობა გავუწიოთ მას.

5

რაც შეეხება გაკვეთილებზე მოსწავლეთა დასწრებას...
ცხადია, ძალზე არაკომფორტულია, მე ვიტყოდი, ძნელიცაა ამ ბიჭუნებსა და გოგონებს, სკოლის მიერ შეთავაზებული დროის განსაკუთრებული განაწილების თანახმად, ორმოცდათხუთმეტი წუთის განმავლობაში ყურადღების სრული კონცენტრირება მოსთხოვო, თან ხუთი-ექვსი გაკვეთილი ზედიზედ, ერთიმეორის მიყოლებით.
ნამდვილი თავსატეხია ეს განრიგი, გაკვეთილების, საათების და საგნების განაწილება, საკლასო ოთახების, ჯგუფების შემადგენლობის, ფაკულტატიური დისციპლინების, ლაბორატორიების დატვირთვისა და ამა თუ იმ მასწავლებლის სურვილების, პრეტენზიებისა და დროსთან შეუთავსებლობის გათვალისწინებით. თუმცა, მართალია, დღეს სასწავლო ნაწილის გამგეს თავი ისე აღარ უდუღს, როგორც უწინ; ზემოთ ჩამოთვლილ პარამეტრებს კომპიუტერის მეხსიერება მშვენივრად იტევს: "ძალიან ვწუხვარ, ქალბატონო, მაგრამ ოთხშაბათს, ნაშუადღევის გაკვეთილებთან დაკავშირებით ვერაფერს გიხერხებთ, - ეს ოხერი კომპიუტერი არ მაძლევს ამის საშუალებას".

- ორმოცდათხუთმეტი წუთი ფრანგული ენისა, - ვუხსნი ჩემს მოსწავლეებს, - ეს მთელი საათია თავისი დასაწყისით, შუა ნაწილითა და დასასრულით. სინამდვილეში, ეს თამამად შეიძლება, ერთ პატარა ცხოვრებას შევადაროთ.

ჰო, როგორ არა, დაგიჯერეთ, რახან შენ იტყვი! მერე - ამ პატარა ცხოვრებას კიდევ უფრო საყვარელი მეორე ცხოვრება - ლიტერატურა - მოჰყვება, მეორეს - მესამე, მთლად საამური - მათემატიკა, მესამეს - სულ გასაგიჟებელი - ისტორია, რომელიც სრულიად გაუგებარი მიზეზების გამო, სხვა ცხოვრებაში გადაგისვრით, შემდეგ - ინგლისური ან გერმანული, მაგრამ ამით ვინ კმაყოფილდება: ახლა ქიმიაო, მერე კიდევ მუსიკაო... ერთ დღეში ხუთი თუ ექვსი რეინკარნაცია! თანაც, სრულიად გაუგებარი ლოგიკური თანმიმდევრობით. ვერ გამიგია, ეს განრიგია თუ "ელისი საოცრებათა ქვეყანაში"? ეს-ეს არის, ჩაი მივირთვით მარტის კურდღელთან და ჰოპ, - ყოველგვარი გადასვლის გარეშე, კარტის გულის დედოფალს კროკეტს ვეთამაშებით. ერთი დღე მსგავს შეიკერში - ა ლა ლუის ქეროლ, ოღონდ სასწაულების უფრო მოკრძალებული რაოდენობით, - და ფიზკულტურა საერთოდ შეგიძლიათ ცხრილიდან ამოიღოთ. თანაც, ამ ყველაფერს დაკანონებულის იერი დაჰკრავს, რომელსაც ვერაფრისდიდებით ვერ აუვლი გვერდს; სრული გაუგებრობა - ფრანგული სიმეტრიული ბაღის მანერაზე შეკრეჭილ-დავარცხნილი: ერთიმეორის მიყოლებით ორმოცდათხუთმეტწუთიანი

მონაკვეთები. ასე თანაბარ ნაწილებად ფსიქოანალიტიკოსი თუ დაყოფდა თავის სამუშაო დღეს, ან ძეხვეულით მოვაჭრე დაჭრიდა სალიამის! და ასე ყოველ კვირას, მთელი წლის განმავლობაში. სიურპრიზები შეგიძლია გამორიცხო. გამოქლიავდება ადამიანი, აბა, რა!

ერთი სული მაქვს, ხურდა დავუბრუნო ყველას ერთად: აბა, დაწყნარდით, ძვირფასო მოსწავლეებო! შეეცადეთ, ერთი წუთით მაინც წარმოიდგინოთ თავი ჩვენს ადგილას. სხვათა შორის, ფსიქოანალიტიკოსთან შედარება სულაც არ იყო ურიგო. ის საწყალი ზის მთელი დღის განმავლობაში თავის სამუშაო კაბინეტში და მოთმინებით აკვირდება, თუ როგორ ჩაივლის მის თვალწინ მთელი სამყაროს უბედურებანი. ჩვენ, მასწავლებლებიც იმავე სამყაროს უმეცრებას ვუმზერთ, ამ ოცდაათ-ოცდაათკაციანი ჯგუფების მკაცრად გაწერილ დეფილეს; და ასე, მთელი ცხოვრება, რომელიც, გნებავთ, ლოგარითმულად აღიქვით, გნებავთ, არა, მაინც უფრო გრძელია, ვიდრე თქვენი მოსწავლეობის ხანა.

არასდროს სთხოვოთ მოსწავლეს, თქვენს ადგილას წარმოიდგინოს თავი. ძალიან დიდია რისკი, კლასის სამასხარაოდ გაიხადოთ თავი. არც არასდროს შესთავაზოთ, მისი დრო თქვენსას შეუფარდოს: ჩვენი დრო მისი დროისგან საგრძნობლად განსხვავდება. ჩვენ დროის სხვადასხვა განზომილებაში ვცხოვრობთ. გაკვეთილის დროს არავითარ შემთხვევაში არ ჩამოაგდოთ საუბარი არც მასზე და არც თქვენზე. შეეცადეთ, რომ თემას არ ასცდეთ. ჩვენ ხომ ბოლომდე უნდა მივყვეთ იმას, რაც თავიდან გადავწყვიტეთ და გრამატიკის ეს საათი დროის გარეთ არსებულ ერთგვარ "კაფსულად" წარმოვიდგინოთ. ჩემი სამუშაო მდგომარეობს იმაში, რომ ამ ორმოცდათხუთმეტი წუთის განმავლობაში, ჩემს მოსწავლეებს მხოლოდ "გრამატიკული შეგრძნებები" ჰქონდეთ.

ამის მისაღწევად არ უნდა გამოგვრჩეს მხედველობიდან, რომ სკოლაში დღის სხვადასხვა მონაკვეთში საათები განსხვავებულია: დილის საათები სხვაა, ნაშუადღევისა - სულ სხვა. დრო გამოფხიზლებისა და დრო ათვისებულის მონელებისა; დრო, შესვენებას რომ უძღვის წინ და დრო, რომელიც მას მოსდევს. ყველა ეს დრო დიამეტრულად განსხვავდება ერთმანეთისგან. საათი, რომელიც მათემატიკის გაკვეთილს მოჰყვება და საათი, რომელიც ფიზკულტურის დამთავრებისთანავე იწყება, შეუძლებელია, რომ ერთი და იგივე იყოს...

ეს განსხვავება კარგი მოსწავლეების ყურადღებაზე ზეგავლენას ვერ ახდენს. ისინი ბუნებით არიან დაჯილდოებული ნიჭით, საჭირო დროს და საჭირო ადგილას გადაეწყონ გარემოებათა შესატყვისად.
სწორედ რომ ამ საოცარი თვისების წყალობით, ხმაურიანი და დაუდგრომელი მოსწავლე თქვენ თვალწინ სიბეჯითის ეტალონად გარდაიქმნება, სიყვარულში უიღბლო - გულისყურიან მათემატიკოსად, წარსულში თავქარიანს დღეს წიგნებს ვერ ააგლეჯ. ასეთები ზედმეტი ძალისხმევის გარეშე გადაადგილდებიან წარსულიდან აწმყოში, მათემატიკიდან ლიტერატურაში... სანიმუშოებს ეგრეთ წოდებული პრობლემური მოსწავლეებისგან გარდასახვის სისწრაფე გამოარჩევს. ეს უკანასკნელნი მეტწილად "სადღაც იქ დაფრინავენ". მასწავლებლებიც ყველაზე ხშირად მათ ამასვე საყვედურობენ; ისინი ძნელად თავისუფლდებიან წინა გაკვეთილისგან, ყოველთვის უკან მიჩანჩალებენ თავიანთი მოგონებებით შეპყრობილნი ან უაზროდ წინ გავარდებიან ხოლმე და ღმერთმა უწყის, რაზე ფიქრობენ. ალბათ, ყველაფერზე. მათი სკამი სხვა არაფერია, თუ არა ერთგვარი კატაპულტა, რომელიც მათ დაჯდომისთანავე კლასს მიღმა გასტყორცნის. რა თქმა უნდა,

თუ ამ სკამზე საერთოდ არ ჩამოეძინათ. თუ მინდა, რომ მათ ყურადღებას დავეპატრონო, რათა გაკვეთილებზე დასწრება მხოლოდ ფიზიკურ ხასიათს არ ატარებდეს, მე ამ გოგონებსა და ბიჭუნებს აუცილებლად უნდა წავეშველო, ჩემს საგანში ფესვების გადგმა რომ არ გაუჭირდეთ. რა მოვიმოქმედო ამისთვის? ეს ხანგრძლივი პროცესია, მაგრამ შეუძლებელი არაფერია. ძვირფასი ცოდნა ნელ-ნელა, გამოცდილებით შეიძინება. ერთ რამეში ღრმად ვარ დარწმუნებული: ჩემი მოსწავლეების "გააზრებული დასწრება" გაკვეთილზე მხოლოდ და მხოლოდ ჩემ "გააზრებულ დასწრებაზეა" დამოკიდებული; იმ ყურადღებაზე, რომელსაც მე დავუთმობ თითოეულ მათგანს; იმაზე, თუ თავად რამდენად ვიმყოფები ამ საგანში ფიზიკურად, გონებრივად და ინტელექტუალურად მთელი ორმოცდათხუთმეტი წუთის განმავლობაში.

6

რომ იცოდეთ, რა მძიმეა იმ გაკვეთილების გახსენება, რომლებსაც მე თავად "არ ვესწრებოდი"! როგორი მძიმეა ტალღების ნებას მინდობილი მოსწავლეების ცქერა, სანამ მე უშედეგოდ ვცდილობ, განვეწყო გაკვეთილისთვის და როგორმე აზრები დავალაგო; როგორი დამთრგუნველია იმის შეგრძნება, რომ კლასი ხელიდან გეცლება და სამუდამოდ კარგავ ცხვრებს, საპატრონოდ რომ განდეს. არც მე ვარ კლასში, არც ისინი, ჩვენ დავკარგეთ ერთმანეთი; მე ჩემი გზით წავედი, ისინი - თავიანთი; არადა, დრო გადის! მე თავს ვიკატუნებ, ვითომ გაკვეთილს ვატარებ, ისინიც ვითომ გულისყურით მისმენენ. ერთი სიტყვით, უკიდურესად სერიოზული იერი მოვირგეთ ყველამ. მე ენას არ ვაჩერებ, ისინიც თავიანთ რვეულებში რაღაცას ჩხაპნიან. მსგავსი იდილია ინსპექტორს ნამდვილად მოეწონებოდა. ამ დროს მთავარია, ყველაფერი ბუნებრივად გამოიყურებოდეს, მაგრამ... მაგრამ მე ხომ დღეს "არ ვესწრები" გაკვეთილს. სადღაც "იქ" ვარ და არა - "აქ". რა შედეგი უნდა მოჰყვეს იმას, რაზეც ახლა ვესაუბრები მათ? არანაირი! მათაც ფეხებზე ჰკიდიათ, რასაც ისმენენ. არც კითხვა, არც პასუხი. მე თითქოს საჯარო ლექციას ვარ ამოფარებული. არადა, რამდენი ენერგია მეხარჯება, რომ ღიმილისმომგვრელმა ცოდნის ჭავლმა მათ თავებში შეაღწიოს! მე თითქმის ასეულობით კილომეტრით დავცილდი ვოლტერს, რუსოსა და დიდროს, საკუთარ კლასს, სკოლის შენობას, საერთოდ ყველაფერს. ძალ-ღონეს არ ვიშურებ, რომ ეს მანძილი როგორმე შევამცირო, მაგრამ არაფერი გამომდის. ჩემი საგნიდანაც ისევე შორს ვარ, როგორც საკუთარი კლასიდან. მე უკვე მასწავლებელი კი არ ვარ, არამედ მუზეუმის გაბეზრებული ექსკურსიამძღოლი, რომელიც მექანიკურად უძღვება მორიგ ვიზიტს.

ასეთი ჩაფლავებული გაკვეთილებიდან ცოცხალ-მკვდარი გამოვდიოდი, ფეხზე ვერ ვიდექი, მუხლები მეკეცებოდა; დიახ, ვტოვებდი კლასს ღონემიხდილი, გამოწურული, თან - გაცოფებული და განრისხებული. ამ ცოფისა და რისხვის პირველი მსხვერპლნი შესაძლოა, ისევ ჩემი მოსწავლეები გამხდარიყვნენ, რადგან ცნობილია, რომ ამქვეყნად ვერ მოიძიებთ ადამიანს, რომელიც საკუთარი თავით უკმაყოფილო პედაგოგს ლანძღვა-გინებასა და ღვარძლის გადმონთხევაში დაასწრებს.

ფრთხილად, ბავშვებო! კედელ-კედელ იარეთ, თვალში მაინცდამაინც ნუ შემეჩხირებით, თქვენმა მასწავლებელმა დღეს საკუთარ თავს "ორიანი" დაუწერა. ვაი, იმის ტყავს, ვინც პირველი ჩაუვარდება ხელში. ყველა ჯოხი მასზე გადატყდება. აღარაფერს ვამბობ თქვენს თხზულებებზე, რომელებიც დღეს საღამოს უნდა გავასწორო. ამ საქმეში დაღლილობა და მრისხანება კარგ მრჩევლებად ვერ გამოდგებიან. არა, არა, დღეს თხზულებების გასწორება არ იქნება, არც ტელევიზორი, არც კაფე, არც

კინო და არც რესტორანი - პირდაპირ საწოლში! მასწავლებლისთვის მთავარი გამოძინებაა. კარგი მასწავლებელი ადრე წვება დასაძინებლად.

7

მასწავლებელი, რომელიც "ესწრება" და მთლიანად იპყრობს საკლასო ოთახს, წამში შეიცნობა; მოსწავლეები ამას სასწავლო წლის პირველი წუთებიდანვე გრძნობენ. ეს თითოეულ ჩვენგანს საკუთარ თავზე აქვს გამოცდილი. მასწავლებელი შემოდის საკლასო ოთახში, ის მთლიანად აქ არის; ეს ნათლად ჩანს მის მზერაში, იმაში,თუ როგორ ესალმება მოსწავლეებს, როგორ ჯდება, როგორ იკავებს ადგილს მისთვის განკუთვნილ მაგიდასთან. არ ეშინია ბავშვების რეაქციის, არ იშლება და არ იბუზება; ის თავიდანვე თავის საქმეშია, თავის სტიქიაშია, არჩევს ყოველ სახეს, მოკლედ, როგორც იტყვიან ხოლმე, ის აქ არის. მის თვალში კლასი რეალურად არსებობს.
ასეთი რამის მოწმე კიდევ ერთხელ, ამას წინათ, ბლან-მენილში გავხდი. ახალგაზრდა კოლეგამ მიმიპატიჟა, რომელმაც თავისი მოსწავლეები ერთ-ერთი ჩემი რომანის სამყაროს აზიარა. ვერ წარმოიდგენთ, როგორი საოცარი დილა გავატარე იქ მათთან ერთად. მოსწავლეებმა, თუ შეიძლება ითქვას, დამცხრილეს კითხვებით. ისინი, როგორც ჩანს, ჩემზე უკეთ იცნობდნენ წიგნსა და მის პერსონაჟებს. ზოგიერთი პასაჟით აღფრთოვანებულებმა, გასართობად ჩემ მიერ ამოჩემებული სიტყვები და გამოთქმებიც გაიხსენეს... სიმართლე გითხრათ, მე უფრო ალღოიანი მასწავლებლის ზედამხედველობით გონივრულად შედგენილ, ზუსტად ფორმულირებულ შეკითხვებზე პასუხის გასაცემად ვემზადებოდი. მეგონა, მასწავლებელი მოკრძალებულად გვერდზე გადგებოდა და მხოლოდ იმაზე იზრუნებდა, რომ როგორმე კლასში წესრიგი შეენარჩუნებინა. მსგავს მდგომარეობაში, ხომ მეც არაერთხელ ვყოფილვარ. მაგრამ შევცდი, ნამდვილი ლიტერატურული დებატების ორომტრიალში ამოვყავი თავი, სადაც მაამებელი და წინასწარ მომზადებული შეკითხვები თითქმის არ დასმულა. როცა ვნებათაღელვა სმენისათვის გაუსაძლის დეციბელებს აღწევდა, დისკუსიაში მასწავლებელი ერთვებოდა, თანაც, ორი ოქტავით ხმადაბლა და მთელი კლასიც გაწვრთნილივით ამ რეგისტრზე გადადიოდა.

მოგვიანებით, როცა კაფეში ერთად ვსადილობდით, ამ მშვენიერ ქალბატონს ვკითხე, თუ როგორ ახერხებდა ამდენი მოთუხთუხე ენერგიის მოთოკვასა და სასურველი მიმართულებით წარმართვას.

კოლეგა თავიდან ჩემი კითხვისგან თავის დაძვრენას შეეცადა:

- მთავარია, მათ ყვირილში არ შეეჯიბრო, ყველა ვარიანტში წააგებ.
მე კიდევ გამიჩნდა სურვილი, რაც შეიძლება მეტი მოეყოლა თავის გამოცდილებაზე: როგორ უმკლავდებოდა მოსწავლეებს, რა განაცდევინებდა მათ სკოლაში ყოფნის ბედნიერებას, საიდან მოსდიოდათ ასეთი სხარტი, გონივრული და დალაგებული კითხვები თავში. ყურადღების კონცენტრირებასა და მოსმენის კულტურაზე მსურდა დაწვრილებით მოეთხრო, როგორ ახერხებდა მათი ხმაურიანი აღფრთოვანებისა და აღტკინების შერბილებასა და გაწონასწორებას. მაინტერესებდა, როგორ ახერხებდნენ ბავშვები უთანხმოების დროს საერთო ენის გამონახვას და ერთმანეთში მორიგებას; რა კვებავდა მათ ენერგიასა და სიცოცხლის წყურვილს. მოკლედ, მინდოდა

გამეგო, ყველაფერი ის, რაც ასე დიამეტრულად განსხვავდებოდა მასმედიის საშუალებების მიერ შექმნილი იმიჯისგან არაბული და აფრიკული წარმოშობის ეგრეთ წოდებულ "ფერად" კლასებზე.

ჩემმა კოლეგამ თითქოს ყველა შეკითხვა ერთად მოაგროვა, ცოტა ხნით ჩაფიქრდა და შემდეგ მიპასუხა:

- როცა კლასში ვარ ან სახლში მათ ნამუშევრებს ვასწორებ, მე მუდამ მათთან ერთად ვარ.
მცირეოდენი პაუზის შემდეგ კი დაამატა:

- მაგრამ თუ სხვაგან ვიმყოფები, უკვე აღარ ვარ მათთან ერთად. ეს "სხვაგან" მისთვის სიმებიანი კვარტეტის რეპეტიციებია, რომელიც მისი ვიოლონჩელისგან სრულ თავგანწირვას და აბსოლუტურ "დასწრებას" ითხოვს, რომლის გარეშეც მუსიკა წარმოუდგენელია; სხვათა შორის, ის ერთგვარ პარალელს ავლებდა კლასსა და ორკესტრს შორის: ყოველი მოსწავლე თავის ინსტრუმენტზე უკრავს. ასეთია მოცემულობა და აქ ჩვენ ვერაფერს გავხდებით. მთელი ოსტატობა მდგომარეობს მუსიკოსების რაც შეიძლება უკეთესად გაცნობასა და მათ შორის ჰარმონიის დამყარებაში. კარგი კლასი პოლკი კი არ არის, ფეხაწყობით რომ გადაადგილდება, არამედ ორკესტრი, რომელიც სიმფონიას უკრავს; და თუ ორკესტრში სამკუთხედიც მოგეძებნება, რომლისგანაც "დინგ-დინგის" მეტს ვერაფერს მოისმენ, მთავარია, შევიდეს, როცა საჭირო და გაიჟღეროს რაც შეიძლება უკეთ, რომ ის დაემსგავსოს საუკეთესო სამკუთხედს, რომ შეძლოს იამაყოს ორკესტრის საერთო ჟღერადობაში შეტანილი წვლილით. და, რადგან საერთო ჰარმონიისკენ ლტოლვა, ასე თუ ისე, ყველას წინსვლისა და სრულყოფისაკენ უბიძგებს, სამკუთხედიც კი ბოლოს და ბოლოს დაეუფლება მუსიკას. შეიძლება, ციდან ვარსკვლევები არ მოწყვიტოს, როგორც პირველმა ვიოლინომ, მაგრამ ის დაეუფლება და გაითავისებს იმავე მუსიკას.

მის სახეს ხელჩაქნეული ადამიანის იერი გადაეკრა.

- სამწუხაროდ, ბევრი ცდილობს მათ დარწმუნებას, რომ ამქვეყნად მნიშვნელოვანი მხოლოდ პირველი ვიოლინოა. მთავარი პრობლემაც ესაა.

პაუზა:

- პრობლემაა ისიც, რომ ზოგიერთ ჩემს კოლეგას თავი კარაიანი ჰგონია... ცოცხალი თავით არ სურთ, მუნიციპალიტეტის სასულე ორკესტრს უდირიჟორონ, ისინი ბერლინის ფილარმონიის ორკესტრზე ოცნებობენ. თუმცა ეს გასაგებიცაა.

გამომშვიდობებისას, როცა ისევ მისით აღფრთოვანება გამოვხატე, ჩემმა კოლეგამ მომიგო:

- ერთი რამ უნდა აღვნიშნო, თქვენ ათ საათზე მობრძანდით, ამ დროისთვის მათ უკვე ღვიძავთ ხოლმე.

სიის ამოკითხვა. გაიგონო მასწავლებლის მიერ წარმოთქმული საკუთარი გვარ-სახელი, ეს ხომ მაღვიძარას მორიგი ზარივითაა. დილის რვა საათზე თქვენი სახელის ჟღერადობა კამერტონივით ვიბრირებს.
- არაფრით არ შემიძლია ამოკითხვაზე უარი ვთქვა, განსაკუთრებით დილით, - მიხსნის ერთ-ერთი ჩემი კოლეგა, ამჯერად მათემატიკოსი, - ამ მომენტს ვერაფრით ჩავაგდებ, მაშინაც კი, როცა ამის დრო არ მაქვს. აიღო ჟურნალი და უბრალოდ ჩამოჰყვე გვარებს, ზემოდან ქვემოთ, ეს იგივეა, რაც ცხვრები დათვალო. როცა ჩემი ყაჩაღების სიას ვკითხულობ, თითოეულ მათგანს თვალს ვუსწორებ, თითქოს ვეგებები და მათ პასუხს ვისმენ. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, სიის ამოკითხვა ერთადერთი მომენტია დღის განმავლობაში, როცა მასწავლებელს ეძლევა შანსი, კლასში ყველას სათითაოდ მიმართოს. მოსწავლემ წამით მაინც უნდა შეიგრძნოს, რომ ჩემს თვალში არსებობს კონკრეტულად ის და არა ვინმე სხვა. ჩემი მხრივ ვცდილობ, მის მიერ წარმოთქმული "ვარ"-ის ინტონაციის მიხედვით მისი გუნება-განწყობა დავადგინო. თუ ხმა გაბზარული მეჩვენა, ამას შემდგომში აუცილებლად გავითვალისწინებ.

აი, რას ნიშნავს სიის ამოკითხვა...

ერთხელაც ეს ამოკითხვის პროცედურა ერთგვარ თამაშს დაემსგავსა, სადაც მე განსაკუთრებულ აქტიურობას ვიჩენდი. მეჭირა სია ხელში და ხმამაღლა ვიძახებდი. ისინი მპასუხობდნენ. მე კიდევ ნახევარხმაზე მათ პასუხს ტონალობის შენარჩუნებით ვიმეორებდი; ეს შორეულ ექოს წააგავდა.

- მანუელი?

- ვარ!

- "ვარ!" ლუტეცია?

- ვარ!

- "ვარ!" ვიქტორი?

- ვარ!

- "ვარ!" კაროლი?

- ვარ!

- "ვარ!" რემი?

მე მათ ვბაძავდი. მანუელს ეს "ვარ" თავშეკავებული გამოუვიდა, ლუტეციას "ვარ" ხმამაღალი და კამკამა იყო, ვიქტორისა - როხროხა, კაროლის "ვარ" ბროლივით წკრიალებდა. მე ვიყავი მათი დილის ექო. ზოგიერთები ცდილობდნენ, ჩემთვის გზა-კვალი აებნიათ და რაც შეიძლება გაურკვევლად ეპასუხათ, სხვები ხუმრობით, ჩემ დასაბნევად, ინტონაციას იცვლიდნენ; ზოგიერთები საერთოდაც განსხვავებულად მპასუხობდნენ: "დიახ, აქ ვარ, მასწ.", "ეს მე ვარ ნამდვილად". მე ჩუმად ვიმეორებდი მათ პასუხებს. განსხვავებულ ვარიაციებს ყურადღებას არ ვაქცევდი, არც არანაირ გაკვირვებას გამოვხატავდი; ეს იყო თანამონაწილეობისა და ერთსულოვნების საოცარი მომენტი. მისალმება გუნდისა, რომელსაც დილიდანვე ერთად მუშაობა გადაეწყვიტა.

ჩემი მეგობარი პიერი, რომელიც ივრიში მუშაობს, სიის ამოკითხვით არასდროს იწუხებს თავს - დიდი-დიდი, ორჯერ, ჰა, სამჯერ და მორჩა, ისიც სასწავლო წლის დასაწყისში, მათი სახეები და გვარ-სახელები რომ დავიმახსოვრო, არ ჯობია, შესვლისთანავე ბევრად უფრო სერიოზული რამეების კეთებას შევუდგე? - ამბობს ის.

თანაბარ მწკრივებად დაწყობილი მოსწავლეები პიერს დერეფანში საკლასო ოთახის წინ ელოდებიან. ირგვლივ, კოლეჯის თითქმის ყველა კუთხე-კუნჭულში, ისმის ერთი გნიასი და გრუხუნი. მოსწავლეები წინ და უკან დარბიან, აღარ ჩერდებიან, ყველაფერს იპყრობენ. გაჰყვირიან სახელებს, ხავილით ცდილობენ ერთმანეთის ყურადღების მიქცევას და ამყარებენ ხმოვან რეკორდებს.

პიერი კი აუღელვებლად დგას და ელოდება, სანამ მისი მოსწავლეები დაეწყობიან; შემდეგ აღებს კარს და აკვირდება, თუ როგორ შედიან ერთიმეორის მიყოლებით გოგონები და ბიჭები კლასში; შიგადაშიგ ზოგიერთს პატივს დასდებს და მიესალმება კიდეც. მერე კარს მიხურავს და მშვიდი ნაბიჯით თავისი მაგიდისკენ მიემართება. მოსწავლეები ამ ხნის განმავლობაში თავიანთი სკამების უკან დგანან და მოთმინებით ელოდებიან. შემდეგ ბრძანებს, დასხედითო და მაშინვე იწყებს: "აბა, ქარიმ, რაზე შევჩერდით?" მისი გაკვეთილები - ეს საუბარია, რომელიც ყოველ ჯერზე გრძელდება იმ ადგილიდან, სადაც ის წინა გაკვეთილზე შეწყდა.

იმ სერიოზულობის გამო, რომლითაც ის საკუთარ საქმეს ეკიდებოდა, ასევე გასაოცარი სიყვარულით აღბეჭდილი იმ ნდობის გამოც, რომელსაც მოსწავლეები მას უცხადებდნენ, იმ ერთგულებისთვისაც, რომელიც მათ მისადმი მოზრდილ ასაკშიც მიჰყვებოდათ, მე ჩემს მეგობარ პიერში ყოველთვის ბიძია ჟიულის რეინკარნაციას ვხედავდი.

- შეიძლება ითქვას, რომ შენ ვალ-დე-მარნის ბიძია ჟიული ხარ.

ჩემს განცხადებას პიერის ხმაურიანი როხროხი მოჰყვა.

- მართალი ხარ. კოლეგები ჩემში მეცხრამეტე საუკუნის მასწავლებლის სრულ პროტოტიპს ხედავენ. მე მათ თვალში პატივისცემის დამადასტურებელი ნიშნებისა და ჟესტების კოლექციონერი ვარ: მწკრივებად დაყოფა, მწყობრში ჩადგომა, მასწავლებლის შემოსვლისას ფეხზე ადგომა, მასწავლებლის მიერ ნებართვის გაცემამდე სკამებს უკან დგომა და სხვა ამგვარი რამეები მათთვის ის ხარკია, რომელსაც მე ძველი დროის ნოსტალგიას ვუხდი. უნდა გითხრა, რომ ცოტა ზრდილობა არავის აწყენს, მაგრამ აქ სხვა რამეშია საქმე. სიჩუმისკენ მოწოდებით მე მათ ვაძლევ შესაძლებლობას, ჩემს გაკვეთილზე მოეშვან, სამუშაოს დინჯად და აუჩქარებლად შეუდგნენ. მე კიდევ ამ დროს მათ ფიზიონომიებს ვაკვირდები, ვადგენ, ვინ ესწრება, ვინ - არა; მოვნიშნავ დაჯგუფებებს, რომელებიც კლასში გამუდმებით იქმნება და გარკვეული დროის შემდეგ იშლება; მოკლედ, კლასს დილის ტემპერატურას ვუზომავ.

გაკვეთილების ბოლოს, როცა მოსწავლეები დაღლილობისგან ფეხზე ვეღარ დგებოდნენ, მე და პიერი სრულიად გაუცნობიერებლად ერთსა და იმავე რიტუალს მივმართავდით: მოსწავლეებს ვთხოვდით, ქალაქისთვის მოესმინათ. პიერი ივრის მოსმენას სთავაზობდა, მე კიდევ - პარიზის. ამას მოჰყვებოდა სიჩუმისა და გარინდების ორი წუთი. ფანჯრებს მიღმა ხმაური მხოლოდ ამძაფრებდა კლასში გამეფებულ სიჩუმესა და სიმშვიდეს. ამ დროს გაკვეთილებს უფრო დაბალ ხმაზე ვატარებდით და მათ ხშირად უბრალოდ წიგნის კითხვით ვამთავრებდით.

9

ღმერთმა უწყის, კიდევ რამდენ სისულელეს მოროშავს ჩემი თაობა ამ პედაგოგიურ რიტუალებზე, რომლებსაც ბრმა მორჩილების გამოვლინებად აღიქვამენ;
ნიშნების დაწერაზე, დღეს რომ დამამცირებლად ითვლება, კარნახის რეაქციულობაზე, გამომაშტერებელ ზეპირ გამოთვლა-ანგარიშზე, ტექსტების გამომათაყვანებელ დაზუთხვაზე და ა. შ. მსგავსი განცხადებების სია შორს წაგვიყვანდა. პედაგოგიკაშიც იგივე ხდება, რაც ყველგან. როგორც კი ვწყვეტთ კერძო შემთხვევებზე დაფიქრებას (სხვათა შორის, ამ სფეროში ყველა შემთხვევა კერძო ხასიათისაა), სასწრაფოდ საიმედო თეორიის ჩრდილქვეშ შევიყუჟებით ხოლმე, ვეძებთ კომპეტენტური ავტორიტეტის თანადგომასა და მფარველობას; ფარად რომელიმე დადგენილებას ვიყენებთ, ჩვენს ნებისმიერ ქმედებას იდეოლოგიურ ბაზას ვუმზადებთ, შემდეგ კი ურყევი ჭეშმარიტებებით აღვიჭურვებით, ჯიუტად ვქადაგებთ მათ და არ გვადარდებს, რომ რეალური ცხოვრება უმოწყალოდ ანგრევს და აცამტვერებს მათ. მხოლოდ ოცდაათი წლის შემდეგ, ცხადია, თუ ეროვნულმა განათლებამ მთელი ამ ხნის განმავლობაში დაგროვილი უბედურებების აისბერგთან შეჯახების თავიდან აცილების მიზნით აღებული კურსი იცვალა, ჩვენც მივცემთ თავს მოკრძალებული და გაუბედავი შინაგანი შემობრუნების, ანუ კურსის შეცვლის უფლებას, მაგრამ ეს იქნება მთელი გემის შემობრუნება და ჩვენც ახალი დოქტრინისკენ მივექანებით და ახალი კაპიტნის ხელმძღვანელობას ვთანხმდებით, თავად კი ამ დროს, რასაკვირველია, ნებაყოფლობით, მარადიულ ყოფილ მოსწავლეებად ვრჩებით.
10

ამბობთ, რომ კარნახი რეაქციულია? ნამდვილად, სრულიად არაეფექტურია, თუ მას იყენებს ზარმაცი ტვინის პედაგოგი, რომელიც მოსწავლის განათლების დონის დადგენის მიზნით მხოლოდ ქულების დათვლითაა შემოფარგლული. ბრძანებთ, რომ ნიშნები მოსწავლისათვის დამამცირებელია? რა თქმა უნდა, თუ ნიშნების დაწერა დაემსგავსება იმ ცერემონიას, რომელიც მე ამას წინათ ტელევიზორში

საკუთარი თვალით ვიხილე: მასწავლებელი ისე ურიგებდა გასწორებულ დავალებებს თავის მოსწავლეებს, გეგონება, ბოროტმოქმედებს სასიკვდილო განაჩენს უცხადებსო; ბრაზისგან მოქცეული სახით ამ უმაქნისებს სრულ უმეცრებასა და სამუდამო უმუშევრობას უწინასწარმეტყველებდა. ღმერთო, როგორი ზიზღით სავსე დუმილით უსმენდა მთელი კლასი მის ქადაგებას. როგორი ორმხრივი შეუფარავი სიძულვილი იგრძნობოდა კლასში!

11

კარნახი ჩემთვის ყოველთვის იყო ენასთან სრულფასოვანი და ყოვლისმომცველი შეხვედრა; ენასთან, რომელიც გვესმის, რომელზეც ვყვებით და ვმსჯელობთ, რომელზეც ვწერთ და ვთხზავთ; ამ ყველაფრის აზრი ნაწერის მომქანცველი, ლამის პედანტური შემოწმებით განისაზღვრება; ეს ასეა, რადგან გასწორება სხვას არაფერს ისახავს მიზნად, თუ არა ტექსტის ზუსტი მნიშვნელობის გააზრებას, თვით გრამატიკის სულში შეღწევას, სიტყვის მრავალფეროვან მნიშვნელობათა დადგენას. თუ ნიშანს რაღაცის საზომად მაინც გამოვიყენებთ, მაშინ ის იმ მანძილის გასაზომად გამოდგება, რომელიც პროცესის მონაწილემ შემეცნების გზაზე გამოიარა. და აქ, ისევე როგორც ეს ლიტერატურული ანალიზისას ხდება, ტექსტის შინაარსიდან (ნეტავ რა ამბავს მომიყვებიან ახლა?) აზრის ახსნა-განმარტებაზე გადავდივართ (რას ნიშნავს ეს სინამდვილეში?) და ინტერესს ვიჩენთ ტექსტის წყობისა და მისი ფუნქციონირების პრინციპებისადმი (როგორ მოქმედებს ეს ყველაფერი?).
როგორი დაზაფრულიც უნდა ვყოფილიყავი ბავშვობაში, კარნახის მოახლოებისას, - უნდა ითქვას, რომ ჩემი მასწავლებლების კარნახები ნამდვილად წააგავდა მდიდართა თარეშს ღარიბთა უბნებში, - ტექსტის პირველ წაკითხვას ყოველთვის დაძაბული ცნობისმოყვარეობით ვუგდებდი ყურს. ნებისმიერი კარნახი შეიცავს საიდუმლოს. ნეტავ რას წამიკითხავენ ამჯერად? ჩემი ბავშვობის ზოგიერთი კარნახი ისეთი ლამაზი, ისეთი მშვენიერი იყო, რომ სამარცხვინო ნიშნის მიღების შემდეგაც კარგა ხნის განმავლობაში განაგრძობდა ჩემში შაქარყინულივით დნობას. ნული მართლწერაში, ან მინუს თხუთმეტი, ან მინუს ოცდაშვიდი! - რა მნიშვნელობა ჰქონდა შეფასებას. ნებისმიერ შემთხვევაში, ეს იყო ჩემი ხსნა, ჩემი თავშესაფარი, რომელსაც ვერავინ წამართმევდა. რატომ უნდა მეღვარა ოფლი შეცდომების გასწორებაში, თუ ნიშანი ჩემთვის კარგა ხნით ადრე იყო ცნობილი?

რამდენჯერ მითქვამს ბავშვობაში მასწავლებლებისთვის, რაც მოგვიანებით ასე ხშირად თავად მსმენია საკუთარი მოსწავლეებისგან:

- ყოველ შემთხვევაში, კარნახში ნული მუდამ გარანტირებული მექნება!

- რას მეუბნები, ნიკოლა? რატომ ხარ დარწმუნებული, რომ მუდამ ასე იქნება?

- იმიტომ, რომ აქამდე ნულის გარდა სხვა ნიშანი არ მიმიღია!

- მეც, მასწ!

- შენც, ვერონიკა?

- მეც, მასწ, მეც!

- გამოდის, რომ რაღაც ეპიდემიასთან გვქონია საქმე! აბა, ვისაც მართლწერაში ნული აქვს, ხელი ასწიოს!

ასეთი საუბრები ძირითადად სასწავლო წლის დასაწყისში, ახალ კლასთან პირველი შეხვედრისას ხდებოდა, მაგალითად, მეოთხეკლასელებთან, და კარნახთა მრავალრიცხოვანი სერიიდან რიგით პირველის მოახლოებას წინ უსწრებდა.

- კარგი, ახლავე ვნახავთ, რასთან გვაქვს საქმე. აიღეთ სუფთა ფურცელი და დაწერეთ კარნახი.

- ო, არა მასწ, არა რა!

- არ გვინდა ვაჭრობა. კარნახი! დაწერეთ: ნიკოლა გვიმტკიცებს, რომ მართლწერაში ყოველთვის ნულს მიიღებს... ნიკოლა გვიმტკიცებს...

იმპროვიზირებული კარნახი, რომელსაც იქვე, ადგილზე ვთხზავ, ჩემი რეაქციაა მათ მიერ საკუთარი უმეცრების აღიარებაზე.

"ნიკოლა გვიმტკიცებს, რომ მართლწერაში ყოველთვის ნულით შეფასდება, მხოლოდ იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ მას აქამდე სხვა ნიშანი არ მიუღია. ფრედერიკი, სამი და ვერონიკა მის აზრს იზიარებენ. ნულმა, რომელმაც ისინი პირველივე კარნახიდან გამოიჭირა, მათი საბოლოო დატყვევება შეძლო. მათ რომ მოვუსმინოთ, ისინი ამჟამადაც ნულის ტყვეობაში იმყოფებიან და გათავისუფლებას ვერასდროს ეღირსებიან. არც ერთმა არ იცის, რომ საპყრობილის გასაღები ჯიბეში უდევს".

ტექსტის შეთხზვისას, საერთო ცნობისმოყვარეობის გაღვივების მიზნით, თითოეულს საკუთარი როლი მოვუფიქრე, ცხადია, ჩემი "გრამატიკული ინტერესიც" დავურთე: დამოკიდებული წინადადება, აბსოლუტივიანი მიმღეობა, ნამყოს მიმღეობა, პირდაპირი და ირიბი დამატება და მრავალი სხვა.

კარნახს როგორც კი მოვრჩით, მის გასწორებას შევუდექით.

- ნიკოლა, აბა პირველი ფრაზა წაგვიკითხე, ჩემო კარგო.

- "ნიკოლა გვიმტკიცებს, რომ მართლწერაში ყოველთვის ნულით შეფასდება".

- ეს პირველი ფრაზაა? ნამდვილად აქ მთავრდება? დარწმუნებული ხარ?

- ...

- ყურადღებით წაიკითხე!

- ა, ჰო, "მხოლოდ იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ მას აქამდე სხვა ნიშანი არ მიუღია".

- კეთილი. რომელია პირველი ზმნა?

- გვიმტკიცებს?

- დიახ, გადამიყვანე საწყის ფორმაში - ინფინიტივში.

- მტკიცება?

- ჯგუფი? დაბოლოებით.14(ფრანგულში ზმნები სამ ჯგუფად იყოფა.) უნდა მიხვდე

- მმმ...

- მესამე. ოღნავ მოგვიანებით აგიხსნი თუ რატომ. დრო?

- აწმყო.

- ქვემდებარე მომიძებნე.

- მე. უფრო სწორად, ნიკოლა.

- პირი?

- მესამე პირი, მხოლობითი რიცხვი.

- სწორია. ზმნა მტკიცება მხოლობითი რიცხვის მესამე პირში. ყურადღება მიაქციე დაბოლოებას. ახლა შენი რიგია ვერონიკა. აბა, დამისახელე იმავე ფრაზის მეორე ზმნა.

- ...

- ...

- აჰ, მგონი მივაგენი, ეს შეფასდებაა.

- რომელ დროშია ზმნა ჩასმული?

მსგავსი შემოწმების დროს ჩვენ ყველაფერს ნულიდან ვიწყებთ. განა დღესაც ეს ნული არ იყო ყველაფრის თავი და თავი? კი ბატონო, მაგრამ მეოთხეში ყველაფრის ნულიდან დაწყება? არ მიგაჩნიათ, რომ... დიახ, მეოთხეში, ბატონო და არაფერიც არ მიმაჩნია. მესამეშიც არაა გვიან, რომ ყველაფერს ნულიდან აუყვე და მიმიფურთხებია იმ სასკოლო პროგრამის მოთხოვნებისთვის. არ ვაპირებ არც წუწუნს და არც ჩემი წინამორბედი პედაგოგების გაკრიტიკებას. ვიწყებთ ნულიდან! მორჩა და გათავდა! ვიმეორებთ ყოველ ზმნას, ყოველ არსებით სახელს, ყოველ ზედსართავს, ყოველ შემაკავშირებელ სიტყვას; ყოველი კარნახისას ნაბიჯ-ნაბიჯ, სიტყვა-სიტყვა, ფრაზა-ფრაზა ვაცოცხლებთ ენას.

- მიზეზი, არსებითი სახელი, მხოლობითი რიცხვი.

- ბრუნვა გამოგრჩა.

- ჩასმულია ნათესაობით ბრუნვაში.

- დაუსვი კითხვა..

- ვინ, რა.

- მეტყველების რომელი ნაწილია, რაც მიზეზს წინ უსწრებს. აბა, დააკვირდი.

- მარტივი?

- დიახ, მარტივი.

- ეს ზედსართავი სახელია, მასწ.

- ახლა ზმნა "შეფასებიდან" ზედსართავი სახელები მიწარმოეთ.

- შესაფასებელი, დასაფასებელი, ფასიანი, უფასო.

ყველა კარნახი, რომლებსაც სასწავლო წლის დასაწყისში რამდენიმე კვირის განმავლობაში ვაწერინებდით ხოლმე მოსწავლეებს, სხვა არაფერს წარმოადგენდა, თუ არა ერთგვარ პატარა მოთხრობებს, რომლებიც საბოლოოდ საკლასო დღიურის იერს იძენდა. მათთვის წინასწარ არავინ ემზადებოდა. როგორც კი საბოლოო წერტილს დავსვამდით, მაშინვე ყველანი ნაწერის კოლექტიურ გასწორებას ვიწყებდით. ამის შემდეგ მე კიდევ ერთხელ ვასწორებდი ნაწერებს, მაგრამ არა სკოლაში, არამედ სახლში, სრულ სიმყუდროვესა და სიმარტოვეში. ეს შრომატევადი პროცესი სრულდებოდა მეორე დღეს გასწორებული და უკვე ნიშნიანი ნაწერების დარიგებით. ნიშნები! მათი დასმა მხოლოდ იმის გამო ღირდა, რომ ნიკოლას ფიზიონომიით დავმტკბარიყავი, რომელმაც ცხოვრებაში პირველად მოახერხა, თავი დაეხსნა "სისხლისმწოველი" ნულის კლანჭებიდან. არა, ნამდვილად არაფერი სჯობდა ნიკოლას, ვერონიკას, სამის სიფათების ცქერას, როდესაც მათ, ბოლოს და ბოლოს, შეძლეს "ორთოგრაფიული დილეგიდან" გამოსვლა. თავისუფლება! როგორც იქნა! რა ბედნიერებაა!

კარნახიდან კარნახამდე, თანდათან "გრამატიკული აზროვნებისას" მოსწავლეებს ერთგვარი ავტომატიზმი გამოუმუშავდათ, რამაც საბოლოო ჯამში, გასწორებისათვის დათმობილი დრო საგრძნობლად შეამცირა.

დარჩენილი საქმე "სალექსიკონო ჩემპიონატებმა" იტვირთა. ეს გახლდათ გაკვეთილის ერთგვარი ოლიმპიური შემადგენელი ნაწილი - სპორტული შესვენება-განტვირთვა. საჭირო იყო წამზომით ხელში, უმოკლეს დროში სასურველი სიტყვა ლექსიკონში მოგეძებნა, ამოგეწერა ის, შეგედარებინა კარნახში დაფიქსირებული ლექსიკური ერთეულისთვის და გადაგეტანა ჯერ საერთო-საკლასო რვეულში, შემდეგ კი - საკუთარში. ამის შემდეგ დროის დაუკარგავად მორიგი სიტყვის ძებნას უნდა შესდგომოდი. ლექსიკონის გამოყენების უნარი ყოველთვის იყო ჩემი ძირითადი პრიორიტეტი; სპორტის ამ სახეობაში, თუ შეიძლება ასე ითქვას, ნამდვილი ათლეტები გამოვზარდე, თორმეტი წლის სპორტსმენები, რომლებიც საჭირო სიტყვას ორ-სამ, მაქსიმუმ, ოთხ წამში პოულობდნენ. ეს ის სფერო გახლდათ, რომელშიც ზოგიერთ ჩემს მოსწავლესთან პაექრობაში სამარცხვინოდ ვმარცხდებოდი. რადგან ამ საქმეს შევეჭიდეთ, გადავწყვიტეთ, კლასიფიკაციის სისტემების კვლევა ბიბლიოთეკებსა და წიგნის მაღაზიებში გადაგვეტანა; ასეც მოვიქეცით. ვერ წარმოიდგენთ, რა ხალისით ეძებდნენ ბავშვები ავტორებს, სათაურებსა და გამომცემლებს იმ რომანებისა, რომლებსაც ჩვენ გაკვეთილების დროს ერთობლივად ვეცნობოდით ან ზოგჯერ მე ვუყვებოდი მათ შესახებ. აქაც პირველობისთვის ნამდვილი შეჯიბრი იმართებოდა; ხშირად მაღაზიის მეპატრონე გამარჯვებულს წიგნს საჩუქრად გადასცემდა.

ასე და ამგვარად ვწერდით ჩვენს ყოველდღიურ კარნახს მანამ, სანამ ერთ დღესაც მორიგი კარნახის შედგენას ერთ-ერთ ყოფილ "ნულოსანს" არ დავავალებდი:

- სამი, თუ შეიძლება, შეგვიდგინე ხვალინდელი კარნახი: მომცრო, სულ რაღაც ექვსსტრიქონიანი ტექსტი, ორი უკუქცევითი ზმნით, ერთი ნამყოს მიმღეობით, მეშველი ზმნის - "ქონა"-ს - გამოყენებით, ერთი ჩვენებითი და ერთი კუთვნილებითი ნაცვალსახელით; ამას გარდა, დაამატე ორი-სამი

შედარებით რთული სიტყვა უკვე ნასწავლი მასალიდან, და ბოლოს, ორი-სამი შენი გემოვნებით შერჩეული რაღაცაც.

ვერონიკა, სამი, ნიკოლა და სხვებიც რიგრიგობით თხზავდნენ ტექსტებს, თვითონვე კარნახობდნენ და, თავისთავად ცხადია, გასწორებასაც თვითონ ხელმძღვანელობდნენ. და ასე გრძელდებოდა მანამ, სანამ კლასში ყოველი მოსწავლე საკუთარი ფრთებით არ დაიწყებდა ფრენას, სანამ თითოეული დინჯად, გააზრებულად, გარეშე ძალების ჩაურევლად, თავად არ გახდებოდა საკუთარი თავის კორექტორი.

იყო, რა თქმა უნდა, წარუმატებლობაც, თან არაერთი, მაგრამ ეს მარცხი ხშირ შემთხვევაში გარე მიზეზებით იყო განპირობებული; მხედველობაში მაქვს დისლექსიის ან დაქვეითებული სმენის დაგვიანებული გამოვლენა... მაგალითად, ერთი მესამეკლასელი ბიჭუნა სრულიად წარმოუდგენელ შეცდომებს უშვებდა: ერთმანეთში ურევდა ე-სა და ი-ს, ო-სა და უ-ს. მოგვიანებით გაირკვა, რომ საერთოდ არ ესმოდა მაღალი სიხშირეები. დედამისს ერთი წამითაც არ დაუშვია, რომ მისი ვაჟიშვილი შეიძლება სმენადაქვეითებული ყოფილიყო; როდესაც ბავშვი მაღაზიიდან ბრუნდებოდა და პროდუქტების თითქმის ნახევრის შეძენა ავიწყდებოდა, როცა კითხვებზე არაადეკვატურ პასუხებს იძლეოდა, როცა კითხვით, კროსვორდის ამოხსნით ან იალქნიანი ნავის მაკეტის აწყობით გატაცებული დედამისის არც ერთ სიტყვაზე არ რეაგირებდა, მშობელი ამ დუმილს ბავშვის გაფანტულობას მიაწერდა, რაც კი არ აფორიაქებდა, არამედ გულს უჩუყებდა. "მე ყოველთვის მჯეროდა, რომ დიდი მეოცნებე მეზრდებოდა". ვაჟიშვილის ყრუდ წარმოსახვა მის დედობრივ ძალებს აღემატებოდა.

(კარგი იქნებოდა, სკოლაში წაყვანამდე ბავშვისთვის სმენისა და მხედველობის სერიოზული შემოწმება სავალდებულო გამხდარიყო, ამით თავიდან ავიცდენდით უსაფუძვლო და მცდარ განსჯა-შეფასებებს მასწავლებლების მხრიდან, ეშველებოდა მშობლების სიბრმავესაც და, რაც მთავარია, ბავშვებს ვიხსნიდით სრულიად ზედმეტი სულიერი ტანჯვა-წამებისგან).

იმის მიხედვით, როგორ თავისუფლდებოდა თითოეული მათგანი საკუთარი "ნულის" ტყვეობისგან, კარნახების რაოდენობა კლებულობდა, სამაგიეროდ, მათი სიგრძე მატულობდა შესამჩნევად. ყოველკვირეული ლიტერატურული კარნახები, რომლებსაც ხელს აწერდნენ: ჰიუგო, ვალერი, პრუსტი, ტურნიე, კუნდერა, ზოგჯერ ისეთი მშვენიერი იყო, რომ მათ ზეპირად სწავლასაც არ ვიზარებდით; მაგალითად, ალბერ კოენის ეს არაჩვეულებრივი ტექსტი "წიგნი დედაჩემზე":

"ღმერთო, რატომ არიან ადამიანები ასეთი ბოროტები? რატომ ჯაბნის მათ ასე ადვილად ღვარძლი და სიძულვილი? რატომ იპყრობთ ასე სწრაფად შურისძიების წყურვილი? რატომ სიამოვნებთ თქვენზე სისაძაგლეების ლაპარაკი? და ეს მაშინ, როცა მშვენივრად იციან, რომ ამქვეყნად დიდი ხნის სიცოცხლე არ უწერიათ. ცოტაც და ეს საწყლები აქედან მოუსავლეთში გადაბარგდებიან. წარმოუდგენელია, როგორ ვერ აკეთილშობილებს მათ ტრაგიკული ამბავი, რომელიც ადამიანებს ამქვეყნად მოვლინების შემდეგ გადახდებათ ხოლმე თავს. ჩვენ ვიბადებით, დავდივართ, ვიცინით, და ერთხელაც, ყველაფერი მთავრდება. რატომ ხდება, რომ როგორც კი ადამიანებს თბილად მოექცევით

და მათ მიმართ კეთილად განეწყობით, ისინი მაშინვე ირწმუნებენ, რომ თქვენ განსაკუთრებულს არაფერს წარმოადგენთ და ამიტომ არც არანაირი საფრთხის შექმნა შეგიძლიათ მათთვის, და იწყებენ თქვენთან თუთიყუშის ხმით ლაპარაკს? გამოდის, რომ კეთილმა ადამიანებმა თავი ბოროტებად უნდა წარმოაჩინონ, რათა მათ თავი დაანებონ, ან - რაც კიდევ უფრო დიდი უბედურებაა - შეიყვარონ. რა მოხდება, თუ უბრალოდ დავწვებით და ღრმა ძილს მივეცემით? ნათქვამია, მძინარე ძაღლს რწყილები აღარ კბენენო. ჰო, მოდი, დავწვეთ და დავიძინოთ, ძილი ხომ სიკვდილის ყველა უპირატესობითაა შემკული და არ ახლავს მისი ურყოფითი მხარეები. მოდი, ჩავწვეთ ლამაზ და შვებისმომგვრელ პატარა კუბოში. როგორ მინდა, შემეძლოს, როგორც უკბილო მოხუცმა, რომელიც ყოველღამე, ძილის წინ, იღებს პროთეზს და დებს წყლიან ჭიქაში, მეც ამოვიღო თავის ქალადან ტვინი, ამოვიღო გული, ეს საბრალო, ასე ძლიერ რომ მიცემს და პატიოსნად ასრულებს თავის მოვალეობას, ჰო - ამოვიღო ტვინი და გული - ეს ღარიბი მილიარდერები - ჩავუშვა ისინი მაცოცხლებელ სითხეში, მე კი ამ დროს ვიძინებდი, ვიძინებდი მშვიდად, როგორც ჩვილი ბავშვი, როგორიც უკვე ვეღარასოდეს ვიქნები ... რა ცოტა ადამიანია გარშემო, რა უცებ დაცარიელდა სამყარო".

ბოლოს დგებოდა "დიდების" დღე, როდესაც მეოთხეკლასელებთან, ხშირად მეექვსეკლასელებთანაც კი, მეორე და პირველკლასელთა ნაწერები შემქონდა შეცდომების გასასწორებლად. "ნულის" პატიმრობიდან გათავისუფლებული ამასწინდელი ტუსაღები წამში შეუწყნარებელ კორექტორებად გარდაიქმნებოდნენ ხოლმე. მართლწერაში ხელგაწაფული ბელურების გუნდი არავის და არაფერს ინდობდა; თავაუწევლად იკენკებოდნენ ნაწერებში.

- ჩემი საერთოდ არ არის შეთანხმებების აზრზე, მასწ!
- ჩემი ფრაზებს კი წერს, მაგრამ ვერ გაიგებ, სად იწყებს და სად ამთავრებს...

- შეცდომა გავასწორე, მასწ, ახლა რა დავწერო მინდორზე?

- რაც გინდა ის დაწერე...

შემდეგ კი უფროსკლასელთა მხიარული აღშფოთება, როცა მინდორზე ამ უმოწყალო გამსწორებლების შენიშვნებს კითხულობენ:
- არა, ერთი შეხედეთ, რა დაუწერია: "კრეტინი!" "გამოქლიავებული!" "კვერცხი!" - თან წითელი პასტით!

შემდეგ, ამჯერად უკვე მოზრდილებს შორის, ტარდებოდა მასშტაბური კამპანია, რომელიც ისევ და ისევ შეცდომების გასწორებას ისახავდა მიზნად, კერძოდ, ზმნების, არსებითი სახელების, მართლწერის, ყველა შესაძლო შეთანხმების გადამოწმებას. ამ დროს ნათლად ვლინდებოდა ზოგიერთი ფრაზის სინტაქსური და ლექსიკური გაუმართაობა; ცხადია, არ იმალებოდა აზრობრივი ბუნდოვანებებიც. მოსწავლეები მივიდნენ იმ აღმოჩენამდე, რომ გრამატიკა ორგანიზებული აზროვნების ინსტრუმენტია და, რომ ყბადაღებული ლოგიკური ანალიზი (რომელსაც ძრწოლის გარეშე დღესაც ვერც ერთი ვერ იხსენებს) ჩვენს აზროვნებას დინამიზმს სძენს, სასურველი მიმართულებით წარმართავს. ამ თემაზე ბჭობამ რამდენიმე დღეს გასტანა.

ხდებოდა ისეც, რომ უფროსკლასელებთან ვატარებდით ბლიც-კარნახს, რომელიც მხოლოდ ერთ მიზანს ემსახურებოდა: შეგვეფასებინა ქვეწყობილ წინადადებათა როლი გამართული მსჯელობის შემთხვევაში. ერთ დღესაც ამაში თავად ლაბრიუიერმა 15(ფრან გი მწე რა ლი, (1645-1696), აფო რიზ მე ბის ოს ტა ტი.)ფასდაუდებელი სამსახური გაგვიწია.

- აბა, აიღეთ ფურცლები და დააკვირდით, როგორ წინასწარმეტყველებს ლაბრიუიერი ერთადერთი ფრაზით - მთავარი და ქვეწყობილი წინადადებების დაპირისპირებით - ერთი სამყაროს დასასრულსა და მეორის დასაწყისს. ახლა წაგიკითხავთ ტექსტს და თან განგიმარტავთ სიტყვებს, რომლებიც დღევანდელი გადასახედიდან შეიძლება სრულიად გაუგებარი მოგეჩვენოთ. ყურადღებით მოისმინეთ, შემდეგ კი ყველაფერი აუჩქარებლად ჩაიწერეთ. ვკითხულობ ნელა, თქვენ ფეხდაფეხ მომყვებით, თითქოს საკუთარ ნააზრევს წერთ!

"იმ დროს, როდესაც დიდებულებს არ სურთ, რამეს ეზიარონ, დაეუფლონ იმას, რაც წაადგებოდა მეფისა და, მთლიანად, ერის ინტერესებს და არც ის უნდათ, იცოდნენ, რაც აუცილებელია საკუთარი საქმეების, სახლისა და ოჯახის სამართავად, პირიქით, ტრაბახობენ, თავს იწონებენ თავიანთი უმეცრებით, მოურავებს აძლევენ მათი ძარცვისა და მოტყუების უფლებას, თავად კი კმაყოფილდებიან იმით, რომ კარგი ღვინისა და დახვეწილი სამზარეულოს დაფასება ძალუძთ, ხშირად სტუმრობენ ფრინესა და ტაისს, ყბედობენ მწევრებსა და ცხენებზე, ზედმიწევნით იციან, რამდენი საფოსტო ეტაპია პარიზსა და ბეზანსონსა ან ფილიპსბურგს შორის, - უბრალო მოქალაქენი სახელმწიფოს შიდა და საგარეო პოლიტიკით ინტერესდებიან - სწავლობენ მართვის საიდუმლოებებს, ხდებიან პოლიტიკოსები, იკვლევენ საკუთარი სახელმწიფოს სუსტ და ძლიერ მხარეებს, ოცნებობენ თანამდებობებზე, ერთ დღესაც იგდებენ ხელში მართვის სადავეებს, იზრდებიან, ვითარდებიან, იხვეწებიან, ხდებიან ძლიერნი ამა სოფლისა და მზად არიან, ხელმწიფეს ერის საკეთილდღეოდ ზრუნვაში შეეხიდონ".

და ახლა - მთავარი დარტყმა:

"დიდებულებს სძულთ ისინი, მაგრამ მაინც ქედს იხრიან მათ წინაშე და მათთან დამოყვრებასაც ბედნიერებად მიიჩნევენ".

აზრობრივად დაპირისპირებული წინადადებებისაგან შედგენილი რთული წინადადება, რომლის პირველი ნაწილი - "სძულთ ისინი" - გამოხატავს შინაგან დამოკიდებულებას და მეორე - "ბედნიერებად მიიჩნევენ" - მომაკვდინებელი პირდაპირობით - ჭეშმარიტ რეალობას.

12

რატომ არ უნდა გვესწავლა ეს ტექსტები ზეპირად? ვინ თქვა, რომ ასე ლიტერატურას ვერ ვეზიარებით? გინდათ, მითხრათ, რომ ასე უკვე დიდი ხანია არ კეთდება? მაშინ ისღა დაგვრჩენია, რომ მსგავსი ტექსტები ქარს გავატანოთ, როგორც შემოდგომის ფოთლები, ან ნაგვის ყუთში გადავუძახოთ მხოლოდ იმიტომ, რომ დღეს სხვა დრო დაგვიდგა და ასეთი ქმედება უაზრობაა. აღარ ვეცადოთ მათ შეჩერებას, მათთან შეხვედრის მეხსიერებაში ჩაბეჭდვას? - ნუთუ ეს სწორია; ეს

ტექსტები ცოცხალი არსებები რომ ყოფილიყვნენ, ამ არაჩვეულებრივ გვერდებს სახე, სიმაღლე, ხმა, ღიმილი და სურნელი რომ ჰქონოდათ, განა მთელი დარჩენილი სიცოცხლე სანანებლად არ გაგვიხდებოდა, რომ მათ ასე, სრულიად უაზროდ, წასვლის უფლება მივეცით? ჩვენ ხომ ვინახავთ მხოლოდ მოგონების კვალს და ერთ დღეს ეს კვალიც წაიშლება და ხელში მხოლოდ მოგონებაღა შეგვრჩება კვალზე... რატომ უნდა გამოვუტანოთ საკუთარ თავს ასეთი მკაცრი განაჩენი? (კი, კი, მგონი, რაღაც მაგდაგვარი ლიცეუმში გვისწავლია. ღმერთო, ავტორი გამახსენე: ლაბრიუიერი? მონტესკიე? ფენელონი? რომელ საუკუნეში ცხოვრობდა ავტორი? XVII თუ XVIII? აი, ის ერთიანი ფრაზით ასე ოსტატურად რომ აღწერდა ერთი წყობიდან მეორეზე თანდათანობით ბუნებრივ გადასვლას) რომელი პრინციპის გამო უნდა დავზარალდეთ ასე? მხოლოდ იმიტომ, რომ ოდესღაც მასწავლებლები იდიოტურ ლექსებს გვაზუთხვინებდნენ და რომ ზოგიერთი გამოთაყვანებული ბებრის აზრით, მეხსიერება ბიბლიოთეკა კი არ იყო, მუდმივ შევსებასა და განახლებას რომ საჭიროებდა, არამედ კუნთი, რომელიც უნდა ავარჯიშო. ოჰ, ეს ყოველკვირეული გასაზეპირებელი ლექსები, რომლებსაც ვერაფერს ვუგებდით და რომელთაგან ყოველი მომდევნო პირწმინდად შლიდა წინამორბედს, გეგონება მეხსიერებას კი არ ვავარჯიშებდით, არამედ დავიწყების უნარს. საინტერესოა, რატომ გვტენიდნენ მასწავლებლები ამ ლექსებით? იმიტომ, რომ მოსწონდათ ისინი, თუ იმიტომ, რომ თავის დროზე მათაც ატენიდნენ თავიანთი "მწვალებლები" ისე, თითქოს ეს ლექსები მკვდარი ლიტერატურის პანთეონს განეკუთვნებოდა. ასეა თუ ისე, მათაც ამავსეს "ნულებით". ვინ მოთვლის, რამდენი ზედმეტი საათი მაყურყუტეს სკოლაში გაკვეთილების შემდეგ.
- რა თქმა უნდა, პენაკიონი, მოსაყოლი არ გისწავლიათ.

- როგორ არა, მასწ, ვისწავლე! ჯერ კიდევ გუშინ ზეპირად ვიცოდი, ჩემს ძმასაც კი მოვუყევი. საქმე ისაა, რომ გუშინ, რასაც "ლექსი" ერქვა, თქვენ დღეს "მოსაყოლად" მოიხსენიეთ; ეს კიდევ ძალიან მაბნევს, ამ დროს ვჭედავ ხოლმე; ვერც წინ მივდივარ და ვერც უკან...

რასაკვირველია, მსგავსი არაფერი მითქვამს, ისეთი დამფრთხალი ვიყავი, აბა, რას გავბედავდი. და ახლა მხოლოდ იმიტომ ვუბრუნდები იმ შიშისმომგვრელ მოყოლის სცენას მასწავლებლის კათედრის გვერდით, რომ როგორმე ავხსნა, თუ რატომ იწვევს დღეს ნებისმიერი აპელირება დამახსოვრებაზე ასეთ დაუფარავ ზიზღს; შესაძლოა, მეხსიერებაში ლიტერატურისა და ფილოსოფიის საუკეთესო გვერდების შენახვაზე უარის თქმა მხოლოდ ამ შიშებისგან თავდაცვისა და გათავისუფლების უბრალო მცდელობაა. შესაძლოა, იმ მარტივი მიზეზის გამო ვუკრძალავთ საკუთარ თავს ამ ტექსტების დამახსოვრებას, რომ ოდესღაც ვიღაც იდიოტებმა მათი ბრწყინვალება და მნიშვნელობა უაზრო, მექანიკურ გაზუთხვამდე დაიყვანეს და მოსწავლეებს მათი გააზრებული ათვისების ყოველგვარი სურვილი დაუკარგეს. თუ ეს ასეა, მაშინ ერთ სისულელეს მეორე ჩანაცვლებია. სხვა არც არაფერი მომხდარა.

შეიძლება, ვიღაცები შემომედავონ, რომ კარგად ორგანიზებული ტვინი გაზეპირებას არ საჭიროებს, ის თვითონ იპოვის, რაც სჭირდება, დაიმახსოვრებს, რაც ღირებული და აზრის შემცველია; ხოლო სილამაზის შეგრძნების მისი უნარი, მე რამდენსაც არ უნდა ვეცადო, ხელუხლებელი დარჩება. თუმცა იგი წამში მოგიძებნით ნებისმიერ წიგნს თავის ბიბლიოთეკაში, წუთში კი - საჭირო სტრიქონებს (მეც ზუსტად ვიცი, სად მელოდება ჩემი ლაბრიუიერი. ვხედავ თაროს, სადაც ისაა გამოდებული, ჩემი კონრადის, ჩემი ლერმონტოვის, ჩემი პეროს და ჩემი ჩანდლერის გვერდით... სხვებიც აქ არიან,

მთელი ჩემი სამეგობრო, ანბანური თანმიმდევრობით ჩამწკრივებულები). არაფერს ვამბობ კიბერსივრცეზე, სადაც თითის ოდნავი შეხებით შეგიძლიათ კაცობრიობის მთელი მეხსიერება ფურცლოთ. ზეპირად ისწავლო? რისთვის, როცა ისეთ ეპოქაში ვცხოვრობთ, სადაც მეხსიერება გიგაბაიტებით იზომება!

ეს ყველაფერი სრული ჭეშმარიტებაა, მაგრამ მთავარი სხვა რამეშია. როცა ზეპირად ვსწავლობ, ჩანაცვლებას კი არ ვახდენ, არამედ უბრალოდ, ვამატებ.

ჩაიძირო ენაში, აი, რაშია მთელი საიდუმლო. დაცალო ერთი ფინჯანი და ისევ მოითხოვო.

დიახ, ვატენიდი ამდენ ტექსტს ჩემს მოსწავლეებს (თითოს - კვირაში) დაწყებული მეექვსედან გამოსაშვებით დამთავრებული, და ყოველდღიურად მათ მოყოლას ვაიძულებდი. ამით მე მათ ენის ბობოქარ და უხვწყლიან ტალღებში ვძირავდი, იმ ტალღებში, საუკუნეების დატბორვის შემდეგ ჩვენს კარს რომ ეხეთქება და მთელ სახლს ავსებს. რა თქმა უნდა, თავიდან წიხლებს ისროდნენ, მეურჩებოდნენ, ჯიუტობდნენ. წყალი ძალიან ცივია, დინება - სწრაფი და დავიხრჩობითო, - მეუბნებოდნენ; მართალსაც ამბობდნენ! ეს ის შიშია, რომელიც ნებისმიერს ეუფლება წყალში გადახტომამდე.

- არ გამომივა!

- ვერ ვიმახსოვრებ!

(და ამას მეუბნებიან მე, დაბადებიდანვე ამნეზიით შეპყრობილს!)

- რამხელაა!

- ძალიან ძნელია, მასწ, ამას რა ისწავლის!

(და ამას შემომჩივიან მე, ჩამოყალიბებულ კრეტინს!)

- მერე ეს ლექსები, მასწ, დღეს ვინ ლაპარაკობს ასე!

(კარგი ერთი, რა).

- და ამაში ნიშნები დაგვეწერება, მასწ?

(აბა, როგორ?)

არაფერს ვამბობ შეურაცხყოფილი მოწიფულების პროტესტზე:

- გავიზუთხოთ? ეს ყველაფერი ზეპირად უნდა ჩამოვარაკრაკოთ? ბავშვები ხომ არ ვართ, მასწ?

- მე რა, თუთიყუში კი არ ვარ!

ისინი ვა-ბანკზე მიდიოდნენ. ნამდვილი ომი გამომიცხადეს. ამ ყველაფერს კიდევ იმიტომ ფიქრობდნენ, რომ მსგავსი რამეები სხვებისგანაც ესმოდათ. უპირველესად კი - საკუთარი, ასე ვთქვათ, მეტისმეტად წინწასული მშობლებისგან; როგორ, ბატონო პენაკიონი, თქვენ მათ აიძულებთ, ტექსტები ზეპირად ისწავლონ? ჩემი ვაჟი ხომ უკვე დიდი ხანია ბავშვი აღარ არის? - თქვენი ვაჟიშვილი, ღრმად პატივცემულო ქალბატონო, ენის წინაშე მუდამ ბავშვად დარჩება. თქვენც ჩვილი ბავშვი ხართ, მეც კიდევ - სასაცილო ბიჭუნა, ჩვენ ყველანი ერთად აღებული სხვას არაფერს წარმოვადგენთ, თუ არა ჭიჭყინებს, სიტყვიერების წყალუხვი სათავიდან გადმოღვრილი ძლიერი ნაკადი რომ მიგვაქანებს; ერთ მშვენიერ დღესაც თქვენს ვაჟს აუცილებლად დააინტერესებს, რომელ ენაში მიცურავს ის, რა ტალღა მიაქანებს, კვებავს და უკლავს წყურვილს. თავად დაებადება სურვილი, იყოს ამ სილამაზის მფლობელი. ვერც კი წარმოიდგენთ, რა საამაყო იქნება მისთვის ამ ფასდაუდებელი ტვირთის ტარება. თქვენ თავად იხილავთ, რა უსაზღვრო სიამოვნებას მიანიჭებს სიტყვებისთვის გემოს გასინჯვა. დატკბება გონებაში აზრების შეხლა-შემოხლით გამოწვეული აფეთქებებით. აღმოაჩენს თავისი მეხსიერების დაუჯერებელ შესაძლებლობებს, ამ გაუგონარი მასშტაბების მქონე რეზონანსული კამერის უსაზღვრო მოქნილობას, სადაც იცხოვრებენ ყველაზე ნათელი აზრები, ამღერდებიან ულამაზესი ფრაზები. როცა მეხსიერების უძირო უფსკრულს აღმოაჩენს, ლინგვისტური ცურვის ხელოვნების დაუფლებასაც მოისურვებს და სიამოვნებით გადაეშვება თავით ფეხებამდე ტალღებში. სიღრმეებში ყვინთვისას ახალ-ახალ ტექსტებს ჩაავლებს ხელს და მთელი ცხოვრება გააზრებული ექნება, რომ მისი არსის მშენებელნი სწორედ ისინი არიან; და დაიწყებს მათ ზეპირად მოყოლას. ხოლო თუ ეს მას მოესურვება, თავისთვისაც გაიმეორებს, რათა სიტყვების გემოთი კიდევ ერთხელ დატკბეს. წერილობითი ტრადიცია, მემკვიდრეობით რომ გადმოგვეცა, მისი წყალობით ისევ ზეპირი გახდება. ის შეიძლება ადგეს და ეს ტექსტები ვინმე სხვასაც მოუყვეს, უბრალოდ, სიამოვნების გაზიარების სურვილით ან თუნდაც თავის მოსაწონებლად. ასე ის თითქოს უბრუნდება დამწერლობამდე პერიოდს, როცა აზრის დინება და სიცოცხლისუნარიანობა მოყოლით წარმოჩინდებოდა. თუ თქვენ მეტყვით, რომ ეს რეგრესია, მე გიპასუხებთ, რომ ეს რეგრესი კი არა, ხანგრძლივი განშორების შემდეგ ნანატრი შეხვედრაა. ცოდნა თითქოს ხორცს ისხამს, ჩვენი მზერა და სმენა ატყვევებს მას, ბაგეები კი გადასცემენ. ცხადია, ეს ცოდნა წიგნებიდან გადმოგვეცემა, მაგრამ წიგნები ჩვენგან იბადებიან, ჩვენგან წარმოიქმნებიან. ფიქრი ხომ ჩუმი არ არის, და კითხვის სიყვარული დასაბამს რაღაცის თქმის აუცილებლობიდან იღებს.

13

ჰო! კიდევ ერთი რაღაცის თქმა კინაღამ დამავიწყდა: ნუ ღელავთ, ძვირფასო ქალბატონო (შემეძლო დამემატებინა იმ დედის საყურადღებოდ, რომელიც თაობიდან თაობამდე იოტისოდენადაც არ იცვლება), მთელი ეს სილამაზე, რომელმაც თქვენი შვილის თავში დაიბუდა, სულაც არ შეუშლის მას

ხელს საათების განმავლობაში თავის თანატოლებთან სოციალურ ქსელებში ჩინურ ენაზე იჩათაოს, აგზავნოს ტონობით შეტყობინებები, რომელთა წაკითხვისას გულის სიღრმიდან აუცილებლად აღმოგხდებათ სასოწარკვეთილი სიტყვები: "ღმერთო, ეს რა საშინელებაა, ამდენი ორთოგრაფიული შეცდომა განა დასაშვებია?! ეს რა უბედურებაა, რა საშინლად მეტყველებენ დღევანდელი ახალგაზრდები! მაინტერესებს, სკოლა რას აკეთებს?" - დამშვიდდით ქალბატონო, ჩვენ კი ვაიძულებთ თქვენს ბავშვებს იმუშაონ, მაგრამ დედობრივი ჭმუნვისა და ფორიაქის კაპიტალს არავითარ შემთხვევაში არ ვესხმით თავს.
14

მაშ, როგორც უკვე მოგახსენეთ, ერთი ტექსტი კვირაში, რომელიც ყველას, მეც და მოსწავლეებსაც - სასწავლო წლის ნებისმიერ დროს, ნებისმიერ საათსა და წუთს, წინასწარ მოუმზადებლად უნდა მოგვეთხრო. დავალების გასართულებლად ტექსტები ინომრებოდა. პირველი კვირა - ტექსტი #1; მეორე კვირა - ტექსტი #2; ოცდამესამე კვირა - ტექსტი #23, ერთი შეხედვით, იდიოტური მექანიკაა, მაგრამ ეს ნომრები სათაურების ნაცვლად იყო ერთგვარი თამაში, რომელიც ცოდნით შეძენილ სიამაყეს აზარტულობის სიამოვნებას უთავსებდა.

- ამელი, მოგვიყევი #19.

- მეცხრამეტე? ეს კონსტანის 16(ბენჟამენ კონსტანი (1767-1830) - ფრანგი მწერალი და საზოგადო მოღვაწე, ცნო ბილია თავისი ფსიქოლოგიური რომანით "ადოლფი", 1816.) ტექსტია სიმორცხვეზე. "ადოლფის" დასაწყისი.
- სწორია, გისმენთ.

"მორცხვი კაცი იყო მამაჩემი... მისი წერილები სიყვარულითა და სითბოთი იყო სავსე, მახვილგონიერი, მოკრძალებული და თავშეკავებული რჩევა-დარიგებებით, მაგრამ, როგორც კი ერთად აღმოვჩნდებოდით, უცნაური განცდა მეუფლებოდა, თითქოს მის ქცევას ნაძალადეობის ელფერი დაჰკრავდა. ვერაფრით ამეხსნა საკუთარი თავისთვის მისი ეს განწყობა და ამის გამო საშინლად ვითრგუნებოდი. გაუგებრობის შეგრძნება მძიმე ტვირთად მაწვებოდა. მაშინ წარმოდგენაც არ მქონდა, რას ნიშნავდა სიმორცხვე, ეს შინაგანი სატანჯველი, რომელიც თითოეულ ჩვენგანს მოსვენებას არ გვაძლევს და ღრმა სიბერემდე მიგვყვება, აყოვნებს ჩვენს გულში ყველაზე ღრმა შთაბეჭდილებებს, ყინავს პირზე მომდგარ სიტყვებს და ამახინჯებს ყველაფერს, რისი თქმაც გვინდა. აზრის გამოსახატავად მხოლოდ ბუნდოვან სიტყვებსა და მეტნაკლებად მწარე ირონიას გვიტოვებს, თითქოს ჩვენს გრძნობებზე შურისძიების გრძნობას ვყავდეთ შეპყრობილი მათი გაზიარების შეუძლებლობით მიყენებული ტკივილების გამო. არ ვიცოდი, რომ მამა მორცხვობდა საკუთარი ვაჟიშვილის წინაშეც, რომ ჩემი მხრიდან მისი სიყვარულის დადასტურების ამაო ლოდინის შემდეგ, რომლის გამოხატვას მე მისი გარეგნული სიცივე თითქოს მიკრძალავდა, ის მტოვებდა თვალცრემლიანი და სხვებს შესჩიოდა, რომ არ მიყვარდა".

- არაჩვეულებრივია. თვრამეტი - ოცდან. ფრანსუა, ტექსტი #8.

- #8 ვუდი ალენია! "ლომი და კრავი".

- მიდი, დაიწყე!

"ლომი და კრავი ერთ საწოლს კი გაიყოფენ, მაგრამ კრავს დიდხანს ძილი არ მოუწევს".

- უნაკლოა! 20 - 20-დან. სამუელ, #12!

- #12 რუსოს "ემილია". ადამიანის მდგომარეობის აღწერა.

- სწორია.

- მოითმინეთ, მასწ, ფრანსუამ ორი ფრაზით 20-დან 20 გაინაღდა, მე კიდევ "ემილის" ნახევარი უნდა მოვყვე?

- შეიძლება საშინელებად მოგეჩვენოს, მაგრამ ცხოვრება ლატარიაა!

- კარგი.

"თქვენ მინდობიხართ არსებულ საზოგადოებრივ წყობას და არც კი უფიქრდებით, რომ იგი განწირულია შეცვლისათვის, ისეა მორყეული, და რომ ვერ შეძლებთ, განჭვრიტოთ ან აგვარიდოთ ის წყობა, რომელშიც თქვენს შვილებს შეიძლება მოუწიოთ ცხოვრება. დიდებული დაკნინდება, მდიდარი დაკარგავს თავის ავლადიდებას და უპოვარი გახდება, მონარქი კი - ქვეშევრდომი. განა ბედის უკულმართობები ისეთი იშვიათია, რომ დარწმუნებული იყოთ, ისინი თქვენ არ შეგეხებათ? ჩვენ ვუახლოვდებით კრიზისის ხანას, რევოლუციებისა და გადატრიალებების საუკუნეს. ვის შეუძლია, გიწინასწარმეტყველოთ, რა ბედი გეწევათ მაშინ? რა გადაგხდებათ თავს? ყველაფერი, რაც ადამიანს თავისი ხელით შეუქმნია, მისივე ხელით შეიძლება დაინგრეს. წარუხოცელია მხოლოდ ის, რაც ბუნებას შეუქმნია, ბუნება კი არ შობს არც მდიდრებს, არც დიდებულებს, არც პრინცებს. რას მოიმოქმედებს სიღარიბეში ეს სატრაპი, რომელიც თქვენ დიდებულებისა და ბრწყინვალებისთვის გამოზარდეთ?! რას იზამს ეს მევახშე, რომელსაც ცხოვრება ოქრო-ვერცხლის გარეშე ვერ წარმოუდგენია, ან ეს გაბღენძილი სულელი, ყველაფერი რომ დაუკარგავს და ისიც კი არ იცის, საკუთარი თავი როგორ გამოიყენოს. ბედნიერია ის, ვინც ასეთ დროს შეძლებს, მშვიდად გამოეთხოვოს თავის მდგომარეობას, რომელიც მას სულ მალე ისედაც მიატოვებს, მაგრამ დარჩეს ადამიანად, შეინარჩუნოს ღირსება და ასე გაიმარჯვოს ბედისწერაზე. დაე, აქონ და ადიდონ რამდენიც ნებავთ ის დამარცხებული მეფე, რომელსაც, ვითარცა ცოფიანს, სურს, თავი ტახტის ნამსხვრევებს ქვეშ დაიმარხოს. მე კი მძულს ასეთი მბრძანებელი, რადგან ვხედავ, რომ მის ცხოვრებას აზრს მხოლოდ გვირგვინი სძენს, და როცა მას კარგავს, სრულ არარაობად იქცევა. ის კი, ვინც გვირგვინს კარგავს, მაგრამ ამ დანაკარგს არაფრად დაგიდევთ, გვირგვინზე აღმატებული ხდება; მეფის ტიტულს, რომლის ტარებაც ასეთივე წარმატებით ლაჩარსაც ძალუძს, ბოროტსაც და შლეგსაც, ის დაკარგავს, სამაგიეროდ, ადამიანის წოდებამდე ამაღლდება, რისი ღირსიც ძალზე ცოტა თუ მოიძებნება".

- ვის შეეძლო, ეს აზრი უკეთ გამოეხატა?

ამ ტექსტების წინაშე მათ მარტო კი არ ვტოვებდი, მეც ჩავყვინთავდი ხოლმე მათთან ერთად სიტყვების ოკეანეში. რთულ ტექსტებს გაანალიზების შემდეგ გაკვეთილზევე ვსწავლობდით. თავი ცურვის მასწავლებლად წარმომედგინა. სუსტები კი მიიწევდნენ წინ, მაგრამ დიდი ჯაფა ადგებოდათ, ჩაყვინთვა ვერ გაებედათ, ზედაპირზე თავამოყოფილი ცურავდნენ. ჩემს ახსნა-განმარტებების დაფას ჩაბღაუჭებულნი ნაწილ-ნაწილ ფარავდნენ მანძილს. ნელ-ნელა დამოუკიდებლად ცურვას იწყებდნენ. ჯერ ერთი ფრაზა, შემდეგ - ორი, მოგვიანებით - რამდენიმე, ბოლოს - მთელი ტექსტი. თქვენ წარმოიდგინეთ, წაუკითხავად, მხოლოდ მეხსიერებით. თანდათან უკვე ესმოდათ რასაც კითხულობდნენ, რაც მათი მეხსიერების შესაძლებლობებს ისე ბრდიდა, რომ ხშირ შემთხვევაში გაკვეთილის დამთავრებამდე ახერხებდნენ მთელი ტექსტის მოყოლას. ისინი თავისივე მეხსიერებისგან სიამოვნებას იღებდნენ. თავიდან ვერც კი წარმოედგინათ, რომ ასეთი რამ შესაძლებელი იყო. ეს საკუთარი ორგანიზმის ახალი ფუნქციის აღმოჩენას წააგავდა, თითქოს ფარფლები გამოეზარდათ. უკვირდათ, რომ ასე სწრაფად ახერხებდნენ დამახსოვრებას და ამით წახალისებულნი ტექსტს კიდევ ერთხელ იმეორებდნენ, მერე კიდევ ერთხელ, შეუცდომლად, წაბორძიკების გარეშე. საქმე ისაა, რომ ფსიქოლოგიური შებოჭილობის გაქრობით, ისინი იწყებდნენ იმის გაცნობიერებას, რაც მათ გონებაში ჩაიბეჭდა. სიტყვების უბრალო წყებას კი არ გადმოსცემდნენ, მეხსიერებაში კი არ ჭყუმპალაობდნენ, არამედ მეორე ადამიანის გონებაში, მის ენასა და აზრებში იძირებოდნენ. "ემილის" მექანიკურად კი არ ყვებოდნენ, არამედ რუსოს მსჯელობის მთელი ჯაჭვის რეპროდუქციას ახდენდნენ; ისინი ამით ამაყობდნენ. არა, მსგავს მომენტში თავი რუსო კი არ გგონიათ, მაგრამ რუსოს წინასწარმეტყველური მხილებანი მაინც სწყდება თქვენს ბაგეებს!

15

ზოგჯერ ისინი თამაშობდნენ, ერთად ვარჯიშობდნენ, ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს სისწრაფეში ან მოსაყოლი ტექსტისთვის შეუფერებელ ტონს ირგებდნენ: მრისხანება და სიშმაგე, გაკვირვება, შიში, ენის მოჩლექა, მქუხარე პოლიტიკური მჭევრმეტყველება, სასიყვარულო ვნება - რა არ მოსინჯეს! ზოგჯერ ხან ერთს, ხან მეორეს მოქმედი პრეზიდენტის, მინისტრის, პოპულარული მომღერლისა თუ ტელეწამყვანის განსახიერების სურვილი იპყრობდა... არც რისკიან თამაშებში - გონებრივი სისხარტის, საზრიანობისა და მიხვედრილობის გამოსავლენ ვარჯიშებში მონაწილეობაზე იხევდნენ უკან. ერთმანეთს თავბრუდამხვევ პაექრობაში იწვევდნენ. ამ დუელების შესახებ ერთხელაც სასწავლო წლის დამთავრების აღსანიშნავ ვახშამზე მეორეკლასელები გამომიტყდნენ (თურმე ყველაფერი საიდუმლოდ ინახებოდა, რათა საჭირო მომენტში მასწავლებელი გაოცებისგან პირღია დაეტოვებინათ). მსხლისა და ყველის ჭამას შორის ვინმე კაროლინამ ვინმე სებასტიანისკენ თითი გაიშვირა:
- პაექრობაში გიწვევ, თუ ბიჭი ხარ, გამეჯიბრე - მესამე ნომრის პირველი აბზაცი, მეთერთმეტე ნომრის მეორე სტროფი, მეექვსეს მეოთხე და მეთხუთმეტეს ბოლო ფრაზა.

სებასტიანმა, ეს რბილად რომ ვთქვათ, თავხედური გამოწვევა წარბშეუხრელად, თითქმის ოლიმპიური სიმშვიდით მიიღო. დანაწევრებული ხალიჩის ასიმეტრიული ნაკუწები გონებაში

ერთმანეთს მიაკერა და მთლიანი, მაგრამ სრულიად გაუგებარი ტექსტი სამ წამში გამოაცხო, რის შემდეგაც მოპაექრეს საკუთარი გამოწვევა ესროლა:

- ახლა შენი რიგია: გამოგვიგზავნე "მირაბოს ხიდი".

თან დააზუსტა:

- ოღონდ პირუკუ, ბოლოდან - თავისკენ.

- ადვილია.

და, აი, ჩემს გაკვირვებულ ყურებს ჩაესმა, თუ როგორ შეტრიალდა აღმა მირაბოს ხიდქვეშ სენა, მესმოდა მისი დუდუნი ბოლო სტროფიდან პირველამდე და სანამ საღღაც ლანგრის პლატოს სიღრმეებში ჩაიკარგებოდა, კმაყოფილმა კაროლინამ ბოლოს ავტორის სახელიც წამოიძახა, რა თქმა უნდა, უკუღმა: ირენილოპა!

- თქვენ თუ შეგიძლიათ ასე, მასწ?

ეროვნული განათლების აკადემიის ინსპექტორი, ალბათ, არ მოიხიბლებოდა იმის შეტყობით, რომ თურმე სენა ტრიალდება და აღმა, სათავისკენ იწყებს დინებას, რომ სარეცხი მანქანის დოლურა ერთმანეთში ურევს წლის განმავლობაში ნასწავლ ყველა ტექსტს, რომ მეექვსეკლასელები საკლასო ოთახში ისე კიდებენ ტრანსპარანტებს, სადაც მათ მიერ დაშვებული ყველაზე უპატიებელი შეცდომებია ჩამოწერილი, გეგონება დამარცხებული მტრის გვამებიაო. ჩემთვის შეეძლოთ ისიც ესაყვედურათ, რომ უფროსკლასელთა ნაწერებს გასასწორებლად ამ უმოწყალო უმცროსკლასებს ვურიგებდი. განა ამით უფროსებს არ ვამცირებდი, ხოლო დაბალკლასელებს კი ვადიდებდი და ვეპირფერებოდი? განა სასწავლებლებში მსგავს რამეებთან ხუმრობა დასაშვებია? მე აუცილებლად მომიწევდა თავის მართლება. ნუ ჩავარდებით პანიკაში, ბატონო ინსპექტორო, მასწავლებელმა ცოდნასთან თამაშიც უნდა შეძლოს; თამაში მეორე სუნთქვაა, რომელიც მოსწავლეს მეცადინეობის მძიმე პროცესის დროს ეხსნება. ეს დამატებითი გულისცემაა; თამაში არ ვნებს სწავლის პროცესს, არც მის მნიშვნელობას აკნინებს, პირიქით, ავსებს მას, როგორც ერთგვარი კონტრაპუნქტი; ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, თამაში ადვილებს საგნის ათვისებას. თქვენ ხომ არ მონათლავთ ბავშვად მოკრივეს, რომელიც სახტუნაოთი ვარჯიშობს? ეს სწორი არ იქნებოდა.
ტექსტების არევ-დარევას, რომლითაც ჩემი მეორეკლასელები ასე ხშირად იქცევდნენ თავს, ლიტერატურისადმი უპატივისმცემლობასთან არანაირი კავშირი არ ჰქონდა. ისინი მხოლოდ თავს იწონებდნენ, მე ვიტყოდი, ბაქიობდნენ საკუთარი მეხსიერებით. არავითარ შემთხვევაში არ ამცირებდნენ ცოდნის მნიშვნელობას. მათ მხოლოდ საკუთარი გამოცდილება და დაგროვილი ცოდნა აღაფრთოვანებდა. მოსწავლეებს ეს საგანძური ეამაყებოდათ და ამას ისინი თამაშით გამოხატავდნენ და არა ამპარტავნობით. და საერთოდ, ისინი უბრალოდ აჯავრებდნენ რუსოს, თანაუგრძნობდნენ და ამშვიდებდნენ აპოლინერს, ხალისობდნენ კორნელთან ერთად, რომელმაც ასე კარგად იცოდა ხუმრობის ფასი და, რომელსაც მარადისობა, სადაც საბოლოოდ ამოყო თავი, ალბათ, მობეზრებული

ჰქონდა. მთავარი მაინც ის ნდობის ატმოსფერო იყო, თამაში რომ ქმნიდა და თითოეული მათგანის სერიოზულობას აძლიერებდა. მათ ზურგი შეაქციეს შიშს, იპოვეს ფორმა საკუთარი გამბედაობის გამოსახატავად, თითქოსდა გამარჯვების ყიჟინა დასცეს, ესეც ასე, ბოლოს და ბოლოს, ჩვენი დროც დადგაო!

სხვათა შორის, მათთან ერთად თამაშზე ხანდახან არც მე ვამბობდი უარს.
სისულელე არაერთხელ გამხდარა ჩვენი ერთობლივი კვლევის საგანი, მით უმეტეს, რომ იგი მშვენივრად ახერხებს თანაარსებობას განსაკუთრებულ გონებაგახსნილობასთან. მონუსხულები, მაგრამ უკიდურესად ქანცგაწყვეტილები, "რამოს ძმისწულის"17(ფრანგი ენციკლოპედისტისა და მწერლის, დენი დიდროს (1713-1784) რომანი.) მწვერვალებამდე აღმასვლისას, ჩვენ შესვენებისას საკუთარ თავს კარამბარებით18(კანფეტები, რომლის გასახვევ ქაღალდზე შეგეძლოთ ხუმრობები და ანეკდოტები წაგეკითხათ.) პირის ჩატკბარუნების საშუალებას ვაძლევდით. თითო კარამბარი - თითო მოსწავლეზე (მსგავსი შემთხვევებისთვის მარაგიც კი მქონდა). ვისაც გონების ამ მწვერვალზე დაბანაკებისას სასუსნავის შემოთავაზებული ყველაზე სულელური, ყველაზე შტერული და დამამცირებელი ამბავი შეხვდებოდა, მეორე კარამბარიც ერგებოდა, რის შემდეგაც დიდროსთან ურთიერთობის პატივით ამაყნი და დასვენებულნი განვაგრძობდით ციცაბო აღმართის დალაშქვრას. ჩვენ მშვენივრად ვიცოდით, რომ ტექსტის გაგება გონების უკიდურესი დაძაბვით მიიღწევა; სულელური ხუმრობა კი განტვირთვის საშუალებას იძლევა და თანამონაწილეობისა და ერთსულოვნების ატმოსფეროს ქმნის, რომლის გაზიარებაც მხოლოდ ერთმანეთისადმი ნდობით განწყობილ ახლობლებს შეუძლიათ. მართლაც, ყველაზე იდიოტურ ანეკდოტებს ჩვენ ხომ მხოლოდ მეგობრებს ვუყვებით და ამით გარკვეულად მათი გონების გამჭრიახობას და სისხარტესაც მივაგებთ პატივს. სხვებთან კი ჭკვიანი ადამიანის ნიღაბს ვირგებთ, თავს ვიწონებთ, საკუთარი ცოდნით ვკეკლუცობთ. მოკლედ, შთაბეჭდილების მოხდენას ვცდილობთ.

და, რას წარმოადგენდნენ ჩემი ყოფილი მოსწავლეები? როგორები იყვნენ? ზოგიერთები - ზუსტად ისეთები, როგორიც თავად გახლდით მათ ასაკში. კერძო სასწავლებლები პირდაპირ გატენილია მსგავსი მოსწავლეებით. ეს გოგო-ბიჭები პრესტიჟული და ფრიად დაფასებული ლიცეუმიდან გამობუნძულების შემდეგ პირდაპირ იქ ამოყოფდნენ ხოლმე თავს. ბევრი მათგანი ერთსა და იმავე კლასში წლების განმავლობაში ხეხავდა ერთი ადგილით მერხს; ვერ ვიტყვი, რომ ასეთები საკუთარ თავზე მაინცდამაინც დიდი წარმოდგენისა იყვნენ, სხვები კი, უბრალოდ, თავს ზედმეტებად, სისტემიდან გარიყულებად თვლიდნენ. ზოგს საერთოდ ჰქონდა დავიწყებული, რას ნიშნავს მეცადინეობა; ელემენტარულ ძალისხმევაზე თავბრუ ეხვეოდა; წარმოდგენა არ ჰქონდა დროის გადანაწილებასა და საკუთარი თავის იძულებაზე. ასეთებს ყველაფერი თავის ნებაზე ჰქონდათ მიშვებული, ცხოვრობდნენ როგორც ეცხოვრებოდათ, რუსოს მოსაზრებისა არ იყოს, არ იცოდნენ საკუთარი თავის გამოყენება და როცა ხედავდნენ თავიანთ არსებობას მათთვის სრულიად უცხო გარემოში, ისინი ოთხმოციანი წლების დასაწყისიდან სრულიად უკონტროლოდ გადაეშვნენ მომხმარებლურ მარათონში.
რასაკვირველია, ყოველი მათგანი ცალკეულ შემთხვევას წარმოადგენდა. აი, მაგალითად, ეს პროვინციული ლიცეუმის შესაშური მოსწრების მქონე ყმაწვილი სრულიად მოულოდნელად უკანასკნელი აღმოჩნდა უზარმაზარ ლაინერზე, რომელსაც კურსი პრესტიჟული უმაღლესი

სასწავლებლებისკენ, ეგრეთ წოდებული, "დიდი სკოლებისკენ" აეღო. არადა, ბორტზე შესანიშნავი დოსიეთი ავიდა. ამ ამბავმა, საწყალი, ისეთ სასოწარკვეთილებაში ჩააგდო, რომ დეპრესია დაემართა. თმა სულ ბღუჯა-ბღუჯა სცვიოდა. როგორია ნერვიული დეპრესია თხუთმეტი წლის ასაკში? ამ გოგონამ კი, რომელიც თურმე სუიციდისკენ ყოფილა მიდრეკილი, ვენები გადაისერა ("რატომ ჩაიდინე ეს? - უბრალოდ, მინდოდა მენახა, რა მოხდებოდა"!). ან ის გოგონა, რიგრიგობით ხან ანორექსიას რომ ეფლირტავებოდა, ხანაც ბულიმიას. ამას კიდევ სახლში გული არ უდგებოდა, სულ სადღაც გარბოდა. იყო მერე საყოველთაო ძებნა და მთელი ამბავი. მახსენდება აფრიკიდან ჩამოსული ბიჭიც, სულ სისხლიანი რევოლუცია ელანდებოდა, საშინლად იყო ტრავმირებული. მუდამ მოუცლელი კონსიერჟის ზარმაცი ვაჟიშვილიც; კიდევ ერთი ფლეგმატური ახალგაზრდაც - დიპლომატის შვილი, მამამისი რომ სულ მივლინებაში იყო; ზოგიერთები ოჯახური პრობლემებით იყვნენ დათრგუნულნი, ზოგიერთები კი მხოლოდ თამაშობდნენ ამ როლს. ამ შავებში ჩაცმულმა პირქუშმა "გოთმა" გოგონამ, ამოშავებული თვალებითა და იისფერი ტუჩებით, საჯაროდ დაიფიცა, არასდროს არაფერი გამიკვირდებაო. ეს ტიპი კიდევ ზამთარ-ზაფხულ დამოქლონილი ქურთუკი რომ მოეგდო მხრებზე, თავზე კი იროკეზი დაეკოსებინა და ფეხები ნალებდაჭედებულ ყელიან ბათინკებში ჩაეყო, კაშანის პოლიტექნიკური ლიცეუმიდან თავქუდმოგლეჯილი გამოიქცა, რათა ჩვენთან ყველაფერი ნულიდან დაეწყო. აქ მან პირველად გაუგო გემო უფასო კულტურის სიკეთეებს და ამისგან აღფრთოვანებას ვერ მალავდა; ეს გოგო-ბიჭები თავისი თაობის ტიპური წარმომადგენლები იყვნენ - სამოცდაათიანი წლების მობირჟავე ქუჩის ბიჭები, ოთხმოციანის "პანკები" და "გოთები", ოთხმოცდაათიანი წლების "ნეოჰიპები". ისინი აიკიდებდნენ ხოლმე რომელიმე მოდას, როგორც აიკიდებენ რაიმე ინფექციას. და მათში მოდა მართლაც რომ ინფექციის სისწრაფით ვრცელდებოდა. მხედველობაში მაქვს მოდა ტანსაცმელზე, მუსიკაზე, საკვებზე, თამაშებზე, ელექტრონიკაზე; მოკლედ, ისინი ყველა ამ სიკეთის უპირობო მომხმარებლები ხდებოდნენ.

ჩემი პედაგოგიური კარიერის დასაწყისში, სამოცდაათიანი წლების პირველი რამდენიმე წელი, სუასონის ერთ-ერთ კოლეჯში მეტწილად ეგრეთ წოდებული ძნელად აღსაზრდელი მოსწავლეებისგან დაკომპლექტებულ განსაკუთრებულ კლასებში მომიწია მუშაობა. სამინისტროში პროფესიული იუმორით გამაფრთხილეს, ამ კლასებში ტაქტისა და ზრდილობის ეტალონად ნუ გადაიქცევითო, მოკლედ, გასაგებად მიმანიშნეს, არავინ დამენდო.

ბევრი მათგანი სამართალდამცავ ორგანოებში აღრიცხვაზე იყო აყვანილი. იყვნენ პორტუგალიელი მოჯარადრეების, ადგილობრივი ვაჭრებისა თუ მსხვილი მიწათმფლობელების ვაჟიშვილები, რომელთა სამფლობელოები აღმოსავლეთის თვალუწვდენელ დაბლობებზე იყო გადაჭიმული (იმ დაბლობებზე, რომლებიც 1914-1918 წლების მსოფლიო ომში საყოველთაო ევროპული სუიციდისთვის მსხვერპლად შეწირული ახალგაზრდების სისხლით იყო გაჟღენთილი). "ძველი ბიჭებიც" იმავე შენობებსა და იმავე ოთახებში ცხოვრობდნენ, რომლებშიც "ნორმალური" ახალგაზრდები. მიირთმევდნენ ერთსა და იმავე სასადილოში, ერთი და იმავე თამაშებით იქცევდნენ თავს (ეს წარმატებული "ნარევი" დირექციის დამსახურებება იყო). მათი გაუნათლებლობა და სრული უმეცრება გუშინდელი დღით ნამდვილად არ თარიღდებოდა. აი, ამ "განსაკუთრებული" გოგონებისა და ბიჭებისთვის უნდა მესწავლებინა მეოთხე-მესამე კლასებში კითხვა და მართლწერა. სწორედ მათთან ერთად მიწევდა ანგარიშის გასწორება "იმასთან", რაც არავის გამოსდიოდა, რადგან წარმოდგენაც არ ჰქონდათ, რომ "ეს" ამჟამად, ამწუთას, ამწამს აქ არსებულს, რეალურად არსებულს, საკუთარ თავს, ყველას ერთად თავმოყრილს ნიშნავს.

მე და მათემატიკის მასწავლებელმა ისინი ჭადრაკის თამაშის ხელოვნებასაც ვაზიარეთ. უნდა ვაღიარო, რომ მშვენივრად ართმევდნენ თავს. ჩვენი ხელით გავაკეთეთ უზარმაზარი ჭადრაკის დაფა), რომელიც კედელზე დავკიდეთ. როცა სკოლას ვტოვებდი, ბავშვებმა ის საჩუქრად მომართვეს ("ჩვენთვის კიდევ გავიკეთებთ, მასწ."). ამ დაფას დღემდე სათუთად ვინახავ და შევყურებ, როგორც წმინდა ძღვენს. მათი წარმატებები ამ ძნელ და რთულ თამაშში (ეს იყო სპასკისა და ფიშერს შორის მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის მოსაპოვებლად გამართული ლეგენდარული პაექრობის დრო), თავდაჯერებულობა, რომელსაც ისინი მეზობელი ლიცეუმის მოსწავლეების დამარცხებისას იძენდნენ ("ლათინისტები გავანადგურეთ, მასწ."), უეჭველად გახდა იმ წელს მათი პროგრესის საწინდარი მათემატიკაში. ეს ასევე აისახა არასრული საშუალო განათლების ატესტატის მოსაპოვებლად გამართული გამოსაშვები გამოცდების ნიშნებზეც. წლის მიწურულს მაყურებლის სამსჯავროზე გამოვიტანეთ "მეფე იუბიუ", 19(ფრანგი მწერლის ალფრედ ჟარის (1873-1907) პიესა.)კომედია, რომელშიც ის ბურჟუაზიული საზოგადოების სულელურ და მეშჩანურ ჩვეულებებს დასცინის), რომელშიც თითქმის ყველა კლასის მოსწავლემ მიიღო მონაწილეობა. რეჟისურა თავის თავზე აიღო ჩემმა ახლობელმა ქალმა ფანშონმა - ქალის სამოსში გადაცმულმა ბიძია ჟიულიმ, რომელიც ახლაც აგრძელებს პედაგოგიურ საქმიანობას მარსელის ერთ-ერთ ლიცეუმში და რომელიც დღემდე ვერ შეჰგუებია უმეცრების ვერანაირ გამოვლინებას. ბარემ აქვე გეტყვით, რომ დედა იუბიუსა და მამა იუბიუს გიგანტური ლოგინის სცენამ ადგილობრივი ეპისკოპოსი შოკში ჩააგდო. მოკლედ, სკანდალიც გამოცხვა (საწოლი ვერტიკალურად იდგა, რათა მეფური წყვილით ტკბობა დარბაზის ბოლოშიც შეძლებოდათ).

1965 წლიდან 1995 წლამდე, გარდა იმ ორი წლისა, როცა ისეთ სასწავლებელში მომიწია მუშაობა, სადაც მასწავლებლები უმკაცრესი კონკურსის საფუძველზე აჰყავდათ, ჩემი მოსწავლეების უმრავლესობა ზუსტად ისეთივე იყო, როგორიც თავად მე გახლდით ოდესღაც, ანუ ბავშვები და მოზარდები გარკვეული პრობლემებით. ხშირად მათ ზუსტად ისეთივე სიმპტომები აღენიშნებოდათ, როგორიც მე მათ ასაკში: საკუთარ თავში დაურწმუნებლობა, ნებისმიერ ძალისხმევაზე უარის თქმა, ქრონიკული სიზარმაცე, გაფანტული ყურადღება, მოდუნებული მეხსიერება, მითომანია, აცვენილი ბიჭებისგან ცალკე ბანდის ჩამოყალიბების მცდელობა, ხანდახან ალკოჰოლიანი სასმელებისა და ნარკოტიკების მოხმარება (ვითომ სუსტი ზემოქმედების, მაგრამ რომლისგანაც დილით თვალში გამოხედვა უჭირდათ)...

ესენი იყვნენ ჩემი მოსწავლეები (კუთვნილებითი ნაცვალსახელი აქ საკუთრებაზე კი არ მიუთითებს, არამედ მხოლოდ დროის გარკვეულ მონაკვეთზე, ჩვენი ერთობლივი სწავლების წლებზე, როცა პასუხსმგებლობა მოზარდებზე მთლიანად მასწავლებელს აწევს კისერზე). მეტწილად ჩემი სამუშაო ის იყო, როგორმე დამერწმუნებინა ყველაზე წყალწაღებული აღსაზრდელები, რომ ზრდილობიანი და ტაქტიანი ურთიერთობა უფრო განაწყობს აზროვნებისადმი, ვიდრე ალიყური; რომ საზოგადოებაში ცხოვრება გარკვეული ვალდებულებების აღებას გულისხმობს; რომ მოცემული დავალების ჩაბარების დღე და საათი მოლაპარაკებებსა და ვაჭრობას არ ექვემდებარება; რომ მიფუჩეჩებული დავალება უნდა შესწორდეს და მეორე დღესვე დაუბრუნდეს მასწავლებელს და კიდევ ათასი ამდაგვარი რამ და, რომ არასდროს, ხაზს ვუსვამ, არასდროს, არც მე და არც ჩემი კოლეგები მათ შუა გზაში ბედის ანაბარა არ მივატოვებდით. იმისთვის, რომ "ეს" გამოსვლოდათ, ჩვენ, პედაგოგებს, გვმართებდა,

პირველყოვლისა, აგვეხსნა მათთვის, თუ რას ნიშნავს თვით სიტყვა "ძალისხმევა", აქედან გამომდინარე, შეგვეგუებინა ისინი მარტოობისა და სიჩუმისთვის, გვესწავლებინა მათთვის საკუთარი დროის რაციონალური მართვა, რომ თავად დაეძლიათ მოწყენილობა. ამ მიზნით სისტემატურად "ვავარჯიშებდი" მოწყენილობაში. ვთხოვდი, არაფერი ეკეთებინათ, არ გადაეტანათ ყურადღება ფუჭ რამეებზე, არ მოდუნებულიყვნენ, არ ეფიქრათ გართობაზე (ერთმანეთში საუბარიც კი არ ეცადათ!), არ ემუშავათ, მოკლედ, არაფერი ეკეთებინათ, სრულიად არაფერი.

- ვარჯიში მოწყენილობაში ამ საღამოს, მეცადინეობის დაწყებამდე ოცი წუთით ადრე, თრეინინგი არაფრის კეთებაში.

- არც მუსიკას მოვუსმინოთ?

- მუსიკა საერთოდ ამოიგდეთ თავიდან!

- ოცი წუთი?

- დიახ, ოცი წუთი. საათი ყველას გაქვთ! 17.20-დან 17.40-მდე. სკოლიდან სახლში დაბრუნებისას გზად არავის გამოელაპარაკოთ; რომელიმე კაფეში არ შებოდიალდეთ. თქვენთვის სათამაშო ავტომატები არ არსებობს. დაივიწყეთ ძმაკაცები, მათ ვერც კი ცნობთ. შედიხართ თქვენს ოთახში, ჩამოჯდებით საწოლის კიდეზე, ჩანთას ჯერჯერობით არ ხსნით, არც ყურსასმენების ყურში გარჭობაა რეკომენდებული, "გეიმბოისკენ" არც გაიხედოთ, მშვიდად ზიხართ და წინ იყურებით. და ასე ოცი წუთის განმავლობაში.

- რატომ?

- ინტერესის გამო. მოახდინეთ ყურადღების კონცენტრირება წუთებზე, არც ერთი არ გამოგეპაროთ, ხვალ კი ყველაფერი დაწვრილებით მომიყევით, თუ რა გამოგივიდათ.

- და როგორ შეამოწმებთ, რა გამოგვივიდა და რა არა?

- ვერანაირად.

- და, რა მოხდება ოცი წუთის შემდეგ?

- თქვენ ეძგერებით დავალებებს, როგორც ერთი კვირის დამშეული პურის ნაჭრებს.

ჩემთვის ვინმეს ამ გაკვეთილების დახასიათება რომ ეთხოვა, ვეტყოდი, რომ მათი მსვლელობისას მე და ჩემი ეგრეთ წოდებული ოროსნები გააფთრებული ვებრძოდით იმ ჯადოს, რომელიც მომავლის გზას გვიკეტავდა და სამუდამოდ აწმყოში ჩვენს გამომწყვდევას ლამობდა. მართლწერაში ნულისთვის ბოლოს მოღება ჩვენთვის ჯადოს მოხსნის ტოლფასი იყო - დაამარცხო ბედისწერა, დაეხსნა მოჯადოებულ წრეს, გამოიღვიძო, ცალი ფეხი მაინც შედგა რეალობაში, აღმოჩნდე თხრობითი კილოს აწმყო დროში, დაიწყო გაგება და გააზრება. აუცილებლად უნდა დადგეს ის დღე, როცა ჩვენ ყველანი გავიღვიძებთ. დღე, საათი, როცა თვალი აგვეხილება. არავინ დაბადებულა მარადიული უმეცრებისთვის, არავინაა განწირული მუდმივი სიშტერისთვის! ჩვენ მართლა ზღაპარში ხომ არ ვცხოვრობთ და არც ჯადოთი ვართ შეკრული.
იქნებ პედაგოგობის არსიც ამაში მდგომარეობს? ჯადო მოხსნა ისე, რომ ყოველი გაკვეთილი გამოღვიძების სიგნალად იქცეს.

კარგად მესმის, როგორ შეიძლება გააღიზიანოს მსგავსმა განცხადებამ ის მასწავლებლები, რომლებიც წარმოუდგენლად მძიმე ჭაპანს ეწევიან დიდი ქალაქების გარეუბნებში. არ გამოვრიცხავ, რომ ბევრმა ეს არსებული სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური, ოჯახური და კულტურული სიძნელეების ფონზე ქარაფშუტობადაც ჩამითვალოს; და მაინც... და მაინც ვერაფრით დავაკნინებთ მსგავსი "გრძნეულების" როლს, როცა ვხედავთ, თუ როგორი დაჟინებით ებღაუჭება ოროსანი თავისივე გამოგონილ სიშტერეს. ასე იყო ყოველთვის და ყველგან.

გრძნეულება... ერთხელაც პირველკლასელებს ვთხოვე, შეეთხზათ მასწავლებლის პორტრეტი, რომელიც საბაკალავრო თემებს ადგენდა. ეს იყო წერითი დავალება: "შეადგინეთ მასწავლებლის პორტრეტი, რომელსაც ფრანგული ენის გამოსაშვები გამოცდისთვის თემების შერჩევა ევალება". პატარები უკვე აღარ ეთქმოდათ, დროც საკმარისი ჰქონდათ მოსაფიქრებლად - ნამუშევრები ერთი კვირის შემდეგ უნდა წარმოედგინათ; იმედს ვიტოვებდი, აუცილებლად გაიაზრებდნენ, რომ მთელი საფრანგეთის ყველა ლიცეუმისთვის გათვლილი ფრანგული ენის ყველა შესაძლო თემის მოფიქრებას ერთი მასწავლებელი ვერ გასწვდებოდა, რომ სავარაუდოდ ამისთვის კომპეტენტურ ადამიანთა მთელი კომისია იარსებებდა, რომ ვალდებულებები თითოეულ წევრზე განაწილდებოდა, რომ თემები განსხვავებული სასკოლო პროგრამების გათვალისწინებით შედგებოდა და კომისიის განხილვისა და ბჭობის საგანი გახდებოდა, რომ... ყველაფრის ჩამოთვლისგან თავს შევიკავებ. ჩემმა მოლოდინმა არ გაამართლა. ყველამ, როგორც ერთმა, აღმიწერა წვერიანი, მხცოვანი მამაკაცი, ყოვლისმცოდნე ბრძენთა ბრძენი, ცოდნის ოლიმპოდან მთელი საფრანგეთის ტერიტორიაზე საგამოცდო თემებს, ვითარცა ღვთიურ გამოცანებს, რომ მიმოფანტავდა. ასეთი თემის შეთავაზებით განზრახული მქონდა, დამედგინა, რა წარმოდგენისა იყვნენ ჩემი მოსწავლეები მმართველ ორგანოებზე და, შეძლებისდაგვარად, ისიც გამერკვია, რაში იყო მათი თავდაუჯერებლობის საიდუმლო; თქვენ წარმოიდგინეთ, დასახულ მიზანს მივაღწიე. ჩვენ დავიწყეთ გასული წლების საგამოცდო თემების თავმოყრა. შევადგინეთ თემების სია, დაწვრილებით შევისწავლეთ ისინი, მათი შედგენის პრინციპები და მივედით დასკვნამდე, რომ ლაპარაკი იყო სულ ორი-სამი მეთოდით შედგენილ ოთხ-ხუთ საკითხზე (საქმე საქმეზე რომ მიდგა, აღმოჩნდა, რომ ეს ნამდვილად არ იყო ფორთოხალში მოთუშული იხვის მომზადების ძირითად რეცეპტზე და მის რამდენიმე ვარიაციაზე უფრო რთული. მაცივარში იხვი არ აღმოგაჩნდათ? მაშინ, აიღეთ ქათამი; არ გაქვთ ფორთოხალი? ნუ იდარდებთ, ჩაანაცვლეთ პრასით. თუ არც იხვი და არც ქათამი გაქვთ სახლში, აიღეთ საქონლის ხორცი და სტაფილო. ერთი და იგივე

მხოლოდ სოუსი რჩება: "ბოლოს, მეტი დამაჯერებლობისთვის, მსჯელობა თქვენი კულტურისა და განათლების დონის შესაბამისი ციტატებით გაამდიდრეთ"). უკვე სტრუქტურულ ანალიზში ჭიპმოჭრილებს მორიგ დავალებად საგამოცდო თემის მოფიქრება დაევალათ.

- ნიშნებსაც დაგვიწერთ, მასწ?

(ღმერთო, რამდენჯერ მსმენია ეს ფრაზა!)

- რასაკვირველია, არ დაგავიწყდეთ, რომ ნებისმიერი შრომა უნდა ანაზღაურდეს.

- მაგარია! გამართლებაც ამას ჰქვია. წარმოგიდგენია, ერთი მარტივი თხზულება შეგიფასდება, როგორც საგამოცდო ნამუშევარი! ისინი უკვე ხელებს იფშვნეტდნენ - ნაკლებად დატვირთული დასვენების დღეები გარანტირებული ჰქონდათ. სადარდებელი არც მე დამრჩებოდა: შემპირდნენ, დავალებას არ მივაფუჩეჩებთ, სერიოზულად ჩავუღრმავდებით, თემის, სტრუქტურისა და სხვა ელემენტების გათვალისწინებით საუკეთესო მდგომარეობაში ჩაგაბარებთო. სხვა ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, "მამა ღმერთის" ადგილის დაკავება, თუნდაც მცირე ხნით, მაინც ძალიან, ძალიან ხიბლავდათ.

დავალებას არც ისე ცუდად გაართვეს თავი, თემების შესარჩევად გამოიყენეს პროგრამით გათვალისწინებული, უკვე გავლილი და გადაღეჭილი მასალაც და ისიც, რისთვისაც, უბრალოდ, ყური მოეკრათ. თამამად შემეძლო სამინისტროს მესვეურებთან მათი სამსახურში აყვანის თაობაზე მეშუამდგომლა. ყოველ შემთხვევაში, რეკომენდაციას არც ერთს არ დავზარდებოდი. ერთ-ერთმა მათგანმა, უფრო ზუსტად, ერთმა გოგონამ ისიც შენიშნა, რომ ოფიციალური თემების ფორმულირებებში უკვე იყო ჩადებული რაღაც ჯადოს მაგვარი: "მეტი დამაჯერებლობისთვის მსჯელობა თქვენი კულტურისა და განათლების დონის შესაბამისი ციტატებით გაამდიდრეთ". რა ციტატებზეა ლაპარაკი, მასწ, გამოცდის დღეს? სად მოიძიოს ისინი გამოსაცდელმა? საკუთარ თავში? ტექსტებს ჩვენსავით ყველა ხომ არ იზეპირებს? რას ნიშნავს კულტურისა და განათლების დონე? ამიხსენით ერთი, რა! ჩვენგან ითხოვენ, რომ საყვარელი მომღერლებისა და კომიქსების შესახებ მოვყვეთ? ეს ფორმულირება და, საერთოდ, ეს მოთხოვნები, რბილად რომ ვთქვათ, მასწ. ზებუნებრივი არ გეჩვენებათ?

- ზებუნებრივი - ნამდვილად არა. უფრო იდეალური.

- შემდგომი კვირისთვის მათ ისღა დარჩენოდათ, რომ განევრცოთ თემა, რომელიც თავად მოიფიქრეს. ვერ ვიტყვი, ციდან ვარსკვლავები მოწყვიტეს-მეთქი, მაგრამ აშკარად ჩანდა, რომ ძალისხმევა არ დაუკლიათ. გულიანად და პატიოსნად იმუშავეს; ჩამაბარეს ნამუშევრები, რომლებშიც ყველაზე ნაკლებად იგრძნობოდა "ზებუნებრივი". მე კიდევ ის ნიშნები ჩამოვურიგე, რომლებიც ნათლად ასახავდა, რომ ახლა ისინი ბევრად უკეთ ერკვეოდნენ საგამოცდო მოთხოვნებში.

- ნიშნები დაგვეწერება, მასწ?

დიახ, ეს საკითხი ყოველთვის დგებოდა დღის წესრიგში.

ჯადოსთან და იმავდროულად, აბსურდთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში ნიშნების საკითხის მოუგვარებლობა ყოვლად დაუშვებელი იყო.

არა აქვს არანაირი მნიშვნელობა, რომელ საგანს ასწავლის მასწავლებელი; დასმულ კითხვაზე ის მოსწავლისაგან სამად-სამ პასუხს იღებს - სწორს, არასწორს და აბსურდულს. ამის დასადგენად მას დიდი დრო ნამდვილად არ სჭირდება; სკოლის წლებში მეც შეიძლება ითქვას, რომ ბოროტად ვიყენებდი აბსურდულ პასუხს. "წილადი საერთო მნიშვნელამდე უნდა იქნას დაყვანილი", ანუ სინუს α სინუს β -ზე. სინუსს ვამარტივებ, საერთოდ ვაუქმებ და გამოდის α / β -ზე. სკოლაში გატარებული წლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გაუგებრობა ის იყო, რომ ჩემს აბსურდულ პასუხებს, როგორც "არასწორს", ისე აფასებდნენ. შემეძლო მეპასუხა, რაც თავში მომივიდოდა. ერთი რამ მუდამ გარანტირებული მქონდა - ნიშანი - ნული; ძალიან ადრე მივხვდი ამას და კიდევ იმასაც, რომ ნულის მიღება სრული სიმშვიდის გარანტია იყო. მიიღებდი თუ არა ნულს, შენი შემწუხებელიც არავინ იყო, ყოველ შემთხვევაში, დროებით მაინც.

აქედან ერთი დასკვნის გამოტანა მაინც შეიძლებოდა: ოროსნისთვის ჯადოს მოხსნა თუ გადაგიწყვეტია, მაშინ არავითარ შემთხვევაში არ უნდა შეაფასო მისი აბსურდული პასუხი. ჩემ მიერ მოწყობილი გრამატიკული შეცდომების კორექციის პირველი "სეანსების" დროს ისინი, ვინც თავს "ნულის" აბონენტებად მიიჩნევდნენ, აბსურდულ პასუხებში ნამდვილად არ იყვნენ ხელმოჭერილები.

ჩემი მეოთხეკლასელი მოსწავლე, მაგალითად, სამი, ამ მხრივ განსაკუთრებული გულუხვობით გამოირჩეოდა.

- სამი, რომელია პირველი საულლებელი ზმნა ამ წინადადებაში?

- "ნამდვილად", მასწ. დიახ, ეს არის ზმნა "ნამდვილად".

- რა გაფიქრებინებს, რომ სიტყვა "ნამდვილად" ნამდვილად ზმნაა?

- ამას მისი დაბოლოება "ენტ" მაფიქრებინებს.

- აბა, საწყის ფორმაში გადამიყვანე. ვნახოთ ერთი, რას მოგვცემს.

- ...?

- მიდი, მიდი. აბა, მითხარი, რა გამოდის! ᲒᲛᲜᲐ "ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲐᲓ". მიდი, აბა, მიუღლე! მე ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲐᲓ, შენ ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲐᲓ, ის ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲐᲓ.

- ...

აბსურდული პასუხი არასწორისგან იმით განსხვავდება, რომ მასში მსჯელობის ნიშანწყალიც კი არ ჩანს. აბსურდული პასუხი დაუფიქრებლად, ავტომატურად გაიცემა და უმარტივეს რეფლექსურ აქტად შეგვიძლია ჩავთვალოთ. მოსწავლე შეცდომას კი არ უშვებს, ნებისმიერ მინიშნებაზე დაყრდნობით პასუხობს, რაც თავში მოუვლის (ჩვენ შემთხვევაში, მინიშნების როლი ითამაშა დაბოლოებამ ენტ). მოსწავლე დასმულ კითხვაზე არ პასუხობს, არამედ რეაგირებს თვით კითხვის დასმის ფაქტზე: - პასუხი გინდათ? - აი, ინებეთ! მისთვის არ აქვს მნიშვნელობა, ეს პასუხი იქნება სწორი, თუ აბსურდული. სხვათა შორის, ის სკოლაში გატარებული პირველი დღეებიდანვე ფიქრობდა, რომ თამაშის წესები სწორედ ამაში მდგომარეობდა - მთავარია, უპასუხო! წამოხტებოდა ხოლმე სკამიდან ხელაწეული, მოუთმენლობისგან თრთოდა. მე, მასწ., მე, მე ვიცი, მე ვიცი! (მე ვარსებობ, მე აქ ვარ, გამოიხედე ჩემკენ!) და დააღებდა პირს და ღმერთმა უწყის, რა სიბრძნეს აფრქვევდა ... საქმე ისაა, რომ ჩვენ, ოროსნები, სწრაფად ვულებთ ალღოს სიტუაციას, ვხვდებით, რომ მასწავლებელი ჩვენგან სწორ პასუხს ელის. ჩვენ კი ხშირად არათუ სწორი, არამედ არასწორი პასუხიც კი არ მოგვეპოვება არსენალში! საერთოდ აზრზე არ ვართ, რა პასუხი უნდა გავცეთ. სინამდვილეში შეკითხვის არსსაც კი ვერ ჩავწვდით, მაგრამ ამაში მასწავლებელს ხომ ვერ გამოუტყდები? იქნებ გამოსავალი ხმის ჩაკმენდაა? არა, უსიკვდილოდ უნდა უპასუხო! და, აი, ჩვენც ვპასუხობთ, კაცმა არ იცის, რას, თანაც, რაც შეიძლება გულუბრყვილო გამომეტყველებით - შემეშალა მასწ? დამიჯერეთ, ძალიან ვწუხვარ. მცდელობა არ დამიკლია, მაგრამ ხომ ხედავთ, არაფერი გამომივიდა. დამიწერეთ ნული, ახია ჩემზე და დავრჩეთ მეგობრებად. აბსურდული პასუხი უმეცრების დიპლომატიური აღიარებაა, რომელიც, მიუხედავად ყველაფრისა, კეთილი ურთიერთობების შენარჩუნებას ისახავს მიზნად. რა თქმა უნდა, მსგავსი პასუხით შეიძლება ღია პროტესტიც გამოიხატოს: წაიღო რა ტვინი ამ მასწავლებელმა, ნეტავი ერთი რას გადამეკიდა?! ძალიან მაიტერესებს, მე ოდესმე შევაწუხე ჩემი შეკითხვებით?!

ყველა შემთხვევაში აბსურდული პასუხის შეფასება, მაგალითად, წერითი ნამუშევრის გასწორებისას - ნიშნავს იმას, რომ მასწავლებელი ნებისმიერ რამეს (გაუგონარ სისულელესაც კი!) ნიშნით აჯილდოებს და ამით წმინდა წყლის აბსურდულ პედაგოგიურ აქტზე აწერს ხელს. ასეთ დროს მასწავლებელიც და მოსწავლეც მეტ-ნაკლებად გააზრებულად ერთსა და იმავე სურვილს ავლენენ - როგორმე აირიდონ ერთმანეთი. თუ მასწავლებლის მიერ დასმულ შეკითხვაზე ნებისმიერ სისულელეს ვპასუხობ, მაშინ იგი ჩემს თვალში ყოველგვარ წონას კარგავს, მეტიც, მე მას მასწავლებლად უკვე ვეღარ აღვიქვამ. ის ჩემთვის მხოლოდ ზრდასრული ადამიანია, რომელსაც ან ვეპირფერები, ან ამ კრეტინული პასუხით თავიდან ვიშორებ. თუ მოსწავლის აბსურდულ პასუხს არასწორის კვალიფიკაციას ვანიჭებ, მე, როგორც მასწავლებელი, უარს ვამბობ მასში მოსწავლის დანახვაზე. ამით ჩემთვის ის კანონგარეშე სუბიექტი ხდება, რომელიც "ნულების" მონობას მთელი თავისი დარჩენილი ცხოვრება თავს ვერ დააღწევს. ამ აქტის ჩადენით, მეც, ნებსით თუ უნებლიეთ, განაჩენი

გამომაქვს ჩემთვის, როგორც პედაგოგისთვის. ამ გოგონასა თუ იმ ბიჭუნას თვალში, რომლებსაც მოსწავლეებად უკვე ვეღარ აღვიქვამ, ჩემი პედაგოგიური მოღვაწეობა მთავრდება. თუმცა მათი დღიურის შევსებისას ჩემი გადაწყვეტილების არგუმენტირება დამაჯერებლად შემიძლია. უბრალოდ, აღვნიშნავ, რომ მათ ელემენტარული ბაზა, მინიმალური ცოდნაც კი არ გააჩნიათ. მოსწავლე, რომელიც ზმნიზედას პირველი ჯგუფის ზმნაში ურევს, განა თუნდაც ელემენტარული ცოდნის მატარებელია? რა თქმა უნდა, არა!

მაგრამ იქნებ ჯობდა, რომ მასწავლებელს, რომელიც აშკარად აბსურდულ პასუხს არასწორად აფასებს, სხვა საქმე მოენახა, მაგალითად, აზარტული თამაშებით შეექცია თავი? ყოველ შემთხვევაში, დაკარგვით მხოლოდ საკუთარ ფულს დაკარგავდა და ფსონად ბავშვების განათლებასა და მომავალს არ ჩამოვიდოდა.

და საერთოდ, ოროსანი ხომ თავის ნულებში შესანიშნავად გრძნობს თავს (ფიქრობს მასწავლებელი) ... მართლაც, ეს ის ციხე-კოშკია, საიდანაც მას ვერავინ გამოაგდებს. მთელი ენერგია ამ თავშესაფრის გამაგრებაში მისდის: ახვავებს აბსურდებს, ამკობს მას სხვადასხვა ახსნა-განმარტებით, რომელიც ასაკის, გუნება-განწყობის, საცხოვრებელი გარემოსა და ტემპერამენტის მიხედვით იცვლება - "ძალიან სულელი ვარ", "არასდროს არაფერი გამომივა", "მასწავლებელი დასანახად ვერ მიტანს, არც არასდროს ეცდება, გამიგოს", "მეზიზღებიან", "წაიღეს ტვინი" და ასე შემდეგ. განათლებისა და სწავლების პრობლემა მას პირადი ურთიერთობების სფეროში გადააქვს, სადაც უკვე ტენდენციურობა ბატონობს და ყველაფერს ამახინჯებს. ტენდენციურობისაგან არც მასწავლებელია შორს, ისიც თვლის, რომ მოსწავლე ამას განზრახ სჩადის. ასე ხდება, რადგან აბსურდულ პასუხს ამოფარებულ "ჯადოს" დანახვაში მასწავლებელს ხელს უშლის განცდა, რომ მოსწავლე მას განგებ და გააზრებულად დასცინის.

მასწავლებელიც თავის "ეს"-ში იკეტება: ეს მე არ გამომივა. არც ერთი მასწავლებელი არ არის დაზღვეული მსგავსი ხასიათის წარუმატებლობისგან. მეც მატყვია ღრმა იარები: ეს ჩემი მოჩვენებებია - ჩემი მოსწავლეების გადღაბნილი სახეები, რომელთა ამოთრევა მათი ეს-იდან ვერა და ვერ მოვახერხე, და რომელთაც, თავის მხრივ, ჩამტოვეს ჩემს ეს-ში.

- ამჯერად, ეს მე ნამდვილად არ გამომივა!

- აა, როგორც იქნა!

- რა როგორც იქნა?

მე ვცნობ ამ ხმას, ის ჩემში ფარულად ცხოვრობს ამ წიგნის პირველი სტრიქონებიდანვე. ჩასაფრებულა სადღაც და იქიდან მითვალთვალებს. ერთი სული აქვს, როდის შემეშლება რამე. ეს ის ოროსანია, რომელიც მე ოდესღაც ვიყავი. ის მუდამ ფხიზლობს, ვერაფერს გამოაპარებ. უფრო კრიტიკულად

უყურებს ჩემს პედაგოგიურ მოღვაწეობას, ვიდრე თავად მე. რახანია ამეკიდა და ვერაფრით მომიშორებია. შევაბერდით ერთმანეთს.

- ჰო, რა როგორც იქნა?

- როგორც იქნა, შენს პირად იმას მივუახლოვდით - შენს პედაგოგიურ იმას, შენი არაკომპეტენტურობის, შენი უფხოობის ზონას. ისე, ვაღიარებ, აქამდე, შენი ნაწერებით თუ ვიმსჯელებთ, უნაკლო მასწავლებლის შთაბეჭდილება კი დამიტოვე. ამას მოხერხება არ უნდოდა?! დაუჯერებელია პირდაპირ! უმეცრები ხომ ცოდნას გიზიარებია, წერა-კითხვა გისწავლებია, მართლწერა გაგიუმჯობესებია, დიდი ლიტერატურაც შეგიყვარებია, გიტენია და გიტენია მათ თავებში ეს დაუვიწყარი და უძვირფასესი შედევრები, ტვინგამორეცხილი ბავშვები ლამის გენიოსებად გიქცევია; ვერ გავიგე, ვითომ, ასეთი მაგარი ხარ, არასდროს წაგიტეხია კისერი, არასდროს დამარცხებულხარ?

- ...

- დავიჯერო, ერთხელ მაინც არ წამოგცდენია - არა, ეს ამ ბავშვთან არ გამომივა?

ოჰ, შე შურისმაძიებელო, უტვინო ოროსანო, გამოძვერი არა ქვეცნობიერის ჯურღმულებიდან, მოჩვენებები რომ გამიღვიძო? ვერ ვიტყვი, რომ არ გამოგივიდა. ავაზაკო, მიაღწიე, არა, შენსას! აი, ისინიც, ჩემკენ მოიწევენ. სამ სახეს გარკვევით ვარჩევ. ეს ისინი არ არიან, გამოსაშვებ კლასში უკანა მერხებზე რომ ისხდნენ? ფრანგულის გამოცდისთვის კიდევ რამდენიმე ქულა უნდა დააგროვონ... კამიუსა და მისი "უცხოს" განხილვისას ისეთი ციხესიმაგრე აღმართეს, ვერსაიდან რომ ვერ მიუდგებოდი. არც ერთი გაკვეთილი არ გაუცდენიათ, მაგრამ, სინამდვილეში, გონებით სულ სხვაგან დაფრინავდნენ. სამი გამორჩეულად დისციპლინირებული "უცხო", რომლებშიც ინტერესის პატარა ნაპერწკალიც კი ვერა და ვერ ავანთე. მათმა შეუვალმა დუმილმა მაიძულა, უნიათო და მონოტონური, მომაკვდინებლად სევდის მომგვრელი ლექციები მეტარებინა. სამი ძმა მერსო... ეს მერსოები ერთგვარ აკვიატებულ მოჩვენებებად მექცნენ. კლასის დანარჩენი ნაწილი არ იყო საკმარისი, ისინი დროებით მაინც ჩემი მზერისთვის რომ დაემალა.

- მორჩა? სულ ეს იყო?

- ...

- არა რა, ვერ დავიჯერებ! მხოლოდ ეს სამი?

არა, იყო მიშელიც - მეორე კლასში მყავდა. ჩვიდმეტი წლისა და რამდენიმე თვის იქნებოდა. სადაც მივიდა, ყველგან გამოაბუნძულეს; ჩვენთან რომ მიეღოთ, მე გამოვიდე თავი და რეკომენდაციაც მივეცი. რეკორდულ დროში მთელი სკოლა თავდაყირა დააყენა. საბოლოოდ, არც მე დამინდო.

ნერვებმა უმტყუნა, როდის გთხოვე, შენი დედაცო, მომახალა. შემდეგ გაქრა, აღარც ვიცი, რომელ ცხოვრებაში გადაინაცვლა.

- გინდა, მოვხსნა გუდას თავი და კიდევ რაღაც-რაღაცეები მოგიყვე? იმ ბაცნების ბანდა, სუპერმარკეტებს რომ ანიავებდა, მიუხედავად ჩემი მორალის გაკვეთილებისა. ჰა, მითხარი, მოგწონს? მოვყვე თუ არა?

- მიდი, მიდი, თუ მოყვები უფრო მიმზიდველად გამოჩნდები.

- წადი შენი! ვიცი რაზეც გეკეტება გონება - როცა შენ გარშემო დიდსა და პატარას ჭკუას ასწავლი. ის კი გავიწყდება, რა დეგენერატიც ხარ. შენთვის რომ მეგდო ყური, არასდროს მომიწევდა მასწავლებლობა. ალბათ, ავდგებოდი ერთხელაც დილით ადრე და პირდაპირ ლა გოდის ფრიალო კლდისკენ გავემართებოდი.

იცინის:

- მერე რა, მე მაინც აქ ვარ სულ, შენთან ერთად. მაგრად ჩაგებღაუჭე, ვერ მომიცილებ, რამდენიც გინდა მეძახე, შე ოროსანო, ოროსანო...

საუბრის დასასრული. მომავალ შეხვედრამდე. ისევ ჩაყვინთა ჩემში იმ იდიოტმა, მაგრამ რამდენიმე ნაჩქარევად მომზადებული გაკვეთილის გამო სინდისის ქენჯნა მაინც დამიტოვა. ჰო, კიდევ რამდენიმე გასწორებული თხზულების დასტის გამოც, რომლებიც ბავშვებს, მიუხედავად ჩემი დაპირებისა, დაგვიანებით დავურიგე.

მასწავლებლისთვის თანმხლები ეს საკანია - სხვებისთვის შეუვალი, ჩვენთვის კი მარად ღია, სადაც ვმალავთ ჩვენს მოულოდნელ დაღლილობას, სადაც ვაფასებთ ჩვენი წარუმატებლობის მასშტაბს. ეს ბინძური ციხე! ხშირად ვუბრუნდებით მას, უფრო ხშირად არა იმიტომ, რომ გამოსავალი ვიპოვოთ, არამედ იმიტომ, რომ დამნაშავეები ვეძებოთ.

20

წარმოუდგენელია! ჩვენი პედაგოგიური საზოგადოების ზუზუნს ყური რომ მიუგდო, გამოდის, როგორც კი სასოწარკვეთა შეგვიპყრობს, უმალ დამნაშავეთა გამოვლენასა და მათ სასტიკად დასჯას მოვითხოვთ. განათლების სამინისტრო კი, როგორც ჩანს, მართლაც ისეა მოწყობილი, რომ თითოეულმა პედაგოგმა ადვილად იპოვოს საკუთარი განტევების ვაცი.
- ვერ გამიგია, ამ ბავშვებს საბავშვო ბაღში აღარ ასწავლიან ქცევის ელემენტარულ წესებს? - სვამს კითხვას დაწყებითი კლასის მასწავლებელი, თან თვალს არ აცილებს ბავშვებს, რომლებიც მის წინ ყირაზე გადადიან, ყვირიან, კივიან, ციბრუტივით ტრიალებენ, გეგონება, ფეხბურთის მექანიკური მოთამაშეები არიან.

- ერთი ამიხსნან, რით არიან დაკავებული დაწყებითი კლასის პედაგოგები? - ბუზღუნებს კოლეჯის მასწავლებელი წერა-კითხვის უცოდინარი მეექვსეკლასელების გადაბარებისას.

- იქნებ ვინმემ გამაგებინოს, რას აკეთებდნენ ეს მოსწავლეები მესამე კლასამდე? - აღშფოთებას ვერ მალავს ლიცეუმის მასწავლებელი, როცა იგებს, რომ იქამდე მის მეორეკლასელებს ლექსიკონი საერთოდ არ გამოუყენებიათ.

- ძალიან მეეჭვება, რომ ამ სტუდენტებს ლიცეუმი საერთოდ ჰქონდეთ დამთავრებული, - აღნიშნავს უნივერსიტეტის ლექტორი პირველკურსელთა თემების პირველი დასტების გასწორებისას.

- მადლობელი ვიქნები, თუ გამარკვევთ, რას გასწავლიდნენ უნივერსიტეტში, - გრგვინავს კომპანიის დირექტორი ახალბედა სპეციალისტების წინაშე.

- უნივერსიტეტი ამზადებს ზუსტად იმათ, ვინც თქვენს სისტემას სჭირდება, - პასუხობს არც ისე უნიჭო ახალგაზრდა სპეციალისტი, - გაუნათლებელ მონებს და ბრმა მომხმარებლებს. დიდი სკოლები ზრუნავენ ბრიგადირებით, უკაცრავად, მენეჯერებით თქვენ მომარაგებაზე, - თქვენი აქციონერები კი ფულის საჭრელი მანქანის სახელურს ატრიალებენ და ცვივა და ცვივა ფულები თქვენივე ჯიბეების გასასქელებლად.

- ოჯახის ინსტიტუტი დაკნინდა, კიდევ ცოტაც და დაინგრევა, საერთოდ აღარ იარსებებს, - მოსთქვამს ეროვნული განათლების სამინისტრო.

- სკოლა აღარ არის ისეთი, როგორიც უწინ იყო, - სინანულით აღნიშნავს ოჯახი.

დაამატეთ ამას შინაგანი დავები და გარჩევები, რომელთა გარეშე წარმოუდგენელია დაწესებულება, რომელსაც საკუთარი თავის პატივისცემა ჯერ კიდევ შერჩენია. არ დაგავიწყდეთ მარადიული ბრძოლა ახლებსა და ძველებს, ანუ რეტროგრადებსა და პროგრესისტებს შორის.

- სირცხვილი იმ პედაგოგებს, რომლებმაც ასე გამოგვიშტერეს ჩვენი მოსწავლეები, - გაჰყვირიან ვითომ რესპუბლიკელი დემაგოგები.

- ძირს რესპუბლიკელები და მათი ნაქები ელიტურობა! - პასუხობენ პატივშელახული პედაგოგები - დემოკრატიული განვითარების მომხრეები.

- პროფესიული კავშირები საბოტაჟს ეწევიან, - აღშფოთებას ვერ მალავენ სამინისტროს ჩინოვნიკები.

- სიფრთხილე გამოვიჩინოთ, მეგობრებო, ერთი წამითაც კი არ მოვდუნდეთ! - არ იხევენ უკან საჯარო მოხელეთა მიერ მიზანში ამოღებული პროფკავშირები.

- სად იყო ჩვენ დროს ამდენი ხეპრე და უვიცი მეექვსე კლასში? - ლამის ტირის ძველი გვარდია.

- თქვენს დროს, პატივცემულებო, ალბათ, სკოლაში მხოლოდ სახელმწიფო მრჩეველები სწავლობდნენ მოკლე შარვლებში, - დასცინიან მათ ახლანდელი მოსწავლეები. - ეს იყო, არა, თქვენი კარგი ძველი დრო?

- სულ დედამისს დაემსგავსა ეს მამაძაღლი! - ქუხს გაცოფებული მამა.

- ცოტა მეტი სიმკაცრე რომ გამოგეჩინა, როგორც მამას, ახლა ასეთ უბედურ დღეში არ ვიქნებოდით, - პასუხობს შეურაცხყოფილი დედა.

- როგორ უნდა ვიმეცადინო, როცა ოჯახში ისეთი ცოდვის ტრიალია, - შესჩივის დეპრესიული მოზარდი გამგებიან მასწავლებელს.

და ასე შემდეგ, იმ ოროსნის ჩათვლით, რომელმაც თავისი სისტემატური დაცინვითა და აგრესიულობით მასწავლებელი საავადმყოფოს კარამდე მიიყვანა. საწყალს ნერვიული მოშლილობის ყველაზე მძიმე ფორმა დაუდგინდა. ჰოდა, ასეთმაც კი შეიძლება, სრულიად ნეტარი სახით განაცხადოს: ამ და ამ მასწავლებელს ავტორიტეტი არ ეყოო.

თუ ეს ყველაფერი გეცოტავებათ, მარაგში ჩვენ მაინც გვრჩება ერთი გამოსავალი: საკუთარ თავში დავინახოთ ის, ვინც არაკომპეტენტურობის ქუდს ატარებს:

- "ეს" მე არ გამომივა, ასეთი ვარ და მომკალით ახლა! - წერდა ის ოროსანი, რომელიც ოდესღაც მე ვიყავი, დედამისს, და ეხვეწებოდა, აფრიკაში გაეგზავნა მისტერ ჰაიდი, რომელიც ასე უშლიდა ხელს, კეთილი დოქტორი ჯეკილი დამდგარიყო.

21

ახლა ცოტა დასვენება და ოცნება არ გვაწყენდა. მოდი, წარმოვიდგინოთ: მასწავლებელი ახალგაზრდა ქალია, პირდაპირი, გახსნილი, ჯერ საერთო ყალიბში მოქცევა ვერ მოუსწრია, არც ფატალიზმის სიმძიმისგან ჩანს გასრესილი. იგრძნობა, რომ მთელი არსებით კლასშია და არა სადღაც მოუსავლეთში. მის წინ მოკალათებულან მოსწავლეები, ამ მოსწავლეების მშობლები, დამსაქმებლები მთელი საფრანგეთიდან, კოლეგები, ასევე, ბოლო ათი განათლების მინისტრი, - მათთვის სპეციალურად დამატებითი სკამები შემოუტანიათ.
- მაშ, ამას მართლა ვერ მოვუხერხებთ ვერაფერს? - კითხვას სვამს ახალგაზრდა მასწავლებელი.

კლასი დუმს.

- სწორად გავიგე თუ არა? ჩვენ ამას ვერაფერს მოვუხერხებთ?

ისევ დუმილი ...

მასწავლებელი განათლების ბოლო მინისტრს ცარცს გადააწოდებს და ეუბნება: მობრძანდით და დაგვიწერეთ დაფაზე: ჩვენ ამას ვერაფერს მოვუხერხებთ.

- მე მსგავსი არაფერი მითქვამს, - პროტესტს აცხადებს მინისტრი, - ყველაფერი სამინისტროს ჩინოვნიკების ბრალია. პირველივე, რასაც ყოველ ახალმოსულ მინისტრს აჯახებენ ხოლმე, არის ფრაზა: "ყოველ შემთხვევაში, ბატონო მინისტრო, ამას ჩვენ ვერაფერს მოვუხერხებთ". მე, რომელმაც ამდენი რეფორმატორული წინადადება წამოვაყენე, ვერავინ დამდებს ბრალს, რომ მსგავსი რამ წამომცდა. ვერავინ დამადანაშაულებს. მე, უბრალოდ, გარემოებათა მსხვერპლი აღმოვჩნდი. ჩემს რეფორმატორულ გენიას გამოხატვის საშუალება არ მიეცა. აქ ხომ ცვლილებებს ხიშტებით ხვდებიან!

- და აქვს კი მნიშვნელობა, ვინ წარმოთქვა ეს პირველად? - ღიმილით სვამს კითხვას ახალგაზრდა პედაგოგი, - უბრალოდ დაგვიწერეთ: ჩვენ ამას ვერაფერს მოვუხერხებთ.

"ჩვენ ვერაფერს მოვუხერხებთ".

- ამას გამოგრჩათ, ბატონო მინისტრო, დაამატეთ! ეს მნიშვნელოვანია.

"ჩვენ ამას ვერაფერს მოვუხერხებთ".

- შესანიშნავია. თქვენი აზრით, რას უნდა ნიშნავდეს ეს ამას?

- არ ვიცი.

- ჰოდა, ჩემო კეთილო მეგობრებო, სანამ არ გვეცოდინება ამას რას ნიშნავს, ჩვენი საშველი არ იქნება!

IV შენ ამას განგებ აკეთებ

მე ეს განგებ არ გამიკეთებია

ვერკორი. შარშანდელი ბაფხული. მე და ვ. ტერასაზე მშვიდად ვსხედვართ, ვსვამთ და თან ბანტად ვაკვირდებით საძოვრებიდან მობრუნებულ ჟოზეტის ჯოგს. ვ., რომელმაც ჩემსავით საპენსიო ასაკს მიაღწია, მეკითხება, ახლა რას წერო. მეც ვუყვები.

- ააა, ეს ცუდი მოსწავლეები! პირი რომ დავაღო, ვერ გამაჩერებ, იმდენი შემიძლია ამ ოროსნებზე ვილაპარაკო. მით უმეტეს, ციდან ვარსკვლავებს სკოლაში არც მე ვწყვეტდი, რა, არ გჯერა?

პაუზა.

- როგორც კი შევძელი, მივატოვე კიდეც სკოლა. ოჰ, ოჰ, მაგარი იყო!

ჟოზეტი თავის ძროხებს უკან ველოსიპედით მოჰყვება. აქეთ-იქეთ მხარს თათებზე "თეთრწინდებამოცმული" ორი კოლი უმშვენებს.

- ვერ წარმოიდგენ, რა სულელი ვიყავი, - განაგრძობს ვ., - სხვანაირად ვერც იქნებოდა. ამ ასაკში ყურს მხოლოდ სისხლის ყივილს უგდებ.

მცირეოდენი პაუზა.

- არც იმის თქმა მინდა, რომ სკოლას არანაირი სარგებლობა არ მოაქვს. რომ დავრჩენილიყავი იქ, სწავლა გამეგრძელებინა და ორი გროშის საშოვნელად არ მეღვარა ოფლი, დღეს, ალბათ, დიდი კაცი ვიქნებოდი - ერთი ტრანსნაციონალური კორპორაციის დირექტორი მაინც! ჟოზეტს გაუმარჯოს!

- ...

- იცი, სინამდვილეში რის თქმა მინდოდა? გავაქანებდი მაგ კორპორაციას უფსკრულისკენ, გამოვწოვდი სისხლს ბოლო წვეთამდე, სანამ არ დაიქცეოდა. სამაგიეროდ, ჩეკი მედებოდა ჯიბეში ექვსნიშნა ციფრით და ჩვენი ძვირფასი პრეზიდენტის სამადლობელი წერილიც.
ჯოგმა ჩაიარა.

- ამის ნაცვლად კი...

ვ. ფიქრებს მიეცა. როგორც ჩანს, ერთი სული აქვს, გუდას თავი მოხსნას და მთელი თავისი ბიოგრაფია გადმომილაგოს. ბოლოს, სძლია ცდუნებას.

- მე განგებ არაფერს ვაკეთებდი.

ვ. ამ კონსტატაციაზე ცოტათი კი შეყოვნდა:

- არ ვხუმრობ. ისინი დარწმუნებული იყვნენ, რომ ჯიბრში ვედექი, მაგრამ ეს ასე არ იყო. უბრალოდ, ჩემს ჭიას ვახარებდი.

2

საქმე ისაა, რომ სიტყვები, რომლის მოსმენა მშობლებისა თუ მასწავლებლებისგან ოროსანს ყველაზე ხშირად უწევს, შემდეგია: "შენ ამას განგებ აკეთებ!" - ეს სიტყვები ხან პირდაპირი ბრალდების სახისაა (ახლა არ დაიწყო სისულელეების მოყოლა, შენ ამას განგებ აკეთებ!) ან ეშმაკმა უწყის, მერამდენე სრულიად უშედეგო გარჩევის შემდეგ გულის სიღრმიდან აღმომხდარი გამწარებული ამოძახილი (ღმერთო, შენ მიშველე, უბრალოდ, შეუძლებელია, ეს ამას განგებ აკეთებს!), ან კიდევ, არ არის გამორიცხული, სულ სხვისი მისამართით წარმოთქმული, მაგრამ "ეჭვმიტანილის" მიერ სრულიად შემთხვევით, მაგალითად, მშობლების კარზე მიყურადებისას მოპოვებული ინფორმაცია იყოს (დამიჯერე რასაც გეუბნები, ეს ბავშვი ყველაფერს განგებ აკეთებს!). თავადაც რამდენჯერ მომისმენია ეს საყვედური ბავშვობაში და მოგვიანებით, რამდენჯერ დავსხმივარ თითგაშვერილი თავს იმავე ბრალდებით უქნარა და ყალთაბანდ მოსწავლეს ან საკუთარ ქალიშვილს, როცა საწყალი ხმამაღალ კითხვაში ვარჯიშისას ბლუყუნს იწყებდა ან შემთხვევით ენა დაებმოდა. ასე გრძელდებოდა მანამ, სანამ ერთ მშვენიერ დღეს საკუთარ თავს არ შევეკითხე: შენ თვითონ თუ გაქვს კარგად გააზრებული, რასაც დუქმორეული გაიძახი?
"შენ ამას განგებ აკეთებ!"

ყველა შესაძლო ვარიანტის განხილვა აშკარად დაგვანახებს, რომ ზმნიზედა "განგებ" ფრაზაში ვარსკვლავის სტატუსით სარგებლობს, შენს გრამატიკას არაფრად დაგიდევს და ნაცვალსახელთან პირდაპირ კავშირზე გადის. "შენ", მხოლოდ "შენ" და თანაც "განგებ!" ზმნა "კეთება", მხოლოდ მეორეხარისხოვან როლს ასრულებს, ხოლო აკუზატიური ნაცვალსახელი "ამას" ამ ფონზე საერთოდ უღიმღამო და უფერული ჩანს. მთავარია, რომ დამნაშავის ყურებთან ამ "შენ", მხოლოდ "შენ" და თანაც "განგებ"-მა იგრუხუნოს. მთავარია, რომ მსმენელს მისკენ გაშვერილი საჩვენებელი თითის ასოციაცია აღეძრას.

შენ ხარ დამნაშავე, მხოლოდ შენ და სხვა არავინ. შენ ერთადერთი, სხვა არაფერ შუაშია. შენ ჩაიდინე ეს დანაშაული და თანაც ბოროტი განზრახვით. - ასეთია ამ ფრაზის შინაარსი.

მოზრდილთა მიერ ნასროლი "შენ ამას განგებ აკეთებ" და ბავშვის პასუხი დანაშაულის ჩადენის შემდეგ "მე ეს განგებ არ გამიკეთებია", ტრადიციულად განუყრელ დუეტს ქმნის.

ილუზიებისგან დაცლილი, მაგრამ მაინც მგზნებარებით წარმოთქმული "მე ეს განგებ არ ჩამიდენია", თითქმის ავტომატურად იწვევს შემდეგ შესაძლო პასუხებს:

- იმედს ვიტოვებ, რომ არა!

- ამჯერად გადავრჩენილვართ და შეგვიძლია, თავი ბედნიერად მივიჩნიოთ.

- ესღა გვაკლდა!

მსგავსი დიალოგი ისევე ძველია, როგორც სამყარო და დედამიწის ზურგზე არ მოიძებნება ზრდასრული ადამიანი, რომელიც საკუთარ პასუხს მახვილგონივრულად არ თვლიდეს, ყოველ შემთხვევაში, პირველ ჯერზე მაინც.

ფრაზაში "მე ეს განგებ არ გამიკეთებია" ზმნიზედა "განგებ" ძალას კარგავს, ზმნა "კეთებას" მხოლოდ დამხმარე ფუნქცია რჩება - ხოლო ნაცვალსახელი "ეს" საერთოდ იკარგება! მთავარი, რის მიტანასაც ეჭვმიტანილი თუ დამნაშავე ჩვენს სმენამდე ცდილობს, არის ნაცვალსახელი "მე", და უარყოფითი ნაწილაკი "არა".

ასე და ამგვარად, უფროსის ნასროლი "შენ განგებ" ყოველთვის ეხეთქება მოზარდის ფარს - "მე არა".

არც ზმნა, არც ნაცვალსახელით გამოხატული დამატება! არამედ, მხოლოდ სევდიანი "მე" და საწყალი "არა" გვრჩება, ის სიტყვები, რომლებიც თითქოს ცდილობენ, გვითხრან: ჩემი ცუდი საქციელის გამო პასუხისმგებლობას მე ნუ დამაკისრებთ!

- ნუ დაიწყებ ახლა საწინააღმდეგოს მტკიცებას: ეს შენ განგებ ჩაიდინე!

- არა, არ ჩამიდენია განგებ!

- დიახ, სწორედაც რომ, განგებ!

- არა! არა!

ეს ყველაფერი ყრუ-მუნჯთა საუბარს ემსგავსება. კვანძი გაუხსენილი რჩება. საქმის გარჩევა გაურკვეველი დროით გადადებულია, ჩვენ ხელცარიელები ვშორდებით ერთმანეთს; ნულოვანი წერტილიდან ვერა და ვერ დავიძარით, არც მომავლის გვეიმედება. ერთნი ვმტკიცდებით იმაში, რომ არაფრად გვაგდებენ და არ გვემორჩილებიან, მეორენი კი იმაში, რომ მათი მოსმენა და გაგება არავის სურს.

ამ შემთხვევაშიც გრამატიკას ჯერ კიდევ ძალუძს გარკვეული სარგებლობის მოტანა; მოდი, შევთანხმდეთ, უფრო სწორად, ნუ დავიზარებთ და მეტი ინტერესი გამოვიჩინოთ ერთი, თითქმის უხილავი სიტყვის მიმართ, რომელიც ბრძოლის ველზე სრულიად უყურადღებოდ მივაგდეთ. ეს გახლავთ "ეს", რომელიც ჩვენი დიალოგის ყველა ძაფს თავისკენ ექაჩება.

აბა, მოდით, ერთი პატარა წავარჯიშება გრამატიკაში არავის გვაწყენს, როგორც ეს მეც არაერთხელ მისინჯავს ჩემს "გამორჩეულებთან".
- მაშ "ეს". აბა, ვინ მეტყვის, რა არის "ეს" წინადადებაში "შენ ეს განგებ გააკეთე" ("tu le fais expres").

- მე, მე, მე. მე ვიტყვი მასწ, - ეს არტიკლია.

- და, რატომ არტიკლი?

- იმიტომ, რომ ლე და ლა, მამრობითი და მდედრობითი სქესის არტიკლებია, მრავლობითში ორივეს ერთი ფორმა აქვს - les.

გამარჯვებულის ტონით მასწავლებელს დაუმტკიცეს, რომ არც მთლად მასეა საქმე, როგორც ზოგიერთებს ჰგონიათ. მათაც იციან რაღაც-რაღაცეები:un, une, des განუსაზღვრელი არტიკლებია, ამას წყალი არ გაუვა! le, la,les - კი განსაზღვრული! აქაც სადავო არაფერია! მორჩა! წერტილი! საქმე დახურულია!

- რას ამბობ, მართლა?განსაზღვრული არტიკლი? და სად გაქრა არსებითი სახელი, რომელსაც ის განსაზღვრავს?

- ...

იწყებენ ფიქრს (ეძებენ არსებით სახელს).

არსებითი სახელი კი არსად არის.

დაბნეულობა.

"ეს" არ არის არტიკლი.

და მაინც, რა არის "ეს"?

- ...

- ნაცვალსახელია, მასწ!

- ბრავო! და რომელი?

- ჩვენებითი ნაცვალსახელი!

კეთილი, შესანიშნავია. სწორია. ახლა დავანებოთ თავი კლასს და ისევ ჩვენს დიალოგს მივუბრუნდეთ. ეს ჩვენებითი ნაცვალსახელი ჩვენ, დიდებმა, ერთმანეთში გავარჩიოთ, მაგრამ ნუ ვიჩქარებთ. ეს ნაცვალსახელები სახიფათონი არიან, როგორც ტანკსაწინააღმდეგო ნაღმები, ძალიან ხიბლავთ აზრის სიღრმეში მიმალვა. თუ დროულად არ განაღმე, მოულოდნელად იფეთქებენ და შენგან სველი წერტილიც არ დარჩება. "ეს" მაგალითისთვის სრულიად საკმარისია. როცა სიტყვებს "შენ ეს განგებ გააკეთე" წარმოვთქვამდით, რამდენჯერ გვიკითხავს საკუთარი თავისთვის, რას ნიშნავდა მოცემულ შემთხვევაში ჩვენებითი ნაცვალსახელი "ეს" და რა "გააკეთე განგებ"? ალბათ, იგულისხმება სისულელეთა სერიალიდან ბოლო ჯერზე ჩადენილი სისულელე. ბრალის წაყენებისას ჩვენ მიერ შერჩეული ტონით თუ ვიმსჯელებთ (ტონსაც ხომ აქვს, არა, მნიშვნელობა?), მაშინ ცხადზე უცხადესია, რომ "ბრალდებული" ამას ყოველთვის განგებ სჩადის და ბოლო ჯერზე ჩადენილი კრეტინობაც მხოლოდ მის შეუპოვრობაზე მეტყველებს. და მაინც, რა "ეს"?

მეურჩები?

არ მეცადინეობ?

უყურადღებოდ ხარ და არ ცდილობ?

ვერ იგებ?

არც გაქვს სურვილი, გაიგო?

მე მეწინააღმდეგები? გინდა, ჭკუიდან გადამიყვანო და გამაცოფო?

მასწავლებლები გააღიზიანო და გამოიყვანო წყობიდან?

საერთოდ გადაუწურო მშობლებს იმედი და სასოწარკვეთილებაში ჩააგდო?

კოჭს უგორებ შენს საძაგელ ჩვევებს?

ილუპავ მომავალს? არ გენანება აწმყო, რადგან ასე ექცევი მას?

მიგიფურთხებია ყველასთვის?

ასეა? მართლა მიგიფურთხებია ყველასთვის? დაგვცინი, თუ რაშია საქმე?

დავუშვათ, რომ ეს ყველაფერი სრული სიმართლეა, მაშინ დგება მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვანი საკითხი - ზმნიზედა "განგებ". რატომ "განგებ"? რა მიზნით? რა მიზეზით ჩაიდენდა ამას? თუ ამას განგებ სჩადის, გამოდის, რომ რაღაც მიზანიც დაუსახავს.

განგებ - მაგრამ, რისთვის?

საკუთარი სიამოვნებისთვის? რათა მომენტით დატკბეს? მაგრამ შემდეგი მომენტი, რომელიც გარდაუვალია და რომლის გატარება ჩემთან ერთად მოუწევს, ვერ ვიტყვი, რომ მისთვის დიდი სიამოვნებისა და ნეტარების მომგვრელი იყოს, იმიტომ, რომ ამ დროს გაცოფებული ვიქნები და ჩემი ყვირილისა და ლანძღვის მოსმენა მორჩილად მოუწევს. იქნებ სიზარმაცის მდგომარეობა მისთვის წყნარი და აუფორიაქებელი ცხოვრების გარანტიაა და სწორედ ამიტომაც იჩენს სრულ გულგრილობას ლანძღვის მიმართ? იქნებ ეს მასში ჰედონიზმის თავისებური გამოვლინებაა? არა, მას კარგად მოეხსენება, რომ არაფრის კეთებით განცდილი ბედნიერება ისჯება დამცინავი მზერით და საყოველთაო გაკიცხვით, რომელიც საბოლოო ჯამში საკუთარი თავის შეზიზღებით მთავრდება. ჰოდა, მაშინ, თუ ასეთი ჭკვიანია და ყველაფერი კარგად იცის, რატომ აკეთებს ამას "განგებ"? იმიტომ, რომ სხვა ოროსნების პატივისცემა დაიმსახუროს? იმიტომ, რომ ელემენტარული თითის განძრევა და მცდელობა მათ თვალში ღალატის ტოლფასია? იმიტომ, რომ ცუდების მხარე დაიჭიროს, რათა კარგებს აუმხედრდეს? და თან ამ თამაშში ნებაყოფლობით იღებს მონაწილეობას? ახალ თაობას ემხრობა, რათა ძველს პროტესტი გამოუცხადოს? ეს რა, საზოგადოებაში დამკვიდრების მისეული მეთოდია?

ყოველ შემთხვევაში, ბოლო თეზისი დღესდღეობით დიდი პოპულარობით სარგებლობს - ეგრეთ წოდებული "ძნელად აღსაზრდელი" მოზარდების ჯგუფებად გაერთიანება, ცუდი მოსწავლეების სწრაფვა ერთგვარი ჭაობისკენ, სადაც ათასი ჯურის ნაძირალა ფუთფუთებს; ასეთი ახსნა-განმარტება ძალიან დამაჯერებელი ჩანს, თუნდაც იმიტომ, რომ ის ერთგვარ "სოციოლოგიურ ჭეშმარიტებას “ ეყრდნობა; ცხადია, მსგავსი ფენომენი არსებობს, ამაზე არავინ დავობს, მაგრამ ის უკუაგდებს მოზარდის პიროვნებას, რომელიც თავისთავად ყოველთვის უნიკალურია და მიუხედავად იმისა, არსებობს თუ არა ეს ბიჭბუჭების ყბადაღებული ფენომენი, ის ცხოვრების ამა თუ იმ მომენტში აუცილებლად აღმოჩნდება მარტო საკუთარ წარუმატებლობასთან, საკუთარ მომავალთან, ხოლო საღამოობით, დაწოლის წინ - საკუთარ თავთანაც. მოდი, კარგად შევათვალიეროთ ის; ყურადღებით დავაკვირდეთ, რათა არაფერი გამოგვრჩეს. ვინ აიღებს თავის თავზე იმის მტკიცებას, რომ ის ახლა თავს შესანიშნავად გრძნობს? რომელი ერთი დაიწყებს იმის მტკიცებას, რომ მან "ეს განგებ გააკეთა"?

"შენ ეს განგებ გააკეთე"...

სიმართლე რომ გითხრათ, ზემოთ მოყვანილი ახსნა-განმარტებებიდან არც ერთი არ არის ბოლომდე დამაკმაყოფილებელი; ერთი შეხედვით, ვითომ დამაჯერებელია, რატომაც არა, მაგრამ...

აი, თქვენ კიდევ ერთი ჰიპოთეზა: იქნებ მიუხედავად ყველა არსებული გრამატიკული წესისა, საშუალო სქესის ჩვენებითი ნაცვალსახელი ფრაზის მიღმა არსებულ ობიექტს აღნიშნავს? იქნებ აქ სულაც ჩვენ მოვიაზრებით. რა არის აქ ვითომ დაუშვებელი?.. საკუთარი თვალებით საკუთარი დეგრადირებული სახის დანახვა. ჩვენი სახის, დიახ, რომელსაც დრო და დრო სარკეში ჩახედვა ჰაერივით სჭირდება. ერთი "ეს" მეორეს ადანაშაულებს იმაში, რომ ის, როგორც სარკე, ირეკლავს ვიღაც ზრდასრულს, უმწეოს, უნიათოსა და აფორიაქებულს, რომელიც მისთვის სრულიად გაუგებარი წინააღმდეგობის წინაშე დამდგარა ... მაგრამ, ღმერთია მოწმე, რაოდენ წმინდა, ნათელი და სასარგებლოა ის პრინციპები, რომლებიც მსურს, ამ ბავშვს ჩავუნერგო. ღმერთია ასევე მოწმე, რამდენად აუცილებელია ის ცოდნა, რომლის გადაცემასაც მე ასეთი დაჟინებით ვცდილობ!

... ბავშვის სიმარტოვეს ბანს ჩემი - ზრდასრული ადამიანის - სიმარტოვე აძლევს.

"შენ ეს განგებ გააკეთე".

როცა ლაპარაკია მთელ კლასზე, როცა ოცდაათ მოსწავლეს გადაუწყვეტია, "ეს განგებ გააკეთოს", მე, როგორც მასწავლებელს, მეუფლება განცდა, რომ ლინჩის წესით მსჯიან, ოღონდ კულტურულ დონეზე. და თუ "ეს" მთელ თაობას მოედო (ჩვენს დროს ეს უბრალოდ წარმოუდგენელი იყო!) და თუ კიდევ ზედიზედ რამდენიმე თაობა მოინდომებს, "ეს განგებ გააკეთოს", გამოდის, რომ ჩვენ გაქრობის გზაზე დამდგარი სახეობის უკანასკნელი წარმომადგენლები ვართ, უკანასკნელნი, რომლებსაც ახსოვთ ის დრო, როდესაც ახალგაზრდობისა (ანუ ჩვენ, იმხანად) ჯერ კიდევ გვესმოდა... და ჩვენ ასე ეულად ვგრძნობთ თავს ამ უბედურ და უბადრუკ ცხოვრებაში. ის კია, რომ შორსმჭვრეტელობა და ნათელგონიერება მაინც (რა თქმა უნდა!) შევინარჩუნეთ. ასევე, სიფხიზლეც (სხვანაირად, აბა, როგორ?!), ჰო, მავიწყდებოდა, ჩვენს კომპეტენტურობას ბზარი არ გასჩენია (ვინ იტყვის საწინააღმდეგოს?!), ჩვენ ისეთივენი დავრჩით, როგორიც მაშინ, ახალგაზრდობისას გახლდით: ჩვენ ვართ ცივილიზებული ხანის კანტიკუნტად შემორჩენილი მოწმეები; რეალური ცხოვრებიდან (ო, როგორი გახდა ის, მიუხედავად ჩვენი სურვილისა!) სრულიად გარიყულნი მაინც განვაგრძობთ მართებულად ფიქრსა და აზროვნებას.

გარიყულნი...

და გარიყულობის ეს დამთრგუნველი განცდა ტანჯავს არა მხოლოდ იმ პოპულაციებს, რომლებსაც საცხოვრებელ ადგილად ცენტრიდან შორს, პერიფერიულ გზებს მიღმა არსებული სივრცეები მიუჩინეს, ის გვემუქრება ჩვენც, "მმართველ" უმრავლესობას, თუ შევწყვეტთ საერთო ენის გამონახვას

გარემომცველ სამყაროსთან, თუნდაც მის უმცირეს ნაწილთან. ეს მოხდება მაშინვე, როგორც კი უჩვეულობის სურნელი დღევანდელი დროის სულისკვეთებისთვის დამლუპველი გახდება. წარმოიდგინეთ, რა დაბნეულობის და შფოთვის გრძნობა დაგვეუფლება ყველას, ერთი სული გვექნება, როგორმე ვინმეს დავადოთ ხელი და დამნაშავენი გამოვააშკარავოთ.

"შენ ეს განგებ გააკეთე!"

ასეთი პატარა და ჩია ნაცვალსახელი - ასეთი უსაზღვრო სიმარტოვის აღსანიშნავად!

3

ახლა ცოტა გადავუხვევ და ორიოდე სიტყვით მოგახსენებთ იმ გარიყულობის განცდის შესახებ, შეწუხებული და აფორიაქებული უმრავლესობა რომ შეუპყრია. პატარაობისას ორნი მაინც ვიყავით ამქვეყნად, ვინც "ამას განგებ ჩავდიოდით" - მე და პაბლო პიკასო - გენია და ოროსანი. ოროსანი არც არაფერს აკეთებდა, გენიოსი კი რას აღარ აკეთებდა, ოღონდ ორივენი - "განგებ". ეს იყო ჩვენი ერთადერთი შეხების წერტილი. ხშირად საკვირაო სუფრასთან უფროსები პიკასოს გადაუვლიდნენ და გადმოუვლიდნენ ხოლმე: "ეს რა საშინელებაა! ფერწერა სნობებისთვის! სრული აბდაუბდა! და ამას გვტენიან, როგორც დიდ ხელოვნებას".

მიუხედავად ათასგვარი მითქმა-მოთქმისა, პიკასო წყალმცენარესავით ვრცელდებოდა. ნახატი, ფერწერა, გრავიურა, კერამიკა, ქანდაკება, თეატრალური დეკორაციები, ლიტერატურაც კი - რას აღარ მოედო. და, რაც მთავარია, ყველა ვაშა, ვაშას გაიძახოდა.

- ეს რა, სულ მუშაობს ... საერთოდ არ ჩერდება?!

აი, ასეთი ნაყოფიერი წყალმცენარე აღმოცენდა ჯოჯოხეთური ოკეანიდან, რათა მშვიდი და უწყინარი ხელოვნების ყურეები დაებინძურებინა.

- ეს ადამიანის დაცინვაა, უბრალოდ, შეურაცხყოფაა, სხვა არაფერი! მე ამას ვერასდროს მივიღებ!

ლანძღვა-გინებამ ისეთი მასშტაბები მიიღო, რომ პიკასო შევიცოდე და მისი დაცვა გადავწყვიტე. ქალბატონს, რომელმაც უკვე მერამდენჯერ გაიმეორა ეს ბრალდება, ერთხელაც ვაჯახე: ნუთუ, მართლა გგონიათ, რომ დღეს, გაღვიძებისას პიკასოს მხოლოდ ის აზრი უტრიალებდა თავში, რომ სასწრაფოდ ახალი ტილო გამოეცხო და ამით კიდევ ერთხელ მწარედ დაეცინა ჟენევიევა პელეგრიუსთვის.

საქმე ისაა, რომ ამ კეთილ და უწყინარ ადამიანებს მართლა ეუფლებოდათ მარტოობისა და გარიყულობის განცდა. მხატვარს ყოვლისშემძლეობის უნარს მიაწერდნენ, მათი თქმით, ის ყველას და ყველაფერს ნთქავდა და ზედმეტი ძალისხმევის გარეშე ინელებდა. მათ თვალში ეს შარლატანი წარმოადგენდა ახალ სამყაროს, ძალას, რომელიც ხვალინდელ დღეს, საერთოდ ადამიანთა

მომავალს ემუქრებოდა; მალე პიკასოს ურდოები მსოფლიოს ყველა პელეგრიუს ერთ გიგანტურ სულელად აქცევდნენ.

- მე არ ვიცი, ვის რას უზამს, მაგრამ პირადად მე ვერაფერს მომიხერხებს. ახლოსაც ვერ გამეკარება!

აბა, რას წარმოიდგენდა ჟენევიევა პელეგრიუ, რომ კუჭი სინამდვილეში თვითონ იყო და პაბლო პიკასოსაც წარმატებით მოინელებდა, ისევე როგორც სხვა მისთანებს - ნელა, აუჩქარებლად, მაგრამ უცილოდ; რომ ოთხი ათეული წლის შემდეგ მისი შვილიშვილები ადამიანის გონების მიერ ოდესმე მოფიქრებულ ერთ-ერთ უმახინჯეს მანქანაში (სუპოზიტორი მადგას ენის წვერზე!), რომელიც ახალმა პელეგრიუებმა პიკასოს სახელით მონათლეს, ჩასხდებოდნენ და ერთ მშვენიერ კვირა დღეს კულტურული იშტით შეპყრობილები მისი სახელობის მუზეუმის კარიბჭეს მიადგებოდნენ.

4

მმართველი უმრავლესობის ულმობელი მიამიტობა... ოჰ, ეს ნორმების დამცველები (და თანაც, რამდენის!) - კულტურული და ოჯახური ნორმების, სამეწარმეო, პოლიტიკური, კლანური, რელიგიური, კლუბური, ქუჩური, ბანდიტური ნორმების, კიდევ ჯანმრთელობის ნორმების, კუნთოვანის და გონებრივის... როგორ იკუმშებიან ისინი, როგორც კი რაღაც ახალს და გაუგებარს იყნოსავენ, თან როგორი წინააღმდეგობის გაწევა შეუძლიათ, გეგონება, სრულიად მარტონი აღმოჩნდნენ მსოფლიო შეთქმულების პირისპირო! ოჰ, ეს დაუძლეველი შიში ყოველივე იმისა, რაც ყალიბში არ ჯდება, რაც დადგენილს სცდება... როგორი დაუნდობელი ხდება ხოლმე ძლიერი, თავს მსხვერპლად რომ ასაღებს: მდიდარი - თუ სიღარიბე ცხვირწინ ჩაუსახლდა, სანიმუშო ოჯახი, თუ მის მეზობლად დანგრეული ოჯახი აღმოჩნდა, ძირძველი მოსახლე, თუ რომელიმე დიასპორის წარმომადგენელს გადააწყდა! მორწმუნე - ურწმუნოს მხილებისას;
დიპლომიანი - უსწავლელის დანახვისას; ბრიყვი, რომელიც ამაყობს იმით, რომ სადღაც "იქ" დაიბადა! რომელიმე გარეუბნის უბადრუკი ბანდის პატარა მეთაურიც, რომელიც მუდამ ეჭვობს, ქუჩის მეორე მხარეს ჩემი მტრები ხომ არ გამაგრდნენო... როგორი საშიში ხდებიან ეს ნორმების დამცველები იმათთვის, ვისაც ასეთ ნორმებზე წარმოდგენაც არ აქვს.
ბავშვებიც კი უნდა მოერიდონ მათ.

5

არასდროს მიგრძნია ასე ღრმად ის აგრესიული შიში, რომელიც ეუფლებათ ადამიანებს, ცხოვრებისგან თავს გარიყულად რომ მიიჩნევენ, როცა ისინი მართლაც გარიყულების წინაშე აღმოჩნდებიან, როგორც ეს ერთ მშვენიერ დილას მარტოობისას შევიგრძენი ...
არ ვდგები. მინი სადღაც სამხრეთ-დასავლეთშია. ტულუზას მახლობლად მდებარე ერთ-ერთ ტექნიკურ ლიცეუმში მოსწავლეებთან შეხვედრა აქვს დაგეგმილი; უფრო სწორად, მწერალი ხვდება საკუთარ მკითხველებს. ასე რომ, ამ დილით ყავის თანხლებით სასიყვარულო განტვირთვის იმედი არ უნდა მქონდეს. წესით, როგორც კი თვალი გავახილე, ფეხზე უნდა წამოვმხტარიყავი და სასწრაფოდ წიგნზე მუშაობას შევდგომოდი, მაგრამ არა.

ჯიუტად ვწევარ, არ ვინძრევი და სიცარიელეს მივშტერებივარ, ზუსტად ისე, როგორც ოდესღაც საშინაო დავალების შესრულების დროს. ასე ყოფნა საბოლოოდ მაინც მბეზრდება და რადიოს ვრთავ. ვეძებ ჩემს საყვარელ რადიოტალღას. ჩემი ფავორიტი გადაცემის დღე და საათია. კვირაში ერთხელ რედაქციაში დაპატენტებული ტვინები იყრიან თავს და ბაასობენ იმ ობიექტური ადამიანების იშვიათი ტონით, რომლებიც არაფრის "გაყიდვას" არ აპირებენ. ისინი დინჯად და აუჩქარებლად საუბრობენ ახლახან გამოსული ესეების შესახებ, იხსენებენ უკვე წაკითხულსაც. მოკლედ, აზრთა დიდი გაცვლა-გამოცვლაა. ამ დილას, როცა სიზარმაცემ ასე მძლია, სწორედ ეს მჭირდებოდა. არაუშავს, ზოგჯერ ეს კარგიცაა - ხანდახან ვიღაცამ ხომ უნდა იფიქროს ჩემ მაგივრად. თუმცა უნდა გამოგიტყდეთ, ამ ჭკვიანურ აზრებს ისეთივე ყურადღებით ვეკიდები, როგორითაც რომელიმე პროვინციულ გაზეთში დაბეჭდილ ფელეტონს. შესანიშნავია! გადაცემის ქუდის მუსიკის გაგონებაზე უკვე ნერწყვი მომდის: იწყება გადაცემა, წამყვანი სტუმრებს წარადგენს, სულ მალე თავი "ამერიკულ მთებზე" მეგონება. ავიჭრები ციგით მწვერვალებისკენ მოსაუბრეთა არგუმენტებთან ერთად, მერე ისევ დაბლა დავეშვები. თავს კარგად ვგრძნობ, ეს ჩემთვის ნაცნობი სამყაროა.

კეთილგანწყობილი ხმები სასიამოვნოდ ელამუნება ჩემს სმენას. მსჯელობის სიმსუბუქე, მოსაზრებების საფუძვლიანობა და სერიოზული ტონი საოცრად მამშვიდებს. ანალიზის სიზუსტე და სიმწვავე მოდუნების საშუალებას არ მაძლევს. მარტო ეს წამყვანი რად ღირს. მის მიერ მორთმეული სოუსი უზადოა, ყველაფერს ერთ მთლიანობად კრავს და დასრულებულ იერს აძლევს. არბილებს წამოჭრილ კამათს, დაპირისპირებაში გადაზრდის საშიშროებას გამორიცხავს. მსუბუქად, თითქმის შეუმჩნევლად შემოაპარებს საკუთარ შეხედულებებსაც... მე ყოველთვის მომწონდა ეს გადაცემა; უამრავი ღირსება ჰქონდა, განსაკუთრებით მისი ელეგანტურობა მხიბლავდა; აქ რეალობას ისე მსუბუქად, ისე გამართულად და შელამაზებულად გაწვდიან, რომ აღარ გიჭირს მისი აღქმა და გადახარშვა. ის არ გაფორიაქებს, პირიქით, გამშვიდებს და გაწყნარებს. თუმცა, როგორც მივხვდი, დღევანდელი შეხვედრის მთავარი თემა ქუჩის ახალგაზრდობაა. რაღაც მომენტში სამი ხმა რომელიღაც ფილმის გარჩევას იწყებს. ვაყურადებ. ფილმი, რომელსაც, როგორც ჩანს, წამყვანზე დამთრგუნველი შთაბეჭდილება მოუხდენია, გარეუბნების თემას ეხება. არა, ვცდები, სურათს მარივოს 20 (მარივო, პიერ კარლე დე შამბლენ დე (1688-1763), ფრანგი მწერალი და დრამა ტურგი.)პიესა უდევს საფუძვლად. არა, არა, რომელიღაც პედაგოგიურ პროექტზე ლაპარაკობს. კი, ნამდვილად, ეს არის ფილმი გარეუბნელ მოსწავლეებზე, რომლებიც თავიანთ მასწავლებელთან ერთად მარივოს პიესას დგამენ. მისი სახელია "ხრიკი". არა, ეს არ გახლავთ დოკუმენტური ფილმი. უფრო დოკუმენტურის შთაბეჭდილებას გიტოვებს, მაგრამ სინამდვილეში სცენარის მიხედვითაა გადაღებული. რეალობას კი არ ასახავს, არამედ ცდილობს, რაც შეიძლება რეალობას მიახლოებული სურათი დაგვიხატოს. განსაკუთრებული ყურადღებით ვუსმენ, რადგან ეს ფილმი უკვე ნანახი მაქვს. ვერ ვიტყვი, მისი ნახვის სურვილი მკლავდა-მეთქი. ვფიქრობდი, კიდევ ერთი ფილმი სკოლაზე, სადაც მოქმედება გარეუბანში ვითარდება, რამდენად შეიძლება საინტერესო იყოს-მეთქი. მაინც არ დავიზარე და კინოთეატრში წავედი. ალბათ, უფრო ატავისტურმა ცნობისმოყვარეობამ მიბიძგა. შეიძლება, ბიძია ჟიულის სულიც გამომეცხადა და ყურში ჩამჩურჩულა: "წადი, ნახე "ხრიკი," დისშვილო და ხმა არ გავიგო შენი". ცუდი ფილმი ნამდვილად არ გამოდგა: მასწავლებელი, იმისათვის, რომ საკუთარი მოსწავლეები ლიტერატურის თვალწარმტაც გზებზე გაატაროს, არჩევანს თეატრზე აკეთებს. კლასი მარივოს "სიყვარულისა და შემთხვევითობის თამაშს" დგამს. ფილმში შესანიშნავად ჩანს, რომ გოგონები და ბიჭები ამ საქმიანობისთვის ძალ-ღონეს არ ზოგავენ, ბოლომდე იხარჯებიან, უყურადღებოდ ერთ უმნიშვნელო დეტალსაც კი არ ტოვებენ. ამ საქმეში მათ ვერ აბრკოლებს ვერც მათი პირადი სასიყვარულო თავგადასავლები, ვერც ოჯახური და თუ უბნის საერთო პრობლემები, ვერც მოზარდთა ბანდებს შორის გაჩაღებული მეტოქეობა ან სხვა

პატარ-პატარა საქმეები, ან ენობრივი სიძნელეები და, რაც მთავარია, ვერც ის არასახარბიელო რეპუტაცია, თეატრს ოდითგანვე რომ დაუმკვიდრდა - ეს ხომ, არც მეტი, არც ნაკლები, ტაკიმასხარას საქმეა. კინოდან გამოსულს კიდევ ერთხელ განმიმტკიცდა ის აზრი, რომელიც თავში მიტრიალებს ხოლმე, როცა გარეუბნის სკოლებს ვსტუმრობ: ბიძია ჟიული არ მომკვდარა! დიახ, დღესაც არსებობენ ბიძია ჟიულები და დეიდა ჟიულებიც, რომლებიც მიუხედავად უზარმაზარი სიძნელეებისა, არ იზარებენ და ეძებენ ბავშვებს, სადაც არ უნდა იყვნენ ისინი, ცდილობენ, ფრანგული ენის კლაკნილი და რთული ბილიკების გავლით მათ საკუთარ დონემდე ამოქაჩვას, ამ შემთხვევაში, XVIII საუკუნის ენის გამოყენებით.

მაგრამ, ჩემ მიერ ნაქებ წამყვანს სრულიად საწინააღმდეგო განცდა დაუფლებია. არანაირი ოპტიმიზმი! არანაირი ენთუზიაზმი, უმნიშვნელოც კი. დარბაზიდან აღშფოთებული გამოსულა იმ ენის გამო, რომელზეც ახალგაზრდები მეტყველებენ, როგორც კი მარივოს პიესასთან ურთიერთობას წყვეტენ. ღმერთო, ეს რა ტონია, ეს რა უხეშობაა, ეს უსასრულო ღრიალი, ეს აგრესია, ეს ლექსიკის გამაოგნებელი სიმწირე! ღმერთო, ეს ბლუყუნი, ყროყინი და ჯლოყინი ხომ - საერთოდ. მერე, ეს სიბინძურე, გაუთავებელი ლანძღვა-გინება! ეს ხომ ნამდვილი პორნოგრაფიაა ... როგორ დატანჯულა საბრალო ფილმის ყურებისას! როგორი ტკივილი მიუყენებია მისთვის მშობლიური ენის დღევანდელ მდგომარეობას. მეტიც, უახლოეს მომავალში მისი საფუძვლების სრული მოშლაც კი უგრძნია. ღმერთო, შენ უშველე ფრანგულს, ის განწირულია დასაღუპად. ეს, ასე ვთქვათ, ენობრივი ზიზღი ყველაფერს წალეკავს, ღმერთო, ეშველება კი მას რამე? გადაურჩება კი ამ შლეგი ურდოების შემოსევასა და თარეშს?!

სამწუხაროდ, მე ამ ხმაურიანი პასაჟის ჩაწერა ვერ მოვახერხე, მაგრამ მთავარი მგონი გადმოვეცი: მოზარდებზე ზრდასრული მამაკაცი კი არ ლაპარაკობდა, არამედ შიში, რომელიც მასში ჩასახლებულიყო, შიში, რომელსაც მთელი მისი არსება მოეცვა. სხვათა შორის, წამყვანის თანამოსაუბრენიც, რბილად რომ ვთქვა, გაკვირვებულები მეჩვენნენ. მსმენელს ალბათ არ გაუჭირდებოდა, წარმოსახვით დაენახა თანაგრძნობის ის ჟესტები, რომლითაც გამომსვლელის დამშვიდებას ცდილობდნენ, მაგრამ ამაოდ - შიში უფრო ძლიერი აღმოჩნდა.

კიდევ ცოტაც, მეც თმა ყალყზე დამიდგებოდა და ლოგინზე გაშოტილი საკუთარ თავს ხმამაღლა ვუსაყვედურებდი: იდიოტო, როგორ მოგივიდა აზრად საკუთარი ცოლის იმ ველურებთან, ნამდვილ კანიბალებთან გაშვება. ისინი ხომ მას ცოცხლად შეჭამენ... აი, სწორედ ამ დროს გამიჩნდა დაუძლეველი სურვილი, ამეყვანა ეს დამფრთხალი წამყვანი ხელში, ჩვილი ბავშვივით გულში ჩამეკრა და დამემშვიდებინა: ჩუუ, ჩემო პატარავ, დაწყნარდი, შენ არაფერი გემუქრება. იცი, ღარიბი ყოველთვის ძალიან ხმამაღლა გამოხატავს თავის აზრებს, მისი მეტყველება ხმაურიანია. ეს მარადიული ფენომენია, როგორც ისტორიული, ასევე გეოგრაფიული გაგებით. დიახ, ასე იყო ყველგან და ყოველთვის. რაც უფრო მეტი ღარიბი იქნება გარშემო, მით უფრო ხმამაღლა ილაპარაკებენ. და ამას ისინი მხოლოდ ერთი მიზნით აკეთებენ: ყური დაუგდონ და გაუგონ მათ. მართლაც ბევრს იგინებიან, მაგრამ ცუდის ჩადენაზე, ბოროტებაზე ნამდვილად არ ფიქრობენ. ასე რომ, დაწყნარდი; რაც უფრო სამხრეთისკენ მივიწევთ, მით უფრო უხამსი და ვულგარული ხდება მათი სამეტყველო ენა; აგინებენ დიდსაც და პატარასაც, ზოგჯერ ზეციურ ძალებსაც კი. ეს გასაგებიცაა, საჭირო დროს და საჭირო ადგილზე შენ ხომ ვერ შეხვდი მას, რათა მიგენიშნებინა, რომ მსგავსი საქციელი ცუდია და

უკადრისია. იცი, რა გამახსენდა ამწუთას: ბავშვობაში ჩემთან, სოფელში, გლეხებს (ისინი წარმოშობით სამხრეთ იტალიიდან იყვნენ) პირზე ოცდაოთხი საათი porca madona- "ნაბოზარი მადონა" ეკერათ. მაგრამ, არა მგონია, რომ ან ბოზების საწინააღმდეგო ჰქონოდათ რამე შაბათ საღამოს, ან ღვთისმშობელი მარიამისა - კვირა დილას. ისინი უბრალოდ ასე მეტყველებდნენ, მაგალითად, როცა ხელი აუცდებოდათ და ჩაქუჩით თითს გაიჭეჭყავდნენ. ეს არის და ეს! ბრახ, თითზე! რასაც porca madona - ეს თავისებური უბოროტო ოქსიმორონი - შეუთავსებელი სიტყვების შეთავსება - მოჰყვებოდა; შენ რა, არ იცოდი, რომ ღარიბები ოქსიმორონით იქცევენ თავს? თუ არ იცოდი, ამიერიდან იცოდე - ერთობიან, გულს იფხანენ. ამაში, სხვათა შორის, ჩვენც მათ ძალიან ვგავართ; მათ ხელში ჩაქუჩი უჭირავთ, ჩვენ - კალამი. ასე რომ, არც ჩვენ და არც ისინი სიტყვათა ასეთ შეუთავსებლობაზე ცხვირს არ ვიბზუებთ. დამაიმედებელი ჭეშმარიტებაა, არა? ჰა, რას იტყვი? შენთვის განსაკუთრებით, ასე რომ გეშინია, მათმა საშინელმა ჟარგონმა ჩვენი ენის მთელი სინატიფე და ბრწყინვალება არ შერყვნასო; ჰო, კიდევ ერთი რამ მინდოდა შენთვის მეთქვა, უფრო სწორად, მერჩია: ნუ გეშინია მდაბიოთა ენის; დღევანდელი მდაბიოს ენა ეს იგივეა, რაც იყო გუშინ, გუშინწინ, საუკუნეების წინ - არც მეტი, არც ნაკლები. მდაბიო ყოველთვის თავის არგოზე მეტყველებს. და იცი, რატომ? იმიტომ, რომ მდიდარი დააჯეროს, რომ მასაც, ღარიბსაც, აქვს რაღაც თავისი, დამალული; სინამდვილეში, მას რაღაც ასეთი განსაკუთრებული და დასამალი არც არაფერი გააჩნია, ამისთვის მეტისმეტად ღარიბია, ან, რა უნდა ჰქონდეს, რაღაც წვრილმანს ხან აქ გაასაღებს, ხან იქ და ამით გააქვს თავი, მაგრამ ჯიუტად ცდილობს ყველა დააჯეროს, რომ მასაც აქვს საკუთარი სამყარო, რომელიც ნებისმიერ ფასად ჩვენგან უნდა დაიცვას, დაგვიმალოს; სამყარო, სადაც შეღწევა მკაცრად გვეკრძალება; სამყარო ისეთი უკიდეგანო, რომ ცალკე, განსაკუთრებულ ენას საჭიროებს. რა თქმა უნდა, სინამდვილეში მას არც საკუთარი სამყარო გააჩნია და არც საკუთარი ენა, გარდა რამდენიმე უბადრუკი სიტყვისა, რომელიც მხოლოდ მისიანებს თუ ესმით. ამ სიტყვებით ის ცდილობს, გული გაითბოს და სასოწარკვეთილება შენიღბოს. ამას ენასაც ვერ დაარქმევ, არგოა, სიტყვათა კრებული; გრამატიკა კი აქვთ - ქვემდებარე, შემასმენელი, დამატება ... -
საწყლებს ჩვენი, მშობლიური, ფრანგული, მაგრამ წარმოუდგენლად გამარტივებული; ღარიბებს, ერთმანეთს რომ გააგებინონ, ცოტა გრამატიკა მაინც სჭირდებათ; მაგრამ, ცხადია, მათი მთავარი იარაღი ლექსიკაა - სიტყვები, დღეს ასე რომ მიეძალნენ გარეუბნების ბიჭბუჭები; ეს ის ლექსიკაა, რომელიც შენ პრიმიტიულად და ვულგარულად მიიჩნიე, აღარაფერს ვამბობ მის სიმწირეზე. მესმის შენი და სხვანაირად შეუძლებელიც კია. სიმაღლე, საიდანაც შენ მათ დაჰყურებ, განსხვავებული შეფასების საშუალებას არ იძლევა. თუმცა, ჩემო კარგო, საგანგაშო აქაც არაფერია. ეს ლექსიკა იმდენად ღარიბია, რომ მის დიდ ნაწილს ისტორიული ქარბუქი სულ ცოტა ხანში მოუსავლეთში გადაისვრის; თანაც, ძალიანაც რომ იქექო ამ სიტყვებში, დიად აზრებს იქ ვერ აღმოაჩენ, ძალიან უმნიშვნელოა მათი წონა... აბა, სცადე და იპოვე რომელიმე ლექსიკონში: ნაშა, შხვართი, კაიფი, ბომბა, დაგნარი - სულ ეს არის, რაც ვიპოვე იმ ჯეელების "ნატიფი" მეტყველებიდან. ის კია, რომ დიდი გულმოდგინებით არ მიძებნია - სულ რაღაც თხუთმეტი წუთი. ვიპოვე მხოლოდ ეს, რაც ჩამოგითვალე. როგორც ხედავ, დიდი არაფერი, სულ რამდენიმე სიტყვა, რომლებსაც დიდი ხნის სიცოცხლე არც უწერიათ. ისინი გაქრებიან, როგორც კი ჩვენი ისტორიის დღევანდელობის მორიგი გვერდი გადაიშლება. ლექსიკონები მარადისობის მხოლოდ ერთი წვეთის გარანტიას იძლევიან...

და კიდევ რამდენიმე სიტყვა, საბოლოოდ რომ დაგამშვიდო. წადი ფოსტაში, შეაღე შენი მერიის კარი, ჩადი მეტროში, შედი მუზეუმში ან სოციალური დაზღვევის განყოფილებაში და დააკვირდი: იქ ისხდებიან დედები, მამები, უფროსი ძმები ან დები იმ ახალგაზრდებისა, ასეთ საშინელ და მდაბიო ენაზე რომ მეტყველებენ. ან გააკეთე ისე, როგორც მე: გახდი ავად, მოხვდი საავადმყოფოში და შენ

შეიცნობ მშობლიურ ენას იმ ფერშლისა, რომელიც საკაცეზე გაშოტილს საოპერაციო ბლოკისკენ მიგაგორებს:

- რა ჟიმჟიმი გაქვს, ძმაო, კი არ დაგბრიდავენ, ცოტა მიგჭრიან-მოგჭრიან და, ორ დღეში სახლში იქნები, რა.

6

გარეუბნის სკოლებში, სადაც მასწავლებლები ასე ხშირად მიწვევენ, ჩემთვის ყველაზე დამაბნეველი ის შეკითხვაა, რომელსაც პირველ ყოვლისა მისვამენ მოსწავლეები, და რომელიც ჩემი სამწერლობო ენის სიუხეშესა და უხამსობას ეხება. რატომაა ამდენი ბინძური სიტყვა ჩემს რომანებში? (დიახ, დიახ, ჩემო მეგობარო, მოზარდებს, რომლებიც შენ ასე გაფრთხობენ, იგივე სადარდებელი გასჩენიათ, რაც შენ). ცხადია, ამ შეკითხვას ნაწილობრივ იმიტომ მაჯახებენ ხოლმე, რომ თავიანთ მასწავლებელს ასიამოვნონ, ნაწილობრივ კი იმიტომ, რომ მე თვითონ ჩამაგდონ უხერხულ მდგომარეობაში, ზოგჯერ კი იმიტომაც, რომ სიტყვა მათ თვალში უხამსი მხოლოდ მაშინ არის, როცა ის დაწერილია. როცა ისინი ტვინს "იტყ...ენ" ზეპირ გამოცდებზე, გაკვეთილებზე "სირობების" გარდა არაფერს სწავლობენ, როცა ყველაფერი "ყ..ზე" ჰკიდიათ, როცა ყოველ სიტყვას "ჩემი დედას შ ... ცის" აყოლებენ, ან თუნდაც - "ბოზიშვილი ვიყოს", - ეს ჩვეულებრივი ამბავია, მაგრამ, წიგნში შავით თეთრზე დაწერილი თუ დაინახეს - შოკში ვარდებიან.

სწორედ ასეთ შეხვედრებზე, აზრთა გაცვლა-გამოცვლისას წამოიჭრება ხოლმე თემა ფრანგული ენის ბედის, მისი წარსულისა და დღევანდელი მდგომარეობის შესახებ; ჩემს რომანებში გამოყენებული უხამსობების სიუხვეებისა და პირდაპირი თუ ირიბი მინიშნებების შემდეგ მსჯელობა არგოზე გადადის. ეს ის ენაა, რომელსაც დღეს, შეიძლება ითქვას, ალტერნატიული ენის ფუნქცია ეკისრება. ენა - საიდუმლო და პირობითი, მდიდარი სალანძღავ-საგინებელი სიტყვებითა და გამოთქმებით (ჩვეულებრივი ყოფითი სიტყვები არგოზე გასაოცარი ემოციური შეფერილობით, გამომსახველობითი სიმკვეთრით გამოირჩევა. არგოს ტონალური მგრძნობელობაც ხომ ცალკე საკითხია... არგო შეუცვლელია გინებიდან ალერსზე გადასასვლელად). ჩვენ ვსაუბრობთ არგოს ძირძველ ფესვებზე საფრანგეთში, ქვეყანაში, რომელიც საუკუნეების განმავლობაში დაუღალავად იღვწოდა და იბრძოდა ერთიანი ენის ჩამოსაყალიბებლად, ზრუნავდა მისი მრავალფეროვნების შესანარჩუნებლად; კრიმინალური არგო, ადგილობრივი არგო, პროფესიული არგო, სხვადასხვა სოციალური ფენისა და სათვისტომოებისთვის დამახასიათებელი არგო... ვსაუბრობთ მის ასიმილაციაზე საერთო სალაპარაკო ენასთან, ასევე, იმ ღვაწლზე, რომელიც ლიტერატურას, დაწყებული ვიიონიდან, 21(ფრანსუა ვიიონი- შუა საუკუნეების მიწურულის დიდი ფრანგი პოეტი.)დღევანდელი ავტორებით დამთავრებული, მიუძღვის ამ პროცესში (ჟარგონული სიტყვები ჩემს რომანებში სწორედ ამის გამო გაჩნდა)... ასე, თანდათან, საბოლოოდ, სიტყვების ისტორიასაც მივაღგებით ხოლმე.

- ცხადია, რომ სიტყვებს საკუთარი ისტორია აქვთ. ისინი ჩვენს ბაგეებს ისე კი არ სწყდებიან, როგორც ქათამს - კვერცხები.
სიტყვები ვითარდებიან, მათი ცხოვრება ისეთივე მოულოდნელობებითაა აღსავსე, როგორც ჩვენი. წინასწარ შეუძლებელია განჭვრეტა, რა ბედი ეწევა ამა თუ იმ სიტყვას. ზოგიერთი დაბადებისას სულ

სხვა შინაარსით იყო დატვირთული, დღეს კი მისი მნიშვნელობა სრულიად განსხვავებულია; ზედსართავი enerve, რაც დღეს განერვიულებულს, გაღიზიანებულს ნიშნავს, უწინ აღნიშნავდა პატარა არსებას, მაგალითად, გომბეშოს, რომელიც გამოშიგნეს და, თუ შეიძლება ითქვას, ნერვები დააცალეს, რის გამოც ეს საწყალი არსება მოიფლაშა, მოჩვარდა და პატარა, ერთგვარ სველ წერტილად გარდაიქმნა (ვიცით ზმნაც enerve - ანერვიულებს, აღიზიანებს). მოკლედ, სიტყვა განუწყვეტლივ ვითარდება და არ არის გამორიცხული, რომ ერთი შეხედვით სრულიად უწყინარი ლექსიკური ერთეული არგოს შემადგენელი ნაწილი გახდეს. მაგალითად ავიღოთ vache, ანუ, ძროხა, ჩვეულებრივი, საწყალი ძროხა, მშვიდად რომ ძოვს მოლზე. რატომღაც ამ სიტყვით საუკუნეების განმავლობაში მოვიხსენიებდით იმ ადამიანს, რომელიც გვძულდა და დასანახად ვერ ვიტანდით; XVII საუკუნეში ამ სიტყვით მეძავებს მოიხსენიებდნენ, XIX საუკუნის მიწურულს - პოლიციელებს; დღეს კი მივაკერეთ იმ არამზადებს, ათასგვარ საზიზღრობებს რომ სჩადიან. ახლა ნახეთ ამ სიტყვისგან ნაწარმოები ზმნიზედა vachement, რომელიც ნიშნავს - ძლიერ, ძალიან, საოცრად, საშინლად. აი, სახეცვლილებაც ამას ჰქვია.

ერთ-ერთი ასეთი საუბრის დროს მასწავლებელი მოსწავლეებს შემდეგი კითხვით მიმართავს:

- ვინმეს შეუძლია, მაგალითად მოიტანოს ჩვეულებრივი სასაუბრო სიტყვა, რომელიც მოგვიანებით თქვენი ჟარგონის ნაწილი გახდა?

- ...

- აბა, მიდი, მოიფიქრეთ. მხოლოდ ერთი სიტყვა, რომელსაც დღეში ათასჯერ წარმოთქვამთ, როცა ვინმეს დასცინით.

- ..."ბუფონი" - მასხარა, მასწ. ეს ტაკიმასხარაა?

- კეთილი, მართლაც, ეს სიტყვა "ბუფონია" ანუ ტაკიმასხარა.

- ...

პირველად ამ სიტყვას ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისში მოვკარი ყური, როცა ერთხელ, დილით კლასში შევედი და იქ ორი ერთმანეთზე აფოფრილი მამლაყინწა დამხვდა. რომ არ მიმესწრო, უეჭველად მუშტიკრივზე გადავიღოდნენ.

- "ბუფონი" მიწოდა მასწ. ვინაა მაგის გასალანძღი? "ბუფონი" მამამისია!

სიტყვა, რომლის ისტორია XIII საუკუნის იტალიაში დაიწყო და სამეფო კარის ტაკიმასხარებს აღნიშნავდა, იმ დილას გაისმა, როგორც უბადრუკი ჩმორის სინონიმი. მას შემდეგ თხუთმეტმა წელმა

ჩაიარა და დღეს ეს სალანძღავი სიტყვა იმ კლასის მოსწავლეებისთვის, ისევე როგორც ქუჩის ბიჭბუჭებისთვის, საერთოდ მათი წრის ახალგაზრდებისთვის და მთლიანად მათი თაობისთვის, აღნიშნავს იმათ, ვინც მათ პირობით ენას არ არის ნაზიარები. სხვანაირად რომ ვთქვათ, იმათ, ვინც დედაჩემის ყმაწვილქალობის დროს "ბურჟუებად" იწოდებოდნენ (ის სულით ხორცამდე ბურჟუაა!..).

ბურჟუა - რამდენი რამ გადახდენია თავს ამ სიტყვას. ღმერთმა უწყის, რამდენჯერ იცვალა შეფერილობა. არისტოკრატია მას ამრეზით უყურებდა, მუშათა კლასი კი - აღშფოთებით, რომ აღარაფერი ვთქვათ რომანტიკულად განწყობილი ახალგაზრდობის მრისხანებაზე. სიურრეალისტებმა ის ანათემას გადასცეს, მარქსისტ-ლენინისტებმა კი საყოველთაო განაჩენი გამოუტანეს. ეზიზღებოდათ ნებისმიერი ჯურისა და მიმართულების ხელოვანებს. ისტორია მას მხოლოდ კნინობითი და დამამცირებელი მნიშვნელობებით და ეპითეტებით ამკობდა. საქმე იქამდე მივიდა, რომ ბურჟუაზიული ოჯახიდან გამოსული ვერც ერთი ბავშვი ხმამაღლა, ღიად ვერ აღიარებს თავის ბურჟუაზიულ წარმომავლობას, გაურკვეველი ისტორიული სირცხვილის განცდის გარეშე.

ბურჟუას ეშინია ღარიბი ადამიანისა, ღარიბს კი ის სულით ხორცამდე ეზიზღება. ჯერ კიდევ გუშინ ბურჟუას "შავქურთუკიანები" უხეთქავდნენ გულს; შემდეგ მათ ჩემი ყმაწვილკაცობის დროინდელი ქუჩის ვიგინდარები და ხულიგნები ჩაენაცვლნენ. დღეს კიდევ "ბუფონებს" გარეუბნელი ახალგაზრდები აშინებენ. ერთი რამ კი ცხადია: ისევე, როგორც გუშინდელ ბურჟუას არ ჰქონდა დიდი შანსი, თავის გზაზე "შავქურთუკიანს" გადაჰყროდა, დღევანდელი "ბუფონიც" დაცულია ამ შემთხვევითი რანდევუსგან იმ გარეუბნელ ახალგაზრდებთან, რომლებიც სადღაც, სადარბაზოს ბნელ კუნჭულებში უნიათო და უშინაარსო ცხოვრებისთვის არიან განწირულნი.

ისე, საინტერესოა, რამდენ გარეუბნელ ლაწირაკს იცნობს პირადად ჩვენი გადაცემის წამყვანი, ასე რომ დაუფრთხია "ხრიკის" მოზარდებს? ალბათ, რომ გადაითვალოს, ცალი ხელის თითებიც ეყოფა. თუმცა ამას მისთვის არსებითი მნიშვნელობა არ აქვს. სრულიად საკმარისია მათი დანახვა ფილმში, მათი მუსიკის მოსმენა რადიოში ან ინფორმაციის მიღება, რომ სოციალურ ნიადაგზე აღმოცენებული შეხლა-შემოხლის შედეგად გარეუბანში მოზარდებმა რამდენიმე მანქანა დაწვეს, და ჩვენი წამყვანი შიშისგან მწვანდება, ძრწის და ვიშვიშებს, იმ ახალგაზრდებს უსაქმურების არმიად მოიხსენიებს და მათი ხელით ცივილიზაციის განადგურებას წინასწარმეტყველებს.

V მაქსიმილიანე ანუ იდეალური დამნაშავე

მასწავლებლები ათასგვარი სისულელით გვიტენიან თავს, მასწ.!

1

ბელვილი. ზამთარია. დღეს ღამე ეპარება. ჟულიენ ლაკრუას ქუჩა. პირში ჩიბუხი მაქვს გაჩრილი, ცალ ხელში კი პროდუქტებით სავსე ჩანთა მიჭირავს. შინ ვბრუნდები და ჩემთვის მშვიდად ვფიქრობ. ვამჩნევ, რომ კედელს ზურგით მიყრდნობილი ტიპი ჩემკენ ნელი ნაბიჯით გამოემართა, ცალი ხელი ისე დასწია ქვემოთ, გეგონება, შლაგბაუმი დაუშვესო. გულმა რეჩხი მიყო.

- შენ, მომიკიდე ერთი, რა!

აი, ასე, უცერემონიოდ, სრულიად მოურიდებლად, არად ჩააგდო ის ოთხი ათეული წელი, რომელიც ჩვენ შორის იყო;
მაღალი და მოდღლეზილი ჯეელი, დაახლოებით თვრამეტი-ოცი წლისა იქნებოდა, შავკანიანი, კუნთმაგარი; აუღელვებელსა და თავდაჯერებულ პიროვნებას თამაშობს, საკუთარ ჯანსა და სურვილში დარწმუნებულს - ის ცეცხლს ითხოვს და მიიღებს კიდეც, რაც სურს. სულ ეს არის.

სავსე ჩანთას მიწაზე ვდებ, ჯიბიდან სანთებელას ვიღებ, ვანთებ და ალი მის სიგარეტთან მიმაქვს. ის თავს დაბლა სწევს, კვამლის ჩასუნთქვისას ლოყები ღრმად უცვივდება შიგნით და აწითლებული სიგარეტის ბოლოდან მეც პირველად ამხედავს. ერთ წამში მისი ქცევა იცვლება. მოულოდნელობისგან თვალებს კარკლავს, სიგარეტს პირიდან იღებს, ხელებს დაბლა სწევს და ოდნავ გასაგონად ლუღლუღებს:

- ო, უკაცრავად, ბატონო...

ახალგაზრდა ორჭოფობს. ხმის ამოღება ვერ გაუბედავს.

- თქვენ ის არ ხართ? თქვენ წერთ, არა?.. რა ჰქვია მაგას? თქვენ მწერალი ხართ! ასე არ არის?

მსუბუქი სიამოვნების განცდით ჩემთვის შემეძლო მეფიქრა: "აი, ისიც, ჩემი მკითხველი", მაგრამ ძველი ინსტინქტი სულ სხვა რამეს მკარნახობს - მოსწავლე იქნება, შეიძლება, მასწავლებელმა რაღაც მისცა მოსამზადებლად ჩემი "მალოსენიდან". ახლა არ დაახანებს და მთხოვს, დამეხმარეო.

- დიახ, წიგნებს ვწერ. რატომ მეკითხები?

აღსრულდა ის, რასაც სულ რაღაც ორი წამის წინ ვვარაუდობდი.

- იცით, რაშია საქმე? მასწავლებელმა დაგვავალა ის... რა ჰქვია მაგას... ფერია წაიკითხეთო.

რას იზამ, ამან ის მაინც იცის, რომ ნაწარმოების სათაურში სიტყვა ფერია ურევია.

- იქ ბელვილზეა ლაპარაკი, ბებრუცანებზე და კიდევ...

- "კარაბინის ფერია", დიახ. და რა გინდა მერე?

აქ ეს თავგასიებული მორცხვ, მოკრძალებულ ყმაწვილად გარდაიქმნა, თითებს რომ იმტვრევს რიდისგან, სანამ მორიგ, ახლა უკვე მისთვის საინტერესო კითხვას დაგისვამს.

- ტექსტი მოგვცა მასწავლებელმა გასარჩევად. სასწრაფოდ უნდა ჩავაბაროთ. ცოტას ხომ არ დამეხმარებოდით? იქნებ რამდენიმე სიტყვით წამეშველოთ, რომ როგორმე დავალებას თავი მოვაბა.

მე ჩემი პროდუქტებით სავსე ჩანთა ავიღე.

- აბა, გაიხსენე ერთი, რანაირად მთხოვე მოკიდება.

დაბნეულობა.

- გინდოდა, შეგეშინებინე, არა?

- რას ბრძანებთ, ბატონო. დედა მომიკვდეს!

- თავი დაანებე დედაშენს, არ ღირს მისი სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდება. შენ ჩემი შეშინება გინდოდა! (მან ეს ნაწილობრივად მოახერხა კიდეც, მაგრამ ამის აღიარებისგან თავს შეგნებულად ვიკავებ). დარწმუნებული ვარ, რომ დღეს მე არ ვარ რიგით პირველი. რამდენ ადამიანს მიადექი ჩემამდე? აბა, გამოტყდი!

- ...

- ერთი ისაა, რომ მე მიცანი. ახლა კი დამდგარხარ და ჩემგან დახმარებას ითხოვ. მაინტერესებს, როგორ ეპყრობი იმ ადამიანებს, რომელთა წიგნებს სკოლაში არ გადიხარ. რა ბედი მოელით მათ, ჰა? გადაუხტები წინ, ისინი ფრთხებიან და შენც ძალიან კმაყოფილი ხარ, არა?

- არა, ბატონო, გთხოვთ, მომისმინოთ...

- შენ კარგად მოგეხსენება, რას ნიშნავს სიტყვა პატივისცემა. დღეში ასჯერ მაინც იმეორებ ამ სიტყვას. ასე არ არის? სხვებისგან დაჟინებით ითხოვ პატივისცემას, მე კიდევ არად ჩამაგდე და ახლა დახმარებას მთხოვ?

- ...

- რა გქვია?

- მაქსი, ბატონო.

სასწრაფოდ სრულად ამბობს სახელს:

- მაქსიმილიანე!

- ჰოდა, ჩემო მაქსიმილიანე, შენ ეს-ეს არის ხელიდან გაუშვი არაჩვეულებრივი შემთხვევა. მე აქვე ვცხოვრობ, გაიხედე ერთი იქით, იმ ფანჯრებს ხედავ? აი, ზუსტად მანდ, ლესაჟის ქუჩაზე; ოდნავ მაღლა. ცეცხლი თავაზიანად რომ გეთხოვა, ახლა იქ ვიქნებოდით და შენს დავალებასაც ეშველებოდა. ახლა კი, ნურას უკაცრავად, გამორიცხულია, არც კი გაივლო გულში მეორედ თხოვნა.

ბოლო მცდელობა:

- კი, მაგრამ... ბატ...

- სხვა დროს, მაქსიმილიანე, სხვა დროს, როცა ადამიანებს თავაზიანად მოეპყრობი. ამ საღამოს - ვერა. დღეს ძალიან გამაბრაზე.

2

ხშირად ვფიქრობ ხოლმე მაქსიმილიანესთან შეხვედრაზე. რაც მართალია, მართალია, კარგი გამოცდილება მივიღეთ ორივემ - მეც და იმანაც. ის თავგასიებული, ცხადია, წაეკაიფა "ბუფონს" და გარკვეული დროით ტკბობას მიეცა, შემდეგ კი ჩაისვარა ჰიუგოს მონუმენტური ქანდაკების წინაშე (ბელვილში ის პატარა ლაწირაკები, ჩემ თვალწინ რომ გაიზარდნენ, ხუმრობით "ბატონ ჰიუგოს" მეძახდნენ). მე და მაქსიმილიანეს ერთმანეთზე გაორებული წარმოდგენა ჩამოგვიყალიბდა: საშიში ხულიგანი თუ მოსწავლე, შველას რომ ითხოვს; ქვეშაფსია "ბუფონი" თუ მწერალი, რომელსაც შეუძლია დახმარების ხელი გამოგიწოდოს. საბედნიეროდ, სანთებელას ალმა ეს წარმოდგენები ერთმანეთში აურ-დაურია, რეალობა გართულდა. წამით, ერთდროულად ორივენი გავხდით ხულიგანიც და მოსწავლეც, "ბუფონიც" და მწერალიც. ყველაფერი სიგარეტის ეპიზოდით რომ ამოწურულიყო და მაქსიმილიანეს არ ვეცნე, სახლში გატეხილი დავბრუნდებოდი. სირცხვილის განცდა არ მომცემდა მოსვენებას, რომ ამხელა კაცს იმ პირტიტველა ვიგინდარამ კინაღამ აპოპლექსია

დამართა; თვითონ კი გაუდგებოდა არხეინად თავის გზას, კმაყოფილი იმით, რომ ბებერ "ბუფონს" ჩაასვრევინა. მოგვიანებით, დადგებოდა და თავის საგმირო საქმეს ძმაკაცებს გაუზიარებდა, მე კი, ამ ამბის გამო მიკროფონში წუწუნი მომიწევდა. სინამდვილეში, არც არავინ გაგიჟდებოდა და არც განგაშს ატეხდა ვინმე. მოკლედ, მომხდარს ჩვეულებრივ სიტუაციად ჩათვლიდნენ: გარეუბნელ ლაწირაკს თურმე პატიოსანი მოქალაქე დაუმცირებია. და მორჩა. ეს არანაირად არ გასცდებოდა იმ წარმოდგენების ფარგლებს, ადამიანებს უკვე რომ ჩამოუყალიბდათ თანამედროვე გარემომცველ სამყაროზე. საბედნიეროდ, სანთებელას შუქმა ბევრად უფრო რთული და ჩახლართული ცხოვრება გამოამზეურა; ეს იყო შეხვედრა მოზარდისა, რომელსაც ჯერ კიდევ უამრავი რამის სწავლა მოუწევს და ზრდასრულისა, რომელსაც შეუძლია, ბევრი რამ ასწავლოს. ახლა მინდა პირდაპირ მაქსიმილიანეს მივმართო და ვუთხრა: მაქსიმილიანე, თუ გსურს, შენი სეხნიასავით იმპერატორი გახდე და იბატონო, თუნდაც საკუთარ თავზე, თავი დაანებე ამ სახიფათო თამაშებს, ნუ დააფრთხობ "ბუფონს", ნუ დაუმატებ ერთ გრამ სიმართლესაც კი შიშისმომგვრელი ხულიგნის უკვე დამკვიდრებულ იმიჯს, რომელსაც შენგან და შენნაირებისგან ეს ხელში მიკროფონმომარჯვებული ლაჩრები ძერწავენ.

- აბა, აბა... როგორ არა!

ვიწყებ ორი წამის წინ დაწერილის გადაკითხვას და უეცრად შინაგანი ქირქილი ჩამესმის.

- აბა, აბა, აბა...

რასაკვირველია, ეს ისევ ისაა, ის ოროსანი, რომელიც ჩემში ცხოვრობს.

- რა ლამაზი ფრაზებია, დაუჯერებელია პირდაპირ! შენს მაქსიმილიანეს ზნეობის არაჩვეულებრივი გაკვეთილი ჩაუტარე.

ის არამზადა, ის ოროსანი ვერ ისვენებს, პინგ-პონგს მეთამაშება.

- თვითკმაყოფილების მსუბუქი შემოტევა გქონდა, არა? ახლა კარგად გრძნობ თავს?

- ...

- მოკლედ, არ დაეხმარე, არა, იმ მოსწავლეს?

- ...

- იმიტომ რომ თავაზიანი არ იყო, როგორც მივხვდი.

- ...

- და საკუთარი თავით უზომოდ კმაყოფილი ხარ.

- ...

- და, მერე, შენი პრინციპები? დაივიწყე? პრინციპები, ასე ლამაზად რომ გადმოგვილაგე ცოტა ზემოთ. აბა, გაიხსენე: "კითხვის შიში მხოლოდ კითხვითვე განიკურნება, ვერგაგების შიში კი - ტექსტში თავით ფეხებამდე გადაშვებით". რა თავში ვიხალოთ ახლა ჩვენ ეს განცხადებები, შენ რა, უკვე ფეხებზე დაიკიდე ყველაფერი?

- ...

- მოდი რა, პირდაპირ გეტყვი. იმ საღამოს მაქსიმილიანესთან მაგრად ჩაისვარე. შეიძლება, უზომოდ გაცოფდი ან ძალიან შეგეშინდა. დაღლილი ადამიანი შეიძლება, დაფრთხეს. არც შენ ხარ გამონაკლისი. რა არის ახლა ამაში დაუჯერებელი?! ძალიან კარგად იცი, როგორც უნდა მოქცეულიყავი. გეტყვი, თუ გინდა. უნდა ჩაგევლო ხელი იმ ბიჭისთვის და შენთან წაგეყვანა, მიგესვა მაგიდასთან და აგეხსნა ის ოხერი ტექსტი. განგემარტა, როგორც წესი და რიგია, შემდეგ კი კაცურად დალაპარაკებოდი, თუ საჭირო გახდებოდა. შეგეძლო, გაგეჯორა კიდეც, ან გეყვირა მისთვის. მაგრამ მხოლოდ მაშინ, როცა დავალება ჩაწიკწიკებული ექნებოდა. თხოვნა უყურადღებოდ არ უნდა დაგეტოვებინა. მადლობა ღმერთს, ეს მხოლოდ თხოვნა იყო და სხვა არაფერი. ცუდად ფორმულირებული? გეთანხმები! ანგარებიანი? კი ბატონო! შენ ხომ კარგად იცი, რომ უანგარო თხოვნა ბუნებაში არ არსებობს. თანაც, ეს ხომ შენი საქმეა, შენი მოვალეობა: ანგარებიანი ინტერესი ტექსტისადმი ნამდვილ ინტერესად გარდაქმნა. მაგრამ დატოვო მაქსიმილიანე ქუჩაში, თვითონ მშვიდად შინ დაბრუნდე, როგორც ეს შენ ჩაიდინე, მხოლოდ ერთ რამეს ნიშნავს: არ შეეცადო, დაანგრიო კედელი, რომელიც თქვენ შორის აღმართულა. მეტსაც გეტყვი: პირიქით, შენ კიდევ უფრო გაამაგრე ის. ამ თემას ლაფონტენმა იგავ-არაკი მიუძღვნა. გინდა, გიამბო? იქ მთავარი გმირი შენ ხარ!

მოწაფე და მასწავლებელი

მე ამ იგავით იმის თქმა მსურდა,

რომ სისულელე ყოფილა სენი,

ერთხელ ყმაწვილი წყალში ჩაცურდა,

დაყიალობდა როს პირას სენის.

ღვთისგან წყალობა უმალ გამოჩნდა,

როცა ტირიფი იქვე აღმოჩნდა.

ყმაწვილს ტოტისთვის ხელი ჩაევლო,

როს მის პედაგოგს ახლოს ჩაევლო;

უკივლა ბავშვმა: იქნებ მომხედოთ.

მაგისტრმა თავი მოატრიალა,

ყმაწვილს თვალები დაუბრიალა:

მანდ როგორ მოხვდი პატარა მხეცო!

შენი სულელი თავის ბრალია,

შტერი ხარ რაღა დასამალია!

მესმის მშობლების თქვენი ვაება,

შიში, მახეში რომ არ გაებათ,

მესმის ტკივილი მათი, ტირილიც, -

თქვა და მოსწია ტოტი ტირიფის.

მათი გაკიცხვა ჩემი ხვედრია,

ვინც ცენზორია, ყბედი, პედანტი,

მართალს რომ ვამბობ მიმიხვდებიან:

თუმც მათ ქებასაც ხშირად ვბედავდი,

რადგან მათ სიტყვას ტაშით ხვდებიან,

ელიან მუდამ ყველა საქმისგან,

აჩვენონ თავის ენის ზეობა...

იქნებ ჯერ ძმაო მიხსნა საფრთხისგან

და მერე მოჰყვე ენამზეობას.

3

მაქსიმილიანე ჩვენი დროის ტიპური ოროსანია. თუ დღევანდელ სკოლაზე ბჭობას მოჰკარით ყური, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ პროგრამაში მაქსიმილიანეა. ყოველწლიურად თორმეტი მილიონ ოთხასი ათასი ახალგაზრდა ფრანგი მიდის სკოლაში, აქედან, დაახლოებით ერთი მილიონი მოზარდი იმიგრირებულთა შვილებია. დავუშვათ, რომ მათ შორის ორასი ათასი ქრონიკულად ვერ ძლევს სასკოლო პროგრამას. საინტერესოა, ამ ორასი ათასიდან რამდენი გადაეშვა ვერბალურ თუ ფიზიკურ ძალადობაში (მასწავლებელთა გაუთავებელი შეურაცხყოფა და ლანძღვა"გინება, რის გამოც მათი ცხოვრება ჯოჯოხეთად ქცეულა, მუქარები, ცემა"ტყეპა, სასწავლო დაწესებულებების ინვენტარის დაზიანება...), მეოთხედი? ორმოცდაათი ათასი? დავუშვათ. აქედან შეგვიძლია დავასკვნათ: თორმეტი მილიონ ოთხასი ათასი მოსწავლიდან მხოლოდ 0,4% შეესატყვისება მაქსიმილიანეს სახეს " დაუნდობელ და ვერაგ ხულიგანს, გამოუსწორებელ ოროსანს და ცივილიზაციის გამანადგურებელს. აი, ამ პორტრეტს გვახვევს თავს ერთსულოვნად და დაუზარელად მასმედიის ყველა საშუალება, როცა საუბარი სკოლაზე ჩამოვარდება. მაქსიმილიანე ადამიანთა წარმოსახვის გამაღიზიანებელი და ამაფორიაქებელია, მათ შორის, სერიოზულად მოაზროვნეების და დამჯდარი ჭკუა"გონების პატრონებისაც.
ვივარაუდოთ, რომ ვცდები გათვლებში, ჩემი 0,4% ცოტაა და სამზე ან ოთხზე უნდა გამრავლდეს. კეთილი ბატონო, გადავამრავლოთ. მიღებული ციფრი მაინც სასაცილოდ უმნიშვნელო აღმოჩნდება საიმისოდ, რომ ასეთი სამარცხვინო შიში დაგვეუფლოს ამ ახალგაზრდების წინაშე.

მოზარდი რომელიმე მიყრუებული პროვინციული ქალაქიდან თუ დედაქალაქის შორეული პერიფერიული უბნიდან, შავკანიანი, არაბი თუ ფრანგი, ბრენდებისა და მობილური ტელეფონების დიდი მოყვარული და დამფასებელი, ელექტრონივით თავისუფალი, რომელიც სივრცეში მხოლოდ ჯგუფურად გადაადგილდება, ნიკაპამდე ჩამოფხატული კაპიუშონით, შენობების კედლების თუ მეტროს ვაგონების შემლამაზებელი, როკის მოყვარული, რომელიც აგრესიულ და შურისმაძიებლურ ტექსტებს აღმერთებს, როხროხა და ჩხუბისთავი, აი, სწორედ მათ მიიჩნევენ მაგარ დამრტყმელად, ხულიგნად, მძარცველად, "შემყენებლად", ნარკოტიკების გამსაღებლად, ხანძრის გამჩენად, პოტენციურ რელიგიურ ექსტრემისტად. ეს ხომ ჩვენი მაქსიმილიანეა " ძველი დროის გარეუბნების თანამედროვე განსახიერება. და ისე, როგორც ოდესღაც ბურჟუებს ხანდახან უყვარდათ ლაპის ქუჩაზე ნაყარ"ნუყარ, საეჭვო რეპუტაციის მქონე ხალხში გაძრომ"გამოძრომა, ან მარნის სანაპიროებზე აპაშებით

გაძეძგილ რომელიმე მოდურ ბუნგალოში თითო ჭიქის გადაკვრა, დღევანდელ "ბუფონსაც" ხიბლავს მაქსიმილიანესთან სიახლოვე, უყვარს მისი ცქერა, უფრო სწორად, ურჩევნია, ცოცხალს, რეალურს კი არ უყუროს, არამედ მის ხატებას, რომელსაც თვითონვე თითხნის და რომლითაც შემდეგ ათასგვარი სანელებლებით შეკაზმულს, კინოში, ლიტერატურაში, სარეკლამო რგოლებსა თუ საინფორმაციო გამოშვებებში გვიმასპინძლდება. მაქსიმილიანე ერთდროულად განასახიერებს იმას, რისიც ადამიანებს ეშინიათ და იმასაც, რასაც შემდეგ კარგად ყიდიან. ის ყველაზე სასტიკი და აგრესიული ფილმების გმირიცაა და ყველაზე კომერციული და გაყიდვადი მარკების სახეც. მართალია, მაქსიმილიანე დიდი ქალაქების გარეუბნებშია განდევნილი (ამაში დიდი წვლილი ქალაქთმშენებლობას, უძრავ ქონებაზე ფასების უსაშველო ზრდასა და პოლიციას მიუძღვის), სამაგიეროდ, მისმა იმიჯმა ყველაზე მდიდრული უბნების ცენტრებამდეც მიაღწია და "ბუფონი" შეძრწუნებულია იმ ფაქტით, რომ მისი საკუთარი შვილებიც თურმე ისევე იცვამენ, როგორც ჩვენი მაქსიმილიანე, მეტყველებენ მაქსიმილიანეს ჟარგონზე; კიდევ უარესი, მაქსიმილიანეს ხმას, კილოსა და გამოთქმას ზუსტად იმეორებენ. აქედან კი მოთქმა"გოდებამდე ფრანგული ენის დაღუპვასა და ცივილიზაციის დასასრულზე სულ რაღაც ერთი ნაბიჯია დარჩენილი. და ჩვენც ამ ნაბიჯის გადადგმას არ დავახანებთ, შიშით და ძრწოლით, მაგრამ მაინც ერთგვარი სიამოვნების განცდით. რატომ? იმიტომ, რომ სადღაც გულის სიღრმეში ვიცით, პირველი მსხვერპლი მაქსიმილიანე იქნება.

4

თუ კარგად დავაკვირდებით, მაქსიმილიანე საყოველთაო გაახალგაზრდავების მედლის მეორე მხარეა. ჩვენმა დრომ ახალგაზრდობა ვალდებულებად გაიხადა. უნდა იყო ახალგაზრდა, იფიქრო ისე, როგორც ახალგაზრდამ, მოიხმარო როგორც ახალგაზრდამ, შეინარჩუნო ახალგაზრდობა და შემართება ღრმა სიბერეშიც კი. დღეს მოდაც ახალგაზრდულია, ფეხბურთიც და რადიოსადგურებიც, ჟურნალებიც ახალგაზრდულია, რეკლამაც, ინტერნეტიც. ტელევიზიები გაივსო ახალგაზრდა წამყვანებით, მშობლებიც ახალგაზრდები არიან. ჩვენი პოლიტიკური მოღვაწეებიც კი გაახალგაზრდავდნენ.

გაუმარჯოს ახალგაზრდობას! დიდება ახალგაზრდობას! უნდა იყო ახალგაზრდა!

იყავი ახალგაზრდა! გახდი ახალგაზრდა! მხოლოდ, ნუ იქნები მაქსიმილიანე!

5

" მასწავლებლები ათასგვარი სისულელით გვიტენიან თავს, მასწ!

" ცდები! შენი თავი უკვე სავსეა ათასგვარი სისულელით. მასწავლებლები ძალ"ღონეს არ იშურებენ მის გამოსასუფთავებლად.

ეს საუბარი ლიონის გარეუბნის ერთ"ერთ ტექნიკურ სასწავლებელში შედგა. სასწავლო დაწესებულებამდე მისაღწევად იძულებული გავხდიno man`s land 22 (არავისი მიწა, ნეიტრალური ტერიტორია (ინგ.)გადამეჭრა. ერთმანეთზე მიჯრით მიწყობილი ათასგვარი დანიშნულების საწყობებს

დასასრული არ უჩანდა. გზად კაციშვილი არ შემხვედრია. დაახლოებით ათი წუთის განმავლობაში ვიარე ყრუ კედლებსა და ეტერნიტით გადახურულ უსახურ და პირქუშ ნაგებობებს შორის. აი, ასეთ თვალწარმტაც ხეივანში სთავაზობენ გასეირნებას გარეუბანში მცხოვრებ მოსწავლეებს ყოველ ცისმარე დილას.

და რაზე ვისაუბრეთ იმ დღეს? რასაკვირველია, კითხვაზე. წერასაც შევეხეთ, ბევრი ვილაპარაკეთ იმაზეც, თუ როგორ იბადება ათასგვარი ამბები მწერალთა გონებაში. განვმარტეთ სიტყვა "სტილის" მნიშვნელობაც, ვილაპარაკეთ პერსონაჟისა და პიროვნების ცნებაზე. მივადექით ბოვარიზმის 23(ფსიქიატრიაში: მდგომარეობა, რომლის დროსაც ადამიანს უჭირს ზუსტი ზღვრის გავლება რეალობასა და ფანტაზიას შორის.) თემასაც, დავრწმუნდით, რაოდენ საშიშია მწერლისათვის თავისი ნაწარმოებებით ტკბობა (იგივე შეიძლება ითქვას ფილმზეც). გავარკვიეთ რეალობისა და გამონაგონის როლიც " მაგალითად, დღეს ასე პოპულარული სატელევიზიო რეალითი"შოუს დროს " ჩვენ ხომ მუდამ გვატყუებენ და გვაიძულებენ, ერთი მეორედ აღვიქვათ და პირიქით. მოკლედ, უამრავ რამეს მივედ"მოვედეთ, რაც კი რამ საინტერესო შეიძლება იყოს ნებისმიერი მოსწავლისთვის, თუ, ცხადია, ამას სერიოზულად მივუდგებით...

ჰო, მავიწყდებოდა მეთქვა, რომ ზოგადად მათი კულტურისადმი დამოკიდებულებაზეც ვიმსჯელეთ. რა თქმა უნდა, არც ერთი მათგანი აქამდე მწერალს არ შეხვედროდა; არც თეატრში იყო ნამყოფი, ლიონის დათვალიერების შანსი კი მხოლოდ რამდენიმეს მისცემოდა. როცა დავინტერესდი, რატომ და მიზეზების დადგენას შევეცადე, პასუხმაც არ დააყოვნა:

" იქ იმისთვის ჩავეხეტოთ, რომ ყველა იმ "ბუფონმა" ამრეზით გვიყუროს და როგორც მყრალ ნაგავს ისე მოგვექცეს?

აი, ასე " ქალაქს ეშინია მათი, თავის მხრივ, ისინიც უფრთხიან ქალაქს. როგორც მათი თაობის ბევრი წარმომადგენელი, ყველა ისინი, ბიჭებიც და გოგონებიც, გასაოცრად მაღლები იყვნენ, გეგონება, საწყობების კედლებს შორის იზრდებოდნენ და თავიანთი დღე და მოსწრება მზის სხივებისკენ იღერებდნენ ყელს. ზოგიერთებს მოდურად ეცვათ " თავიანთ მოდაზე, როგორც ისინი ფიქრობენ. სინამდვილეში ეს ხომ ჩაცმის უნივერსალური მანერაა და სხვა არაფერი; ყველანი ერთ რეპერულ ენაზე მეტყველებდნენ, ამ უკანასკნელისთვის დამახასიათებელი ინტონაციით; ეს ის ინტონაციაა, რომელიც ცენტრალურ ფეშენებელურ უბნებში ყველაზე გამოსულ ახალგაზრდა "ბუფონებსაც" კი გადაედო, დიახ, იქაც შეაღწია, სადაც ამათ ცხვირის შეყოფაც კი ვერ გაებედათ.

რაღაც მომენტში დღის წესრიგში სწავლის საკითხიც დადგა. სწორედ ამ დროს გამოჩნდა ასპარეზზე ადგილობრივი მაქსიმილიანეც (დიახ, მე გადავწყვიტე, ამ წიგნის ყველა ოროსანი მაქსიმილიანედ მოვიხსენიო. ეს დიდებული სახელი ყველას უხდება, ზედგამოჭრილია, როგორც გარეუბნელი, ისე ფეშენებელური უბნების უქნარებისთვისაც).

" მასწავლებლები ათასგვარი სისულელით გვიტენიან თავს!

რასაკვირველია, მივხვდი, რომ კლასის ოროსნების ბელადთან მქონდა საქმე (შეიძლება ამ "რასაკვირველიაზეც" ბევრი ვიკამათოთ, მაგრამ კლასში ოროსნის ამოცნობას დიდი ძალისხმევა და ფილოსოფია ნამდვილად არ სჭირდება. ყველგან, სადაც მეპატიჟებიან, ეს იქნება პრესტიჟული სასწავლო დაწესებულებები, ტექნიკური სასწავლებლები თუ პროვინციული კოლეჯები, ორ წამში ვცნობ მაქსიმილიანეებს. ისინი დაძაბულ ყურადღებასა და იმ ზედმეტად კეთილგანწყობილ მზერაზე იყიდებიან, რომელსაც მასწავლებლები მათ მიაპყრობენ ხოლმე, როცა ისინი პირს დააღებენ (ამ დროს თანაკლასელთა ნაადრევი ჩაღიმებაც მრავლისთქმელია), და კიდევ ერთ რაღაცაზე, არ ვიცი, რა დავარქვა ამას, მათ განსაკუთრებით მობოდიშებით ტონსა და სიფიცხეზე, თავდაჯერება რომ აკლია. როცა ისინი ხმას არ იღებენ " მაქსიმილიანეები ხშირად დუმან " მე მათ დაძაბული ან მტრული დუმილით ვცნობ, რომლითაც ასე თვალშისაცემად გამოირჩევიან გონიერი და ყურადღებიანი მოსწავლისგან. ოროსანი მუდამ მერყეობს, თითქოს ბოდიშებს იხდის საკუთარ არსებობაზე, მაგრამ ნუ იფიქრებთ, რომ არ სურს საკუთარი ადგილი იპოვოს. მას აღიარება სხვებზე მეტად სწყურია და ამისთვის ხშირად საკუთარი წარმოების ანტიდეპრესანტს " ძალადობას მიმართავს).

" უკაცრავად, ვერ გავიგე, რას ნიშნავს " სისულელეებს გტენიან თავში?

" გვტენიან, რა! რა არის ახლა აქ გაუგებარი? ვის რაში ადგია მათი ტრიუკები?

" რომელია, მაგალითად, ტრიუკი, რომელიც კაცს არაფერში გამოადგება?

" ყველაფერი ნაგავია და მორჩა! მაგალითად, სხვადასხვა საგნები... ეს რა ცხოვრებაა!

" რა გქვია?

" მაქსიმილიანე.

" ჰოდა, ჩემო მაქსიმილიანე, ძალიანაც შემცდარხარ, ასე თუ ფიქრობ. მასწავლებლები ნაგვით კი არ გივსებენ თავს, არამედ მისგან გისუფთავებენ. შენ თავი ისედაც, დიდი ხანია, გამოსაბერტყი გქონდა.

" ...

" რა გაცვია ფეხზე?

" ფეხზე? ჩემი "ენ", ბატონო! (იგულისხმეთ ფირმის დასახელება)

" შენი რა?

" ჩემი "ენ", მე ჩემი საკუთარი "ენ" მაცვია!

" და რას ნიშნავს შენი საკუთარი "ენ"?

" რას ჰქვია, რას ნიშნავს? ეს ჩემი საკუთარი "ენ""ია, და მორჩა!

" რა საგანია ეს შენი "ენ"? საგანი დამისახელე!

" ეს ჩემი "ენ""ია.

მაქსიმილიანეს დამცირება არც კი გამივლია გულში, ამიტომ იმავე შეკითხვით მთელ კლასს მივმართე:

" რა აცვია მაქსიმილიანეს ფეხზე?

კლასში უხერხული სიჩუმე ჩამოწვა. ბავშვებმა ერთმანეთს გადახედეს. ჩვენ თითქმის ერთი სრული საათი გავატარეთ ერთად, ვიმსჯელეთ, ვიდავეთ, ვიფიქრეთ კიდევაც და ბევრიც ვიცინე; ცხადია, შეეძლოთ ჩემთვის დახმარების ხელი გამოეწოდებინათ, მაგრამ, რას იზამ, მაქსიმილიანე ცამდე მართალი იყო.

" ეს მისი "ენ""ებია, ბატონო!

" დიახ, მეც მშვენივრად დავინახე, ეს "ენ""ებია, მაგრამ როგორც საგანი, ნივთი, რას წარმოადგენს ეს მისი "ენ""ები?

ისევ სიჩუმე.

შემდეგ მოულოდნელად ერთი გოგონა წამოდგა:

" როგორც ნივთი " ეს სპორტული ფეხსაცმელია.

" ნამდვილად. ახლა უფრო წინ წავიწიოთ. რა არის სპორტულ ფეხსაცმელზე უფრო ზოგადი არსებითი სახელი, მსგავსი ტიპის საგნების აღსანიშნავად, შეგიძლია, მითხრა?

" ფეხ... ფეხსაცმელი.

" ყოჩაღ, რა თქმა უნდა: სპორტული ფეხსაცმელები, ჩექმები, ბოტები, სანდლები, მაშიები, მოკასინები, რაც გნებავთ, მაგრამ "ენ""ები " არავითარ შემთხვევაში. ეს ბრენდის, ფირმის დასახელებაა. ფირმის დასახელება კი საგანი არ არის.

გაისმა კლასის დამრიგებლის კითხვაც:

" ეს საგანი სასიარულოდ გამოიყენება, და ბრენდი?

" სამარიაჟოდ, მასწ.!

მთელმა კლასმა გადაიხარხარა.

" რათა ყველასგან გამოირჩეს " კი.

წაეშველა მასწავლებელი და ამჯერად მიზანში ერთ"ერთი ბიჭუნას პულოვერი ამოიღო.

" და შენ, სამირ, დღეს რა გაცვია?

სამირმა დაუფიქრებლად იგივე პასუხი გასცა:

" ეს ჩემი "ელ""ია, მასწ.

მე მიმიკის მოშველიებით აგონიის ბოლო სტადია განვასახიერე, თითქოს სამირმა ეს"ეს არის, მომწამლა და ცოტაც და, ყველას თვალწინ სულს განვუტევებ. ამ დროს ვიღაცამ მხიარული ხმით დაიძახა:

" არა, არა, ეს პულოვერია! ნუ მოკვდებით, ბატონო, დარჩით ჩვენთან. ეს სამირის პულოვერია!

ჩემი სიკვდილი დროებით გადაიდო.

" ნამდვილად, ეს მისი პულოვერია. მართალია, პულოვერი ინგლისური წარმოშობის სიტყვაა, მაგრამ ბრენდის თქმას მილიონჯერ სჯობს. დედაჩემი იტყოდა " "ჩემი როლინგი", ბებიაჩემი კი გაიხსენებდა ძველ სიტყვას " "ჩემი ნაქსოვი ფუფაიკა", ან ბოლო"ბოლო "ტრიკოთი" მონათლავდა " არსებითი სახელით, რომელიც ზმნა ტრიკოტერ"დან იწარმოება და ქსოვას ნიშნავს. მაგრამ ეს ყველაფერი ბევრად სჯობს ბრენდს.

სწორედ ბრენდები გიტენიან თავში ათასგვარ სისულელეს, მაქსიმილიანე, და არა მასწავლებლები. ფირმა, ბრენდი, მარკა, აი, რითი გაქვთ თავი სავსე. ჩემი ენი, ჩემი იქსი და ჩემი იგრეკი. თავს ხომ გიტენიან და გიტენიან, გარდა ამისა, გართმევენ ფულსაც, სხეულსაც და ლექსიკასაც. გაცმევენ უნიფორმას; თქვენ ცოცხალ რეკლამად გადაიქეცით, პლასტმასის მანეკენებს დაემსგავსეთ, აი, ისეთებს, მაღაზიების ვიტრინებიდან რომ გადმოგვცქერიან.

აქ მახსენდება ჩემი ბავშვობის დროინდელი ადამიანი"სენდვიჩი " ადამიანი"რეკლამა, ეგრეთ წოდებული, მოსიარულე ბუტერბროდი. ერთ"ერთი მათგანი ახლაც თვალნათლივ მახსოვს. მოხუცი კაცი იყო, დღენიადაგ ჩვენი სახლის მოპირდაპირე მხარეს ტროტუარზე იყო დარჭობილი. ორ სარეკლამო პანოს შორის ჩაკვეხებული მდოგვის რომელიღაც მარკას ასხამდა ქება"დიდებას.

" იგივე გჭირთ თქვენც. ეს ფირმები სხვას კი არაფერს გიშვრებიან.

მაქსიმილიანე მთლად შტერი კი არ არის, ჭკვიანი ბიჭია:

" განსხვავება იმაშია, ბატონო, რომ ჩვენ ამისთვის არავინ არაფერს გვიხდის.

მაქსიმილიანეს ერთ"ერთი გოგონა გამოენთო:

" აბა, ვინ გითხრა, რომ არ იხდიან. ლიცეუმების შესასვლელებთან მოდიან, მაგარ ტიპებს აბოლებენ, აი, ისეთებს, პონტაობა, ზმანი და ამგვარი რაღაცეები რომ ევასებათ. სულ მუქთად ტენიან ყველაფერს. უარს, აბა, რომელი იტყვის. მერე ესენი მოდიან და კლასში გვემარიაქებიან. ამ ჭინჭებზე მათი ძმაკაცებიც მაგრა ვარდებიან და გარბიან საყიდლად. ასე ეყიდებათ ყველაფერი.

მაქსიმილიანე:

" მაგარია!

მასწავლებელი:
" შენ ასე ფიქრობ? მე კიდევ მიმაჩნია, რომ ამ ბრენდებს ცეცხლის ფასი კი ადევს, მაგრამ მათი ნამდვილი ფასი ბევრად ნაკლებია, ვიდრე თქვენი.

ამას მოჰყვა ღრმა და სერიოზული დისკუსია ისეთ ცნებებზე, როგორიცაა, ღირებულება, ფასი " ცხადია, არა გასაყიდი, არამედ სხვა, ნამდვილი ღირებულებები, რომელთა მნიშვნელობა, როგორც ისინი მიიჩნევენ, მათ დიდი ხანია უკვე აღარ ესმით...

ერთმანეთს უბრალო, ზეპირი მანიფესტაციით დავშორდით " თა"ვი"სუფ"ლე"ბა სი"ტყვებს! თა"ვი"სუფ"ლე"ბა სი"ტყვებს! " მას შემდეგ, რაც მათთვის

ჩვეულმა ნივთებმა: ფეხსაცმელებმა, ზურგჩანთებმა, კალმებმა, პულოვერებმა, ქურთუკებმა, ფლეიერებმა, კასკეტებმა, მზის სათვალეებმა, ტელეფონებმა ბრენდების სახელწოდებები ჩამოიცილეს და ნამდვილი სახელები დაიბრუნეს.

6

ვიზიტის მეორე დღეს უკვე პარიზში მეოცე უბნის ბორცვებიდან ძირს, ჩემი ოფისისკენ დავეშვი. გზად თავში ერთმა უჩვეულო აზრმა გამიელვა: რა მოხდება, ყოველი შემხვედრი მოსწავლე შევაფასო, თუ შეიძლება ასე ითქვას, მისი ღირებულება დავადგინო? ამისთვის მარტივი გამოთვლა სრულიად საკმარისია: სპორტული ფეხსაცმელები " 100 ევრო, ჯინსი " 110 ევრო, ქურთუკი " 120 ევრო, ზურგჩანთა " 80 ევრო, ფლეიერი " 180 ევრო (90"დეციბელიანი აუდიო გასეირნება), მულტიფუნქციური მობილური ტელეფონი " 90 ევრო. ამას დავამატოთ იმის ფასი, რაც ჩანთაში უწყვია. აღარ დავიწყებ თითოეული ნივთის ღირებულების ჩამოყრას და გთავაზობთ საბითუმო ფასს, ვთქვათ, ალია"ბალია, 50 ევრო. ეს ყველაფერი ცინცხალ როლიკებზე ამხედრებული, ანუ, კიდევ 150 ევრო. რამდენს უკაკუნებს მთლიანობაში? 880 ევროს, ბატონებო, ანუ 5764 ფრანკს მოსწავლეზე. ეს კიდევ ჩემი ბავშვობის დროინდელ 576 400 ფრანკს უდრის. ჩემი ბუღალტერია მეორე დღესაც ორივე გზობაზე განვაგრძე, გადავამოწმე, შევადარე ვიტრინებში გამომზეურებულ პრეისკურანტებს. ჩემი გამოთვლები ჯამში " ძველი კურსით " ნახევარ მილიონ ფრანკს მიუახლოვდა. თითოეული ეს მოზარდი, ჩემი ბავშვობის დროინდელი კურსით, ნახევარი მილიონი ღირდა! ეს საშუალოდ, და გულისხმობს საშუალო ფენიდან გამოსულ მოსწავლეს, დღევანდელ პარიზში მცხოვრები საშუალო შემოსავლების მქონე მშობლებით. მოკლედ, ეს არის პარიზელი ჩაცმულ"დახურული მოსწავლის, განსაკუთრებულად საშობაო არდადაგების შემდეგ რომ გამოპრანჭულა, ღირებულება იმ საზოგადოებაში, რომელიც ახალგაზრდობას, უწინარეს ყოვლისა, კლიენტად, გასაღების ბაზრად, სამიზნედ მოიაზრებს.

მაშ ასე, ბავშვები " კლიენტები, მდიდარი თუ ღარიბი, ქალაქელი თუ გარეუბნელი, განურჩევლად ყველა, როგორც ერთი, ჩათრეულან მოხმარების ორომტრიალში; თითქოს გიგანტურ, უნივერსალურ სურვილების მტვერსასრუტს ერთიანად შეუსრუტავს შეძლებულები და ხელმოკლეები, დიდები და პატარები, გოგონები და ბიჭები და უზენაესი ბრძანებისთვის დაუმორჩილებია " მოიხმარეთ! ეს მოწოდება სხვა არაფერია, თუ არა ნივთების გაუთავებელი შეძენის სურვილის გაღვივება. ყოველი ახალი შენაძენი მოდის უკანასკნელი მოთხოვნების შესაფერისი უნდა იყოს და აუცილებლად " ფირმა, თანაც, ამის შესახებ ქვეყანამ უნდა შეიტყოს. ეს სავაჭრო მარკები მედლები რომ იყოს, ჩვენი ქუჩის ბიჭები და გოგონები ოპერეტის გენერლებივით ჟღარუნ"ჟღარუნით ივლიდნენ. სერიოზული რადიო " და ტელეგადაცემები თავგამოდებით ცდილობენ დაგვაჯერონ, რომ ეს ყველაფერი მხოლოდ მოზარდის პიროვნულ გამორჩეულობას ემსახურება. ამას წინათ, სასწავლო წლის პირველ დღეს მარკეტინგის დიდი ქურუმი მოსიყვარულე ბებიის გულში ჩამწვდომი ხმით რადიოში ქადაგებდა, რომ სკოლა აუცილებლად უნდა გაიხსნას რეკლამისთვის, რომ ის ინფორმაციის ერთ"ერთი ფასდაუდებელი წყაროა და შეიძლება, მნიშვნელოვანწილად წაადგეს ბავშვების აღზრდა"განათლების საქმესო, და ასე შემდეგ, და ასე შემდეგ ... მე ყურები ვცქვიტე და სმენად ვიქეცი. აბა, აბა, ქალბატონო მარკეტინგო, ერთი ბოლომდე მოჰყევით ეს თქვენი ზღაპარი კარგად დაყენებული ხმით. თუ კარგად გავიგე, რეკლამას, მეცნიერებას, ლიტერატურასა და ხელოვნებას ერთ ხურჯინში უკარით თავი, არა? ბებია, თქვენ რა, ხუმრობთ? მეტისმეტად სერიოზული კი ჩანხართ. ხუმრობა იქით იყოს და, ეს

თაღლითი მთელი სერიოზულობით ქადაგებდა, და თანაც, ქადაგებდა არა საკუთარი, არამედ ცხოვრების სახელით, ცხოვრებისა, როგორიც ის, ვითომ სინამდვილეში არის. და უეცრად თვალწინ წარმომიდგა ბებია"მარკეტინგის თვალით დანახული ცხოვრება " გიგანტური ჰიპერმარკეტი, უკარო, კედლების გარეშე, უსასრულო, უსაზღვრო, შექმნილი მხოლოდ ერთადერთი დანიშნულებისთვის " მოხმარებისთვის. ახლა ბებია"მარკეტინგის შემოთავაზებული იდეალური სკოლა წარმოვიდგინოთ: მადააღგზნებულ მომხმარებელთა ამოუწურავი საბადო, სადაც მასწავლებლების ხელმძღვანელობით მოსწავლეებმა უნდა გაიარონ ურიკებით მანიპულირების სპეციალური თრეინინგი, რადგან ხშირად მოუწევთ მათი გაგორება ამ გიგანტური სუპერმარკეტის უთვალავ სექტორებში გადაადგილებისას ... ზოგიერთები ცდილობენ მოხმარების საზოგადოებისაგან მოსწავლეების ჩამოშორებას! დროა, შეწყდეს ეს მავნე ქმედებანი! " ბებია"მარკეტინგი ლამის ძერწავდა თითოეულ სიტყვას. " ახალგაზრდებმა სასკოლო გეტო კარგად ინფორმირებულებმა უნდა დატოვონ ... "სასკოლო გეტო", ასე დაარქვა ბებიამ სკოლას. ინფორმაცია, აი, სადამდე დაჰყავს მას განათლება. გესმის, ბიძია ჟიულ, რა დღეში ვართ? გამოდის, რომ წელებზე ფეხს სულ ტყუილად იდგამდი, ოჯახური უმეცრებისა და ცრურწმენების გაუვალი ჯუნგლებიდან ბავშვების დახსნას იმიტომ ცდილობდი, მოგვიანებით ისინი სასკოლო გეტოებში რომ გამოემწყვდიათ. მსგავსი რამ ოდესმე წარმოგედგინა? თქვენ კი, ჩემო ძვირფასო ბლან"მენილელო ვიოლონჩელისტო, იცოდით თუ არა, რომ, როცა თქვენს აღსაზრდელებს ინტერესს უფრო ლიტერატურისადმი უღვიძებდით, ვიდრე რეკლამისადმი, გამოუსწორებელ შეცდომას სჩადიოდით და სასკოლო გეტოს ბრმა ზედამხედველს ემსგავსებოდით. პროფესორ"მასწავლებლებო, როდისღა დადგება ის დღე, როცა თქვენ ბებია"მარკეტინგის სიტყვებს ბოლოს და ბოლოს ყურად იღებთ? როდის დავა თქვენს ცარიელ გოგრამდე, რომ სამყარო კი არ უნდა შეიმეცნო, არამედ მოიხმარო? თქვენი მოსწავლეები პასკალის "აზრებს", დეკარტეს "მსჯელობა მეთოდის შესახებ", კანტის "წმინდა გონების კრიტიკას", სარტრსა და სპინოზას კი არ უნდა კითხულობდნენ, არამედ ხელში დიდი კატალოგი ეჭიროთ, რომელშიც თავმოყრილი იქნება ყველაფერი საუკეთესო, რაც კი რამ წარმოებულა ამქვეყნად ... მაგრამ, რა უნდა გითხრა იცი, ქალბატონო მარკეტინგო? სულ ტყუილად გადაგიცვამს ბებიის ტანსაცმელი, ლამაზი და მიმზიდველი სიტყვებით კი საუბრობ, მაგრამ მაინც ამოგიცანი. ვიცი, ვინც ხარ: რუხი მგელი უშველებელი კბილებით, ფართოდ დაგიღია პირი და სკოლის შემოსასვლელთან მომაჯადოებელი არგუმენტებით შეიარაღებული, გაყურსული ელოდები, როდის გამოივლიან ეს წითელქუდები, რათა თავს დააცხრე და წამში გადასანსლო ისინი. გადასანსლო და მალევე მოინელო ეს გულუბრყვილო პატარა მომხმარებლები, უპირველესად კი, რა თქმა უნდა, მაქსიმილიანე. ის ხომ ყველაზე ნაკლებადაა დაცული შენი აგრესიული იერიშებისგან, ვიდრე ნებისმიერი სხვა.

მერედა, რა გემრიელია მისი სურვილებით გამოტენილი თავი ... როგორ ცდილობენ მასწავლებლები, არ იშურებენ ძალისხმევას, რომ ის საწყალი როგორმე დაფჩენილი პირიდან ამოგაძრონ, მაგრამ გახდებიან რამეს? კი იქცევენ მაქსიმილიანეს ყურადღებას ორი საათი აქ, სამი " იქ, მაგრამ შენს მძიმე სარეკლამო არტილერიას რა გაუძლებს? რა აღუდგება წინ ამ გამართულ, დახვეწილ სტრატეგიას, რომელიც 70"იანი წლების შუახანებიდან მოყოლებული, სულ უფრო და უფრო მეტ წარმატებას აღწევს. დღეს შენ, ბებია"მარკეტინგო, უკვე აკნატუნებ იმათ შვილებს, ვისითაც გუშინ პირს იტკბარუნებდი. გუშინ ჩემს მოსწავლეებს გაუსწორდი, დღეს კი მათ შვილებს მიადექი. უამრავი ოჯახი თავიანთ პატარ"პატარა სურვილებს, სასიცოცხლო მნიშვნელობის მოთხოვნილებად რომ აღიქვამს, შენი მომნელებელი სისტემის კარგად არგუმენტირებულ წუმპეში ფართხალებს. თითქოს თავიანთი უთვალავი, დაუკმაყოფილებელი სურვილებით ყველანი ბავშვობის მდგომარეობაში იმყოფებიან. ამ სურვილებს, ხშირ შემთხვევაში, არაფერი აქვს საერთო გონიერებასთან. კიდევ! კიდევ! " გაჰყვირიან სტომაქიდან შენ მიერ უკვე მოხმარებული

მომხმარებლები, ერთმანეთში აზელილი მშობლები და მათი მემკვიდრეები. რა თქმა უნდა, ყველაზე ძლიერად მაქსიმილიანე გაჰკივის.

7

სკოლასთან დამშვიდობებისას ერთგვარი უსიამოვნების განცდა დამეუფლა: ვტოვებდი ამ ურბანულ უდაბნოში მიკარგულ ბავშვებს. გიგანტური საწყობის ლაბირინთში გაჩხერილი მათი ლიცეუმიც გარეშე მზერისთვის თითქმის უხილავი ჩანდა; არც მათი დაბა გამოირჩეოდა განსაკუთრებული მხიარულებით... არც კაფე, არც კინოთეატრი შორიახლო... არაფერი... სიცოცხლის ნიშანწყალი არაფერს ეტყობოდა. არაფერი ისეთი, რაზეც კაცს მზერა შეუჩერდებოდა, გარდა უზარმაზარი სარეკლამო პანოებისა, ადგილობრივი მოსახლეობისთვის მიუწვდომელ ნივთებს რომ ასხამდნენ ქება"დიდებას... ამ ფონზე როგორ გინდა, ამ ბავშვებს უსაყვედურო ეს დაუსრულებელი მარიაჟობა ან ეს დაუოკებელი სურვილი, სხვების წამხედურობით შექმნან საკუთარი სახე; ადვილია, დასცინო მათ მოთხოვნილებას, როგორმე გამოირჩნენ, როგორმე შეამჩნიონ. და, დასცინო ვის? ამ სამყაროს მიღმა დარჩენილ მოზარდებს, რომლებსაც ცხოვრებაში დასანახი ასე ცოტა აქვთ? რას სთავაზობენ ამ გაუბედურებულ ყმაწვილებს, რომლებსაც მემკვიდრეობით მხოლოდ უმუშევრობა და სიღუხჭირე გადაეცემათ, გარდა ცდუნებისა, რომ საკუთარი გარეგნობით დაიმკვიდრონ თავი? ისტორიის უკუღმართობისა და ბედის უსამართლობის გამო, მათ არც წარსული აქვთ და არც საკუთარი გეოგრაფია. რით შეიქციონ, რით დაიმშვიდონ თავი, სად დაისვენონ, როგორ შექმნან საკუთარი მე. მათი არჩევანი ხომ მეტისმეტად შეზღუდულია. მხოლოდ ერთი რამ შეუძლიათ ადვილად: იზრუნონ გარეგნულ სახეზე. ბებია"მარკეტინგიც ხომ ამისკენ მოუწოდებს. მისი მტკიცებით, ეს სხვა არაფერია, თუ არა მათი იდენტობის ჩამოყალიბების პროცესი. ამ პროცესში რეკლამას გადამწყვეტი როლი აკისრია. მან ახალგაზრდებს იმიჯი უნდა ჩამოუყალიბოს, ფოტოგენურობის მუდმივი წყურვილი დაუკმაყოფილოს, დაეხმაროს მათ, დროების შესაბამისად გამოიყურებოდნენ ... ღმერთო, ამას რას მოვესწარით! ეს რა საშიში მეტოქე გამოუჩნდა საბრალო მასწავლებლებს ამ მზამზარეული კლიშეებით მოვაჭრის სახით!

მატარებელში, რომელიც ლონდონიდან პარიზში მიმაქანებდა, თავში გამიელვა, რომ, უბრალოდ, სახლში კი არ მივდივარ, არამედ ჩემი ისტორიის შუაგულს ვუბრუნდები, ჩემი გეოგრაფიის ეპიცენტრს, სადაც აუცილებლად ვიპოვი თავშესაფარს. გადავაბიჯებ თუ არა ჩემი ბინის ზღურბლს, აღმოვჩნდები სამყაროში, სადაც დაბადებამდე კარგა ხნით ადრე უკვე ვიყავი ისეთი, როგორიც ვარ " ნებისმიერი ნივთი, ნებისმიერი წიგნი ჩემი ბიბლიოთეკიდან დამიდასტურებს ჩემს საუკუნოვან იდენტობას... ასეთ მდგომარეობაში რთული არ არის, გარეგნული იმიჯის ცდუნებას გაუძლო.

მე და მინიმ იმ საღამოს სწორედ ამ თემაზე ხანგრძლივად ვისაუბრეთ:

" ამ ბავშვებზე მთლად ხელის ჩაქნევაც არ ივარგებს, " მითხრა მინიმ, " მათი მოჭარბებული ახალგაზრდული ენერგიაც უნდა გავითვალისწინოთ ... როგორც კი გარდატეხის ასაკიდან გამოდიან, მათში, როგორც წესი, საღი აზრი იმარჯვებს ხოლმე. არც ეს დაივიწყო, ძვირფასო, რომ ბევრი მათგანი მაინც ახერხებს, დაუძვრეს ერთი შეხედვით გამოუვალ სიტუაციებს.

აქ მინიმ დაიწყო ჩვენი მეგობრების თუ ნაცნობების ჩამოთვლა, რომლებმაც თავი დააღწიეს რთულ სიტუაციებს, მათ შორის გავიხსენეთ ალიც, რომელსაც თავისუფლად შეიძლებოდა, ცუდად დაემთავრებინა, მაგრამ მან არა მარტო შეძლო გადარჩენილიყო, არამედ ამ პრობლემის ცენტრში მოექცა და დღეს იმ ბავშვების დასახსნელად იბრძვის, ვისაც საფრთხე ყველაზე მეტად ემუქრება. და, რადგან ყველა ისინი, თუ შეიძლება ასე ითქვას, გარეგნული ხატების მსხვერპლნი არიან, ალიმაც მათი ხსნა სწორედ ამ ხატების დამსხვრევის გზით განიზრახა. აღჭურვა ისინი კამერებით და თავიანთ ცხოვრებაზე ფილმის გადაღება დაავალა, ოღონდ ისეთზე, როგორიც ის სინამდვილეშია და არა ისეთზე, როგორის შთაბეჭდილების შექმნასაც ისინი ასეთი თავგამოდებით ცდილობენ.

საუბარი ალისთან (ამონარიდი)

ეს ის ბიჭები არიან, რომლებიც სკოლაში კარგი სწავლით არ გამოირჩევიან, " მიხსნის ალი. ხშირ შემთხვევაში, ისინი უმამოდ იზრდებიან, ბევრს უკვე ჰქონდა პრობლემები სამართალდამცავ ორგანოებთან. უფროსებს ისინი არ აღიარებენ, სწავლით, ეგრეთ წოდებულ შუალედურ კლასებში სწავლობენ, დაახლოებით ისეთებში, შენ რომ სამოცდაათიან წლებში ასწავლიდი, და რომლებიც ძნელად აღსაზრდელებისთვის იყო შექმნილი. მე ვარჩევ ლიდერებს " 15"16 წლის ავტორიტეტებს, რომ ისინი დროებით განვაცალკევო ჯგუფისგან, რადგან სწორედ ჯგუფში ყოფნა ღუპავს მათ, ხელს უშლის, გახდნენ ისეთები, როგორებიც სინამდვილეში არიან. ამის შემდეგ მათ ხელში ვაძლევ კამერას და ვავალებ ერთ"ერთი ძმაკაცისგან ინტერვიუს აღებას. არჩევანში არ ვზღუდავ, ბარემ თვითონ გადაწყვიტონ, რომელს მიადგებიან. ისინი ამ ინტერვიუს სადღაც უცხო თვალისგან მოფარებულ ადგილზე იწერენ, შემდეგ ბრუნდებიან ჩემთან და ვიდეომასალას უკვე მთელ ჯგუფთან ერთად ვნახულობთ. შენ წარმოიდგინე, ყოველთვის ერთსა და იმავე ფენომენთან გვაქვს საქმე: "რესპონდენტი" კამერის წინ მაგარი ბიჭის როლის თამაშს იწყებს " "ინტერვიუერი", როგორც წესი, მხარს აუბამს ხოლმე და ისიც ამ თამაშის თანამონაწილე ხდება. მოკლედ, ორივენი, რაც შეუძლიათ მარიაჟობენ, აქცენტიც კი განსხვავებული უხდებათ. ლექსიკაზე აღარაფერს ვამბობ, სულ ოცდაათ სიტყვას ატრიალებენ წაღმა"უკუღმა. რაღაცით ხომ უნდა შეავსონ სიტყვების დეფიციტი, ამიტომ ყვირილით იწყებენ ლაპარაკს (ბავშვობაში მეც ზუსტად ასე ვიქცეოდი), თან ისეთ სიფათებს იღებენ, გეგონება, ჯგუფს მიმართავენო, თითქოს მათი "ბანდა" ერთადერთი შესაძლო მაყურებელი იყოს. ერთი უნდა ნახო, რა დღეში არიან ფილმის ჩვენებისას მათი ძმაკაცები, მუცელი ხელით უჭირავთ, ისე ხარხარებენ. ფირის ერთი დატრიალებით არ ვკმაყოფილდები. ვაჩვენებ მეორედაც, მესამედაც, და თუ საჭიროდ ჩავთვლი, მეოთხედაც. თანდათან სიცილი იშვიათდება, ტემბრშიც სულ უფრო და უფრო აკლდებათ თავდაჯერება.
"ჟურნალისტი" და "რესპონდენტი" ცოტა დაბნეულად გამოიყურებიან, გრძნობენ, რომ რაღაც უცნაური და უჩვეულო ხდება, მაგრამ ვერ გაუცნობიერებიათ, კონკრეტულად რა. მეხუთე და მეექვსე ჩვენებისას მათსა და მაყურებლებს შორის უკვე აშკარა უხერხულობა ჩნდება, მეშვიდე და მერვე ჩვენებაზე კი (არ დაიჯერებ, მაგრამ ერთხელ ერთი და იგივე ფილმი ცხრაჯერ დავუტრიალე) ყველა კარგად ხვდება, თუ რა ამოტივტივდა ფილმის ზედაპირზე " მათი უსაფუძვლო მარიაჟობა, ტრაბახი, ყოყლოჩინობა, სიყალბე. მოკლედ, კომედია, სხვა არაფერი. ხვდებიან, რომ მათი მიმიკები, "სიფათების კერვა" და სხვა სიაფანდობები საყურებლად სულაც არ არის საინტერესო, არც მათთვის და არც არავისთვის; რომ ეს მათი უნიჭო სპექტაკლი მაგარი სისულელეა და არაფერი აქვს საერთო რეალობასთან. როცა ისინი "გაცნობიერების" ამ სტადიას აღწევენ, სეანსს ვწყვეტ და "შემოქმედებით ჯგუფს" ფირს უკან ვუბრუნებ. ვავალებ, რომ გადააკეთონ; თუმცა ახსნით მაინც არაფერს ვუხსნი. ამჯერად შედარებით

უფრო სერიოზული ნამუშევრით ბრუნდებიან, რაღაც ისეთით, რომელშიც უკვე ჩანს კავშირი მათ რეალურ ცხოვრებასთან: თავს წარადგენენ, ამბობენ გვარ"სახელს, ჰყვებიან ოჯახზე, სკოლის ამბებზე, სწავლაზე, შიგა და შიგ არის პაუზები, როცა ისინი საჭირო სიტყვებს ეძებენ, მაგრამ აშკარად ჩანს, რომ ფიქრობენ. გაუაზრებლად არც "ინტერვიუერი" სვამს კითხვებს და არც "რესპონდენტი" პასუხობს. ასე ნელ"ნელა, თვალნათლივ ვხედავთ, თუ როგორ ემსგავსებიან ეს მოზარდები საკუთარ თავს; ესენი უკვე აღარ არიან ის ახალგაზრდები, ქუჩაში გამვლელ"გამომვლელებს შიშის ზარს რომ სცემენ და ამით ერთობიან. ახლა მათში ჩვენ იოლად ამოვიცნობთ მათი ასაკის, დაახლოებით 15"16 წლის გოგო"ბიჭებს. გარეგნული მხარე უკან იხევს ასაკის წინაშე, ზმანები და ქუჩური ჟესტიკულაცია მეორე პლანზე გადადის და შესამჩნევად რბილდება; გადამღები ინსტინქტურად ფართო პლანს იყენებს. მნიშვნელოვანი ხდება მოსაუბრის სახე. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ კორესპონდენტი რესპონდენტის სახეს "უსმენს" და ამ სახეზე აშკარად აღიბეჭდება მეორის გაგების სურვილი; თითქოს მათ პირველად აღმოაჩინეს ერთმანეთი და დაინახეს, როგორებიც არიან სინამდვილეში.

8

ვალში არც მინი რჩება და მიყვება, დაბალ კლასებში ყოფნისას, თუ როგორ სთავაზობს მოზარდებს თამაშს, რომლისგანაც ისინი აღფრთოვანებაში მოდიან. მინის მიერ გამოგონილ ამ გართობას "სოფლობანა" ჰქვია. წესები მარტივზე მარტივია: იწყებ ბავშვებთან ყველაფერზე და არაფერზე საუბარს, თან მათი ხასიათის ძირითად ნიშან"თვისებებსა და ქცევის მანერებს აკვირდები, არკვევ მათ სურვილებს. ამის შემდეგ უკვე შეგიძლია, კლასი ერთგვარ დასახლებად, სოფლად აქციო, სადაც თითოეულს მისი სურვილებისა და მოსაზრებების გათვალისწინებით, ადგილი და საქმე უნდა მიუჩინო. ასე და ამგვარად იბადება მასწავლებელი, მეფუნთუშე, ავტომექანიკოსი, ფოსტალიონი, მებაყლე, ექიმი, პროვიზორი, მიწათმოქმედი, მუსიკოსი, მოკლედ, მინის დაუსაქმებელი არავინ რჩება და თუ საჭიროა, ბავშვებთან ერთად დამატებით პროფესიებსაც იგონებს; მისი თქმით, ეს აუცილებელია. მაგალითად, სიზმრების შემგროვებლის, ღრუბლების მხატვრის გარეშე "სოფლობანა" ბევრს დაკარგავდა.
" და ხულიგანს რას უშვრები? მცირეწლოვან "ბანდიტს", რომელზეც, გინდა თუ არა, 0,4% მოდის? ისინი ვინ ხდებიან?

მინი ღიმილით მპასუხობს:

რა თქმა უნდა, ჟანდარმები!

9

სამწუხაროდ, გვერდს ვერ აუვლით ნამდვილ ბანდიტს, ბანდიტ"მკვლელს, რომელსაც რამდენიც უნდა ეცადოთ, თამაშშიც კი ჟანდარმად ვერ გადააკეთებთ. ამგვარი შემთხვევა იშვიათია, მაგრამ მაინც გვხვდება სკოლაშიც და სხვაგანაც. ჩემი პედაგოგიური მოღვაწეობის 25 წლის მანძილზე, 2500 მოსწავლეს შორის ასეთს სულ რამდენიმეს თუ შევხვედრივარ. მაგალითად, მახსოვს ერთი მოზარდი სასამართლო სკამზე, ზიზღით ნააღრევად აღვსილი, გაყინული, უმოწყალო მზერით; ყმაწვილი,

რომელსაც, როგორც კი თვალს შეავლებ, აუცილებლად გაიფიქრებ: მალე დადგება დრო, როცა, აი, ეს ვაჟბატონი კრიმინალური ქრონიკის გვერდებზე მოხვდება; რადგან მას არც შეუძლია და არც სურს რომელიმე ცდუნებას ან ახირებას წინ აღუდგეს, თავშეუკავებელია, ყველაფერზე გაუაზრებლად რეაგირებს, აგრესიულია, თავში მუდამ შურისძიება უტრიალებს. უხარია, როცა ადამიანებს ტკივილს აყენებს, ატერორებს მოწმეებს, ცივი გონებით სჩადის დანაშაულს, და, რაც მთავარია, მას არასდროს იპყრობს სინდისის ქენჯნის განცდა ... სხვაც შემიძლია გავიხსენო " თუნდაც ის თვრამეტი წლის ჯეელი, რომელმაც სრულიად უდანაშაულო კ."ს ნაჯახის დარტყმით ხერხემალი გადაუმტვრია, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ის საწყალი მოპირდაპირე კვარტალში ცხოვრობდა... ამ თხუთმეტი წლის მოზარდმა კი ფრანგულის მასწავლებელს დანა გაუყარა. ასეთებს შორის გოგონებიც გვხვდებიან. მაგალითად, ამ გოგონამ უკვე გამოიცვალა რამდენიმე კერძო სკოლა, და ვერსად ვერაფერი მოუხერხეს " დღისით უსაქმურობდა, ღამით კი ორმოცი წლის მამაკაცების მომნუსხველი, ნამდვილი ვამპირი ხდებოდა. როგორც კი სიამოვნების მაძიებელს გამოიჭერდა, თავისივე ასაკის ამფსონებთან გააქანებდა, რომლებსაც კლიენტი ჯერ წამებით სიკვდილის პირამდე მიჰყავდათ, მერე ძარცვავდნენ და უგზო"უკვლოდ ქრებოდნენ. დაკითხვის შემდეგ ღამის ლამაზმანმა შოკში ჩავარდნილ პოლიციელებს სრულიად ჩვეულებრივი ტონით ჰკითხა, ახლა თუ შემიძლია სახლში დავბრუნდეო.
ცხადია, აქ საუბარია განსაკუთრებულ მოზარდებზე. თუმცა დანაშაული თავისუფლად შეიძლება სხვადასხვა ფსიქო"სოციალური ფაქტორების მოშველიებით აიხსნას, მაგრამ ჩვენ მიერ მოყვანილ შემთხვევათა მიზეზები, ასაკის გათვალისწინებით, მაინც გამოცანად რჩება. არაფერია გასაკვირი იმაში, რომ ძალადობა მოსახლეობის გაღარიბებასთან, ჩაკეტილობასთან, უმუშევრობასთან და ახალ"ახალი სიამოვნების მიღებაზე გადაგებული მაძღარი საზოგადოების ცდუნებებთან ერთად მატულობს, თუმცა ის, რომ თხუთმეტი წლის მოზარდი საკუთარი მასწავლებლის მოკვლაზე ფიქრობს და ეს განზრახვა სისრულეში მოჰყავს, პათოლოგიური და ერთეული შემთხვევების კატეგორიაში უნდა მოვიაზროთ ... მაგრამ პრესისა და რადიო"ტელევიზიის აქტიური მხარდაჭერით ასეთი მოზარდის ახალგაზრდობის გარკვეული ნაწილის სიმბოლოდ მონათვლა პრინციპულად გაუმართლებლად მიმაჩნია; ამით ამ ახალგაზრდობას პირსისხლიანი მკვლელების ხროვად ვასაღებთ, სკოლას კი " კრიმინოგენურ კერად.

რაც შეეხება მკვლელობებს, ურიგო არ იქნებოდა, გვცოდნოდა, რომ თუ შეიარაღებულ თავდასხმებს, ქუჩაში გაჩაღებულ მუშტი"კრივს, დაყაჩაღებისა და ძარცვისას ჩადენილ მკვლელობებსა და ბანდიტურ დაჯგუფებებს შორის ანგარიშსწორებებს გამოვრიცხავთ, სისხლიანი დანაშაულებების ოთხმოცი პროცენტი ოჯახურ გარემოში ხდება. ადამიანები, უწინარეს ყოვლისა, ერთმანეთს შინ, საკუთარ ჭერქვეშ, საკუთარი მოუგვარებელი პრობლემების პირობებში ხოცავენ; სკოლის კრიმინოგენურ გარემოდ გამოცხადება კი თავისთავად სკოლის წინააღმდეგ ჩადენილი აღმაშფოთებელი კრიმინალური აქტია.

10

დღეს ბევრი ამტკიცებს, რომ ძალადობა სკოლაში ახალი ხილია და პირდაპირ უკავშირდება გარეუბნებსა და იმიგრანტებს, რომ ადრე სკოლაში ძალადობას ადგილი არ ჰქონდა. ეს აზრი დოგმამდეა აყვანილი და არანაირ განხილვას არ ექვემდებარება! ... მაგრამ, მიუხედავად ყველაფრისა, ჩემს მეხსიერებას მაინც შემორჩა 60"იანი წლების მოგონებები ჩვენ მიერ ატეხილი ხმაურითა და დაუმორჩილებლობით გაწამებულ მასწავლებლებზე. არევის ოსტატები ვიყავით. აი,

მაგონდება ის ნერვებდაწყვეტილი და შეშლილი პედაგოგი, რომელმაც ჩვენ, მესამეკლასელებს თავისი მაგიდა გამოგვიქანა. დღემდე მახსოვს ის ზედამხედველი, რომელიც სკოლიდან ხელზე ბორკილებდადებული წაიყვანეს, მან ცემით ლამის სული ამოხადა მოსწავლეს, რომელმაც იმდენი ქნა, რომ ჭკუიდან გადაიყვანა; ან ის გარეგნულად მშვენიერი და დამჯერი გოგონები " ეს უკვე ოთხმოციანებში " რომლებთან ურთიერთობითაც მასწავლებელს ნაადრევად გაუჭაღარავდა თმა. საწყალს ექიმებმა ძილით მკურნალობის სპეციალური კურსი დაუნიშნეს (მე გახლდით მისი შემცვლელი) და ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ეყო თავხედობა და მათ "კლეველი პრინცესას" 24 (მარი მადლენ დე ლაფაიეტის (1634-1693) რომანი.)წაკითხვა მოსთხოვა, რომელსაც ეს "კეთილშობილი ქალიშვილები" მოსაწყენად მიიჩნევდნენ...სამოცდაათიან წლებში " ამ ჯერზე უკვე XIX საუკუნის " ალფონს დოდე 25(ალფონს დოდე (1840-1897) - ფრანგი პროზაიკოსი და დრამატურგი, გარკვეული დროით პროვინციული სკოლის მასწავლებლის თანაშემწედ მოუწია მუშაობა. ამ ნაწყვეტს პენაკი მის ავტობიოგრაფიულ რომანს - "პატარა"-ს (1868) დაესესხა.) სევდიანად წერდა აღსაზრდელების მიერ გაწამებულ კლასის დამრიგებელზე: "სადამრიგებლოდ საშუალო კლასები ჩამაბარეს, სადაც დაახლოებით ორმოცდაათიოდე გაბოროტებული და ზიზღით აღვსილი, თორმეტიდან თოთხმეტ წლამდე ასაკის ლოყებდაბერილი პატარა ხულიგანი დამხვდა. ისინი, ყველანი, ახლახან გამდიდრებულ ფერმერთა შვილები იყვნენ, რომლებიც მშობლებმა სკოლაში მხოლოდ იმიტომ გაგზავნეს, რომ მომავალში მათგან წვრილი ბურჟუები გამოსულიყვნენ. სანაცვლოდ ამ მზრუნველ მამებსა და დედებს ტრიმესტრში მხოლოდ ას ოცი ფრანკის გაღება უწევდათ. გაუზრდელები და თავხედები ერთმანეთს უხეშ სევენურ კილოკავზე ელაპარაკებოდნენ, რომლისაც არაფერი გამეგებოდა. ყველანი გარდამავალი ასაკისთვის დამახასიათებელი სიუშნოვით გამოირჩეოდნენ, დიდი და მოყინული წითელი ხელები ჰქონდათ, ბრიყვული გამოხედვა, გაციებული ხმები მამლის ყივილს მოგაგონებდათ; და ამ ყველაფერს კოლეჯის "მძიმე სუნი" დასტრიალებდა. დანახვისთანავე შემიძულეს, თუმცა ჩემი წესიერად გაცნობა ვერც კი მოასწრეს. მათ თვალში მე მხოლოდ მტერი ვიყავი " ზედამხედველი. იმ დღიდან, როცა კათედრაზე ჩემთვის განკუთვნილი ადგილი დავიკავე, ჩვენ შორის ნამდვილი ომი დაიწყო, ომი სასტიკი, დაუნდობელი და დაუსრულებელი.

ოჰ, ის სასტიკი ბავშვები!

როგორ ვიტანჯებოდი მათ გამო!
ვისურვებდი, ამ ყველაფრის შესახებ ახლა მაინც გულისწყრომის გარეშე მესაუბრა. ეს სევდა და დარდი ხომ შორეულმა წარსულმა რახანია შთანთქა; თქვენ წარმოიდგინეთ, უძლური ვარ; მეტიც, ახლა, როცა ამ სტრიქონებს ვწერ, ვგრძნობ, რომ ხელი მტკივნეული განცდებისგან ციებცხელებიანივით მიკანკალებს. ისეთი გრძნობა მეუფლება, თითქოს ჯერ კიდევ იქ ვარ...

(...)

რა საშინელებაა, ავისმსურველთა შორის იცხოვრო, მუდამ გეშინოდეს, ფრთხილობდე, ყოველწამიერად იარაღასხმული იყო; რა საშინელებაა დასჯა " ამ დროს ხომ უნებლიეთ უსამართლობასაც სჩადიხარ. აუტანელია, როცა სულ ეჭვის ჭია გღრღნის, როცა ყველგან ხაფანგი გელანდება, როცა ვერც მშვიდად დამჯდარხარ, ვერც გიჭამია და ვერც თვალი მოგიტყუებია. და

ყოველთვის, დროებითი ზავის წუთებშიც კი, ფიქრობ: "ღმერთო, ღმერთო, ნეტავი ახლა რა ჩაიფიქრეს ჩემ წინააღმდეგ?"

მაპატიეთ, დოდე, ნება მომეცით, სიმართლე პირში გითხრათ: მეტისმეტად აზვიადებთ, თქვენ ხომ გასაგებად აგიხსნეს, ეს ძალადობა სკოლის კარს მხოლოდ საუკუნის შემდეგ შეაღებსო! და ისიც გითხრეს, რომ ძალადობა, სევენიდან კი არ დაიწყებს ლაშქრობას, არამედ გარეუბნებიდანო. გასაგებია?! მხოლოდ გარეუბნებიდან!

11

ოდესღაც ადამიანების წარმოსახვაში ოროსანი იყო უქნარა მოსწავლე, დღენიადაგ კუთხეში მდგარი და თავზე ვირისჩაჩამოფხატული. თავიდან ასეთი ოროსნის უკან რომელიმე კონკრეტული სოციალური ფენა კი არ იგულისხმებოდა, არამედ უბრალოდ ბავშვი, ერთ"ერთი მრავალთაგანი, რომელიც კუთხეში დააყენეს მხოლოდ იმიტომ, რომ შინ არ იმეცადინა, არ წაიკითხა, არც არაფერი დაწერა და სკოლაში ასე სრულიად მოუმზადებელი გამოცხადდა. ეს სწორედ ის ავყია ყალთაბანდია, რომელიც ბატონ დოდეს მოსვენებას არ აძლევდა. დღეს კი, პირველად ჩვენს ისტორიაში, გაჩნდა მთელი კატეგორია ბავშვებისა და მოზარდებისა, რომელსაც ყოველდღიურად ასხამენ თავს ლაფს და შანთავენ სიმბოლური ოროსნის დაღით. მათ უკვე აღარ აყენებენ კუთხეში, არც იმ სამარცხვინო ჩაჩის დახურვას აიძულებენ. თვით სიტყვა "ოროსანი" კარგახანია მოძველდა და ხმარებიდან ამოვარდა; რასიზმი სამარცხვინო დანაშაულად შერაცხეს და საბოლოოდ დაგმეს, მაგრამ მიუხედავად ზემოთქმულისა, ამ მოზარდებს განუწყვეტლივ იღებენ ფირზე, უჩვენებენ მთელ საფრანგეთს. ზოგიერთი მათგანის "საგმირო საქმეებს" კილომეტრიანი სტატიები ეძღვნება, რომელშიც მათ წარმოაჩენენ, როგორც სახალხო განათლების სხეულზე აღმოცენებულ უკურნებელ სიმსივნეს. უფრო მეტიც, მოგვიწოდებენ, ისე მოვერიდოთ მათ, როგორც შავ ჭირს. ჩვენი ქმედებები თამამად შეიძლება სასკოლო აპარტეიდად მოინათლოს. ჩვენ ეს მოზარდები მთლიანად ახალგაზრდობასთან, ყველა გარეუბნელთან გავაიგივეთ. საზოგადოების წარმოდგენაში ისინი ყველანი ოროსნები და ხულიგნები არიან, თან ძალიან საშიშნი! სწორედ ისინი არიან სკოლაც, რადგან როცა სკოლაზე ჩამოვარდება საუბარი, მხოლოდ მათზე ლაპარაკობენ.
... და ეს ყველაფერი იმიტომ, რომ სკოლა მაშინ ახსენდებათ, როცა მათზე ლაქლაქი სურთ.

12

ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ დღევანდელი მოზარდების მიერ ჩადენილი დანაშაული (რეკეტი, ნაცემი მასწავლებლები, გადაბუგული სკოლის შენობები, გაუპატიურებები) სისასტიკითა და სერიოზულობით არც კი ღირს, შევადაროთ წარსულ წლებში ჩადენილს, რომელიც საბოლოო ჯამში, მეტ"ნაკლებად კონტროლს დაქვემდებარებული აგრესიულობითა და დაუმორჩილებლობით შემოიფარგლებოდა და არასდროს გასცდენია სასწავლო დაწესებულებებს. თანაც, რაოდენ იშვიათიც უნდა იყოს ასეთი დანაშაულებები, მათი სიმბოლური მნიშვნელობა მაინც საშინლად დამთრგუნველია, ხოლო ტელევიზიის, პრესის, ინტერნეტის და მობილური ოპერატორების საშუალებით მომხდარის შესახებ ცნობის ელვისებური გავრცელება აათმაგებს საფრთხის შეგრძნებას.

არც ისე დიდი ხნის წინათ, საღღაც დინის მახლობლად, ერთ"ერთ ზოგადსაგანმანათლებლო ტექნიკურ ლიცეუმს ვესტუმრე. რამდენიმე კლასთან შეხვედრა მქონდა დაგეგმილი.

ღამე სასტუმროში.

უძილობა.

ტელევიზორი.

რეპორტაჟი.

ვუყურებ, როგორ ესხმიან ახალგაზრდების ჯგუფები შემთხვევით გამვლელებს მარსის ველზე გამართული სტუდენტური გამოსვლების დროს. აი, მათი ერთ"ერთი მსხვერპლი ძირს ეცემა. ეს ბიჭია, რომელიც ჩემი ვარაუდით, თავდამსხმელების ტოლი თუ იქნება. მას უმოწყალოდ სცემენ. ბიჭი წამოდგომას ახერხებს, მაგრამ არ ეშვებიან, ისევ ურტყამენ და ბიჭი მოწყვეტით ეცემა ძირს. ცემა არ წყდება. მსგავს სცენებს სხვებსაც ბევრს აჩვენებენ. სცენარი ყველგან უცვლელია: მსხვერპლს შემთხვევით ირჩევენ, როგორც წესი, ბანდის რომელიმე წევრის ახირებით. წამში ჯგუფი სისხლმოწყურებულ მტაცებელ ცხოველთა ხროვას ემსგავსება, რომელიც არავის ინდობს. ხროვა მისდევს ყველაფერს, რაც მოძრაობს. ერთიმეორეს აქეზებენ და ყველანი საერთო ჟინით შეპყრობილები გასროლილი ჭურვის სისწრაფით მიქრიან. მოგვიანებით, იმავე გადაცემაში ერთ"ერთის მამა იტყვის, ჩემი შვილი არაფერ შუაშია, სხვებმა ჩაითრიესო. ეს მამიკო, პრინციპში, მართალიცაა, ყოველ შემთხვევაში, ამ სიტყვის კინეტიკური გაგებით: ექაჩებოდნენ, ექაჩებოდნენ და, ბოლოს და ბოლოს, ჩაითრიეს. ისე, საინტერესოა, მაქსიმილიანეც ერთ"ერთი ასეთი დაჯგუფების წევრია? ამ კითხვამ წამიერად გამიელვა თავში. თუმცა აქ ძალადობა იმდენად დაუსაბუთებელი და უმიზეზოა, რომ არ არის გამორიცხული, ჩვენი მაქსი მსხვერპლთა შორის აღმოჩნდეს. აქ არავის ეცერემონებიან, გაცნობას ელემენტარულად ვერ მოასწრებ; აგრესია ბრმა, მყისიერი და ექსტრემალურია (გადაცემა 12 წლის ასაკამდე ბავშვებისთვის მიზანშეუწონელიაო, " გვაფრთხილებს წარწერა. არადა, პირველად "პრაიმ"თაიმის" დროს აჩვენეს. როგორ გგონიათ, აკრძალული ხილით აგზნებული მოზარდები ეკრანს თვალს მოაცილებდნენ?). სცენებს მოწვეული პოლიციელი და ფსიქოლოგი უკეთებენ კომენტარს. ფსიქოლოგი საუბრობს რეალობას მოწყვეტილ უმუშევართა სამყაროზე, რომელიც დანაშაულით არის გაჯერებული. პოლიციელი განსხვავებული რაკურსით უდგება საქმეს. იგი კონკრეტულად დაზარალებულთათვის მიყენებულ ზიანზე ამახვილებს მაყურებლის ყურადღებას და დამნაშავეთა დასჯის აუცილებლობის საკითხაც სვამს. ერთიც და მეორეც თავისებურად მართლები არიან, მაგრამ ისეთი შთაბეჭდილება მექმნება, რომ ისინი შეუთავსებელ პოზიციებზე დგანან " ერთი ფსიქოლოგის გაღეღილი პერანგით, მეორე კი " პოლიციელის მჭიდროდ განასკვული ჰალსტუხით.

ვაგრძელებ ყურებას. ამჯერად პოლიციის მიერ დაკავებულ ოთხი ახალგაზრდისგან შემდგარ ჯგუფს გვიჩვენებენ. მათ ბარმენის მკვლელობა ედებათ ბრალად. გართობის მიზნით სასიკვდილოდ უცემიათ. ახალგაზრდა გოგონა ამ სცენას მობილურით იღებდა. ერთი"ორჯერ თვითონაც მიაყოლა

წიხლი მსხვერპლს, ისე წარბშეუხრელად, გეგონება, ბურთს წაეთამაშაო. პოლიციის კომისრის აზრით, რომელმაც ისინი დააპატიმრა, ამ მოზარდებს მთლიანად ჰქონდათ რეალობის შეგრძნება დაკარგული და აქედან გამომდინარე, ყოველგვარი ზნეობრივი შეგნებაც. ასე და ამგვარად ერთობოდა ეს შესანიშნავი ოთხეული ღამღამობით: უმოწყალოდ სცემდნენ უდანაშაულო ადამიანებს და თან ამ თავიანთ "გმირობას" იღებდნენ. სათვალთვალო კამერებმა დააფიქსირა, თუ როგორ გადადიოდნენ ეს ხულიგნები სრულიად აუღელვებლად ერთი თავდასხმიდან მეორეზე. შეუძლებელია "მექანიკური ფორთოხლის" მოძალადე ძმაკაცების თავგადასავლები არ გაგხსენებოდათ. ძალადობის სცენების მობილური ტელეფონის საშუალებით გადაღება ახალი მოდაა, განმარტავს კომენტატორი. ამას წინათ, ამ ორიგინალური ტენდენციის მსხვერპლი ერთი ახალგაზრდა ქალბატონი გახდა, პროფესიით მასწავლებელი. თავდასხმა მისსავე კლასში მოხდა. კადრები: ვხედავთ მოსწავლეს, რომელსაც მასწავლებელზე მიაქვს იერიში, იატაკზე წააქცევს მას და ფეხებით შედგება. პარალელურად ყველაფრის გადაღება მობილური ტელეფონით მიმდინარეობს (დღეს ნებისმიერს შეუძლია მსგავსი სცენები ინტერნეტიდან გადმოტვირთოს. შეიძლება, საგანგებოდ შერჩეული მუსიკაც დაურთოთ ზედ). ზოგიერთი მოზარდის კომენტარი გაფიქრებინებთ, რომ რეალობას საღი გონებით აფასებს. როგორც ჩანს, კადრებმა ნაცემი მასწავლებლის შესახებ არაერთი ჩააფიქრა. ვრთავ სხვა არხებს, დამამშვიდებელს ვერაფერს ვაწყდები. გაოგნებული ვარ ძალადობის სცენების შემცველი ფილმების სიმრავლით.

მშვიდი ღამეა. უბრალო ადამიანებს თავიანთ ლოგინებში ღრმა ძილით ჩასძინებიათ, მათ გვერდით კი ტელევიზორში ფილმები ფხიზლობენ. იქ ადამიანები ხოცავენ ერთმანეთს უმოწყალოდ, ცივი გონებით; ხოცავენ სხვადასხვა რიტმში და სხვადასხვა სტილში. ისეთი შთაბეჭდილება გრჩება, თითქოს კაცობრიობა თავისივე თავის განადგურების მანიაკური იდეით იყოს შეპყრობილი. სამეცნიერო პოპულარული პროგრამებისთვის განკუთვნილ ერთ"ერთ არხზე, ბუნების ფოტოგენურ წიაღში, ერთმანეთს უკვე ცხოველები ხოცავენ და ჭამენ, სხვათა შორის, აქაც მუსიკის თანხლებით.

ვუბრუნდები პირველ არხს. ყმაწვილი კაცი, რომლის პროფესიული მოვალეობა მსოფლიოს ყველა კუთხე"კუნჭულში გადაღებული ყველაზე შემზარავი და შთამბეჭდავი ძალადობის შემცველი ვიდეომასალის (ლინჩის წესით გასამართლება, თვითმკვლელობები, უბედური შემთხვევები, ჩასაფრებული თავდასხმები, ტერორისტული აქტები, აფეთქებები და ა. შ.) ინტერნეტქსელში განთავსება ყოფილა, თავის "საქმიანობას" ინფორმაციის აუცილებლობის შესახებ უკვე კლასიკად ქცეული ზღაპრით ამართლებს. თან ამატებს, თუ ამას მე არ გავაკეთებ, ჩემ მაგივრად სხვები გააკეთებენო. ის თურმე ძალადობის პროპაგანდას კი არ ეწევა, როგორ გეკადრებათ, უბრალოდ, მისი მაუწყებელია მხოლოდ... ჩვეულებრივი ნაძირალა, მედროვე, ერთ"ერთი იმათგანი, რომელთა წყალობითაც ეს გიგანტური მანქანა, აი, ბებია"მარკეტინგის მსგავსი არსება, ფუნქციონირებს. შეიძლება, სულაც მისი შვილია ... შეიძლება, თავადაც ჰყავს შვილები ...

გამოვრთე ტელევიზორი. ძილი არ მეკარება. ვგრძნობ, აპოკალიფსური პესიმიზმი მითრევს. ერთი მხრივ, მასობრივი გაღატაკებით გამოწვეული აგრესია, მეორე მხრივ კი " საყოველთაო შიში და სისასტიკე, მოკლედ, რეალობისგან სრული მოწყვეტა ორივე ბანაკში; საბირჟო აბსტრაქციები " შეძლებულთათვის, ვიდეოძალადობები " საზოგადოებიდან გარიყულთათვის. მსხვილ აქციონერებს რეალური უმუშევრები უმუშევრობის იდეად გარდაუქმნიათ, მცირეწლოვან ხულიგნებს კი მსხვერპლი

" მსხვერპლის აბსტრაქტულ ხატად. ყველა ჩამოთვლილ შემთხვევაში ნამდვილი ადამიანი, ცოცხალი, ხორცისა და სისხლისგან შექმნილი სულიერი არსება, უკვალოდ ქრება. მასმედიის საშუალებები, რომლებიც ამ სისხლიან ოპერას დირიჟორობენ, თავიანთი კომენტარებით ცდილობენ დაგვარწმუნონ, რომ ნებისმიერ გარეუბნელ მოზარდს შეუძლია, ქუჩებში ითარეშოს, რათა მოყვასის აბსტრაქტულ ხატამდე დაყვანილ რეალურ მოყვასს სული გააფრთხობინოს. და რა ადგილი უჭირავს აღზრდას ამ სრულ ვაკხანალიაში? სკოლას? კულტურას? წიგნს? გონიერებას? ენას? ან რა აზრი აქვს ჩემ გამოცხადებას იმ ზოგადსაგანმანათლებლო ტექნიკურ ლიცეუმში, თუ მისმა აღსაზრდელებმა, რომლებთანაც შეხვედრას ვაპირებ, მთელი ღამე ტელევიზიის ამ ყოვლისმომნელებელ სტომაქში გაატარეს.

ძილი.

გამოღვიძება.

შხაპი.

თავი ცოტა ხანს ყინულივით ცივ წყალს შევუშვირე.

ღმერთო, რამხელა ენერგია სჭირდება ადამიანს, მთელი ამ ფანტასმაგორიის ნახვის შემდეგ რეალობას რომ დაუბრუნდეს. ჯანდაბას მათი თავი! ამ რეგვნებს თანამედროვე ახალგაზრდობის მხოლოდ ასეთი იმიჯის შემოთავაზება შეუძლიათ! მე არ ვეთანხმები მსგავსი ხატების შექმნას! ეს ჩემთვის სრულიად მიუღებელია! სწორად გამიგეთ, მე არ უარვყოფ ამ რეპორტაჟში სიმართლის არსებობას; იმ საფრთხესაც კარგად ვაცნობიერებ, მოძალადენი რომ გვიმზადებენ. მე, ისევე, როგორც ნებისმიერ თქვენგანს, შიშის ზარს მცემს ძალადობის თანამედროვე ფორმები, მაფრთხობს ბრბოს ფსიქოლოგია, მისი თავგასულობა... მე ვიცი, რა სიძნელეებთან არის დაკავშირებული ზოგიერთ გარეუბანში ცხოვრება; ვიცი, სადამდე შეიძლება მიგიყვანოს სათვისტომოთა ჩაკეტილობამ; მესმის, როგორი მძიმეა, იქ იყო სუსტი სქესის წარმომადგენელი, გახდე ქალი, დედა. გასაგებია ის რისკიც, რომლის წინაშეც შეიძლება, აღმოჩნდნენ ბავშვები იმ ოჯახებიდან, სადაც არანაკლებ ორმა თაობამ მაინც იწვნია უმუშევრობის მწარე გემო: ხომ წარმოგიდგენიათ, რა ადვილად მოსაპოვებელი ნადავლი შეიძლება გახდნენ ისინი ნებისმიერი ჯურის თაღლითისთვის?! მე ეს ყველაფერი მშვენივრად ვიცი და არც იმ პრობლემებზე ვხუჭავ თვალს, რომელთა გადალახვაც მათ უწევთ ყველაზე ბინძური სოციალური ჭაობის ყველაზე გახრწნილ ელემენტებთან ურთიერთობისას; მაგრამ მე უარს ვამბობ, ეს უკიდურესი სისასტიკისა და ძალადობის ამსახველი კადრები ყველა კეთილდღეობას მოკლებული რაიონის ყველა მოზარდს დავუკავშირო; და კიდევ ერთი, მძულს, როცა ღარიბის წინაშე შიში ეუფლებათ; ეს ის შიშია, რომელსაც მსგავსი პროპაგანდა აღვივებს ყოველი წინასაარჩევნო კამპანიის დროს! სირცხვილი იმათ, ვინც ამ მზრუნველობასა და ყურადღებას მოკლებული ახალგაზრდებისგან საყოველთაო მოჩვენებითი შიშის ობიექტს ქმნის. ეს ჩვენი საზოგადოების ის გადაგვარებული ნაწილია, რომელსაც ღირსებაც დაუკარგავს და სინდისიც, რომ არაფერი ვთქვათ მამობრივ გრძნობებზე.

აღმოჩნდა, რომ დღეს ზოგადსაგანმანათლებლო ტექნიკურ ლიცეუმში ზეიმია, სკოლის ზეიმი! სულ რაღაც ორი"სამი დღით სკოლა გამოფენად გადაქცეულა, სადაც წარმოდგენილი იქნება ყველაფერი ის, რასაც მოსწავლეები გაკვეთილებისგან თავისუფალ დროს თვითონვე ქმნიან: ფერწერა, მუსიკა, თეატრალური დადგმები, არქიტექტურული პროექტები; თავად აუწყვიათ საგამოფენო სტენდები სასწავლო ნაწილის გამგისა და რამდენიმე პედაგოგისგან შემდგარი ჯგუფის აქტიური ზედამხედველობითა და მონაწილეობით. ეს ის ადამიანები არიან, რომლებიც ყოველ ბიჭუნას, ყოველ გოგონას გვარსახელით იცნობენ. ჰოლში პატარა სასკოლო ორკესტრი უკრავს. ასე რომ, დერეფნებში კლასიკური მუსიკის თანხლებით დავდივარ. სააქტო დარბაზში სამი"ოთხი კლასი მელოდება. ორი საათით ყველანი ერთად კითხვა"პასუხის ჩამთრევ თამაშში გადავეშვით. მათი ხალისიანობის, გონიერების, სიცოცხლის სიყვარულის, ჯანმრთელი სიცილ"კისკისის, მოულოდნელი სერიოზულობისა და მახვილგონივრული მიგნებების, განსაკუთრებით კი მაცოცხლებელი ენერგიის წყალობით, მე ჩემი წუხანდელი ტელეკოშმარისგან საბოლოოდ განვიკურნე.

დაბრუნება.

სადგურის ბაქანი.

ალის გზავნილი მობილურზე:

"გაუმარჯოს! ჩვენი ხვალინდელი "რანდევუ" არ დაგავიწყდეს. ჩემმა მოსწავლეებმა ფილმების მონტაჟი თითქმის დაასრულეს. აუცილებლად უნდა მოხვიდე, მოუთმენლად გელოდებიან. დაწყნარდებიან მხოლოდ მაშინ, როცა შენ ნახავ ყველაფერს, რაც მათ გააკეთეს!"

VI აქ იმაზე, თუ რას ნიშნავს სიყვარული

"ამქვეყნად ცოტა ზედმეტად კეთილი უნდა იყო,

რომ ეს სიკეთე საკმარისი აღმოჩნდეს.
"

მარივო

"სიყვარულისა და შემთხვევითობის თამაში".

1

როგორც კი სასოწარკვეთილი დედები ყურმილს კიდებენ, მე დავაცხრები ხოლმე ტელეფონს, რათა მათი ბედოვლათი შვილები რომელიმე სკოლაში მოვაწყო. სათითაოდ ვურეკავ ყველა ჩემს კოლეგას, ძველ მეგობრებს, უიმედო შემთხვევების მოგვარებაში გამოცდილებს, ჩემი მხრივ კი უნუგეშო დედის როლს ვირგებ. სატელეფონო ხაზის მეორე ბოლოში ამაზე გულიანად ერთობიან.
- ააა, დაკარგულო, გამოჩნდი? კარგა ხანია, შენგან არაფერი გვსმენია, თუმცა რა, შენ ხომ ამ დროს გახსენდებით ხოლმე!

- რა მითხარი, ვერ გავიგე კარგად, რამდენი გაცდენა აქვს წელიწადში? ოცდაჩვიდმეტი? ოცდაჩვიდმეტი დღე სკოლაში არ უვლია და გინდა, რომ მე ავიყვანო? შენ, მგონი, საერთოდ გააფრინე! ეტყობა, გადაწყვიტე, ხელებზე ბორკილებდადებული ჩაგვაბარო.

დიდიე, ფილიპი, სტელა, ფანშონი, პიერი, ფრანსუაზა, იზაბელი, ალი და სხვანი... ვინ მოთვლის, რამდენი ბავშვი გადაურჩენიათ. მარტო ნიკოლი რად ღირს. მისი ლიცეუმი ხომ ყოველთვის ღიაა ყველა წყალწაღებულისა და უმაქნისისთვის...

იყო შემთხვევები, როცა შუა წელიწადში მიწევდა ხვეწნა-მუდარა.

- მიდი რა, ფილიპ, რამე მოიფიქრე რა, გეხვეწები.

- რატომ გამოაპანღურეს სკოლიდან? ჩხუბისთვის? და სად მოაწყო მუშტი-კრივი, სკოლის შიგნით? და მერე, სკოლის გარეთაც? სავაჭრო ცენტრის დაცვის ბიჭებთან? თან მეუბნები, რომ პირველად არ აუტეხია მსგავსი ამბავი? კარგი საშობაო საჩუქარი კი მოგიმზადებია ჩემთვის! კარგი, კარგი, გამომიგზავნე. ვნახოთ, რის გაკეთება შეიძლება.

ან ეს საუბარი სკოლის დირექტორ მადმუაზელ ჟ.-სთან, რომელიც ერთ რამედ ღირს. როცა ვესტუმრე, ორ გაერთიანებულ კლასს ფხიზლად ედგა თავზე და საკონტროლოს აწერინებდა... სიჩუმე, ყურადღების სრული მობილიზაცია. ზოგიერთებს კალამი პირში ჩაუჩრიათ და ღეჭავენ, ზოგსაც ცერა და საჩვენებელ თითებს შორის მოუქცევია და ციბრუტივით ატრიალებს (ნეტავ როგორ ახერხებენ ამას? ბევრჯერ ვცადე ბავშვობაში, მაგრამ არაფერი გამომივიდა). ზოგიერთებისთვის მასწავლებელს შავად საწერად მწვანე ფურცლები ჩამოურიგებია, დანარჩენისთვის კი - ყვითელი... ისეთი დაძაბული სიჩუმეა, ჰაერში ფიქრების ფარფატსაც კი გაიგონებს კაცი; მე ყოველთვის მიყვარდა სადილის შემდგომი სიჩუმე, მიყვარდა ის სიჩუმეც კლასში რომ დაისადგურებდა ხოლმე. ბავშვობაში ამ ორ სიჩუმეს ერთმანეთს ვუკავშირებდი. საერთოდ, ვაღიარებ, რომ დაუმსახურებელი დასვენებებისა და განცხრომისადმი ვიყავი მიდრეკილი. კარგად ვფლობდი თავის მოკატუნების ხელოვნებასაც. შემეძლო, მთელი გაკვეთილის განმავლობაში ერთი სიტყვაც არ დამეწერა და ვერავინ ვერაფერს მიმხვდარიყო. მაგრამ მადმუაზელ ჟ.-ს ზედამხედველობით მსგავსი "თამაში" გამორიცხულია.

როცა შევედი, კი დამინახა, მაგრამ წარბიც არ შერხევია. მშვენივრად იცოდა, რომ გასართობად არ ვიქნებოდი მისული და უმიზეზოდ არ შევაწუხებდი. რადგან საკონტროლო წერის დროს თავს ასეთი ნაბიჯის გადადგმის უფლება მივეცი, ცხადია, კარგი და სასიამოვნო არც არაფერი მექნებოდა სათქმელი. მის მაგიდას უხმაუროდ მივუახლოვდი, დავიხარე და ყურში "დამსახურებების" ჩამონათვალი ჩავჩურჩულე:

- თხუთმეტი წლისა და რვა თვის, მესამე კლასში ორჯერ ჩარჩენილი, ათი წელია, წიგნი ხელში არ აუღია. რამდენჯერმეა გარიცხული სხვადასხვა მიზეზების გამო, ერთი თვის წინ პოლიციამ დააკავა მეტროს ბაქანზე თმის სამაგრებით უკანონო ვაჭრობისათვის. დედამისი სახლიდან წავიდა და ღმერთმა უწყის, სადაა გაქცეული, მამა კი აბსოლუტურად უპასუხისმგებლო კაცია. აიყვანთ?

მადმუაზელ ჟ. ზედაც არ მიყურებს, თავის სამწყსოს თვალს არ აცილებს და თანხმობას თავის დაქნევით მაძლევს.

- მხოლოდ ერთი პირობით, - ჩურჩულებს ტუჩების შეურხევლად.

- აბა, გისმენთ!

- ჩემგან მადლობის წერილს ნუ დაელოდებით.

ო, ჩემო მადმუაზელ ჟ., ნამდვილი ბრიტანელი თუ მოიქცეოდა ასე. თქვენი მდუმარე თანხმობა ჩემთვის ერთ-ერთი საუკეთესო მოგონებაა მასწავლებლებზე. ეს მარივოს აქვს დაწერილი! დიახ, მარივოს, გესმით? რომელიმე თქვენს ღვთისმოსავ წიგნში კი არა, მარივოსთან უნდა ეძებოთ. მოიცა, აი, ვიპოვე კიდეც ეს ფრაზა, რომელიც შეიძლება, საიდუმლო დევიზად გამოგადგეთ: "ამქვეყნად ცოტა ზედმეტად კეთილი უნდა იყო, რომ ეს სიკეთე საკმარისი აღმოჩნდეს".

და ეს ამართლებს, ნამდვილად ამართლებს, მერწმუნეთ! თქვენ ხომ ის ყმაწვილი სიმწიფის ატესტატამდე მიიყვანეთ.

2

ხშირად ერთი მასწავლებელიც კი საკმარისია, რომ საკუთარი თავისგანაც გვიხსნას და სხვა ვაიმასწავლებლებისგანაც.
ყოველ შემთხვევაში, მე ასეთი მოგონება შემომრჩა ბატონ ბალიზე.

ის მათემატიკას გვასწავლიდა პირველ კლასში. ჟესტიკულაციით კითინგის სრული ანტიპოდი გახლდათ. ძნელია უფრო ნაკლებად კინემატოგრაფიული პედაგოგი წარმოიდგინო. რაღაცნაირი კაცი იყო. მის ფორმა-აღნაგობას მე უფრო ოვალურს დავარქმევდი. მაღალი და წვეტიანი ხმა ჰქონდა. მის გარეგნობაში არაფერი იყო განსაკუთრებული, ერთი ნაკვთიც კი არ მიიპყრობდა თქვენს ყურადღებას. კლასში შესვლას ვერავინ დაასწრებდა. მიუჯდებოდა საკუთარ მაგიდას და მოთმინებით გველოდა. პირველი სიტყვებიდანვე მათემატიკის სამყაროში ამოგვაყოფინებდა ხოლმე თავს. და მაინც, რისგან შედგებოდა ეს ერთსაათიანი გაკვეთილი, რომელიც ასე გვითრევდა და სხვა ყველაფერს გვავიწყებდა?! თვით იმ საგნისგან, რომელსაც ბატონი ბალი გვასწავლიდა და რომლითაც, როგორც ჩანს, მთელი მისი არსება იყო მოცული, რაც მას საოცრად ხალისიანს, მშვიდს, გულისხმიერსა და დაუჯერებლად კეთილს ხდიდა. ცოდნით შობილი ეს უცნაური სიკეთე ბუნებრივად ბადებდა მასში სურვილს, გაეზიარებინა ჩვენთვის ცოდნა, რაც მის გონებასა და წარმოსახვას აღაფრთოვანებდა. ამ ადამიანისთვის, ალბათ, წარმოუდგენელიც კი იყო, რომ მისი საყვარელი საგანი უსიამოვნო, უცხო და გაუგებარი ყოფილიყო ჩვენთვის. ბალი, ყველაფერთან ერთად, ისეთი მიამიტისა და უცოდველის შთაბეჭდილებას ტოვებდა, გეგონება, მათემატიკური ბაგა-ბაღიდან გაიტაცესო. აზრადაც არ მოუვიდოდა, რომ ვინმეს მისთვის გაკვეთილის არევა გაევლო გულში. არც ჩვენ გვიფიქრია ოდესმე მისი აბუჩად აგდება ან გამასხარავება. ცოდნის გადაცემით მინიჭებული ბედნიერება, სახეზე რომ აღბეჭდვოდა, ჩვენ ამის უფლებას არასდროს მოგვცემდა.

ვერ ვიტყვი, რომ ჩვენ დიდი მორჩილებით გამოვირჩეოდით. სრულიადაც არა. ყველანი ჯიბუტის ნაგავსაყრელიდან ვიყავით გამომძვრალი და, ბუნებრივია, მაინცდამაინც მიმზიდველად ვერ გამოვიყურებოდით. დღემდე მახსოვს ღამის ჩხუბები და თავპირისმტვრევები, ანგარიშსწორებები და საქმის გარჩევები, რომლებიც ნამდვილად არ იყო სინაზითა და სითბოთი გამორჩეული. მაგრამ, როგორც კი ბალის გაკვეთილზე აღმოვჩნდებოდით, მაშინვე თავით ფეხებამდე მათემატიკის ოკეანეში გადავეშვებოდით ხოლმე. ეს ერთგვარ ნათლობასა და განწმენდას ემსგავსებოდა. ერთი საათის შემდეგ, როცა ტალღა ყველას ისევ ხმელეთზე გადმოგვისროდა, თავი უბრალო მოსწავლეები კი არ გვეგონა, არამედ ჩამოყალიბებული მათემატიკოსები.

პირველი შეხვედრის დროს, როცა ვითომ ყველაზე "მაგრებმა" თავი გამოვიდეთ და ნულებით ტრაბახსაც არ მოვერიდეთ, მან ღიმილით მოგვიგო, რომ "ცარიელი სიმრავლის" არ სჯეროდა. ამ განცხადებას რამდენიმე უმარტივესი შეკითხვაც მოაყოლა. ჩვენს ელემენტარულ პასუხებზე გაგიჟდა და გადაირია, ღამის გენიოსებად მოგვიხსენია. თვითნაბადი ოქროები ხართო, იძახა. ჩვენც, იცოცხლე, მაგრად ვიხალისეთ. ბოლოს, დაფასთან მივიდა, ციფრი 12 მიაწერა და გვკითხა, ეს რა არისო.

ყველაზე თავხედებმა, რასაკვირველია, სიტუაციიდან თავის დაძვრენა ანგლობით სცადეს.

- 12 თითი ხელებზე.

- 12 მცნება.

ბალის მიამიტმა ღიმილმა ბოლო მოგვიღო.

- ეს თქვენი მინიმალური შეფასებაა გამოსაშვებ გამოცდაზე.

მცირეოდენი პაუზის შემდეგ კი დასძინა:

- რა თქმა უნდა, თუ შიშისგან გათავისუფლდებით.

და კიდევ დაამატა:

- მგონი, საკმარისია ამის შესახებ საუბარი, იმიტომ რომ ჩვენ აქ გამოსაშვები გამოცდებით კი არ უნდა დავკავდეთ, არამედ მათემატიკით.

თქვა და შეასრულა. ბალი გამოსაშვები გამოცდების თემას არასდროს მიბრუნებია. მთელი წელი, ნაბიჯ-ნაბიჯ, ჩვენ ამოთრევას ცდილობდა უმეცრების ჭაობიდან. ჩვენ გასართობად და გასამხნევებლად კი ამ ჭაობს მეცნიერების საბადოს და ცოდნის ჭას უწოდებდა. თუ რამე იცოდი, აუცილებლად დაგიფასებდა, ქებით მეცხრე ცაზე აგიყვანდა. აღფრთოვანებული ვარ, რაღაც-რაღაცეები მაინც რომ იცითო, - ამბობდა.

- თქვენ გგონიათ, რომ არაფერი იცით, მაგრამ, დამიჯერეთ, ცდებით. თქვენ უამრავი რამ იცით, უამრავი. პენაკიონი, აი, მაგალითად, შენ აზრად მოგივიდოდა, რომ ეს იცოდი?!

მართალია, ბალის მათემატიკამ ჩვენგან გენიოსები ვერ გამოიყვანა, მაგრამ ის კი მოახერხა, - მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი "ცოდნის ჭა" მეტისმეტად ღრმა იყო - ეროვნულ გამოცდაზე ყველანი გამსვლელ ქულამდე ავექაჩეთ.

დაბოლოს, ყველაზე მთავარი: ბატონ ბალის სიტყვა არ დასცდენია იმ უბადრუკ მომავალზე, რომელიც ბევრი მასწავლებლის ღრმა რწმენით, ჩვენ გველოდა.

3

საინტერესოა, თავად თუ იყო დიდი მათემატიკოსი? ან მადმუაზელ ჟ., რომელიც მომდევნო წელს გვასწავლიდა, იყო დიდი ისტორიკოსი? ან ბატონი ს., რომელიც უკვე გამოსაშვებ კლასში ფილოსოფიას გვიკითხავდა - დიდი ფილოსოფოსი? შეიძლება, მაგრამ დანამდვილებით ვერაფერს მოგახსენებთ. ერთი რამ ვიცი მხოლოდ, ამ სამ ადამიანს უზომოდ უყვარდა თავისი საგანი და ეს გატაცება გადამდები იყო. ამ სიყვარულითა და გატაცებით შეიარაღებულნი მე მომადგნენ, სასოწარკვეთილების ჯურღმულებში ჩაძირულს ჩამებღაუჭნენ, ზედაპირზე ამომათრიეს და მანამ არ მომეშვნენ, სანამ თავიანთ საგნებში ფეხზე არ დამაყენეს. ეს საგნები კი, მოგვიანებით მივხვდი, ჩემი ცხოვრების კარიბჭე აღმოჩნდა. მე იმის თქმა არ მსურს, რომ ისინი სხვებზე მეტად ჩემით

დაინტერესდნენ, არა, სრულიადაც არა. ისინი ერთნაირად უყურებდნენ ყველას - კარგებსაც და ცუდებსაც; ის კია, რომ ამ უკანასკნელებში განსაკუთრებულად ცდილობდნენ, გაგების სურვილი გაეღვივებინათ. ნაბიჯ-ნაბიჯ აკვირდებოდნენ ჩვენს ძალისხმევას, უხაროდათ წარმატებებს რომ ვაღწევდით, არ აღიზიანებდათ ჩვენი სიზანტე. ჩვენს წარუმატებლობებს პირად შეურაცხყოფად არ აღიქვამდნენ, პირიქით, უფრო მომთხოვნი ხდებოდნენ, მაგრამ ეს მომთხოვნელობა მხოლოდ მათი შრომის ხარისხზე, სისტემატურობასა და კეთილშობილებაზე იყო დაფუძნებული. სხვა მხრივ კი ძნელია, წარმოიდგინო ერთმანეთისგან ასე განსხვავებული მასწავლებლები. ბატონი ბალი წყნარი, აუღელვებელი, კეთილგანწყობილი, ღიმილიანი, მე ვიტყოდი, ნამდვილი მათემატიკური ბუდა იყო; მადმუაზელ ჟ. კი, პირიქით - ქარბორბალა, ტორნადო.

გვეტაკებოდა და წამში შემოგვაცლიდა სიზარმაცის გარსს, რათა შემდეგ ისტორიის ბობოქარ მორევში ჩავეთრიეთ; ბატონი ს. სკეპტიკოსი ფილოსოფოსი გახლდათ, ნატიფი (ნატიფი ცხვირი, ნატიფი შლაპა, ნატიფი ღიპი), ურყევი, გამჭრიახი; საღამოს შინ დაბრუნებულს მისი კითხვებისგან თავი მიხურდა, მაგრამ იმავდროულად, სურვილი მკლავდა, მათზე პასუხი გამეცა. ყოველ ჯერზე ვეებერთელა თხზულებებს ვაბარებდი. უშველებელი, მაგრამ ამომწურავიაო, მეტყოდა. ამით დელიკატურად მიმანიშნებდა, რომ მისთვის უფრო მოსაწონი ლაკონური ნაშრომების გასწორება იქნებოდა.

თუ დავუფიქრდებით, ამ სამ პიროვნებას ერთი რაღაც მაინც ჰქონდა საერთო, არც ერთს არ უყვარდა დათმობა, ნადავლის ხელიდან გაშვება. თუ ჩაგაფრინდებოდნენ, თავს არ დაგანებებდნენ. ჩვენი მხრიდან უმეცრების გულწრფელ აღიარებაზე ყურსაც არ იბერტყავდნენ. უშედეგო იყო თავის მართლების ნებისმიერი მცდელობა (მადმუაზელ ჟ.-მ, ვინ იცის, რამდენჯერ მაიძულა, ჩემი ნამოღვაწარი უპატიებელი ორთოგრაფიული შეცდომების გამო თავიდან ბოლომდე გადამეწერა. ბატონ ბალის თავისი ახირება ჰქონდა: დერეფანში დაბნეულს ან უაზროდ მოხეტიალეს თუ გამოგიჭერდა, ან დამოუკიდებელი მეცადინეობისათვის განკუთვნილ დარბაზში მეოცნებე მზერით ჭერს მიშტერებულს, დამატებითი გაკვეთილი გამოწერილი გქონდა. მოგიახლოვდებოდა და გეტყოდა: მათემატიკის ერთი პატარა გაკვეთილი ხომ არ ჩაგვეტარებინა, რა მოხდებოდა, ვითომ? სულ თხუთმეტი წუთი, მეტი არა... ჰა, რას იტყვი, პენაკიონი? რადგან ორივენი აქ აღმოვჩნდით, ბარემ წავიმეცადინოთ კიდეც, მხოლოდ თხუთმეტი წუთი, არც მეტი, არც ნაკლები). ეს იყო წყალწაღებულის გადარჩენის მძაფრი სურვილი, ძალა, რომელიც ზედაპირისკენ გექაჩება, შენ კი ცოცხალი თავით არ ნებდები და ცდილობ დაუსხლტე, მარჯვენა, რომელიც ქეჩოში ჩაგაფრინდა და არ გეშვება, - აი, პირველი, რაც მომდის თავში, როცა მათზე ვფიქრობ. ამ ადამიანებთან, მათ გაკვეთილებზე დასწრებისას, თითქოს ხელმეორედ ვიბადებოდი, ჩემს ნამდვილ მე-ს ვუბრუნდებოდი და ეს, თუ შეიძლება ასე ითქვას, ახლად დაბადებული მე-მათემატიკოსი, მე-ისტორიკოსი და მე-ფილოსოფოსი ერთი საათის განმავლობაში ივიწყებდა იმ მეორე მე-ს, მეორეხარისხოვან წინადადებასავით ფრჩხილებში აქცევდა მას, მათავისუფლებდა მისგან, იმ მე-სგან, რომელიც ამ მასწავლებლებთან შეხვედრამდე ხელს მიშლიდა, რათა ამქვეყნად ჩემი არსებობა მთელი სისავსით შემეგრძნო.

და კიდევ ერთი: მე ვფიქრობ, რომ მათ თავიანთი საგნის გადაცემის ერთგვარი სტილი ჰქონდათ. ისინი შეუდარებელი მსახიობები იყვნენ. ეს გაკვეთილები, ცხადია, ცოდნის გადაცემის აქტს წარმოადგენდა, მაგრამ მათი გამოცდილება და ინტელექტუალური მარაგი იმდენად ამოუწურავი, იმდენად შთამბეჭდავი იყო, რომ მთელი პროცესი სპონტანური შემოქმედების იერს იძენდა. მათი სილაღისა და უშუალობის წყალობით, ყოველი ჩატარებული გაკვეთილი ღირსშესანიშნავ და დასამახსოვრებელ მოვლენად იქცეოდა ხოლმე; ისეთი შთაბეჭდილება გექმნებოდათ, თითქოს მადმუაზელ ჟ. თქვენ თვალწინ აცოცხლებდა ისტორიულ მოვლენებს, ბატონი ბალი ამწუთას, ხელმეორედ აღმოაჩენდა მათემატიკას, ბატონი ს.-ის პირით კი თავად სოკრატე ღაღადებდა. მათი

ყოველი გაკვეთილი ისეთივე მნიშვნელოვანი და დასამახსოვრებელი იყო, როგორიც ესა თუ ის ცნობილი თეორემა, სამშვიდობო ხელშეკრულება თუ ფუნდამენტური აზრი, რომელზეც იმ დღეს იყო საუბარი.

ამით მთავრდებოდა მათი ზეგავლენაც ჩვენზე, ყოველ შემთხვევაში, ხილული და აშკარა. საგნის სწავლების გარდა, ეს სამი პიროვნება არც კი ცდილობდა ჩვენზე რაიმე ზემოქმედების მოხდენას.

ისინი არ მიეკუთვნებოდნენ იმ მასწავლებელთა რიცხვს, მოზარდთა კონტინგენტზე თავიანთი გავლენით რომ თავს იწონებენ, განსაკუთრებით კი იმათზე, რომლებიც მამობრივ ყურადღებასა და ხელს იყვნენ მოკლებულნი; ნეტავ თუ ჰქონდათ გაცნობიერებული, რომ ბავშვების თვალში ისინი არა მხოლოდ მასწავლებლები, არამედ განმათავისუფლებლებიც იყვნენ; რაც შეგვეხება ჩვენ, ჩვენ მათთვის მხოლოდ მოსწავლეები ვიყავით ერთ კონკრეტულ - მათემატიკის, ისტორიის, ფილოსოფიის - საგანში. ისიც მართალია, რომ ჩვენ ამის გამო ერთგვარი სნობური სიამაყე გვეუფლებოდა. თავს რომელიღაც დახურული კლუბის წევრებად მივიჩნევდით. ისინი კი, დარწმუნებული ვარ, ძალიან გაიკვირვებდნენ, რომ ორმოცდახუთი წლის შემდეგ, ერთ-ერთ ყოფილ მოსწავლეს მათ მიმდევრად ჩაეთვალა თავი და მზად ყოფილიყო, ლამის ძეგლი დაედგა მათთვის! მით უმეტეს, ნაკლებსავარაუდოა, რომ მათ, ისევე, როგორც ჩემს ბლან-მენილელ ვიოლონჩელისტს, სახლში დაბრუნებისა და ჩვენი დავალებების გასწორების შემდეგ, ჩვენზე ედარდათ. უფრო სწორი იქნებოდა, გვეფიქრა, რომ მათ ცხოვრებაში დაინტერესების სხვა სფეროებიც ექნებოდათ; რომ გამძაფრებული ცნობისმოყვარეობის წყალობით ახალი ცოდნით და ენერგიით იმუხტებოდნენ, რითაც აიხსნებოდა მათი ჩართულობის მაღალი ხარისხი ნებისმიერ გაკვეთილზე (განსაკუთრებით მადმუაზელ ჟ., რომლის შემხედვარეს ყოველთვის წარმომედგინა, რომ ეს ქალბატონი მუდმივ მზადყოფნაში იყო, მთელი სამყარო გადაეყლაპა თავის ბიბლიოთეკებიანად). ეს მასწავლებლები მხოლოდ თავიანთ ცოდნას კი არ გვიზიარებდნენ, არამედ ცოდნის შეძენის წყურვილსაც. სწორედ მათგან გადმომედო ინტელექტუალური სიმდიდრის გადაცემის დაუოკებელი ვნება. ჩვენ მათ გაკვეთილებზე თითქოს გონებრივი შიმშილის განცდით მივიჩქაროდით. ვერ ვიტყვი, რომ მათ ძალიან ვუყვარდით, მაგრამ ჩვენ მიმართ პატივისცემის გრძნობით რომ იყვნენ გამსჭვალულნი, ამაზე ორი აზრი არ არსებობს. ეს პატივისცემა ვლინდებოდა ჩვენი ნაშრომების გასწორებაშიც კი. მათი შენიშვნები არასდროს იყო ზერელე და განზოგადებული. ისინი სავალდებულოდ თვლიდნენ, თითოეული ჩვენგანისთვის ცალ-ცალკე, წერილობით გაეზიარებინათ თავიანთი მოსაზრება. მსგავსი მიდგომის ნიმუშად ბატონ ბომის შენიშვნები გამოდგებოდა. ის ისტორიას გვასწავლიდა მოსამზადებელ კლასში. ბატონი ბომი ჩვენგან მოითხოვდა, რომ ბოლო ფურცელზე არაფერი დაგვეწერა, რადგან იქ თვითონ ჩამოგვიწერდა ხოლმე წითლად და ერთხაზიანი ინტერვალით ყოველი დავალების დეტალურ გარჩევას!

მასწავლებლები, რომლებსაც ლიცეუმში სწავლების ბოლო წლებში შევხვდი მნიშვნელოვნად განსხვავდებოდნენ მათი წინამორბედებისგან, იმათგან, ვისთვისაც კლასი სხვა არაფერი იყო, თუ არა ბავშვებისგან შემდგარი უსახური და უინტერესო მასა, რომლის არასრულფასოვნებაზე საუბარი მხოლოდ აღმატებით ხარისხში აყვანილი დამამცირებელი ეპითეტებით თუ შეეძლოთ. მათ თვალში ჩვენ მათი პედაგოგიური მოღვაწეობის ყველაზე საშინელი მეოთხე, მესამე, მეორე, პირველი და გამოსაშვები კლასი ვიყავით. დიახ, ჩვენზე უარესი თურმე არასდროს ენახათ; შეიძლებოდა გეფიქრათ, რომ მათ ყოველწლიურად ურთიერთობა უწევდათ მათი სტატუსისა და კომპეტენციისთვის შეუსაბამო, უღირს აუდიტორიასთან. შეურაცხყოფილნი წამდაუწუმ დირექტორთან დარბოდნენ,

მოსთქვამდნენ საკლასო და მშობელთა კრებებზე. მათი გამუდმებული "გოდება" ჩვენში განსაკუთრებულ სისასტიკეს აღვივებდა; იმ გადარჩენილებს ვემსგავსებოდით, რომლებსაც გემის ჩაძირვის შემდეგ ჯავრის ამოყრა იმ უფხო კაპიტანზე გადაუწყვეტიათ, რომელმაც სხვა ვერაფერი მოახერხა, გარდა იმისა, რომ გემი მეჩეჩზე შეესვა (ეს ის ხატოვანი მაგალითია, რომელიც ახლა მომივიდა თავში და ვფიქრობ, ზუსტად გადმოსცემს რეალობას)... შეიძლება ასეც ითქვას: ჩვენთვის ისინი იყვნენ ის იდეალური დამნაშავეები, რომლებსაც ჩვენ ჩვენი ყველა უბედურება მივაწერეთ, ჩვენ კი პირიქით, მათთვის ვიყავით ის იდეალური მცირეწლოვანი დამნაშავეები, რომლებსაც მათ ყველა თავისი უბედურება და უსიამოვნება დაუკავშირეს. მათ მარადიულ დათრგუნულობასა და დეპრესიას ჩვენ ჩვენი მხსნელი ზიზღი და სიძულვილი დავუპირისპირეთ.

ყველაზე საშინელი მათ შორის ბატონი ბლამარი იყო (ბლამარი მისი ფსევდონიმია!) - მელანქოლიური ჯალათი, რომელმაც მე, ცხრა წლის ბიჭუნას, ცუდი ნიშნების ისეთი ქარიშხალი დამატეხა თავს, რომ დღესაც, როცა რომელიმე ადმინისტრაციულ დაწესებულებაში რიგში დგომა მიწევს, ჩემდაუნებურად, თანამშრომლის მიერ ხელში შემოჩეჩებულ ნომერს ბლამარისეულ ვერდიქტად აღვიქვამ: "#175, პენაკიონი, ვერაფრით გაგახარებ, მოლოცვამდე ჯერ კიდევ ძაااااალიან დიდი გზა გაქვს გასავლელი!" ან იმ ბიოლოგიის მასწავლებელს რა დამავიწყებს, გამოსაშვებ კლასში რომ მასწავლიდა.
სწორედ მას უნდა ვუმადლოდე ლიცეუმიდან გამოგდებას. სულ წუწუნებდა, ამ კლასში ოცი შესაძლოდან სამნახევარ ქულაზე მეტი არავის ეკუთვნისო. მთლიანად დაკარგა ყოველგვარი საღი აზრი და ჩავარდნის მიზეზების გარკვევას ჩვენთან შეეცადა. ახლაც თვალწინ მიდგას მისი მაღალი შუბლი, წინ გამოშვერილი ნიკაპი, ჩამოშვებული ტუჩის კუთხეები:

- იქნებ ვინმემ ამიხსნას ამ დიადი მიღწევის მიზეზი?

ხელი ავწიე და ორი შესაძლო ვარიანტი შევთავაზე: ან ჩვენი კლასია, სტატისტიკური თვალსაზრისით, რაღაც საშინელება (32 მოსწავლე ვერაფრით ასცდა 3,5 ქულას) ან ეს შედეგი პირდაპირ კავშირშია სწავლების ხარისხთან.

საკუთარი გამოსვლით უზომოდ კმაყოფილი დავრჩი. ის კია, რომ ბევრი არ უფიქრიათ, ისე გამომაპანღურეს იქიდან.

- განცხადება კი იყო გმირული, მაგრამ, სამწუხაროდ, სრულიად ფუჭი, - შენიშნა ერთმა ჩემმა ძმაკაცმა, - იცი, რა განსხვავებაა მასწავლებელსა და ხელსაწყოს შორის? ცუდი მასწავლებელი შეკეთებას არ ექვემდებარება!

მოკლედ, გამრიცხეს ლიცეუმიდან.

რა თქმა უნდა, მამაჩემიც გამიგიჟდა.

ოჰ, ეს საშინელი მოგონებები. მათი გახსენებაც არ მინდა, მით უფრო - მოყოლა!

4

ოროსნებზე ამ მარგალიტების შეგროვებას და მათ გამოქვეყნებას, ასე რომ ახალისებს არაერთ სამასწავლებლოს, ბევრად აჯობებდა, რომ სანიმუშო და მისაბაძი მასწავლებლების ანთოლოგია შეგვედგინა. ლიტერატურაში რამდენიც გნებავთ იმდენია მსგავსი მაგალითი: ვოლტერი პატივს მიაგებდა იეზუიტებს - ტურნემინსა და პორეს; რემბომ თავის პედაგოგს, იზამბარს არაერთი ლექსი მიუძღვნა; კამიუ ისეთივე წერილებს სწერდა თავის საყვარელ მასწავლებელს, ჟერმენს, როგორსაც მამისადმი სითბოთი და მოწიწებით აღვსილი ვაჟიშვილი დაწერდა; ჟულიენ გრინის 26(ამერიკული წარმოშობის ფრანგი მწერალი (1900-1998). მეხსიერებას ისტორიის მასწავლებელ ლესელიეზე ნათელი და სიყვარულით სავსე მოგონებები შემორჩა; სიმონა ვეილი 27(ფრანგი ფილოსოფოსი და რელიგიური მოაზროვნე (1909-1943).) თავის პედაგოგ ალენს პირდაპირ პანეგირიკებს უძღვნიდა, რომელიც, თავის მხრივ, არ ივიწყებდა ჟიულ ლანიოს28(ფრანგი ფილოსოფოსი და ფსიქოლოგი (1851-1894).)რომელმაც ის ფილოსოფიის საფუძვლებს აზიარა. ჟ. ბ. პონტალისი 29(ფრანგი ფილოსოფოსი, ფსიქოანალიტიკოსი და მწერალი (1924))ქება-დიდებას ასხამდა სარტრს, რომელიც ასე გამოირჩეოდა სხვა მასწავლებლებისგან...
თუ ამ სახელგანთქმული მეტრების გვერდით ანთოლოგიაში ადგილს მივუჩენდით იმ დაუვიწყარ მასწავლებელსაც, რომელსაც თითოეული ჩვენგანი, დარწმუნებული ვარ, ერთხელ მაინც შეხვედრია სკოლის წლებში, მაშინ ვფიქრობ, შესაძლებელი გახდებოდა, ოდნავი ნათელი მაინც მოგვეფინა იმ თვისებებისთვის, რომელთაც ეს უცნაური პროფესია მოითხოვს.

5

ცნობილია, რომ როგორც კი ახალბედა მასწავლებელი ამა თუ იმ კლასში სიძნელეებს გადაეყრება და მის ენთუზიაზმსა და თავდაჯერებულობას ბზარი შეეპარება, იმედგაცრუებული წუწუნს იწყებს: "არა, ბატონო, მე ამისთვის კი არ მომიკლავს თავი და ამდენი მისწავლია".

დღევანდელი "ამისთვის" მოიცავს ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული სფეროების მთელ სერიას; მხედველობაში მაქვს ცუდი აღზრდა, რომელიც პირდაპირი შედეგია არშემდგარი, დანგრევის პირამდე მისული ოჯახისა. ეს არის უმუშევრობითა და გარკვეული სოციალური ჯგუფების საზოგადოებისგან გარიყულობით მიყენებული ზიანი საერთო კულტურული დონისადმი და აქედან გამომდინარე, მოქალაქეობრივი ფასეულობების გაქრობა; ძალადობა, რომელიც მძვინვარებს ზოგიერთ სასწავლო დაწესებულებაში, ენობრივი განსხვავებულობა, რელიგიურობისკენ შემობრუნება, ასევე ტელევიზია, ელექტრონული თამაშები, მოკლედ, ყველაფერი ის, რაც კვებავს იმ სოციალურ დიაგნოზს და, რომლითაც საინფორმაციო გამოშვებები ყოველ ცისმარე
დღეს დილიდანვე გვიმასპინძლდებიან.

ჩვენ "ამისთვის" კი არ გვისწავლია-დან, ჩვენ აქ "ამისთვის" კი არ მოვსულვართ-მდე მხოლოდ ერთი ნაბიჯია, რომელიც ასე შეიძლება გამოვხატოთ: ჩვენ, მასწავლებლები იმისთვის კი არ ვართ

მოწოდებულნი, რომ საზოგადოების პრობლემები, ასე რომ უშლის ხელს ცოდნის გადაცემას აქ, სკოლაში გადავწყვიტოთ, ჩვენი პროფესიის არსი ამაში ნამდვილად არ მდგომარეობს. დაგვახმარეთ ზედამხედველები, აღმზრდელები, სოციალური მუშაკები, ფსიქოლოგები, მოკლედ, სპეციალისტების საკმარისი რაოდენობა ყველა სფეროში. ჩვენ მხოლოდ მაშინ თუ შევძლებთ იმ საგნების ნორმალურად სწავლებას, რომელთა დაუფლებასაც ამდენი წელი შევწირეთ. აი, ასეთია, კაცმა რომ თქვას, მართლაც სამართლიანი მოთხოვნების ჩამონათვალი, რომელსაც განათლების სამინისტრო საბიუჯეტო შეზღუდვებისა და დეფიციტის მომიზეზებით ყოველ ჯერზე უარით პასუხობს.

და აი, ჩვენც შევდივართ პედაგოგთა მომზადების სრულიად განსხვავებულ ფაზაში, რომელიც სულ უფრო მეტად და მეტად არის მოსწავლეებთან ურთიერთობის დამყარების უნარზე ორიენტირებული. ამაში დახმარების გაწევა აუცილებელია. მაგრამ, თუ ახალგაზრდა მასწავლებლები ისევ მოლოდინის რეჟიმში აღმოჩნდებიან, როდის ინებებს ზემდგომი უწყება მათთვის ნორმატიული კურსის შეთავაზებას, რომელიც მათ კლასში წამოჭრილი პრობლემების მოგვარებაში დაეხმარება, ცხადია, მათ, ახალი იმედგაცრუებები არ ასცდებათ. და ისიც, რაც მათ ხელს უშლით არსად გაქრება. ისე, თუ გინდათ, რომ გულწრფელი ვიყო, რატომღაც ვფიქრობ, რომ ეს "ამისთვის არ მისწავლია" ძირფესვიანად არც არასდროს ამოიძირკვება; ვშიშობ, ის ისეთივე ბუნებისა არ იყოს, როგორიცაა მისი წარმომშობი ობიექტური ფაქტორები.

იდეა, რომლის თანახმადაც, სწავლება შეიძლება ყოველგვარი სიძნელეების გარეშე, სავარაუდოდ, მოსწავლეზე "ამაღლებულ" წარმოდგენას ეფუძნება. ისე, პედაგოგიურ სიბრძნეს, ჩემი აზრით, სწორედ რომ ოროსანი უნდა მიეჩნია ნორმალურ მოსწავლედ. ასეთი თვალსაზრისი სრულიად ამართლებს თვით მასწავლებლის პროფესიის დანიშნულებას და ამ უკანასკნელის მხრიდან გაწეული ნებისმიერი ძალისხმევის ღირსია. მასწავლებელმა ხომ არა მხოლოდ უნდა ასწავლოს მას ყველაფერი, არამედ დაარწმუნოს ის სწავლის აუცილებლობაში. ისიც მართალია, რომ უხსოვარი დროიდან ნორმალურ მოსწავლედ აღიქმებოდა ის, ვინც სხვებზე ნაკლებად ეურჩებოდა და ეწინააღმდეგებოდა სწავლებას; ის, რომელსაც ეჭვი არ შეეპარებოდა ჩვენს ცოდნაში და არ მოუწყობდა გამოცდას ჩვენს კომპეტენციას. ეს ის მოსწავლეა, რომელიც თავიდანვე, თუ შეიძლება ითქვას, გნებდება, რადგან მისი გული პირველი წუთებიდანვე მოინადირე;
ნიჭიერია და სწრაფად ითვისებს მიწოდებულ მასალას; ჩვენგან არ საჭიროებს განსაკუთრებული მიდგომების ძიებას; ეს ის მოსწავლეა, რომელშიც თავიდანვე ცოცხლობს სწავლის ბუნებრივი მოთხოვნილება, რომელსაც მოუსვენრობასა და უყურადღებობას ვერ დასწამებ, ის არასდროს გახდება "პრობლემური მოზარდი". მოსწავლე, რომელიც უკვე აკვნიდან დარწმუნებულია იმაში, რომ სურვილები და ემოციები გონებით უნდა მოთოკოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მას ჯუნგლებში მტაცებლებს შორის მოუწევს ცხოვრება. ასეთ მოსწავლეს სწამს, რომ სწორედ ინტელექტუალური ცხოვრებაა უკიდურესად დახვეწილი და მრავალფეროვანი სიამოვნებების ამოუწურავი წყარო, და არა სხვა სიამოვნებები, რომელთა უმრავლესობა დროსთან ერთად მონოტონური ხდება, ცვდება და თავს გვაბეზრებს; მოკლედ, ეს ის მოსწავლეა, რომელმაც შეიგნო, რომ ცოდნა ერთადერთი გზაა იმ მონობისგან დასახსნელად, უმეცრება რომ გვიმზადებს, ერთადერთი შვებაა ჩვენს ონტოლოგიურ სიმარტოვეში.

სწორედ ასეთი იდეალური მოსწავლის სურათი იხატება ეთერში, როცა მესმის ფრაზა: "ყველაფერი, რასაც მივაღწიე, საჯარო სკოლის დამსახურებაა". ერთი წამითაც არ მეპარება ეჭვი გამომსვლელის გულწრფელობაში. "მამაჩემი უბრალო მუშა გახლდათ, ყველაფერს, რასაც მივაღწიე, სახელმწიფო სკოლას უნდა ვუმადლოდე". არა, მე სულაც არ მსურს, დავაკნინო სახელმწიფო სკოლის მნიშვნელობა, მაგრამ, როგორც კი მესმის მადლიერების მსგავსი საჯარო აღიარება, - იმთავითვე, - და ეს ჩემს ძალებს აღემატება, - თვალწინ წარმომიდგება სრულმეტრაჟიანი ფილმი, რომელიც ცხადია, ქება-დიდებას ასხამს სკოლას, მაგრამ, სწორედ იმ სკოლას, რომელშიც ის ბავშვი დადიოდა, რომელმაც პირველი კლასის პირველი გაკვეთილიდანვე შეიგნო, რომ სახელმწიფო სკოლა მზადაა, მისი მომავალი უზრუნველყოს; ამისთვის კი მას მხოლოდ ერთი "პატარა" პირობის შესრულება მოუწევს: უნდა იყოს ზუსტად ისეთი მოსწავლე, როგორის ხილვაც სკოლას სურს. და სირცხვილი იმათ, ვინც ვერ გაამართლებს სკოლის მოლოდინს.

- დიახ, მეგობარო, შენ სახელმწიფო სკოლას ნამდვილად უნდა ემადლიერებოდე. მან ბევრი მოგცა, ძალიან ბევრი, მაგრამ, ცხადია, არა - ყველაფერი. აქ შენ ნამდვილად ცდები; შენ, ეტყობა, დაგავიწყდა შემთხვევითობის კაპრიზები; შესაძლოა, შენ სხვებზე ნიჭიერი აღმოჩნდი. იმიგრანტი მშობლები, რომლებმაც გაგზარდეს, შეიძლება, ისეთივე მოსიყვარულენი, მზრუნველნი და შორსმჭვრეტელნი იყვნენ, როგორც ჩემი მეგობრის, კაინას, დედ-მამა, რომლებმაც გადაწყვიტეს, რომ მათი სამივე ქალიშვილი ნასწავლი და დამოუკიდებელი ყოფილიყო, რათა ვერც ერთი მამაკაცი ვერ მოპყრობოდა მათ ისე, როგორც ეს მათ დროს იყო მიღებული. ან, შენ შეიძლება, ყოფილიყავი ზუსტად ისეთი, როგორიც ჩემი მეგობარი პიერია, შენი ანტიპოდი, ოჯახური ტრაგედიის მსხვერპლი, და ერთადერთი შვება სწავლაში გეპოვა, თავით ფეხებამდე ჩაგეყვინთა მასში, რათა სანამ გაკვეთილი გრძელდებოდა, დროებით მაინც დაგევიწყებინა ის, რაც შინ გელოდებოდა. შენ, შეიძლებოდა, მინის ბედი გაგეზიარებინა, ყოფილიყავი ასთმის მძევალი და გაგჩენოდა დაუოკებელი წყურვილი, მეტი გცოდნოდა, მეტი გაგეგო ყველაფრის შესახებ, რაც მთავარია, ახლავე, აქვე, რათა როგორღაც მოსცილებოდი ავადმყოფის სარეცელს. - ისწავლო მხოლოდ იმისთვის, რომ თავისუფლად სუნთქვა შეგეძლოს, - გამომიტყდა ის ერთხელ, - სწავლობ და თითქოს დაგმანული ფანჯრები იღება შენთვის. სწავლობ და აღარ იხრჩობი. სწავლობ, კითხულობ, წერ და სუნთქავ, უფრო და უფრო ფართოდ იღება ფანჯრები და ჰაერს ეწაფები. ჰაერი, ჰაერი, მეტი ჰაერი! გეფიცები, გაკვეთილები და სკოლა ერთადერთი ხსნა იყო ჩემთვის, რათა დროებით დამევიწყებინა ჩემი მტანჯველი ასთმა და სხვაგან მეფრინა. მე სულაც არ მადარდებდა ის, თუ რამდენად კომპეტენტურები იყვნენ ჩემი მასწავლებლები ან რამდენად ხარისხიანი იყო მათი სწავლება. ჩემთვის მთავარი იყო, საწოლიდან წამოვმდგარიყავი, ჩამეცვა და გავქანებულიყავი სკოლაში. იქ კიდევ მეთვალა, მემრავლებინა, გამეყო, დამეზეპირებინა წესები; დღეს უფრო მეტი შემეტყო, ვიდრე გუშინ შევიტყვე. მხოლოდ ეს მსურდა, სხვა არაფერი, მესუნთქა ჰაერი, რაც შეიძლება მეტი ჰაერი! ისიც შესაძლებელია, რომ ჟერომისეული იუმორნარევი განდიდების მანიით ყოფილიყავი შეპყრობილი: "როგორც კი წერა-კითხვასა და თვლას დავეუფლე, მივხვდი, რომ სამყარო მე მეკუთვნის! ათი წლისა შაბათ-კვირას ბებიაჩემის სასტუმრო-რესტორანში ვატარებდი. ოფიციანტების დახმარების მომიზეზებით დარბაზში შევძვრებოდი ხოლმე და მუშტრებს ამოსუნთქვის საშუალებას არ ვაძლევდი, იმდენ კითხვას მივაყრიდი: რამდენი წლის იყო ლუი XIV, როდესაც გარდაიცვალა? რას ნიშნავს ზედსართავი სახელი და განსაზღვრება? რამდენი იქნება 123 გამრავლებული 72-ზე? ყველაზე მეტად ეს პასუხი მომწონდა: "მე ნამდვილად არ ვიცი, მაგრამ იმედია, შენ მეტყვი". მაგარი იყო, ათი წლის ასაკში ბევრად მეტი გცოდნოდა, ვიდრე ადგილობრივმა

აფთიაქარმა ან კიურემ იცოდნენ! ლოყაზე მომითათუნებდნენ ხოლმე ხელს, მაგრამ ვგრძნობდი, რომ ჩემთვის თავის წაგლეჯა ერჩივნათ... ძალიან ვხალისობდი!"

შესანიშნავი მოსწავლეები იყვნენ: კაინა, მინა, პიერი, ჟერომი და შენც, ჩემო მეგობარო, ფრანსუაზაც, რომელმაც ყველაფერი თამაშ-თამაშით ისწავლა, თან ადრეული ბავშვობიდანვე, ლაღად, ყოველგვარი სიძნელეების გარეშე (და მაინც, რა იყო სერიოზული რაღაცეებით გართობის მისი ეს საოცარი ნიჭი!). ერთ-ერთ პრესტიჟულ კოლეჯში, პედაგოგის ადგილზე გამოცხადებული კონკურსი ისე ადვილად გაიარა, გეგონება, საქმე უბრალო ანკეტის შევსებას ეხებოდა. და რა მნიშვნელობა აქვს, ვისი შვილები იყვნენ, იმიგრანტების, მუშების, მოსამსახურეების, ტექნიკოსების, მასწავლებლების თუ მსხვილი ბურჟუების. რაც მთავარია, ბევრი რამით მკვეთრად განსხვავებული ეს ადამიანები შესანიშნავი მოსწავლეები იყვნენ; ეს იყო ის მინიმუმი, რომლის აღმოჩენა სახელმწიფო სკოლას შეეძლო შენში და მათში! ის გეხმარება, გახდე ის, რაც სინამდვილეში ხარ, თუმცა არ არის გამორიცხული, სრულიად საწინააღმდეგო მოხდეს. განა ერთი და ორი მიუტოვებია სახელმწიფო სკოლას შუა გზაში? განა შენც ასე არ ფიქრობ? სახელმწიფო სკოლისთვის ქება-დიდების შესხმით, განა ვერ გრძნობ, რომ საკუთარ თავს ეპირფერები, ცდილობ იდეალურ მოსწავლედ წარმოგვიდგე? ასეთი საქციელით შენ ჩქმალავ უამრავ რამეს, რის გამოც ჩვენ სულაც არ ვართ თანაბარ პირობებში ცოდნის შეძენისას, მე ვგულისხმობ ცხოვრებისეულ პირობებს, გარემოცვას, რომელშიც ვტრიალებთ, ავადმყოფობებს, ტემპერამენტს.

"რასაც მივაღწიე, სახელმწიფო სკოლას უნდა ვუმადლოდე".

იქნებ ეს მცდელობაა, საკუთარი ნიჭი და შესაძლებლობები სათნოებად გაასაღო? (თუმცა ერთი მეორეს არ გამორიცხავს), ან ფიქრობ, რომ წარმატებებს ნების სიმტკიცით, შეუპოვრობითა და თავგანწირვით მიაღწიე. მართალია, ნამდვილად შრომისმოყვარე და მიზანდასახული იყავი და ეს შენ დამსახურებად შეიძლება ჩავთვალოთ, მაგრამ იცი, რაშია საქმე? შენ ადრეული ასაკიდანვე მოახერხე, გესარგებლა ღვთით ბოძებული გაგების ნიჭით. და, რაც მთავარია, ამ გაგებისგან იმთავითვე გეუფლებოდა უზარმაზარი სიამოვნების განცდა. შენი ყოველი ძალისხმევაც ამ სიამოვნებისა და სიხარულის მოპოვებას ისახავდა მიზნად. სანამ მე საკუთარი უუნარობით მორალურად განაღგურებული და გათელილი სამეცადინოდ მაგიდას მივუჯდებოდი, შენ უკვე შენს სამუშაო მაგიდასთან მოუთმენლობა გიპყრობდა, სასწრაფოდ რომელიმე სხვა საგანზე გადასულიყავი, იმიტომ რომ მათემატიკის დავალებას, რომელზეც მე ზედ მიმეძინებოდა ხოლმე, შენ ორ წამში გაუსწორდი. დავალებები შენთვის მხოლოდ ტრამპლინი იყო ცოდნის მაღალი მწვერვალების დასაპყრობად, ჩემთვის კი - მცოცავი ქვიშები, სადაც ჩემი სრულიად უმწეო გონებრივი შესაძლებლობები მხოლოდ სიღრმეებში ეფლობოდნენ და უგზოუკვლოდ იკარგებოდნენ. შეასრულებდი თუ არა დავალებებს, თავს სრულიად თავისუფალ ადამიანად გრძნობდი, მონავარდე ქარს ემსგავსებოდი, შესრულებული სამუშაოთი განცდილი სიამოვნებით ტკბობას ეძლეოდი; მე კიდევ საკუთარი უმეცრებისგან საბოლოოდ გამოშტერებული სანახევროდ შესრულებული შავი ვარიანტის თეთრად გადაკეთებას ვცდილობდი. ფუჭი იყო ჩემი ძალისხმევა - მიხაზვა, გახაზვა, გადახაზვა - ამ საშინელებას არანაირი მაკიაჟი არ შველოდა. ან, რატომ მეგონა, რომ ფერუმარილით ვინმეს გავაცურებდი?! შენ თავიდანვე შრომისმოყვარე იყავი, მე კიდევ ჩამოყალიბებული ზარმაცი. ნუთუ მართლა ეს არის ის, რასაც სიზარმაცეს უწოდებენ?! ეს საკუთარ თავშივე ჩაფლობა და ისე გახლართვა, განძრევა რომ აღარ შეგიძლია? და რას ნიშნავს სიბეჯითე და შრომისმოყვარეობა?

როგორ ახერხებენ ყველაფერს ეს შრომისმოყვარეებად წოდებულნი? საიდან მოსდით საამისო ძალა, ენერგია? ეს იყო მთელი ჩემი ბავშვობის ამოუხსნელი გამოცანა; ძალისხმევა, რომელიც მე მანგრევდა და მიწასთან მასწორებდა, შენთვის სკოლის პირველი დღეებიდანვე წარმატების საწინდარი იყო. იმხანად, მე და შენ წარმოდგენაც არ გვქონდა პიაჟეს 30(ჟან პიაჟე (1896-1980) -შვეიცარიელი ფსიქოლოგი და ფილოსოფოსი.) მახვილგონივრულ გამონათქვამზე: "რომ გაიგო, ჯერ წარმატებას უნდა მიაღწიო". არც ის ვიცოდით, რომ ჩვენ ორივენი ამ აქსიომის ცოცხალ ილუსტრაციას წარმოვადგენდით.

გაგებისკენ, ცოდნისკენ ლტოლვას შენში მთელი ცხოვრების განმავლობაში აღვივებდი. სწორადაც იქცეოდი. შემეცნების ეს წადილი დღესაც ბრწყინავს შენს თვალებში! ის, ვინც ამას წამოგაძახებს, მხოლოდ შურიანი და ღვარძლიანი სულელი იქნება... მაგრამ ერთ რამეს გთხოვ, ნიჭიერებასა და სათნოებას ერთმანეთში ნუ აურევ. ეს შეცდომაა, ამის გამო აირია ყველაფერი. რა დააწყობს ახლა ამ არეულ კარტებს? შენ კიდევ უფრო ართულებ აღზრდა-განათლების ისედაც რთულ საკითხს (სხვათა შორის, ეს საკმაოდ გავრცელებული შეცდომა).

იცი, ვინ იყავი სინამდვილეში?

შენ მოსწავლე კი არ იყავი, არამედ ნამდვილი მარგალიტი!

ასე ვუწოდებდი (გონებაში) ჩემს ფრიადოსნებს, როგორც კი მასწავლებელი გავხდი. ასე მივმართავდი (გონებაში) ამ ბრწყინვალე მოსწავლეებს, როგორც კი კლასში მათ აღმოვაჩენდი. ძალიან მიყვარდა ეს "ჩემი მარგალიტები". მათი წყალობით სხვებისგან ვისვენებდი. ისინი მაძლევდნენ მუშაობის სტიმულს... ისინი, რომლებიც აზრს პირდაპირ ჰაერში იჭერდნენ, პირველები მპასუხობდნენ ზუსტად და ხშირად იუმორის დიდი გრძნობით; ეს მათი მოციმციმე მზერა, ეს მოკრძალებული უშუალობა და პირდაპირობა - ეს ხომ მაღალი ინტელექტის გრაციოზულობაა. აი, მაგალითად, პატარა ნოემი (უკაცრავად, დიდი ნოემი, ის ხომ უკვე პირველ კურსზე სწავლობს), რომელსაც ფრანგულის მასწავლებელმა შარშან პირდაპირ ჟურნალში ჩაუწერა მადლობა. მას ქება-დიდება არ დაუწყია, მოკლედ, მაგრამ მრავლისმთქმელად ჩაუწერა: "ნოემი - ფრანგული ენა 19/20, გმადლობ". და მიმაჩნია, რომ ეს სრულიად სამართლიანია - სახელმწიფო სკოლა ვალშია ნოემის წინაშე. ის, ასევე, უნდა უმადლოდეს ჩემს ახალგაზრდა ბიძაშვილ პიერს, რომელმაც ეს-ეს არის ჩააბარა გამოსაშვები გამოცდა უმაღლესი შეფასებით და მაშინვე გაეშურა აფრიანი ნავით ოკეანის ტალღებთან შესაბრძოლებლად, 2007 წლის ივლისის პირველ დღეებში, როცა ოკეანე განსაკუთრებით მშფოთვარეა. "შეგრძნებები აქ უფრო მძაფრია, ვიდრე გამოცდაზე" ... - თითქოს გვეუბნება მისი მხიარული სიცილი.

ნამდვილად ყოველთვის მიყვარდა კარგი მოსწავლეები.

თუმცა ხშირად მეცოდებოდა კიდეც ისინი, იმიტომ, რომ სადარდებელი მათაც არ აკლიათ - განა ადვილია, არასდროს გაუცრუო იმედები უფროსებს; არ გაბრაზდე, როცა მეორე ადგილზე აღმოჩნდები და ვიღაც კრეტინი პირველ ადგილს აგართმევს; არ არის იოლი, პირველი გაკვეთილიდანვე ალღო

აუღო მასწავლებლის შესაძლებლობებს; რა თქმა უნდა, ცოტა ფრიადოსნებმაც კი უნდა მოიწყინონ გაკვეთილებზე, აიტანონ ოროსნებისა და ვიგინდარების ქილიკი და დაცინვა; წაუყრუონ ბრალდებებს - აქაოდა, კუდები აქვთ გადაბმული დირექტორთან და მასწავლებლებთანო. ამ ყველაფერს დაამატეთ ასაკთან და, საერთოდ, ზრდასთან დაკავშირებული (ჩვეულებრივი ამბავია!) უამრავი პრობლემა.

მოსწავლე-მარგალიტის ტიპური პორტრეტი: თერთმეტი წლის მეექვსეკლასელი კაფანდარა ფილიპი (სავარაუდოდ, 1975 წელია) თავისი გამოწეული ყურებით, დიდი, გრძელი კბილებით, რის გამოც ენა ხან ეჩლიქებოდა, ხან ებმოდა. ერთხელ ვკითხე: კარგად ჩასწვდი პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით ნათქვამს, რომლის შესახებაც გუშინ ვსაუბრობდით-მეთქი?!

- პირდაპირი და გგგადატანითი ნნნათქვამი, მასწ.? შშშესანიშნავად გგგავიგე. უამრავი მმაგალითიც კი შემიძლია მმ...ო...გიყვანოთ!

- აბა, მიდი, ფილიპ, გისმენთ.

- კეთილი, მმმასწ. აი, მმაგალითად, გუშინ სახლში სტუმრები გვ...გვყავდა. დედაჩემმა თავი გგამოიდო და გადატანითი მმმნიშვნელობით წარმადგინა: ეს ფფილიპპია, ჩვენი პპპა...ტა...რა, ყველაზე უმცროსი. სინამდვილეში კი ვარ ყყყველაზე უუუმცროსი, ყყოველ შემთხვევაში ამ ეტაპზე, მმმაგრამ სულაც არ ვარ ყველაზე პპატარა. ჩჩჩემი ასაკისთვის დდდიდიც კი ვარ. ეს ბავშვი ჩჩიტტივით იკენკება, სულ არ ჭამს. - ეს ხომ საერთოდ მაგგგარი იდიოტობაა. რასაც ჩჩჩიტები დღის გგგანმავლობაში იკენკებიან, ორ-სამჯერ მმმაინც აღემატება მმმათ წონას. მმე კიდევ საერთოდ არაფერს ვჭამ. ჰო, დედაჩემმა ჩჩემზე კიდევ თქვა, სულ საღღღაც, ღრუბლებში დაფრინავსო, მმმე კი მმათთან ერთად სუფრასთან ვიჯექი, ამას სტუმმმრებიც დამმ... იდასტურებენ. მე კკკიდევ პირდაპირი მნიშვნნელობით მმმელაპარაკა: ჩჩჩაიკმინდე ხმა, მმმოიწმინდე პირი, ნუ დდდებ იდაყვებს მაგიდაზე, საღამო მმმშვიდობისა უსურვე ყყყველას დდდა დროზე ლლლოგინშიო...

ფილიპმა საკუთარი გამოცდილებიდან შემდეგი დასკვნა გამოიტანა: სტუმრებთან გადატანითი მნიშვნელობით დიასახლისები საუბრობენ, პირდაპირი მნიშვნელობით კი - დედები შვილებთან.

- კინაღამ დდდამავიწყდა, მმმასწ. მმმასწავლებლებიც ასე ელაპარაკებიან თავიანთ მმოსწავლეებს!

ვერ გეტყვით, რა ბედი ეწია ჩემს ენაბორძიკა ფილიპს - მოსწავლე-მარგალიტის არქეტიპს. ნეტავ ახლა რას აკეთებს? იქნებ მასწავლებელიც გახდა. ეს მე მხოლოდ გამახარებდა. იქნებ სულაც პედაგოგიურ ან სხვა რომელიმე მსგავს უმაღლეს სასწავლებელში მოღვაწეობს? შეიძლება მომავალ მასწავლებლებს მოსწავლეებთან შესახვედრად ამზადებს, ისეთებთან, როგორებიც ისინი რეალურ ცხოვრებაში არიან. იქნებ დაკარგა თავისი პედაგოგიური უნარი? იქნებ ზედმეტად გამომგონებლად მიიჩნიეს, იმისთვის რომ ესწავლებინა; იქნებ ჩაეძინა; ან საღღაც გაფრინდა...

ესე იგი, მოსწავლე - ისეთი, როგორიც არის. ეს არის მთავარი!

კარგად გაითვალისწინე, - მაფრთხილებდნენ მეგობრები, როცა ამ წიგნის დაწერა განვიზრახე - მოსწავლეები ძალიან შეიცვალნენ შენი ბავშვობის შემდეგ და იმ ბოლო თორმეტი წლის განმავლობაშიც, რაც პედაგოგიურ მოღვაწეობას თავი დაანებე. იცი, დღევანდელი მოსწავლეები სულ სხვანაირები არიან.

კი და არა.

ეს ბავშვები და მოზარდები იმავე ასაკის არიან, რამდენისაც მე გახლდით ორმოცდაათიანი წლების მიწურულს. ეს არის პირველი ნიშანი, რომელიც ასე გვამსგავსებს ერთმანეთს. ისინი წინანდებურად დილით ადრე დგებიან, მათი განრიგი და ჩანთები ისევ ისეა გაძეძგილი, ხოლო მასწავლებლები, კარგები თუ ცუდები, ისევ მათი საუბრების საყვარელ თემად რჩება. აი, ეგეც შენი სამი საერთო ნიშანი.

უკაცრავად, კინაღამ გამომრჩა: არის ერთი განსხვავება - მათი რიცხვი დღეს ბევრად უფრო დიდია, ვიდრე ჩემი ბავშვობის პერიოდში. დღეს ისინი "მრავალფეროვანნი" გახდნენ, ყოველ შემთხვევაში, ჩემს უბანში, რომელიც იმ იმიგრანტებითაა დასახლებული, თანამედროვე პარიზი რომ ააშენეს. რაოდენობა და კანის ფერი, რაც მართალია, მართალია, მნიშვნელოვან განსხვავებას ქმნის, მაგრამ ნელ-ნელა იცრიცება, როგორც კი მეოცე რაიონის საზღვრებს მიღმა აღმოჩნდებით. განსაკუთრებით ფერში განსხვავება ხლება ნაკლებად თვალში საცემი.

ჩვენი ბორცვებიდან ქვევით, პარიზის ცენტრის მიმართულებით თუ დაუყვებით, ფერადკანიან მოსწავლეებს სულ უფრო და უფრო ნაკლებად გადაეყრებით, ხოლო პანთეონის მიმდებარე ტერიტორიებზე განლაგებულ ლიცეუმებში ისინი სანთლითაც რომ ეძებოთ, ვერ იპოვით... აფრიკული და არაბული წარმოშობის მოსწავლეების რაოდენობა საერთოდ ჩვენი ქალაქების ცენტრებში ძალიან ცოტაა, ასე რომ ჩვენც სამოციანი წლების "თეთრ" სკოლას ვუბრუნდებით.

არა, ფუნდამენტური განსხვავება დღევანდელ და გუშინდელ მოსწავლეებს შორის სხვა რამეშია: დღეს უფროსი ძმების პულოვერების ტარება უკვე აღარ არის მიღებული. აი, ეს არის ნამდვილი განსხვავება. დედაჩემი თავიდან ბერნარს უქსოვდა სვიტერს. ბერნარი, ცხადია, იზრდებოდა და როგორც კი დაუვიწროვდებოდა, მე მომიგდებდა. ჩვენი უფროსი ძმები დუმე და ჟან-ლუიც ზუსტად ასევე იქცეოდნენ. დედაჩემის მიერ მოქსოვილი სვიტერები ჩვენთვის გარდაუვალ საშობაო სიურპრიზს წარმოადგენდა. არც მარკა ჰქონდა და არც იარლიყი იყო ზედ მიტყეპებული - "დედის ხელით ნაქსოვი პულოვერი". მიუხედავად ყველაფრისა, ჩემი თაობის ბავშვების უმრავლესობა "დედის წარმოებულ" სვიტერებს ატარებდა.

დღეს კი, ნურას უკაცრავად! დღეს დიდსაც და პატარასაც ბებია-მარკეტინგი მოსავს. ის აცმევს და ახურავს ბავშვს, აჭმევს და ასმევს, ვარცხნის და ზრუნავს მოსწავლის აღჭურვილობაზე, აყენებს გორგოლაჭებიან ციგურებზე, სვამს ველოსიპედზე, სკუტერებსა და თვითგორიაზე, აყენებს მათ გზაზე, აძლევს მიმართულებას, ურჩევს მუსიკას, დააქროლებს მათ მოხმარების სამყაროს ყველა კუთხე-კუნჭულში. ბებია-მარკეტინგი აძინებს და აღვიძებს ყველას; როგორც კი ბავშვი მერხს მიუჯდება, ბებია-მარკეტინგი მის ჯიბეში ვიბრირებს, ამშვიდებს მას: ნურაფრის გეშინია, მე აქ ვარ, შენს ტელეფონში. შენ აღარ ხარ სასკოლო გეტოს მძევალი!

8

სამოცდაათიან წლებში ერთი ბავშვი გარდაიცვალა. მოდი, ჟიული დავარქვათ მას. გემახსოვრებათ, ალბათ, ასე ერქვა 1878-1883 წლებში განათლების მინისტრსაც - ჟიულ ფერი! ჩავთვალოთ, რომ ეს პატარა ჟიული იყო უკვდავი და ყოველთვის არსებობდა; სინამდვილეში, ის საუკუნეზე ნაკლები ხნის წინათ ჩაისახა და ახლა გაოცებას ვერ ვმალავ, რომ მან ასე ცოტა ხანს იცოცხლა, ყოველ შემთხვევაში, დედაჩემზე ნაკლები. დაახლოებით 1760 წელს ჟან-ჟაკ რუსომ ის შექმნა, როგორც ერთგვარი მენტალური პროტოტიპი და ემილი დაარქვა. ჰოდა, ეს ემილი ვიქტორ ჰიუგომ ერთი საუკუნის შემდეგ ქვეყნიერებას მოავლინა. დიახ, ჰიუგომ, რომელიც თავის უპირველეს მოვალეობად ბავშვების მძიმე შრომის კლანჭებიდან გამოგლეჯას მიიჩნევდა, სადაც მათ ახალდაბადებული "ინდუსტრიული საზოგადოება" აგზავნიდა. "ბავშვს აქვს სრული უფლება, გახდეს ადამიანი", - წერდა ჰიუგო. ადამიანს ქმნის განათლება, განათლებას კი, თავის მხრივ, სწავლა შობს. აქედან გამომდინარე, სწავლა აუცილებელია და ბავშვი უფლებამოსილია, მიიღოს უფასო და სავალდებულო განათლება. XIX საუკუნის 70-იანი წლების მიწურულს, რესპუბლიკამ ეს ბავშვი საერო, უფასო და სავალდებულო სკოლაში მიიყვანა და მერხს მიუსვა, რათა მისი ფუნდამენტური უფლებები დაკმაყოფილებულიყო. მას უნდა ესწავლა წერა, კითხვა, ანგარიში, მსჯელობა, რის გარეშეც ის პიროვნებად და მოქალაქედ ვერ ჩამოყალიბდებოდა.

ჟიული ორ განზომილებაში ცხოვრობდა: სკოლაში ის მოსწავლე იყო, სახლში კი - ვაჟიშვილი ან ქალიშვილი. ოჯახი მის აღზრდაზე ზრუნავდა, სკოლა კი - მის განათლებაზე. ეს ორი სამყარო პრაქტიკულად ჰერმეტული იყო. თვით ჟიულის სამყაროც ასეთივე გახლდათ. მან სრულიად მოუმზადებლად და გაუცნობიერებლად შეაბიჯა მოზარდობის დაუდგრომელ და ბობოქარ ხანაში, მოწინააღმდეგე სქესის თავისებურებებს დიდი ვერაფერი გაუგო და სულ ვარაუდებში იყო გახლართული. ფანტაზიორობდა, იგონებდა და "ხელთ არსებული" საშუალებებით კმაყოფილდებოდა. რაც შეეხება გართობასა და თამაშებს, მათი უმრავლესობა მის პირად ფანტაზიასა და გამომგონებლობაზე იყო დამოკიდებული. განსაკუთრებული შემთხვევების გარდა, ჟიულს არ ეხებოდა მოზრდილთა არანაირი საზრუნავი - არც ემოციური, არც ეკონომიური და არც პროფესიული. ის არც რომელიმე ფირმაში იყო თანამშრომელი, არც ოჯახში - ნდობით აღჭურვილი პირი და არც სკოლაში - მასწავლებელთა თანამოსაუბრე. ცხადია, კორსეტით შემოზღუდული მაშინდელი საზოგადოება მხოლოდ გარედან ჩანდა ასეთი მარტივი და პრიმიტიული. დარჩენილი ნაპრალებიდან გრძნობები მასში მაინც აღწევდა და ადამიანურ სირთულეს სძენდა. ერთი ისაა, რომ ჟიულის უფლება მხოლოდ სწავლის უფლებით განისაზღვრებოდა, ვალდებულებები - კარგი შვილის, კარგი მოსწავლისა და ჯარისკაცის (უფრო სწორად, საზარბაზნე ხორცის) მოვალეობით. 1914-1918 წლებში

ექვსი მილიონი ჟიულისგან შემდგარი არმიიდან 1 350 000 ბრძოლის ველზე განადგურდა, ცოცხლად დარჩენილებიდან უმრავლესობა საკუთარ კერას ხეიბარი დაუბრუნდა.

საერთო ჯამში, ჟიულმა ას წელს იცოცხლა.

1875-1975.

XIX საუკუნის ბოლო მეოთხედში ინდუსტრიული საზოგადოების კლანჭებს გამოგლეჯილი ჟიული ასი წლის შემდეგ ნებაყოფლობით ჩაბარდა საბაზრო საზოგადოებას, რომელმაც მისგან ბავშვი-კლიენტი შექმნა.

9

დღეს ჩვენს პლანეტაზე ხუთი ტიპის ბავშვი არსებობს: ბავშვი-კლიენტი - ჩვენთან; ბავშვი-მწარმოებელი - სხვა ქვეყნებში; სადღაც, ჩვენგან შორს - ბავშვი-ჯარისკაცი და ბავშვი-მეძავი; და მეტროს სარეკლამო ბილბორდებზე გამოსახული მომაკვდავი ბავშვი, რომელიც ჩვენ, ცხოვრებისგან დაღლილებსა და გაბეზრებულებს, მშიერ-მწყურვალი და უმწეო თვალებით გადმოგვცქერის.

ისინი, ხუთივენი, ბავშვები არიან.

და დღეს ხუთივეს სინდისის ქენჯნის გარეშე, დაუნდობლად იყენებენ.

10

ბავშვ-კლიენტებს შორის არიან ისეთები, რომლებიც თავიანთი მშობლების ფინანსური სახსრებით სარგებლობენ და ისეთები, რომლებიც ვერაფრით სარგებლობენ, რადგან მათ მშობლებს არც არაფერი გააჩნიათ; ისეთები, რომლებიც ყიდულობენ და ისეთები, რომლებიც "შოვნას" ახერხებენ. ორივე შემთხვევაში ახალგაზრდა მყიდველი, მიუხედავად იმისა, რომ საკუთარი ჯაფითა და ოფლის ღვრით მოპოვებულ სახსრებს არ ხარჯავს, მესაკუთრის უფლებებს იძენს. აი, ეს გახლავთ ბავშვი-კლიენტი, რომელიც თითის გაუნძრევლად მომსახურების უთვალავ სფეროში თავისი მშობლებისა და მასწავლებლების დარად მესაკუთრედ გარდაიქმნება (ტანსაცმელი, საკვები, ტელეფონი, მუსიკა, ელექტრონიკა, ტრანსპორტი, გართობა-დასვენება). ასე და ამგვარად, ის ისეთივე ეკონომიკურ როლს თამაშობს, როგორსაც მისი მშობლები, რომლებსაც მის აღზრდა-განათლებაზე ზრუნვა აკისრიათ. მშობლების მსგავსად, ისიც საერთო ბაზრის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს. ისიც, როგორც მისი მშობლები, ხელს უწყობს ფინანსური სახსრების ბრუნვას (იმ ფაქტს, რომ ეს სახსრები მის პირად საკუთრებას არ წარმოადგენს, არანაირი მნიშვნელობა არა აქვს). მისი, ისევე როგორც მშობლების სურვილები, მუდმივ სტიმულირებასა და განახლებას მოითხოვს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს უზარმაზარი მანქანა გამართულად ვერ იმუშავებს. ამ თვალთახედვით ბავშვი-კლიენტი მნიშვნელოვანი ფიგურაა, სრულფასოვანი კლიენტი, ზუსტად ისეთი, როგორიც ზრდასრული ადამიანი.

დამოუკიდებელი მომხმარებელი.

დაწყებული სულ პირველი ბავშვური სურვილებიდან.

თურმე ამ სურვილების დაკმაყოფილებით იზომება მისადმი მშობლების სიყვარულის სიძლიერეც. უფროსები ცდილობენ, შეეწინააღმდეგონ ამას, მაგრამ უმწეონი არიან, რადგან ვერაფერს უპირისპირებენ. ასე ვითარდება საბაზრო საზოგადოება: ბავშვის სიყვარული (აი, იმ ბავშვისა, რომლის ამქვეყნად მოვლინება მშობლებს ისე ძლიერ სურდათ, რომ ახლა მის წინაშე თავს სამუდამოდ მოვალედ მიიჩნევენ) მისი სურვილების სიყვარულსაც ნიშნავს. ეს სურვილები კი სულ ცოტა ხანში სასიცოცხლო მნიშვნელობის მოთხოვნილებებად გარდაიქმნება: სიყვარულის მოთხოვნილება ნივთის ქონის სურვილს უთანაბრდება. დიახ, რადგან ეს სიყვარული მხოლოდ ნივთის შეძენით თუ შეიძლება დადასტურდეს.

ბავშვის ყოლის სურვილი...

მოითმინეთ, მოითმინეთ, აი, კიდევ ერთი განმასხვავებელი ნიშანი დღევანდელი ბავშვისა ჩემი დროის ბავშვისაგან: ვიყავი კი სინამდვილეში ნანატრი ბავშვი?

ბავშვი, რომელიც უყვარდათ, ალბათ - კი. ან, ვთქვათ, ბავშვი, რომელიც იმდენად უყვარდათ, რამდენადაც იმხანად ბავშვების სიყვარული შეეძლოთ, მაგრამ - ნანატრი და სასურველი?

საინტერესოა, რა სახით შემომხედავდა მხცოვანი დედაჩემი (მისი ასმეერთე წლისთავი ახლახან აღვნიშნეთ. ჩვენ შორის დარჩეს და, ამ წიგნის წერა ძალიან გამიჭიანურდა), ისე, სასხვათაშორისოდ მისთვის რომ მეკითხა:

- დედა, შენთვის მართლა სასურველი ბავშვი ვიყავი?

- ...

- დიახ, დიახ, არაფერიც არ მოგესმა, მინდა, ვიცოდე, ვიყავი თუ არა სასურველი ბავშვი. ნამდვილად ნატრობდით თუ არა შენ და მამა ჩემ დაბადებას.

ნათლად ვხედავ, თუ როგორ მიმზერს დედაჩემი; ვგრძნობ ხანგრძლივ დუმილს, ჩემს კითხვას რომ მოჰყვა.

ბოლოს მპასუხობს:

- მითხარი, შვილო, შენს ცხოვრებაში ყველაფერი ნორმალურადაა?

უფრო ღრმად რომ შემეტოპა, ალბათ, რამდენიმე ფაქტობრივ დაზუსტებასაც მოვისმენდი:

- ომი იყო, შვილო, მამაშენმა შვებულებით ისარგებლა და ერთ დღესაც სრულიად მოულოდნელად დაგვადგა თავს. ყველანი კასაბლანკაში წაგვიყვანა - მეც და შენი სამი ძმაც, თვითონ კი მეშვიდე ამერიკულ არმიას შეუერთდა. მაშინ პროვანსში გადასასხდომად ემზადებოდნენ; შენ კასაბლანკაში დაიბადე.

ან ახსნა-განმარტებებში გადავარდებოდა, როგორც ეს ტრადიციულად სამხრეთელ დედებს სჩვევიათ:

- ცოტა არ იყოს, მეშინოდა, გოგო არ შემძენოდა. პირადად მე გოგოს ყოველთვის ბიჭი მერჩივნა.

მოკლედ, ვერაფრით დავადგენდი, ვიყავი თუ არა სინამდვილეში სასურველი შვილი. ჩვენს ოჯახში მსგავსი კითხვების მიმართ დამოკიდებულება ერთი სიტყვით გამოიხატებოდა - უადგილო.

გვეყოფა ამის შესახებ, მოდი, ისევ ბავშვ-კლიენტს მივუბრუნდეთ და საქმეს ნათელი მოვფინოთ. მისი აღწერით სულაც არ ვცდილობ, რომ ეს მოზარდი საძულველ და გამოტვინებულ არსებად წარმოგიდგინოთ, არც დედის ხელით მოქსოვილი პულოვერების, დაკემსილი წინდებისა და თუნუქის სათამაშოებისკენ დაბრუნებას ვქადაგებ; არც ოჯახური პრობლემების მიჩუმათებისა და არც ოგინოს მეთოდის31(იაპონელი გინეკოლოგის ოგინოს (1882-1975) მეთოდი გულისხმობს ჩა სახ ვისთვის სა სურველი დღეების გამოთვლას მენსტრუალური ციკლის ხანგრძლივობის მიხედ ვით.) მომხრე ვარ. მოკლედ, არაფერ ისეთს არ ვგულისხმობ, რის გამოც დღევანდელმა თაობამ შეიძლება ჩვენი ახალგაზრდობის წლები შავ-თეთრ ფილმად აღიქვას. არა! უბრალოდ, საკუთარ თავს ვეკითხები, როგორი ოროსანი დადგებოდა ჩემგან, შემთხვევით ერთი თხუთმეტი წლის წინ რომ დავბადებულიყავი. ეჭვიც არ შეგეპაროთ, ჩემგან ნამდვილი ოროსანი მომხმარებელი გამოვიღოდა. გონებრივ მოუმწიფებლობას სამომხმარებლო მოწიფულობით შევავსებდი, რომელიც მოზარდის სურვილებს ისეთივე ლეგიტიმურობას ანიჭებს, როგორსაც მოზრდილისას; თანაც ამას პრინციპის საკითხად გავიხდიდი. აი, ყურშიც კი ჩამესმის საკუთარი სიტყვები: "თქვენ ხომ გაქვთ თქვენი კომპიუტერი? მეც მაქვს უფლება, ჩემი მქონდეს! მით უმეტეს, თუ არ გსურთ თქვენსას მივეკარო". დამითმობდნენ კიდეც, ცხადია, სიყვარულით!.. რა? ეს რა მახინჯი სიყვარულია?.. ადვილი სათქმელია.

ყოველ ეპოქას ოჯახური სიყვარულის გამოხატვის თავისი ენა აქვს. ჩვენი ეპოქა სიყვარულის "ნივთიერ" გამოხატულებას ანიჭებს უპირატესობას. ნუ დაგავიწყდებათ ბებია-მარკეტინგის დიაგნოზი: "ამაში მდგომარეობს მისი სპეციფიკა," ესაა მისი განმასხვავებელი ნიშან-თვისება. ისევე, როგორც ბავშვებისა და მოზარდების უმრავლესობა, რომელთა შესახებაც საუბარი ყოველი მხრიდან მესმის, მეც თავისუფლად დავარწმუნებდი დედაჩემს, რომ ჩემი გარემოცვის შესაფერისად ყოფნა, და

აქედან გამომდინარე სულიერი წონასწორობაც, დიდწილად ამა თუ იმ ნივთის შეძენაზეა დამოკიდებული.

- დედა, აუცილებლად, როგორ გითხრა, უსიკვდილოდ მჭირდება N-ის ბოლო მოდელი.

ნუთუ დედაჩემი ისურვებდა, რომ ყველანაირად დაჩაგრულ ადამიანს დავმსგავსებოდი? ისედაც ხომ ასეთად ვგრძნობდი თავს ჩემი ნიშნების გამო? ნუთუ საჭირო გახდებოდა მდგომარეობის კიდევ უფრო დამძიმება?! ნუთუ ეს საკმარისი არ იქნებოდა?

- დედა, გეფიცები, ამის გარეშე ნამდვილ "გოიმად" ჩამთვლიან! (არა, არა, ასე კი არ უნდა მეთქვა, " გოიმი" რა ხანია, მოძველდა). გესმის? მე ვიქნები სუფთა "ყანა!" (მიშელ ოდიარი იტყოდა, "ჩაშვებული" ან "ბანძიო". - "გაიგე, რა, თუ ამ ჩექმებს არ მიყიდი, მაგრად გავბანძდები!").

ჩემი მოსიყვარულე დედა, რა თქმა უნდა, დამითმობდა. მხოლოდ ერთი რამაა გასარკვევი, ენდომებოდათ კი მეოთხე შვილი? გავხდებოდი ნანატრი და სასურველი? მომცემდნენ კი ამქვეყნად მოვლინების შესაძლებლობას?.. როგორც დანარჩენი ყველაფერი, ესეც საოჯახო ბიუჯეტის საკითხია.

11

ერთ-ერთი ფაქტორი, რისთვისაც დღევანდელი ახალგაზრდა მასწავლებელი სრულიად მოუმზადებელია, ეს არის მთლიანად მოსწავლე-კლიენტებით დაკომპლექტებულ კლასთან შეხვედრა. ცხადია, თავის დროზე თვითონაც ერთ-ერთი იმათგანი იყო და მისი შვილებიც ასეთები არიან, მაგრამ ამ კლასში ის მასწავლებელია. მასწავლებლის სტატუსში კი მას უკვე აღარ ესმის მშობლის სიყვარულის ნაზი ხმები და არც ის მოვალეობის გრძნობა აღელვებს, მშობლის გულში არასდროს რომ არ ნელდება. პედაგოგიური კოლექტივის თვალში მოსწავლე აღარ არის სასურველი და ნანატრი ბავშვი, რომლის სიყვარულსაც მისი გულის გალღობა შეუძლია; ეს სკოლაა, ლიცეუმი ან კოლეჯი და არა სახლი ან მაღაზია, შენი კაპრიზები და სურვილები არავის აღარდებს; არც საჩუქრებით აგავსებთ ვინმე. აქ სხვა, უფრო სერიოზული და ფუნდამენტური მოთხოვნილების - განათლების მოთხოვნილების - დაკმაყოფილებაზე ზრუნავენ. ეს კი ნამდვილად არაა ადვილი საქმე. მით უმეტეს რომ, სანამ ამ მოთხოვნილებას დააკმაყოფილებდე, საჭიროა მისი გაღვიძება და გაღვივება. გამოცდილ მასწავლებელსაც კი უჭირს ამ სურვილებისა და მოთხოვნილების მორიგება; მოსწავლე-კლიენტსაც არ მოელის დალხენილი ცხოვრება, როგორია, აბა, დაკავებული იყო უხალისო მოთხოვნილების დაკმაყოფილებით მრავალრიცხოვანი სურვილების დათმობის ხარჯზე! უნდა დაიძაბო და ისწავლო, ავარჯიშო გონება და მეხსიერება; გამოეთიშო ყველაფერს და ჩაერთო ცოდნის ქსელში; წააგო "ზმანებში" და მოიგო ცოდნაში; თვალისმომჭრელი სათამაშოები უხილავ აბსტრაქციებში გაცვალო და, რაც მთავარია, იხადო და იხადო სკოლაში მიღებული ცოდნისთვის, რადგან სწორედ ეს არის ჟიულ ფერისგან მემკვიდრეობით მიღებული უფასო სწავლა-განათლების პარადოქსი - საჯარო სკოლა დღესდღეობით ერთადერთი ადგილია ამ საბაზრო საზოგადოებაში, სადაც მოსწავლე-კლიენტმა თავად უნდა იხადოს ყველაფრისთვის; დაემორჩილოს აღებ-მიცემობის პრინციპს - ცოდნა შრომისა და გარჯის სანაცვლოდ; მეცნიერება - ძალისხმევის სანაცვლოდ; უნივერსალური ინტელექტუალური ღირებულებების წვდომა - დამოუკიდებელი აზროვნების

სანაცვლოდ; მხოლოდ ბუნდოვანი მომავალი - გაკვეთილებზე მუდმივი დასწრების სანაცვლოდ. აი, რას ითხოვს სკოლა მისგან. თუ არსებული გარემოებების აღქმის უნარით დაჯილდოებულ კარგ მოსწავლეს ასეთი მდგომარეობა სრულიად აკმაყოფილებს, რატომ უნდა აწყობდეს ვითომ ოროსანსაც ასეთი ცხოვრება? რის გამო გადაცვლის ის "კომერციული მოწიფულობის" სტატუსს მოსწავლის მორჩილ მდგომარეობაზე, რომელიც, მისი აზრით, მას ინფანტილურობას სძენს? რატომ უნდა უხადოს მან სკოლას რაღაცით, როდესაც საზოგადოება, რომელშიც ცხოვრობს და რომლის სრულუფლებიან წევრადაც თვლის თავს, დილიდან საღამომდე სრულიად უფასოდ სთავაზობს "ცოდნას" მრავალფეროვანი შეგრძნებებისა და კომერციული ურთიერთობების სახით? რანაირ ოროსნადაც უნდა გრძნობდეს ის თავს სკოლაში, შინ დაბრუნებული, თავის ოთახში ჩაკეტილი კომპიუტერთან ვიდეოთამაშის დროს განა სამყაროს მბრძანებლად არ გარდაიქმნება? როცა მთელი ღამე ჩათაობს, როგორ ფიქრობთ, არ ეუფლება განცდა, რომ მთელ მსოფლიოსთან აქვს ურთიერთობა?! განა კომპიუტერის კლავიატურა არ ჰპირდება ნებისმიერი ცოდნის თავისუფალ წვდომას, თუ ამის სურვილი გაუჩნდება? და ეს ბრძოლები ვირტუალურ არმიებთან, განა მას მძაფრი ცხოვრების განცდით არ ავსებს? არა, მითხარით, რატომ უნდა გაუჩნდეს მას სურვილი, ეს ყველაფერი სკოლის უბადრუკ მერხზე გაცვალოს? რატომ უნდა აიტანოს მშვიდად მისი სემესტრული ნიშნებით უკმაყოფილო უფროსების გაუთავებელი ღვარძლიანი კომენტარები, როცა თავის ოთახში ჩარაზული, სკოლასა და ოჯახს მოწყვეტილი, ის მბრძანებლად არის ქცეული?!

ეჭვიც არ შეგეპაროთ, რომ ისეთი ოროსანი, როგორიც მე გახლდით, თხუთმეტიოდე წლის წინ რომ დაბადებულიყო და დედამისს მის უმნიშვნელო ახირებებზე ყურიც არ შეებერტყა, აუცილებლად გატეხავდა საოჯახო სალაროს, მაგრამ არა იმისთვის, რომ საჩუქრები ეყიდა და ოჯახის წევრებისთვის ჩამოერიგებინა, არამედ იმისთვის, რომ ახალი ზმანები შეეძინა და მოდურად გამოწყობილიყო; ან საკუთარი თავისთვის ბოლო მოდელის კომპიუტერი "ეჩუქებინა". აი, მიეწებებოდა ეკრანს, გაითქვიფებოდა მასში, ინავარდებდა საიტიდან საიტზე, უსასრულოდ, უსაზღვროდ დროსა და სივრცეში, უგანრიგოდ, ჰორიზონტების გარეშე, დღეცა და ღამეც უაზროდ იჩათავებდა ისეთებთან, როგორიც თვითონაა. გაგიჟდებოდა, პირდაპირ ჭკუა გადაეკეტებოდა ამ ეპოქაზე, რომელიც თავის ოროსნებს ვერანაირ მომავალს ვერ ჰპირდება, მაგრამ სამაგიეროდ, აწმყოს განადგურებაში ეხმარება ... და ასეთი სახით ის იდეალური ნადავლი იქნებოდა იმ საზოგადოებისთვის, რომელიც წარმატებით ამრავლებს ქონიან, უსახურ და უსხეულო მოზარდებს.

12

- რა თქვი?ეს მე ვარ ქონიანი, უსხეულო მოზარდი?

(ღმერთო, ისევ ის...)

- ვინ მოგცა ჩემ მაგივრად ლაპარაკის უფლება?

ჯანდაბა, რატომ გავიხსენე ისევ ის ოროსანი, რომელიც მე ოდესღაც ვიყავი; რატომ ამოვქექე წარსულის ჯურღმულებიდან ეს აბეზარი მოგონება? უკვე ვამთავრებ წიგნს, სულ რამდენიმე გვერდი

დამრჩა დასაწერი, თითქოს მაქსიმილიანეზე საუბრის შემდეგ დასვენებული ვიყავი მისგან, და აი, ისევ ამოყო თავი. რა ძალა მედგა, რომ გავიხსენე?

- მიპასუხე, შენ რა, არ გესმის? ვინ მოგცა უფლება, გეთქვა, თხუთმეტიოდე წლის წინ რომ დავბადებულიყავი, ისეთი ჰიპერმომხმარებელი ოროსანი კლიენტი-მოსწავლე ვიქნებოდი, როგორზეც შენ საუბრობ?

არა, ეჭვის შეტანა არ შეიძლება, ნამდვილად ის არის; როგორც ყოველთვის, დამდგარა და ჩემგან ითხოვს ახსნა-განმარტებებს, იმის მაგივრად, რომ თვითონ წარმოადგინოს შედეგები. კეთილი, მოდი, ვისაუბროთ:

- მაინც, როდიდან მჭირდება შენი ნებართვა, რამე რომ დავწერო?

- მას შემდეგ, რაც ოროსნებზე ათასგვარი სისულელეების როშვა დაიწყე. მე კიდევ ამ საკითხში მთავარი ექსპერტი ვარ. გასაგებია?!

ისე, საინტერესოა, შეიძლება თუ არა ადამიანი იყოს ექსპერტი იმაში, რაც ასე სტანჯავს მას? ნუთუ, ავადმყოფებს შეუძლიათ, თავიანთ მკურნალ ექიმებს ჩაენაცვლონ, ცუდ მოსწავლეებს კი - თავიანთ მასწავლებლებს? არავითარ შემთხვევაში არ უნდა მივცე შანსი, ამ თემაზე ილაქლაქოს, თორემ დავიღუპე. მომიწევს კიდევ უამრავი გვერდის გაფუჭება. არა, დროზე უნდა მოვაკეტინო.

- აბა, ბრძანე, ბატონო, როგორი ოროსანი იქნებოდი დღეს?

- თუ მოქმედებას დღევანდელ დროში გადმოვიტანთ, გარწმუნებ, რომ ყველაფერს ძალიან კარგად გავართმევდი თავს. ცხოვრება მხოლოდ სკოლა ხომ არ არის. დიახ, დიახ, შენ წარმოიდგინე, უამრავი სხვა რამეც არსებობს. თავიდანვე გამოგვილაყე ტვინი სკოლაზე ამდენი ლაქლაქით, მაგრამ მინდა გითხრა, რომ უამრავი სხვა გამოსავალიც არსებობს. ქვეყნის მეგობრები გყავს, რომლებიც სკოლის გარეშეც კარგად მოეწყვნენ ცხოვრებაში. ახლა არ მითხრა, ტყუილიაო. შეხედე ბერტრანს, რობერს, მაიკს, გაიხსენე ფრანსუაზაც. მალევე მოუტყდნენ სკოლას და არიან ახლა მშვენივრად თავიანთთვის; ცხოვრებაც გადასარევად მოიწყვეს. ასე არ არის? მე, მაგალითად, დღეს თავისუფლად შემეძლო, ჩემპიონი გავმხდარიყავი ელექტრონიკაში. ნამდვილად არაფერი შემიშლიდა ხელს. რატომაც არა, ვითომ?

- ...

- რა იყო? არ მოგეწონა, არა, მსგავსი პერსპექტივა? რა თქმა უნდა, შენ ხომ ელემენტარულად ვერ გარკვეულხარ კომპიუტერშიც კი; ძალიან გინდა, არა, დავრჩე ასე მარადიულ ოროსნად, ან სეიფების გამტეხად. ცოცხალი მაგალითისთვის გჭირდები ასეთი, არა? კარგი, კარგი, ჯანდაბას ჩემი თავი, ეგრე იყოს; თხუთმეტი წლის წინ რომ დავბადებულიყავი, მართლაც ოროსანი ვიქნებოდი, თან

ყველაზე უარესი შენს სადამრიგებლოში. სამაგიეროდ, შენ ვერაფრით გაგაჩერებდი, ატეხდი ერთ ამბავს: "ეს ჩემთვის არ უსწავლებიათ", "მე ამისთვის არ მისწავლიაო"... გაწყობს მსგავსი ვარიანტი?

- ...

- ნებისმიერ შემთხვევაში, რა მნიშვნელობა აქვს, როგორი ვიქნებოდი, თუ არ ვიქნებოდი. საქმე სხვა რამეშია.

- აბა, რაშია, ბრძანე!

- საქმე ისაა, რომ "ეს" ჯერ კიდევ ბუნდოვანი და გაურკვეველი რჩება. ახალგაზრდა პედაგოგები კი გამწარებულები გაიძახიან, არა, ბატონო, ჩვენთვის "ეს" არ უსწავლებიათო. მაგრამ, აი, სწორედ "ეს" არის მთავარი კითხვა.

- და, როგორია შენი პასუხი?

- პასუხი ისეთივე ძველია, როგორც თავად სამყარო. მასწავლებლები არ არიან მომზადებულნი ცოდნისა და უმეცრების შეჯახებისთვის; ეს არის ჩემი პასუხი.

- და, გგონია, რომ ყველაფერს ნათელი მოჰფინე?

- მშვენივრადაც მოვფინე. მთელი ეს საუბრები ორიენტირების დაკარგვაზე, ძალადობაზე, მოხმარებაზე, ეს გაუთავებელი ლაქლაქი სხვა არაფერია, თუ არა დღევანდელი ახსნა-განმარტება. ხვალ სხვანაირად იჭიკჭიკებენ; სხვათა შორის, შენც ამასვე ამტკიცებდი: შეუძლებელია, "ამის" ჭეშმარიტი ბუნება მისი შემადგენელი ელემენტების ერთობლიობამდე დავიყვანოთო.

- ეს განმარტება სულაც არ არის ნათელი.

- წეღან ვახსენე - ცოდნისა და უმეცრების შეჯახება. ეს დარტყმა ძალიან, ძალიან ძლიერია. "ამის" ჭეშმარიტი ბუნებაც სხვა კი არაფერია. მისმენ?

- გისმენ, აბა რას ვშვრები!

მე, რა თქმა უნდა, ვუსმენ, ის კიდევ თავის თავში დარწმუნებული როგორც არასდროს, კათედრაზე ადის და ლექციის ჩატარებას მიპირებს. თუ კარგად ჩავწვდი მის ქადაგებას, გამოდის, რომ "ამის" ნამდვილი ბუნება ჩადებულია მარადიულ კონფლიქტში ცოდნასა - როგორც ის აღიქმება - და უმეცრებას - როგორიც ის არის სინამდვილეში - შორის; პედაგოგების აბსოლუტურ უუნარობაში, გაიგონ ის სრული უმეცრების მდგომარეობა, რომელშიც მათი ოროსნები იმყოფებიან; და ეს იმიტომ,

რომ თვითონ თავის დროზე კარგი მოსწავლეები ბრძანდებოდნენ, ყოველ შემთხვევაში, იმ საგანში მაინც, რომელსაც ახლა ასწავლიან. მასწავლებლების მთავარი ნაკლი მდგომარეობს მათ უუნარობაში, წარმოიდგინონ თავი იმის არმცოდნედ, რაც სინამდვილეში კარგად იციან. შეიძლება, შემეცნების გზა მათთვისაც ია-ვარდებით არ იყო მოფენილი; შეიძლება, სწავლის პროცესში უამრავი სიძნელეც იწვნიეს, მაგრამ საბოლოოდ, შეძენილი ცოდნა მათგან განუყოფელი გახდა და ეს ისე აღიქვეს, როგორც მოცემულობა, თავისთავადი სიცხადე, რომელიც გეგონება, დედის მუცლიდან გამოჰყვათ ("კი, მაგრამ ეს ხომ ცხადია, რაზე ვდავობთ"?). ვერც კი წარმოუდგენიათ, რომ იმათთვის, ვინც ამ მომენტში სრული უმეცრების მდგომარეობაში იმყოფება, მათი ცოდნა შეიძლება აბსოლუტურად უცხო და გაუგებარი აღმოჩნდეს.

- აი, მაგალითად, შენ, რომელმაც ასო-ბგერა "ა"-ს შესწავლას მთელი წელი მოანდომე, შეგიძლია თუ არა, თავი წერა-კითხვის უცოდინრად წარმოიდგინო? არა! ასევე გაუჭირდება მათემატიკის მასწავლებელსაც იმის წარმოდგენა, რომ არ იცის, ორჯერ ორი რომ ოთხია; არადა, ხომ იყო დრო, როცა კითხვა არ იცოდი, როცა ანბანში ისე ფართხალებდი, როგორც იქ, ჯიბუტში, სანაგვეში? ახლა კი, ნება მიბოძე, გაგახსენო არცთუ ისე შორეული წარსული, როცა სერიოზულად ფიქრობდი, რომ ალისა, შენი ქალიშვილი, დღეს რომ შენზე მეტს კითხულობს, განგებ ჯიუტობდა და ცოცხალი თავით არ უნდოდა სკოლაში მიცემული ტექსტებისთვის ერთხელ მაინც გადაევლო თვალი. სულელი და უღირსი მამა, აი, ვინ იყავი! და, თავად შენ როგორ წვალობდი, გახსოვს? დაგავიწყდა? ამოგეშალა მეხსიერებიდან, კითხვის შესწავლას გაცილებით მეტი დრო რომ მოანდომე, ვიდრე შენმა ქალიშვილმა? ერთი ამას დამიხედეთ, თურმე ვაჟბატონი გაზრდილა და თან ნასწავლი კაცი დამდგარა, რომელსაც საკუთარი გოგონა აღიზიანებს და გაიძახის, სწავლა მისთვის არ გამოუგონებიათო. შენმა პედაგოგიურმა გამოცდილებამ და მამობრივმა დარდმა, ეტყობა, საერთოდ გაგიქრო უმეცრების შეგრძნებისა და გაგების უნარი.

მე ვუსმენ, ვუსმენ... ის კიდევ, მგონი, გაჩერებას კიდევ კარგა ხანს არ აპირებს ...

- თქვენ, მასწავლებლები, ყველანი ერთ თარგზე ხართ გამოჭრილი. იცი, რა გაკლიათ განსაკუთრებით? ერთი კარგი სპეკურსი უმეცრებაში. შეძენილ ცოდნაზე ტონა გამოცდებს აბარებთ, გადიხართ ათასი ჯურის კონკურსებს, არადა, უპირველესად, სულ სხვა რამეში უნდა შეგამოწმოთ კაცმა - რამდენად შეგწევთ უნარი, გაიგოთ იმ ადამიანის მდგომარეობა, რომელმაც არ იცის ის, რაც თქვენ იცით; ვოცნებობ, როდის დადგება დრო, როცა რომელიმე პრესტიჟული სასწავლებელი კონკურსანტს, უპირველეს ყოვლისა, თავისი ყველაზე სამარცხვინო წარუმატებლობის გახსენებას მოსთხოვს. მაგარი იქნება, არა? მაგალითად, მოაყოლონ, როგორ ჩავარდა მესამე ან მეორე კლასში მათემატიკის გამოცდაზე. თან, ესეც არ აკმარონ და აიძულონ, ამ ჩავარდნის მიზეზებიც ჩამოყაჭოს.

- ყველაფერს თავის მათემატიკის მასწავლებელს დააბრალებდა.

- ეგრე არ გამოვა. ჩემზე უკეთ არავინ იცის, რას ნიშნავს მასწავლებლის მიერ დაშვებული შეცდომა, საკუთარ ტყავზე გამომიცდია. კანდიდატს უნდა მოეთხოვოს, უფრო ღრმად ეძებოს, გაარკვიოს, ეცადოს მაინც, რატომ ჩაფლავდა მაინცდამაინც იმ წელს. მიზეზი საკუთარ თავში ეძებოს, გარშემო მყოფებშიც, ჩაიხედოს თავში, სულშიც, ორგანიზმშიც, ნეირონებში, ჰორმონები არ გამორჩეს -

მოკლედ, ეძიოს ყველგან; ისიც გაიხსენოს, როგორ ამოძვრა წუმპიდან. რა მოიმოქმედა ამისთვის, რა შინაგანი რესურსები აამუშავა, ან სად და როგორ მიაგნო მათ - ამ ყოვლისშემძლე რესურსებს. მე კიდევ უფრო შორს წავიდოდი, აუცილებლად ვკითხავდი დამწყებ მასწავლებლებს, რატომ აირჩიეს ეს საგანი და არა სხვა რომელიმე. რატომ გადაწყვიტეს ინგლისური ენის სწავლება და არა - მათემატიკის ან კიდევ ისტორიის; საგნის სიყვარულის გამო? კი, ბატონო, მაშინ იქექონ იმ საგნებში, რომლებიც მათ მაინცდამაინც არ ეპიტნავებოდათ. გაიხსენონ, რა სიძნელეებთან იყო დაკავშირებული მათთვის ფიზიკა ან ფილოსოფია, ან თუნდაც ფიზკულტურის გაკვეთილები. მოკლედ, ვისაც მასწავლებლობა გადაუწყვეტია, ნათელი, ადეკვატური და სამართლიანი წარმოდგენა უნდა ჰქონდეს საკუთარ სასკოლო წარსულზე. მათ ცოტათი მაინც უნდა შეიგრძნონ უმეცარი მოზარდის მდგომარეობა. რა თქმა უნდა, თუ სურთ, მათი დახმარებით ამ მდგომარეობას თავი დავაღწიოთ.

- თუ სწორად გავიგე, მასწავლებლები უფრო ყოფილ ოროსნებს შორის უნდა შევარჩიოთ და თავი დავანებოთ ფრიადოსნებს?

- რატომაც არა, თუ ამ უბედურებას თავი დააღწიეს, მეხსიერება არ მოშლიათ და კარგად ახსოვთ, როგორი მოსწავლეები იყვნენ ოდესღაც. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, შენც ჩემი კარგა ბლომად გმართებს.

- არაااა!

- არა? რა, არა? მიმაჩნია, რომ რაც შეეხება სწავლებას, ჩემი ვალიდან ვერ ამოხვალ. ყოფილი ოროსანი რომ არ ყოფილიყავი, ვნახავდი, რა მასწავლებელიც დადგებოდი. ეს ერთგვარი წინაპირობაც კი იყო. ასე არ არის? პატიოსნად აღიარე! შენ რომ ბრწყინვალე მოსწავლე ყოფილიყავი, ცხოვრებაში სულ სხვა რამეს გააკეთებდი. სინამდვილეში იცი, რა მოხდა? შენ, მასწავლებლად გადაცმული, ისევ ჯიბუტის სანაგვეს მიუბრუნდი, რათა იქიდან სხვა ოროსნები ამოგეთრია. ჩანაფიქრი სისრულეში მოიყვანე და ვისი წყალობით? რა თქმა უნდა, ჩემი! იმიტომ, რომ შენ იცოდი, რასაც ვგრძნობდი: ესეც ცოდნაა, ჩემო ძვირფასო. განა შენც ასე არ ფიქრობ?

(გინდა, რომ ჩემმა პასუხმა სიამოვნება მოგგვაროს, მაგრამ ვერ მოგართვი...)

- მგონი, ნამეტანი მოგდის. თავი მომაბეზრე შენი ემპათიით. ამ სიტყვებით ნებისმიერ მასწავლებელს გამოიყვანდი წყობიდან. შენ რომ ცოტა მოგენდომებინა და თავის დროზე თავი ხელში აგეყვანა, მშვენივრად მოახერხებდი ჯიბუტის ნაგავსაყრელიდან გამოძრომას.

აქ ვატყობ, რომ ბრაზდება. ჯერ ერთი იმიტომ, რომ წარმოდგენა არა აქვს, რას ნიშნავს სიტყვა "ემპათია", მეორეც იმიტომ, რომ ახსნის შემდეგ ძალიან კარგადაც იგებს მის მნიშნელობას.

- არანაირი ემპათია! ჯანდაბამდე გზა ჰქონია ამ შენს ემპათიას! ბოლომდე ჩაგვძირავს ეს თქვენი ემპათია! არავინ გაძალებთ ჩვენს ადგილას დადგომას. თქვენ გევალებათ, იხსნათ ბავშვები, რომლებსაც თქვენთვის პირადად დახმარებისთვის არ მოუმართავთ. შეგიძლია თუ არა ამის გაგება?

თქვენ მოგეთხოვებათ, რომ ცოდნას ცოტა ინტუიციაც დაამატოთ, რათა როგორმე გაიგოთ, თუ რას ნიშნავს უმეცრება, არცოდნა. წადით და შეეცადეთ, ანკესზე წამოაგოთ ოროსნები. აი, ეს არის თქვენი საქმე. ცუდი მოსწავლე თვითონაც კარგად აიყვანს საკუთარ თავს ხელში, როცა თქვენ გასაგებად აუხსნით, როგორ გააკეთოს ეს! აი, სულ ეს არის, რასაც ითხოვენ თქვენგან!

- და ამიხსენი, კონკრეტულად, ვინ ითხოვს?

- მე!

- ააა, აი, თურმე რაში ყოფილა საქმე. და შენ, დიდო სპეციალისტო, თავად რა შეგიძლია მითხრა უმეცრების მდგომარეობაზე?

- მე ვიტყოდი, რომ ეს სულაც არ არის ის დიდი, შავი ხვრელი, როგორც თქვენ წარმოგიდგენიათ. სრულიად საწინააღმდეგო რამესთან გვაქვს საქმე. მე მას ერთგვარ ბაზრობას შევადარებდი, აი, ისეთს, სადაც ადამიანები ძველმანებით და უამრავი ხარახურით ვაჭრობენ; ამ ბაზრობაზე ყველაფერს იპოვი, რაც სულსა და გულს გაუხარდება, გარდა სურვილისა, გაიგო ის, რასაც სკოლაში გასწავლიან. ცუდი მოსწავლე არასდროს მიიჩნევს საკუთარ თავს უმეცრად. პირადად მე აზრადაც არ მომსვლია, რომ ასეთი ვიყავი. ის კია, რომ თავი იდიოტი მეგონა, მაგრამ ეს სულ სხვა რამეა. ოროსანს თავი ან ულირსი ჰგონია ან არანორმალური, ან თუ გნებავთ, მეამბოხე. ხშირ შემთხვევაში, მას საერთოდ მიუფურთხებია ყველაფრისთვის, ცხოვრობს თავისთვის და დარწმუნებულია, რომ უამრავი რამე იცის იმის იქით, რის სწავლებასაც თქვენ სკოლაში მას უპირებთ. და არც ის ჰგონია, რომ არ იცის ის, რაც თქვენ იცით. ცოტა ხანში თქვენგან არც არანაირი ცოდნის მიღება არ ენდომება. მოკლედ, თქვენც გამოგიგლოვებთ, სკოლასაც და ამ უკანასკნელის მიერ დაპირებულ ცოდნასაც. ვერ ვიტყვი, რომ ეს გადაწყვეტილება მისთვის უმტკივნეულოა, მაგრამ... კი არ ვიცი, როგორ აგიხსნა... ურჩევნია, ამ ტკივილით იაროს, ვიდრე მისგან განიკურნოს. ამის გაგება ძნელია, მაგრამ ნამდვილად ასეა... ის უკვე ცდილობს, უმეცრება ისე წარმოადგინოს, როგორც მისი მეორე ბუნება - მერე რა, რომ მათემატიკაში სრული ნულია, სათანადოდ არ განუმარტეს, ამიტომაც გასაგებია, რატომაა სრული ნული ამ საგანში. ხედავთ, როგორ მსჯელობს ის? და, ვინაიდან მას სჭირდება ამ ნაკლის კომპენსირება, ცდილობს, სხვა სფეროებში "გაიბრწყინოს", აი, მაგალითად, სეიფების გატეხვაში, როგორც მე, ჩხუბშიც ეცდება რაღაც დოზით თავის გამოჩენას, და როცა პოლიციაში მოხვდება და სოციალური მუშაკი შეეკითხება, რა მიზეზით აიცრუა სკოლაზე გული, იცი, რას უპასუხებს?

- ...

- ზუსტად იმავეს, რასაც მასწავლებელი, ანუ მიედ-მოედება ათას რამეს, ამიტომ და იმიტომო. მიზეზები არ გამოელევა: "სკოლა ჩემთვის არ შექმნილა და არც მე დავბადებულვარ მისთვის"; "ამას მე ვერ შევძლებ, მე ეს არ გამომივა". მას სხვა პასუხი არ აქვს. სინამდვილეში ის სრულიად გაუცნობიერებლად ცოდნისა და უვიცობის შეჯახებაზე იწყებს ლაპარაკს. მისი "ეს" და მისი პედაგოგის "ეს" იდენტურია. მასწავლებლებს მიაჩნიათ, რომ მათ იმისთვის ამზადებდნენ, სწავლას მოწყურებული ბავშვებისთვის ესწავლებინათ და არა ისეთებისთვის, რომლებსაც სწავლა არ სურთ,

მოკლედ, ამბობენ, რომ მათთვის ასეთი მოსწავლეების მოძებნა და "ამოქაჩვა" არავის უსწავლებია, და რომ "ეს" მათი საქმე არ არის. "ეს", მხოლოდ და მხოლოდ "ეს" გაისმის აქედანაც და იქიდანაც.

- და, როგორ დავძლიოთ "ეს", თუ ემპათია არ გამოგვადგება?

ის ორჭოფობს.

მე ჩემსას არ ვიშლი:

- ჰა, მითხარი. შენ ხომ ყველაფერი იცი, თუმცა არაფერი გისწავლია. რა არის სწავლების ყველაზე ეფექტური მეთოდი? არსებობს კი ისეთი მეთოდი, "ეს" რომ დავძლიოთ?

- აქ მეთოდების სიმცირეზე ნამდვილად არ ღირს ლაპარაკი; რამდენიც გინდა, იმდენია! თქვენც ხომ სხვას არაფერს აკეთებთ, იმის გარდა, რომ რომელიმე მეთოდს ამოეფაროთ. თუმცა გულის სიღრმეში დარწმუნებული ხართ, რომ აქ მეთოდი საქმეს ვერ უშველის, იმიტომ, რომ მას ყოველთვის რაღაც აკლია.

- და, ვერ იტყვი, რა აკლია?

- ვერა?

- რატომ?

- უწმაწური სიტყვაა.

- ემპათიაზე უარესი?

- ნამდვილად. ეს ისეთი სიტყვაა, რომლის წარმოთქმის უფლებას შენ თავს ვერც სკოლაში მისცემ, ვერც ლიცეუმში, ვერც უნივერსიტეტში და ვერც რომელიმე სასწავლო დაწესებულებას მიმსგავსებულ ადგილას.

- და, მაინც?

- არა, არა, მართლა არ შემიძლია.

- მიდი ახლა, თქვი!

- ხომ გითხარი. არ შემიძლია-მეთქი. ისე, განათლებაზე საუბრისას ეს სიტყვა თუ წამოგცდა, ლინჩის წესით დასჯა არ აგცდება.

- ...

- ...

- ...

- სიყვარული!

13

რაც მართალია, მართალია, ჩვენთან, სწავლებაზე საუბრისას, სიყვარულის ხსენება ნამდვილად მიუღებელია. ეს იგივეა, ჩამოხრჩობილის სახლში თოკზე რომ ილაპარაკოთ.

ამიტომ სრულიად გამართლებული იქნება, თუ მეტაფორას მივმართავთ იმ სიყვარულის აღსაწერად, მადმუაზელ ჟ., ნიკოლ ნ., და კიდევ ის რამდენიმე მასწავლებელი რომ შეუპყრია და, რომელთა შესახებ წინა თავებში ამდენი ვილაპარაკე. მხედველობაში მყავს იმ პედაგოგების უმრავლესობაც, რომლებიც თავიანთ კლასებში დასასწრებად მეპატიჟებოდნენ, ასევე, ყველა ის დაუღალავი და ღღენიადაგ მზრუნველი მასწავლებლები, რომლებსაც საერთოდ არ ვიცნობ.

მაშ ასე, მეტაფორა.

ამ შემთხვევაში "ფრთიანი" მეტაფორა აჯობებს.

ისევ ვერკორი.

სექტემბრის პირველი დღეები.

გვიანი ღამე. ამ წიგნის ერთ-ერთ გვერდზე მუშაობისას ჩამძინებია. დილით გაგრძელების სურვილით სავსეს გამეღვიძა. უკვე ვემზადებოდი ლოგინიდან წამოსახტომად, მაგრამ გარედან შემოღწეულმა სუსტმა ხმაურმა შემაყოვნა. სახლის გარშემო რაღაც წიოდა. არა, ეს უფრო წივილ-კივილს წააგავდა, ხან ძლიერსა და გაბმულს, ხანაც სუსტსა და წყვეტილს. ააა, როგორ ვერ მივხვდი უცებ: მერცხლები გასაფრენად ემზადებიან. ყოველ წელს დაახლოებით ერთსა და იმავე დროს პაემანს უნიშნავენ ერთმანეთს ელექტრომავთულებზე. მინდორ-ველები და გზისპირები პარტიტურებით მოიფინება ხოლმე.

მერცხლები გადაფრენისთვის ემზადებოდნენ. ეს ჟივილ-ხივილიც შეხვედრის სიხარულისგან იყო ატეხილი; ისინი, რომლებიც ჯერ კიდევ ჰაერში ტრიალებდნენ, თითქოს დაშვების ნებართვას შესთხოვდნენ იმათ, რომლებიც უკვე ჩამომწკრივებულიყვნენ მავთულებზე და ჰორიზონტს მიღმა გაფრენის მოლოდინში თრთოდნენ. ჩქარა! ჩქარა! ნუ აყოვნებთ. დაუჩქარეთ, საცაა გავფრინდებით. ისინი მოფრინავენ და მოფრინავენ ჩრდილოეთიდან ჰიჩკოკისეულ ბატალიონებად. გეზი სამხრეთისკენ აუღიათ. სწორედ იქითკენ გადის ჩემი საძინებელი ოთახის ფანჯრებიც. განიერი, ორფრთიანი - სამხრეთისკენ, პატარა, ერთიანი კი - ჩრდილოეთისკენ ... და მე და მინი ყოველ წელს ერთი და იგივე დრამის მხილველები ვხდებით. ერთმანეთის საპირისპიროდ გაჭრილი ფანჯრების გამჭვირვალობით მოტყუებული მერცხლების ნაწილი პატარა ფანჯრის მინებს თავით ასკდება. ასე რომ, ამ დილას წერისთვის ვერ მოვიცლი. წამოვდექი, ჯერ ჩრდილოეთის ერთფრთიანი ფანჯარა გამოვაღე, მერე სამხრეთისკენ გამავალი - ორფრთიანიც, მერე ისევ საბნის ქვეშ შევგორდი და მერე მთელი დილა ვაკვირდებოდით ჩვენი ოთახის გავლით მერცხლების ესკადრილიის უჩვეულოდ მდუმარე გადაფრენას. ალბათ ლოგინში მწოლიარე ორი ფიგურის დანახვაზე ფრთხებოდნენ. მხოლოდ განიერი, ორფრთიანი ფანჯრის ორივე მხარეს ჩასმული ორი ვიწრო ფანჯარა იყო დაკეტილი. სივრცე სრულიად საკმარისი იყო მათ შორის, რომ მერცხლების მთელი არმია გატეულიყო, მაგრამ უსიამოვნებას ვერასდროს ვერ ვცდებოდით. გამორიცხული იყო, რომ ორი-სამი გზააბნეული სულელი მომცრო, ვიწრო ფანჯრებს არ შესკდომოდა ... დაახლოებით ასეთია ოროსნების პროპორციაც - იმათი, ვინც ნორმიდანაა გადახრილი, იმათი, ვინც რიგში ვერ დგება, იმათი, ვინც აუცილებლად გვერდით გადაუხვევს და სხვაგან დაუწყებს ძებნას თავშესაქცევს ... შედეგი კი, როგორც წესი, ერთია - ფანჯარაზე შენარცხება და იატაკზე დაცემა. მაშინ, რომელიმე ჩვენგანი ადგება, აიყვანს გაბრუებულ მერცხალს, ხელისგულზე დაისვამს და მოეფერება - რა მსუბუქია?! საერთოდ არა აქვს წონა, ჰაერით გავსებული ძვლები. დაელოდება, სანამ საწყალი მოსულიერდება, შემდეგ მივა ფანჯარასთან და გაუშვებს, რათა მეგობრების ამალას დააწიოს. გამოცოცხლებული მერცხალი აუცილებლად გაფრინდება. თავიდან ცოტას კი შეყოვნდება, თითქოს წამიერად ფრენის უნარი წაერთვაო, მერე ზიგზაგებს მოხაზავს ჰაერში, ბოლოს პირდაპირ სამხრეთისკენ აიღებს გეზს და თავის მომავალში გაუჩინარდება.

აი, ჩემი მეტაფორაც, შეიძლება, საუკეთესო არ გამოვიდა, მაგრამ ასე წარმომიდგენია სიყვარული მასწავლებლისა, რომლის მოსწავლეებიც შეშლილი ჩიტებივით დაფრინავენ. სწორედ ეს არის მადმუაზელ ჟ.-ს ან ნიკოლ ა.-ს მთავარი საზრუნავი - გონდაკარგული მერცხლების მოსულიერება. ცხადია, მათი მცდელობა ყოველთვის წარმატებულად ვერ დამთავრდება, უეჭველად ექნებათ ჩავარდნებიც. ზოგიერთებს ვერც გამოაღვიძებენ და ასე გაბრუებულები ეყრებიან ხალიჩაზე ან რომელიმე მინაზე წაიტეხავენ კისერს. ამ შემთხვევაში ჩვენს სინდისს პირდაღებული ღრმულები, ორმოები შემორჩება, აი, ისეთები, ჩვენს ბაღში რომაა, სადაც მკვდარი მერცხლები განისვენებენ. მაგრამ სასოწარკვეთილებას მაინც არ მივეცემით. ისევ და ისევ შევეცდებით დავეხმაროთ მათ. დარწმუნებული ვარ, რომ გამოგვივა. ისინი ხომ ჩვენი მოსწავლეები არიან. ჩვენი სიმპათია თუ ანტიპათია ზოგიერთი მათგანის მიმართ (რაც თავისთავად სრულიად ბუნებრივია) ამ შემთხვევაში მხედველობაში არ მიიღება. თანაც, აბა, ვინ გამოიცნობს, ვინ როგორ გვიყვარს ან არ გვიყვარს. გაბრუებული მერცხალი ცხოვრებისკენ უნდა შემოაბრუნო და მორჩა!